მეოცე საუკუნე

ბუდენბროკები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადარჩენილი

რომანი

მაიკლ პუნკე

ინგლისურიდან თარგმნა
გია ბერაძემ

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამომცემლობა
ინტელექტი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნუ თავით თჳსით შურსა ეძიებთ, საყუარელნო, არამედ ეცით ადგილ რისხვასა, რამეთუ წერილ არს: ჩემი არს შურის-გებაჲ, და მე მივაგო, იტყჳს უფალი.

რომაელთა მიმართ 12.19

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1 სექტემბერი, 1823

მას ბედის ანაბარად ტოვებდნენ. დაჭრილი ამას ბიჭის გამოხედვაზე მიხვდა, რომელიც ხან ძირს და ხან გვერდით იყურებოდა, ცდილობდა მისთვის თვალი არ გაესწორებინა.

ბიჭი მგლის ტყავის ქუდიან კაცს მთელი დღეების განმავლობაში ეკამათებოდა. (ნუთუ მართლა დღეები გავიდა?) დაჭრილი ცხელებას და ტკივილს ებრძოდა. უჭირდა გაერჩია სიტყვები, რომელიც ჩაესმოდა, ნამდვილი იყო თუ მისი დაბინდული გონების წარმოსახვა.

მდელოზე წამომართულ ვეებერთელა კლდეს ახედა. ფერდობის კიდეზე განმარტოებით მდგარ ფიჭვის ხე ჩანდა, რომელსაც როგორღაც მოეხერხებინა შიშველ ქვებს შორის ამოსულიყო და თუმცა დაჭრილი მას პირველად არ ხედავდა, მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მისი ღერო და ტოტები ჯვრის ფორმას ქმნიდა. პირველად გაიფიქრა, ეტყობა, სწორედ აქ, მდელოზე, წყაროს გვერდით მიწერია სიკვდილიო.

უცნაური იყო, რომ ასე განცალკევებულად გრძნობდა თავს იმ სცენიდან, რომელშიც მთავარ როლს თამაშობდა. ფიქრობდა, საინტერესოა, იმ ორის ადგილას მე რა გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადავწყვეტდიო. თუ ისინი დარჩებოდნენ, წყაროს ქვემოდან კი მტერი წაადგებოდათ თავს, სამივეს მოკლავდნენ. თვითონ როგორ მოიქცეოდა – წავიდოდა კი რისკზე მათი გულისთვის, თუკი ისინი მაინც განწირული იქნებოდნენ სასიკვდილოდ?

– დარწმუნებული ხარ, რომ აქეთ მოდიან? – ბიჭს ხმაში ბზარი ჰქონდა შეპარული. ჩვეული ტენორის შენარჩუნებას უმეტესად ახერხებდა, მაგრამ ხმის ტონს ვეღარ აკონტროლებდა.

კაცი, რომელსაც მგლის ტყავის ქუდი ეხურა, კოცონთან მივარდა და ტომარაში ირმის ნახევრად გამომშრალი ხორცის ჩაჩურთვა დაიწყო.

– გინდა დარჩე და შეამოწმო? – მიუგდო მან ბიჭს.

დაჭრილი შეეცადა დაელაპარაკა, მაგრამ ყელში ისევ გამგმირავი ტკივილი იგრძნო. რაღაც ბგერების წარმოთქმა მოახერხა, მაგრამ ისინი სიტყვებად ვერ აქცია.

მგლის ტყავის ქუდიანმა ყურადღება არ მიაქცია. თავის ბარგი-ბარხანას ალაგებდა გამალებით. მხოლოდ ბიჭმა მოიხედა.

– მას რაღაცის თქმა უნდა.

ბიჭმა დაჭრილის გვერდით ჩაიმუხლა. ისევ ვერ შეძლო რა დალაპარაკება, კაცმა ჯანმრთელი ხელი ზემოთ ასწია და მიანიშნა.

– თავისი შაშხანა უნდა, – თქვა ბიჭმა. – შაშხანას ითხოვს.

მგლის ტყავის ქუდიანი კაცი სწრაფი, მტკიცე ნაბიჯებით მივიდა ბიჭთან და ზურგში ჩაარტყა:

– გაინძერი, შე წყეულო!

შემდეგ დაჭრილს თავზე დაადგა და მისი ნივთები მოათვალიერა: მონადირის ჩანთა, დანა, მძივებით მორთულ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქარქაშში, პატარა ნაჯახი და თოფისწამლის რქა. სანამ დაჭრილი უმწეოდ მისჩერებოდა, კაცი დაიხარა, ჩანთიდან კაჟი და კვესი ამოიღო და თავისი ტყავის ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო. თოფისწამლიანი რქა მხარზე გადაიკიდა, პატარა ნაჯახი კი ტყავის განიერი ქამრის შიგნით ჩაიჩურთა.

– რას აკეთებ? – ჰკითხა ბიჭმა.

კაცი ისევ დაიხარა, დანა აიღო და ბიჭს ესროლა.

ბიჭმა დანა დაიჭირა და ქარქაშს შეძრწუნებული დააშტერდა. მხოლოდ შაშხანა დარჩა. მგლის ტყავის ქუდიანმა კაცმა ის აიღო და სწრაფად შეამოწმა დატენილი იყო თუ არა.

– ნუ გეწყინება, გლას, ძველო, შენ ხომ ის აღარაფერში დაგჭირდება.

გაოგნებული ბიჭი ადგილიდან არ იძვროდა.

– ასე უიარაღოდ ხომ ვერ მივატოვებთ.

მგლის ტყავის ქუდიანმა კაცმა მას ერთი გახედა მხოლოდ, შემდეგ გაიქცა და ტყეში გაუჩინარდა.

დაჭრილი თვალს არ აცილებდა ბიჭს, რომელსაც ხელში დანა ეჭირა და კარგა ხანს გარინდებული იდგა. ბოლოს ბიჭმა თვალები ასწია, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მკვეთრად შებრუნდა და ფიჭვის ხეებს შეერია.

დაჭრილი დაძაბული იყურებოდა ხეებს შორის, სადაც მისი ყოფილი მეგობრები გაუჩინარდნენ. მთელი მისი არსება მრისხანებამ მოიცვა ისე, როგორც ალი მოედება ფიჭვის წიწვებს. მხოლოდ ერთი რამის სურვილი ჰქონდა: მათთვის კისერში ჩაევლო ხელი და ადგილზე დაეხრჩო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინსტიქტურად შეეცადა დაეყვირა, დაავიწყდა, რომ ყელი სტკიოდა და მხოლოდ სუსტი ხავილი ამოსდიოდა. მარცხენა იდაყვზე წამოიწია. მარჯვენა მკლავის მოხრა შეეძლო, მაგრამ ზედ ვერ დაეყრდნობოდა. სულ ოდნავი მოძრაობისგანაც კი ყელში და ზურგში საშინელი ტკივილი იგრძნო. უხეშ ნაწიბურებზე კანი დაეჭიმა. ქვემოთ დაიხედა ფეხებზე, რომელზეც ძველი გასისხლიანებული პერანგი მაგრად ჰქონდა შემოჭერილი. ბარძაყს ვერ მოღუნავდა, რომ ფეხი აემოძრავებინა.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, გაჭირვებით გადაბრუნდა და მუცელზე დაწვა. ახალ ჭრილობაზე ნაკერი ტკაცანით გადაიხსნა და ზურგზე თბილი სისხლი ჩამოეღვარა, მაგრამ გამძვინვარებულს ტკივილი თითქმის არ უგრძნია.

ჰიუ გლასი წინ გახოხდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაწილი

პირველი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 1

21 აგვისტო, 1823

– ჩემი ნავი დღე-დღეზე ჩამოვა სენტ-ლუისიდან, მუსიე ეშლი, – მოთმინებით, მაგრამ მტკიცე ტონით თქვა ზორბა ფრანგმა. – მე სიამოვნებით მივყიდდი კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიას ყველაფერს, რაც ნავზეა, მაგრამ, რაც არ მეკუთვნის, იმის გაყიდვა არ შემიძლია.

უილიამ ჰენრი ეშლიმ თუნუქის ტოლჩა მაგიდის უხეშ ზედაპირზე დაახეთქა. აკურატულად გაპარსული წვერის შიგნით ჩანდა, რომ ჯირკვლები უთამაშებდა, თუმცა არ ეტყობოდა, რომ ეს კიდევ ერთ აფეთქებას მოასწავებდა. ეშლი ხვდებოდა, რომ ახლა იმ მტრის პირისპირ იდგა, რომელიც ყველაზე მეტად ეზიზღებოდა – ეს გახლდათ ლოდინი.

ფრანგი, უცნაური სახელით კაიოვა ბრაზო, თანამოსაუბრეს თვალს არ აშორებდა და სულ უფრო და უფრო ღელავდა. ეშლის ვიზიტი ფაქტორიაში იშვიათ შესაძლებლობებს უჩენდა და თუ მასთან ურთიერთობას სწორად წარმართავდა, ეს მისი მომავალი წარმატების საწინდრად შეიძლებოდა ქცეულიყო. ეშლის სენტ-ლუისში იცნობდნენ, როგორც მსხვილ ბიზნესმენს და პოლიტიკოსს, დასავლეთში ვაჭრობის გაფართოებაზე რომ ოცნებობდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ამისთვის ფულიც ჰქონდა. „სხვების ფული“ – როგორც მას ეშლი უწოდებდა. ფული, რომლითაც შეიძლებოდა საჭიროების შემთხვევაში ერთი სარისკო წამოწყებიდან მეორეში გადასულიყო.

კაიოვამ სქელი ლინზის მიღმა თვალები მოჭუტა. მხედველობა სუსტი ჰქონდა, მაგრამ ადამიანების სახის წაკითხვის უბადლო მცოდნე გახლდათ.

– თუ ნებას დამრთავთ, მუსიე ეშლი, სანამ ჩემს ნავს ელოდებით, შემიძლია კომპენსაციის სახით ერთგვარად განუგეშოთ.

ეშლის დაინტერესება არაფრით გამოუხატავს, თუმცა არც თავისი ტირადის განახლება უცდია.

– მე სურსათ-სანოვაგის გამოწერა მჭირდება სენტ-ლუისიდან. ხვალ ჩემი კურიერი კანოეთი მდინარეს დაუყ-ვება. მას შეუძლია გზავნილი გადასცეს თქვენს პარტ-ნიორებს სინდიკატიდან. გაამხნევოს ისინი, სანამ პოლ-კოვნიკ ლივენვორტის კრახის შესახებ მითქმა-მოთქმა დაიწყება.

ეშლიმ ღრმად ამოისუნთქა და მწარე ლუდი მოსვა. არჩევანი არ ჰქონდა. მოცდა ხომ ყველა შემთხვევაში უწევდა. თანაც ფრანგის რჩევა გონივრული გახლდათ – მართლაც უკეთესი იქნებოდა ინვესტორების დამშვიდება სანამ ბრძოლის შესახებ ახალი ამბავი სენტ-ლუისის ქუჩებს მოედებოდა.

კაიოვამ, იგრძნო რა თანამესაუბრის მზადყოფნა, ეშ-ლის მაშინვე კალმისტარი, მელანი და ქაღალდი დაუდო წინ და თუნუქის ტოლჩა ისევ ლუდით შეავსო.

– მეტ დროს აღარ წაგართმევთ, მუსიე, – თქვა მან. უხაროდა, რომ შესაძლებლობა მიეცა წასულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქონის სანთლის მკრთალი შუქი ეშლის ოთახში შუალამემდე ენთო. ვიცე-გუბერნატორი წერილს წერდა.

ფორტი ბრაზო მდინარე მისურიზე.

1823 წლის 21 აგვისტო.
ჯეიმზ დ. პიქენს ესკვაირს.
ფირმა „პიქენსი და ვაჟიშვილები“
სენტ-ლუისი.

ძვირფასო მისტერ პიქენს,

სამწუხაროდ, იძულებული ვარ უსიამოვნო მოვალეობა შევასრულო და გაუწყოთ ბოლო ორ კვირაში მომხდარი მოვლენების შესახებ. ამ მოვლენებმა შეიძლება შეცვალოს, (მაგრამ ვერ ჩაშლიან) – ზედა მისურისთან დაკავშირებული ჩვენი გეგმები.

როგორც თქვენ, ალბათ, უკვე იცით, კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის წარმომადგენლებს არიკარას რაზმი დაესხა თავს, მას შემდეგ, რაც მათგან მშვიდობიანად შევისყიდეთ 60 ცხენი. ეს ჩვენი მხრიდან ყოველგვარი პროვოცირების გარეშე მოხდა. მათ თექვსმეტი კაცი მოგვიკლეს, თორმეტი დაჭრეს და წაგვართვეს ცხენები, რომლებიც წინა დღით მოგვყიდეს.

ამ თავდასხმის გამო იძულებული გავხდი უკან დამეხია მდინარის ქვედა ნაწილისკენ და დახმარებისთვის პოლკოვნიკ ლივენვორტისთვის და რეგულარული ჯარისთვის მიმემართა, რადგან ამ ქმედებით არიკარას ტომმა ღიად შელახა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების სუვერენული უფლება დაუბრკოლებლად გადალახონ მდინარე მისური. მე ასევე ვთხოვე დახმარება ჩვენს რაზმს (კაპიტან ენდრიუ ჰენრის მეთაურობით),

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც ფორტ უნიონიდან მოვიდა ჩვენთან და დიდ საფრთხეში ჩაიგდო თავი.

ცხრა აგვისტოსთვის ჩვენ არიკარას წინააღმდეგ 700 კაცი გვყავდა, მათ შორის ლივენვორტის 200 ჯარისკაცი (ორი ჰაუბიცით) და კლდოვანი მთის ბეწვეულის კომპანიის 40 დაქირავებული. ჩვენ ასევე ვიპოვეთ მოკავშირეები (ალბათ ტროებითი) სიუს ოთხასი მებრძოლის სახით. ინდიელთა ამ ორი ტომის მტრობას შორეული ფესვები აქვს, რომლის მიზეზი ჩემთვის უცნობია.

ჩვენი გაერთიანებული ძალები საკმარისზე მეტიც კი იყო იმისთვის, რომ ბრძოლა გაგვემართა, არიკარას ტომი ღალატისთვის დაგვესაჯა და მისურის გზა ხელახლა გაგვეხსნა ჩვენი საქმიანობისთვის. გეგმების განხორციელება ვერ შევძელით მხოლოდ იმის გამო, რომ, პოლკოვნიკი ლივენვორტი მეტისმეტად გაუბედავი აღმოჩნდა.

ამ სამარცხვინო ბრძოლის დეტალებს სენტ-ლუისში დაბრუნებისას შეგატყობინებთ. ახლა საკმარისად ვთვლი გითხრათ, რომ პოლკოვნიკის მრავალგზის უარმა, შეტევაზე გადასულიყო მცირერიცხოვანი მტრის წინააღმდეგ, საშუალება მისცა არიკარას ტომს ხელიდან დაგვსხლტომოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ მისური ახლა გადაკეტილია: ბრაზოს ფორტსა და მანდანას ტომის დასახლებას შორის 900 არიკარელი მებრძოლია ჩამდგარი და ისინი მზად არიან აღკვეთონ ჩვენი ნებისმიერი მცდელობა მისურის ზედა ნაწილის გადაკვეთისა.

პოლკოვნიკი ლივენვორტი ატკისონის გარნიზონის ფორტში დაბრუნდა. ზამთარს უეჭველად იქ გაატარებს, თბილი ბუხრის წინ და გულმოდგინედ განაგრძობს შესაძლებლობების აწონ-დაწონვას. მე კი, არ ვაპირებ მას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაველოდო. ჩვენი ბიზნესი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რვა თვეს ვერ მოცდება.

ეშლი შეჩერდა, რომ ტექსტი გადაეკითხა. ნაწერში აშკარად იგრძნობოდა, რომ ის გაბრაზებული იყო, მაგრამ მასში არ ჩანდა მთავარი – მისი სულის სიმხნევე, ურყევი რწმენა საკუთარი ძალებისა და წარმატებისა. ღმერთმა ის ულევი სიუხვის ბაღში მოახვედრა, დალოცვილ მხარეში, სადაც კეთილდღეობა ელის ყველას, ვისაც ეყოფა სიმამაცე და სიმტკიცე მისთვის იბრძოლოს. საკუთარ სისუსტეებს ეშლი არ მალავდა. ის მათ აღიქვამდა, როგორც დაბრკოლებას, რომელიც თავისი ძლიერი მხარეების გონივრული გამოყენებით უნდა დაეძლია. მან იცოდა, რომ ჩავარდნები გარდაუვალია, მაგრამ მარცხს არასოდეს შეეგუებოდა.

ბედის ეს დარტყმა ჩვენს სასარგებლოდ უნდა შემოვაბრუნოთ. სანამ ჩვენი კონკურენტები გულხელდაკრეფილი სხედან, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ. რადგან მისური გადაკეტილია მე გადავწყვიტე დასავლეთისკენ ორი ჯგუფი სხვა გზით გავგზავნო. კაპიტანი ჰენრი მდინარე გრანდისკენ უკვე გავუშვი. ის გრანდს, სანამ შესაძლებელია, ბოლომდე აჰყვება და ფორტ იუნიონში დაბრუნდება. მეორე ჯგუფი ჯედიდია სმიტის მეთაურობით მდინარე პლატეს ზემო ნაწილისკენ დაიძვრება და დიდი აუზის წყლებთან მივა.

თქვენ, დარწმუნებული ვარ, ჩემზე ნაკლებად არ შეგაწუხებდათ ეს დაყოვნება. ჩვენ ახლა გაბედულად უნდა ვიმოქმედოთ, რომ დაკარგული დრო ავინაზღაუროთ. ჰენრის და სმიტს ვუბრძანე გაზაფხულზე სენტ-ლუისში არ დაბრუნდნენ: ჩვენ თვითონ წავალთ მათთან, დათქმულ ადგილას ბეწვეულს ავიღებთ და მათ მარაგებს შევავ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სებთ. ამ გზით ოთხ თვეს დავზოგავთ და დაკარგულ დროს ნაწილობრივ მაინც ავანაზღაურებთ. ჯერჯერობით კი გთავაზობთ სენტ-ლუისში ახალი ჯგუფი შევქმნათ და გაზაფხულზე გავგზავნოთ. ხელმძღვანელი მე თვითონ ვიქნები.

სანთლის ნამწვი აშიშინდა და შავი კვამლის ჭუჭყიანი ფანტელები ამოაფურთხა. ეშლი გამოერკვა, თავი მაღლა ასწია. ძალიან გვიანი იყო. დაღლილობა იგრძნო. კალამი ისევ მელანში ჩააწო და წერილს მიუბრუნდა. ბოლო სტრიქონები სწრაფად დაწერა, თითქოს ერთბაშად რაღაც გადაწყვიტაო.

– გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად გადასცეთ ჩვენი სინდიკატის წევრებს – მკაცრ გამოთქმებს ნუ მოერიდებით, – რომ მე სრულიად დარწმუნებული ვარ ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებაში. განგებამ აურაცხელი სიმდიდრე დაახვავა ჩვენს წინაშე და ახლა ისღა დაგვრჩენია, ძალები მოვიკრიბოთ და მოვახერხოთ იმის აღება, რაც სამართლიანად გვეკუთვნის.

თქვენი ერთგული მსახური
უილიამ ჰ. ეშლი

ორი დღის შემდეგ, 1823 წლის 16 აგვისტოს სენტ-ლუისიდან კაიოვა ბრაზოს ნავი ჩამოვიდა. იმავე დღეს უილიამ ეშლიმ თავისი ხალხი მოამარაგა და დასავლეთისკენ გაგზავნა. უახლოესი შეხვედრა 1824 წლის ზაფხულისათვის დანიშნეს. ადგილს კურიერების საშუალებით მომავალში შეათანხმებდნენ.

უილიამ ჰ. ეშლის ბოლომდე არც კი ესმოდა თავისი გადაწყვეტილების მნიშვნელობა, არადა მან შექმნა სისტემა, რომელიც მომავალი ეპოქის სიმბოლოდ იქცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 2

23 აგვისტო, 1823

ბანაკში თერთმეტი კაცი იყო. ცეცხლი არ ენთო. მდინარე გრანდის ციცაბო ნაპირს ასე თუ ისე თავს შეაფარებდი, მაგრამ იქით, შორს გადაშლილი იყო დაბლობი, საიდანაც მათი ბანაკი ხელისგულივით ჩანდა. თუ ცეცხლს დაანთებდი შორიდანაც შეგამჩნევდნენ. არადა დამალვა აუცილებელი იყო ინდიელთა თავდასხმის თავიდან ასარიდებლად. დაღამებამდე ერთი საათი რჩებოდა. ტრაპერები[1] სხვადასხვა რამით იყვნენ დაკავებული: შაშხანებს წმენდდნენ, მოკასინებს აკერებდნენ, ვახშმობდნენ. მას შემდეგ, რაც შეჩერდნენ ბიჭს ეძინა. დაჭმუჭნული ტანსაცმელი ეცვა. ხელები და ფეხები გაფარჩხული ჰქონდა.

სამ-ოთხ კაციან ჯგუფებად დაყოფილი ტრაპერები ნაპირთან იყვნენ ჩაცუცქული. ზურგებით ქვებს ან ბუჩქებს მიყრდნობოდნენ, თითქოს მათგან დაცვას ელიანო.

---

[1] ჩრდილოეთ ამერიკაში ბეწვიან ცხოველებზე მონადირე. უმეტესად ხაფანგებით ნადირობენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაუდიოდა. ნაიარევზე წვერი არ ჰქონდა და გეგონებოდა სახე უცინისო. წვერებიანი სალეს ქვაზე დანას უსვამდა და ნელი ფხაკუნი მის სიტყვებს ეხმიანებოდა.

– ხმა ჩაიგდე, ფიტცჯერალდ, თორემ ჩემი ძმის საფლავს ვფიცავ, მაგ შენს მყრალ ენას ამოგგლეჯ.

– შენი ძმის საფლავს? არის იქ რაიმე საფლავის მსგავსი?

ახლომყოფები უცებ ყურადღებად იქცნენ. ასეთ დაცინვას არ ელოდნენ. ფიტცჯერალდისგანაც კი.

წვერებიანმა დამსწრეთა ყურადღება იგრძნო და უფრო გამხნევდა.

– ქვების გროვაა და მეტი არაფერი. შენ ფიქრობ ის იქ წევს და ლპება? – ფიტცჯერალდი წამიერად შეჩერდა და მხოლოდ ქვაზე დანის ლესვის ხმა ისმოდა, – მე პირადად ამაში ეჭვი მეპარება. – ისევ შეჩერდა, აინტერესებდა მისმა სიტყვებმა მსმენელებზე როგორი ზეგავლენა მოახდინა, – ქვებმა ვინმე შეიძლება მართლა შეაჩეროს, მაგრამ, მე მგონი, კოიოტები ახლა მის სხეულს დაათრევენ მთელ...

ანდერსონი ფიტცჯერალდს წინ გაწვდილი ხელებით მივარდა. ფიტცჯერალდი წამოხტა, რომ შეტევა მოეგერიებინა და თავდამსხმელს მთელი ძალით საზარდულში წიხლი ამოკრა. ანდერსონი წელში ორად მოიკეცა თითქოს რაღაც უხილავი თოკით მისი კისერი და ფეხები ერთმანეთზე მიაბესო. წვერებიანმა ამჯერად მუხლი სახეში ამოარტყა და უკან გადააგდო.

ფიტცჯერალდი, რომელიც მისი სიმაღლის პირობაზე საოცრად მსუბუქად მოძრაობდა სულშეხუთულ, გასისხლიანებულ კაცს თავზე წაადგა, მუხლი მკერდზე დააჭირა და ალესილი დანა ყელზე მიადო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– შენს ძმასთან ხომ არ გინდა წასვლა?

დანა ნელ-ნელა კანში შეიჭრა და წაქცეულს კისრიდან სისხლი წვრილ ნაკადად წამოუვიდა.

– ფიტცჯერალდ! – თქვა გლასმა თანაბარი, მაგრამ მბრძანებლური ხმით, – შეწყვიტე!

წვერებიანმა ზემოთ აიხედა. ფიქრობდა, რა ეპასუხა გლასისთვის, რომლის ნათქვამი გამოწვევად მიიღო. ესიამოვნა, როცა დაინახა, რომ მათ გარშემო მთელი კამპანია იყო შემოჯარული და ანდერსონის დამცირება ყველამ საკუთარი თვალით იხილა. ჯობდა, ახლა ამ გამარჯვებით დაკმაყოფილებულიყო. გლასთან მერეც შეიძლებოდა ანგარიშის გასწორება. მან დანა ანდერსონის ყელს მოაცილა და ქამარში გაჩრილ მძივებიან ქარქაშში ჩაიდო.

– ისეთ რაიმეს ნუ წამოიწყებ, რისი დასრულებაც არ შეგიძლია, ანდერსონ, თორემ შემდეგ ჯერზე მე დავამთავრებ მას შენს ნაცვლად.

კაპიტანმა ენდრიუ ჰენრიმ მაყურებელთა წრე გაარღვია, ფიტცჯერალდს ქეჩოში ჩაავლო ხელი, ღონივრად მოიქნია უკან და ზურგით ნაპირის ქვებს მიანარცხა.

– კიდევ ერთი ჩხუბი, ფიტცჯერალდ და აქედან მოშორდები – მან თავის აქნევით ბანაკის პერიმეტრსა და მის მიღმა შორეული ჰორიზონტისკენ მიანიშნა – თუ ძალები მოგეჭარბა და აღარ იცი რა მოუხერხო, შეგიძლია მარტომ ინადირო.

კაპიტანმა დანარჩენებს მოავლო თვალი:

– ხვალ ორმოცი მილი უნდა გავიაროთ. ახლა აჯობებს დრო აღარ დაკარგოთ და დაიძინოთ. პირველად ვის უწევს საგუშაგოზე დგომა?

არავინ გამოეხმაურა. ჰენრის მზერა შეჩერდა ჩაძინებულ ბიჭზე, რომელიც ჩხუბმაც კი ვერ გააღვიძა. კაპი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტანი მტკიცე ნაბიჯებით მივიდა მიწაზე განრთხმულ სხეულთან.

– ადექი, ბრიჯერ, – უბრძანა მან.

ბიჭი ფეხზე წამოხტა, ნამძინარევი სახით, დაჭყეტილი თვალებით და მაშინვე ხელი სტაცა ძველ, დაჟანგულ თოფს, რომელიც მას მომავალი თვის ხელფასის ანგარიშში მისცეს გაყვითლებულ თოფისწამლის რქასა და ერთ მუჭა კაჟთან ერთად.

– ას იარდში დადგები, ქვემოთ, დინების მიმართულებით. სადმე შემაღლებული ადგილი იპოვე ნაპირთან. ღორუკა, იგივეს გააკეთებ მდინარის ზემო ნაწილში. ფიტცჯერალდ და ანდერსონ, თქვენ მეორე ვახტზე დადგებით.

ფიტცჯერალდს, რომელიც წინა ღამით იყო მორიგე, უნდოდა შეწინააღმდეგებოდა, მაგრამ გადაიფიქრა და ბანაკის კიდისკენ წავიდა. ძილისგან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულმა ბიჭმა ნაპირის ქვებზე გაუბედავად, ბორძიკ-ბორძიკით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ნელ-ნელა ბანაკის თავზე ჩამოწოლილ სიბნელეში გაუჩინარდა.

რაზმში ღორუკას ფინეუს გილმორს, კენტუკის გაღატაკებულ ფერმაში გაზრდილ მუდამ ჭუჭყიან ახმახს ეძახდნენ. მეტსახელი შემთხვევით არ იყო შერჩეული. ის გამუდმებით ყარდა და მის ახლომახლო მოხვედრილი ადამიანი დაბნეული იწყებდა აქეთ-იქით ყურებას, რადგან ვერ წარმოიდგენდა, რომ ასეთი აქოთებული სუნი შეიძლებოდა ადამიანისგან წამოსულიყო. თვით ტრაპერებიც კი, რომლებიც სისუფთავით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ, ცდილობდნენ მისგან თავი შორს დაეჭირათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღორუკა მძიმედ წამოდგა, შაშხანა მხარზე გადაიკიდა და მდინარის ნაპირს აუყვა.

ერთი საათიც არ იყო გასული, როცა მთლიანად ჩამობნელდა. გლასი უყურებდა კაპიტანს, რომელიც გუშაგების შემოწმების შემდეგ დაბრუნდა და ახლა დაძაბული სახით მძინარეებს შორის გზას მთვარის შუქზე მიიკვლევდა. უცებ გაიაზრა, რომ ბანაკში მხოლოდ მათ, არ ეძინათ. კაპიტანი თავისი მძიმე სხეულით შაშხანაზე ჩამოეყრდნო და გლასის გვერდით ნელა ჩამოჯდა, რომ დაღლილი ფეხები დაესვენებინა.

– ხვალ შენ და ჰარისი დაზვერვაზე უნდა გაგაგზავნოთ, – თქვა მან.

სასოწარკვეთილმა გლასმა თავი ასწია. თვალები ეხუჭებოდა და ერჩია წაეძინა.

– როცა მოსაღამოვდება, რომელიღაც ნადირი უნდა მოვკლათ. ცეცხლის დანთება უნდა გავრისკოთ. – ჰენრიმ ხმას დაუდაბლა, თითქოს აღსარებას აბარებსო. – ძალიან ჩამოვრჩით, ჰიუ.

ჰენრის აშკარად ეტყობოდა, რომ კარგა ხანს აპირებდა ლაპარაკს. გლასმა შაშხანისკენ გაიწვდინა ხელი. დაძინებას ვეღარ ახერხებდა და იარაღს მაინც მიხედავდა. მდინარეზე გადასვლისას წყალში დაუსველდა და სასხლეტის შეზეთვას ისედაც აპირებდა.

– დეკემბრის დასაწყისში ძალიან აცივდება, – განაგრძო კაპიტანმა, – ერთი-ორი კვირა ხორცის მომარაგებაზე მოგვიწევს ზრუნვა. თუ ოქტომბრამდე იელოუსტოუნამდე ვერ მივაღწევთ, შემოდგომაზე ნადირობის იმედი აღარ უნდა გვქონდეს.

იქნებ კაპიტანს შინაგანი ეჭვები ღრღნიდა კიდეც, მაგრამ, გარეგნულად თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ირმის ტყავის ქურთუკის არშიები უფრო გამოკვეთდნენ მის გაშლილ მხრებს და ძლიერ მკერდს – მისი წინა პროფესიის დანატოვარს (ადრე მისურის შტატის სენტ-ჟენევიევის ოლქში მაღაროელი იყო). ვიწრო წელზე შემორტყმული ჰქონდა ტყავის ქამარი, რომელზეც ორი პისტოლეტი და დიდი დანა ეკიდა. მუხლებამდე ტყავის და მუხლებსქვემოთ წითელი შალის შარვალი მიუთითებდა, რომ ის გამოცდილი მონადირე გახლდათ: ტყავი დაცვის შესანიშნავი საშუალება იყო, მაგრამ წყალში გავლისას იჟღინთებოდა და მძიმდებოდა, შალი კი სწრაფად შრებოდა და, სველიც კი, სითბოს ინარჩუნებდა.

რაზმი, რომელსაც ის მეთაურობდა ჭრელი იყო, სამაგიეროდ ჰენრის ძალიან სიამოვნებდა, როცა მიმართავდნენ – „კაპიტანო“. თუმცა წოდება, რა თქმა უნდა, ნამდვილი არ გახლდათ – ტრაპერების გუნდს არც სამხედრო შენაერთთან ჰქონდა რაიმე საერთო და არც ინსტიტუტების მიმართ გააჩნდა პატივისცემა. და მაინც ჰენრი ერთადერთი იყო მათ შორის, ვისაც „სამი განშტოების“ მიდამოებში მრავალჯერ ენადირა, აქ კი რა, რა და, გამოცდილება ნამდვილად ყველაფერზე მეტად ფასობდა.

კაპიტანი გაჩუმდა. გლასის გამოპასუხებას ელოდა. მან შაშხანას თვალი მოაცილა, და ზემოთ აიხედა, სულ ერთი წამით, რადგან, სწორედ, ამ დროს წყვილ სასხლეტს დამცავი მოხსნა და, სანამ ჰენრის შეხედავდა, ორივე ხრახნი ხელისგულზე ფრთხილად დაიდო, რომ სიბნელეში არ დავარდნოდა.

გამოხედვა საკმარისი აღმოჩნდა. ჰენრიმ განაგრძო:

– დრუილარდის შესახებ თუ მითქვამს შენთვის რაიმე?

– არა, კაპიტანო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– იცი, ვინ იყო?

– ჟორჟ დრუილარდი, დისკავერის კორპუსიდან?

ჰენრიმ თავი დაუქნია.

ჰო, ის ლუისთან და კლარკთან ერთად დადიოდა. რაზმში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მზვერავი, მონადირე. 1809 წელს მოვიდა ჯგუფში, რომელსაც მე ვუძღვებოდი, – სინამდვილეში ის უძღვებოდა. ჩვენ ასი კაცი გვყავდა, მაგრამ „სამ განშტოებასთან" მხოლოდ დრუილარდი და კოლტერი იყვნენ ნამყოფი. იქ უამრავი თახვი იყო, იმდენი კოღო და ქინქლაც არ იქნებოდა. მახის დაგებაც კი არ გჭირდებოდა. ჯოხითაც ადვილად დახოცავდი. მაგრამ შავფეხიანებმა გაგვიჭირვეს საქმე. ორი კვირაც არ იყო გასული, რომ ხუთი კაცი მოგვიკლეს. უკვე ბანაკის გამაგრება გახდა საჭირო, მახის დამგებ ჯგუფებს ველარ ვაგზავნიდით. ერთი კვირის შემდეგ დრუილარდმა გვითხრა, ასე უქმად ჯდომისაგან დავიღალეო. მეორე დღეს წავიდა და ერთ კვირაში ოციოდე ტყავით დაბრუნდა.

გლასი სმენად იყო ქცეული. სენტ-ლუისში დრუილარდის ამბის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობდა, მაგრამ თვითმხილველის მონათხრობს ის პირველად ისმენდა.

მეორედაც ასე მოხდა. ის წავიდა და ერთი ტომარა ტყავი მოიტანა. როცა კიდევ დააპირა წასვლა, თქვა, მესამე ცდა ბედნიერი იქნებაო. წავიდა და ნახევარი საათის შემდეგ ორი სროლის ხმა გავიგონეთ: მისი შაშხანიდან და მისივე პისტოლეტიდან. მეორე გასროლით ეტყობა საკუთარი ცხენი მოკლა, რომ მის უკან გაწოლილიყო და ბარიერად გამოეყენებინა. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვნახეთ – ცხენის უკან. მათ შორის ოცი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისარი იყო. შავფეხიანებმა ასეთი ნიშანი დაგვიტოვეს, რომ ჩვენ მივმხვდარიყავით. დრუილარდს თავი ჰქონდა მოჭრილი.

კაპიტანმა ისევ პაუზა გააკეთა. ჯოხს მისჩერებოდა, რომელსაც თავის წინ ტალახში ურევდა.

– ვერაფრით დავივიწყე ის სცენა, – დასძინა მან.

გლასი მოემზადა რაიმე დამამშვიდებელი ეთქვა, მაგრამ კაპიტანმა დაასწრო:

– შენ როგორ ფიქრობ, ეს მდინარე დასავლეთისკენ კიდევ შორს მიედინება?

გლასი დაძაბული იყურებოდა სიბნელეში, ცდილობდა ჰენრის მზერა დაეჭირა.

– უფრო სწრაფად ვივლით, კაპიტანო. ჯერ შეგვიძლია გრანდს გავუყვეთ. ყველამ იცის, რომ იელოუსტოუნი ჩრდილო-დასავლეთითაა.

სინამდვილეში, გლასს კაპიტანში დიდი ხანია ეჭვი ეპარებოდა. უბედობა მას მშიერი ძაღლივით მუდამ თან სდევდა.

– შენ მართალი ხარ, – თქვა კაპიტანმა და შემდეგ, თითქოს საკუთარი თავის დარწმუნება სურსო ისევ გაიმეორა – შენ, რა თქმა უნდა, მართალი ხარ.

თუმცა ბევრი უბედურება გამოიარა, სანამ ამ გამოცდილებას შეიძენდა, კაპიტან ჰენრის კლდოვანი მთები ნებისმიერ მოკვდავზე უკეთ ჰქონდა შესწავლილი. გლასს კი, მართალია დაბლობში საკმაოდ ბევრი ევლო, მაგრამ ზემო მისურის მიდამოებში ფეხი არასოდეს დაედგა. და მაინც, გლასის მტკიცე, თავდაჯერებული ხმით ნათქვამი სიტყვები კაპიტნისთვის ბევრს ნიშნავდა. ადრე მას ვილაცამ უთხრა, რომ ახალგაზრდობაში გლასი მეზღვა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ური ყოფილა. იმასაც ამბობდნენ, რომ მეკობრის – ჟან ლაფიტის – ტყვეობაშიც ჰქონდა გატარებული რამდენიმე წელი. შეიძლება ზღვათა უკიდეგანო სივრცის სიყვარულის გამო იყო, რომ ახლა სენტ-ლუისსა და კლდოვან მთებს შორის თვალმიუწვდენელი დაბლობები ასე იზიდავდა.

– ჩავთვალოთ, რომ გაგვიმართლა, თუ შავფეხიანებმა მთელი ფორტ უნიონი არ გადაგვიკეტეს. ხალხი, რომელიც იქ დავტოვე, დიდი ვერაფერი შვილები იყვნენ. – კაპიტანი განაგრძობდა საუბარს იმ პრობლემებზე, რომლებიც აწუხებდა – ერთი მეორის მიყოლებით, ღამის სიჩუმეში. გლასმა იცოდა, რომ მას მხოლოდ ყურადღებიანი მსმენელი სჭირდებოდა. საკმარისი იყო ხანდახან მისკენ გაეხედა ან თავი დაექნია, მთელი დანარჩენი დრო კი შეეძლო შაშხანისთვის დაეთმო.

შაშხანა ერთადერთი უცხო ნივთი იყო გლასის ცხოვრებაში და ახლა, სასხლეტის მექანიზმს ისე ფაქიზად უსვამდა ზეთს, თითქოს თავის ცოლ-შვილს ეფერებოდა. ანშტადტის შაშხანა – ე. წ. კენტუკის კაჟი ისე, როგორც იმ დროის ყველა კარგი იარაღი, პენსილვანიაში გერმანელი სპეციალისტების დამზადებული იყო. რვაწახნაგიან ლულას ძირში მწარმოებლის სახელი და დამზადების ადგილი ეწერა: „იაკობ ანშტადტი – კუტცტაუნი, პენსილვანია“. კენტუკის ტრადიციული შაშხანებისაგან განსხვავებით, რომელთაც ორმოცდაათ დუიმამდე სიგრძის ლულა ჰქონდათ, გლასის შაშხანის ლულა სულ ოცდათექვსმეტი დუიმი იყო. მას მოკლე შაშხანა უყვარდა, მოკლე ხომ მსუბუქსაც ნიშნავს, მსუბუქის უპირატესობა კი ის არის, რომ მისი ტარება ადვილია. ხანდახან ცხენზეც უწევდა ჯდომა და მოკლე შაშხანით მანევრირება უნაგირიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უფრო მოსახერხებელი იყო. გარდა ამისა, ოსტატურად გაკეთებული ხრახნული ნაჭდევი და სასხლეტი, რომელსაც თითის ოდნავი გამოკვრა სჭირდებოდა, ანშტადტს მომაკვდინებელ სიზუსტეს სძენდა, მიუხედავად იმისა, რომ მოკლე ლულა ჰქონდა. პირთამდე, ორასი გრანი[1] შავი თოფისწამლით, დატენილი 53 კალიბრის ტყვია, ასეთი შაშხანიდან გასროლილი, თითქმის ორას იარდს გადიოდა.

დასავლეთის დაბლობებში ხეტიალისას შეძენილმა გამოცდილებამ გლასი დაარწმუნა, რომ კარგ შაშხანას შეიძლებოდა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გადაეწყვიტა. და, რა თქმა უნდა, მონადირეების უმრავლესობას საიმედო იარაღი ჰქონდა. მაგრამ მის შაშხანას სხვებისგან მაინც გამოარჩევდა ანშტადტისთვის დამახასიათებელი ნატიფი სილამაზე.

ეს სილამაზე შეუმჩნეველი არ რჩებოდა და მონადირეები ხშირად თხოვდნენ შენი შაშხანა ხელში დაგვაჭერინეო. რკინასავით მაგარი კაკლის კონდახს, ყელთან დახვეწილი ნაღუნი ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ სქელი გახლდათ საიმისოდ, რომ გასროლის უკუცემა რბილი ყოფილიყო. კონდახი, (ერთ მხარეს გამოსაწევი პანელი, მეორე მხარეს – ჩუქურთმიანი ფირფიტა) ფაქიზად იყო გამოკვეთილი მხრის ფორმით, რის გამოც სხეულის გაგრძელებად აღიქმებოდა. მუქი ყავისფერი, თითქმის შავი ფერის შიგნით ხის ფაქტურა მკრთალად ჩანდა, მაგრამ თუ დააკვირდებოდით იმ ადგილას, სადაც ლაქი

---

[1] ძველებური სააფთიაქო წონის ერთეული. უდრის 0.062 გრამს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხშირი შეხებისგან გაცრეცილი იყო, გეგონებოდა უსწორ-მასწორო ხაზები იკლაკნებაო.

დაბოლოს, შაშხანის ლითონის ნაწილები, რომელიც ჩვეულებრივ სპილენძისგან მზადდება, ვერცხლის გახლ-დათ: კონდახის გარსაკრავი, გამოსაწევი პანელი, დამცავი ფერსო სასხლეტი კაუჭის გარშემო და თვითონ კაუჭები, და არავითარი უსარგებლო მოქლონები კონდახზე მხოლოდ უბრალო მორთულობის დანიშნულებით, როგორც ამას ზოგიერთი ტრაპერი აკეთებდა. გლასს არ ესმოდა რა-ტომ მოსწონდათ ეს სხვებს და არასოდეს უფიქრია თავისი იარაღი რაღაც ჭრელაჭრულა დეკორაციებით დაემახინჯებინა.

თავისი ნამუშევრით კმაყოფილმა გლასმა სასხლეტი კაუჭის დამცავი ფირფიტა თავის ადგილას დააბრუნა და ორი ახალი ხრახნით დაამაგრა. შემდეგ კაჟის ქვემოთ, საკეტში ახალი თოფისწამალი ჩაყარა – იარაღი უკვე მზად იყო გასასროლად.

უცებ შენიშნა, რომ გარშემო სიჩუმე გამეფებულიყო. ცოტა არ იყოს გაუკვირდა, ნეტავ კაპიტანმა ლაპარაკი როდის შეწყვიტაო. ბანაკის ცენტრისკენ გაიხედა. კა-პიტანს მიწაზე გაშხლართულს ეძინა. მისი სხეული დროდადრო ნერვიულად იკრუნჩხებოდა. გლასის მეორე მხარეს, ბანაკის პერიმეტრთან ახლოს, მდინარისგან გამორიყულ ჯირკზე ზურგით მიყრდნობილ ანდერსონს ეძინა. ტალღების დამამშვიდებელი ტლაშუნის გარდა არაფერი ისმოდა.

მოულოდნელმა გასროლამ ღამის სიჩუმე გაჰკვეთა. კაჟიანმა თოფმა დაიქუხა დინების ქვემო ნაწილთან სადაც ჭაბუკი ჯიმ ბრიჯერი იდგა სადარაჯოზე. შელვიძებული ტრაპერები დაფეთებული წამოხტნენ, დაფაცურდნენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძილისგან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულნი. ზოგი იარაღს ეძებდა, ზოგი – თავშესაფარს. მდინარიდან ბანაკს შავი ფიგურა უახლოვდებოდა. ანდერსონმა, რომელიც გლასის გვერდით იდგა, შაშხანა ერთი მკვეთრი მოძრაობით მხართან მიიტანა. გლასმა თავისი ანშტადტი ასწია. ფიგურამ, რომელიც სწრაფად მოიწევდა წინ ფორმა შეიძინა. ბანაკიდან უკვე სულ რაღაც ორმოც იარდში იმყოფებოდა. ანდერსონმა დაუმიზნა და, სანამ სასხლეტს ხელს გამოკრავდა, წამით შეყოყმანდა და, სწორედ ამ დროს, გლასმა მას იდაყვში შაშხანა ამოჰკრა. ტყვიამ სადღაც ცისკენ გაიწუილა.

გასროლის ხმაზე სწრაფად მოძრავი ფიგურა შეჩერდა, უკვე იმდენად ახლოს, რომ მათ ბრიჯერის ფართოდ გახელილი თვალები და მისი მკერდი დაინახეს, სწრაფად რომ აუდ-ჩაუდიოდა.

– მე... მე... მე – შიშისგან ენადაბმული ბრიჯერი ლაპარაკს ვერ ახერხებდა.

– რა მოხდა, ბრიჯერ, – დაუყვირა კაპიტანმა. სადღაც ბიჭის ზურგს უკან, სიბნელეში, დინების ქვედა ნაწილისკენ იყურებოდა. მდინარის ნაპირისგან ზურგშექცეულ ტრაპერებს უკვე დამცავი ნახევარწრე ჰქონდათ გაკეთებული. უმეტესობას ხელი სასხლეტზე ედო და ცალ მუხლზე იყო ჩაცუცქული, რათა მიზანში კარგად ამოეღო.

– დამნაშავე ვარ, კაპიტანო. არ უნდა გამესროლა. ხმა მომესმა, ბუჩქებში რაღაცამ გაიშრიალა და, როცა წამოვდექი, ეტყობა ხელი სასხლეტზე გამომედო და თავისით გავარდა.

– ალბათ, უფრო ჩაგეძინა. – მუხლზე მდგარმა ფიტცჯერალდმა სასხლეტი საწყის მდგომარეობაში დააბრუნა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ფეხზე წამოდგა. – ახლა გარშემო ხუთ მილში ყველამ იცის სად გვეძებოს.

ბრიჯერი შეეცადა რაღაც ეთქვა, მაგრამ სირცხვილისა და სინანულისაგან სიტყვები ყელში გაეჩხირა. პირდაღებული იდგა და ძრწოლით უყურებდა გარშემო შემოჯარულ ტრაპერებს.

გლასმა ნაბიჯი გადადგა და მას უხრახნო, ლულიანი შაშხანა ხელიდან გამოართვა. მუსკეტის ჩახმახი ფეხზე შეაყენა სასხლეტს დააწვა და ცერა თითით კაჟი დაიჭირა, სანამ ის კვესს მოხვდებოდა. შემდეგ ტრიუკი ისევ გაიმეორა და ჰენრის მიუბრუნდა:

– ეს ხომ იარაღი არ არის, კაპიტანო. მიეცით მას ნამდვილი შაშხანა და საგუშაგოზე ნაკლები პრობლემები გვექნება.

ზოგიერთმა ტრაპერმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. კაპიტანმა მზერა გლასიდან ბრიჯერზე გადაიტანა და თქვა:

– ანდერსონ, ფიტცჯერალდ, თქვენი რიგია.

ისინი დაემორჩილნენ და თავისი პოზიციები დაიკავეს: ერთმა მდინარის დინების ქვედა ნაწილში, მეორემ – ზევით.

თუმცა გუშაგების დაყენება აღარც იყო საჭირო. იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, რომელიც გათენებამდე იყო დარჩენილი, არც ერთ მათგანს თვალი არ მოუხუჭავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 3

24 აგვისტო, 1823

ჰიუ გლასმა რბილ მიწას დახედა, რომელზეც ღრმა ანაბეჭდები ისე მკვეთრად ჩანდა, როგორც ნაწერი თეთრ ქაღალდზე. კვლები ორი ბილიკით მდინარისგან, სადაც ირემმა ეტყობა წყალი დალია, ტირიფნარისკენ მიემართებოდა. თახვებმა აქ ოდესღაც იმდენი ღრღნეს, რომ გაჩნდა კვალი, რომლითაც ახლა მხეცები დადიოდნენ წყლის დასალევად და ახლომახლო ექსკრემენტებს ტოვებ-დნენ. გლასი დაიხარა და ბარდის ზომის, ჯერ კიდევ, თბილ ფეკალიას შეეხო.

დასავლეთისკენ გაიხედა, სადაც მზე მაღლა იდგა, იმ ზეგანს ზემოთ, რომელიც ჰორიზონტს ზღუდავდა. მისი ვარაუდით მზის ჩასვლამდე სამი საათი იქნებოდა დარჩენილი. ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ კაპიტანს და მის რაზმს ერთი საათი მაინც დასჭირდებოდათ აქამდე მოსაღწევად. ბანაკისთვის მართლაც იდეალური ადგილი იქნებოდა: გრძელი, ქვიანი ნაპირის გასწვრივ მდინარე ოდნავ უხვევდა. ტირიფებს მიღმა ალვის ხეები ბანაკს უცხო თვალისგან დაიფარავდა და მის ტოტებსაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოიყენებდნენ ცეცხლის დასანთებად. ტირიფებისგან ცხაურებს გააკეთებდნენ ხორცის შესაბოლავად. გლასმა ტირიფებს შორის გაფანტული ქლიავის ხეები შენიშნა. ილბალი ჰქონიათ. ქლიავით და ხორცის ნაწილით პემიკანს[1] მოამზადებდნენ. მან მდინარეს მზერა მოავლო და შავი ჰარისი სად არისო, გაიფიქრა.

მას შემდეგ, რაც რაზმმა მისურის ნაპირები დატოვა, ტრაპერები გრანდს მიუყვებოდნენ. ორი მათგანი ყოველდღე დანარჩენებს წინ უსწრებდა და მიდამოს ზვერავდა, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ახლომახლო ინდიელები არ იყვნენ, ბანაკისთვის ადგილი მოეძებნათ და საკვები მოეპოვებინათ. რამდენიმე დღეში ერთხელ დიდ ცხოველს კლავდნენ.

ირმის ან ზაქის მოკვლის შემდეგ მზვერავები ბანაკს საღამოსთვის ამზადებდნენ. ნანადირევს სისხლს გაადენდნენ, შეშას შეაგროვებდნენ და სწორკუთხა, ვიწრო ორმოებში ორ-სამ პატარა კოცონს ანთებდნენ. რაც უფრო პატარა იქნებოდა კოცონი, კვამლიც მით უფრო ნაკლები ექნებოდა. გარდა ამისა მეტი ადგილი რჩებოდა ხორცის შესაბოლავად და თანაც უკეთესადაც გათბებოდი. იმ შემთხვევაში კი, თუ ღამით მათ მტერი დაინახავდა, თავდასხმას მოერიდებოდნენ, რადგან რამდენიმე კოცონი ილუზიას ქმნიდა, რომ იქ დიდი რაზმი იყო დაბანაკებული.

მას შემდეგ, რაც კოცონი აბრიალდებოდა, მზვერავები ნანადირევს დააქუცმაცებდნენ, საუკეთესო ნაჭრებს იქვე საჭმელად გადადებდნენ, დანარჩენს წვრილ ზოლებად

---

[1] გამხმარი და ბრიკეტებად დაწნეხილი ხორცი. (თავდაპირველად ინდიელები აკეთებდნენ).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაჭრიდნენ, დაამარილებდნენ და ცეცხლზე კიდებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ისეთი ხორცი არ იქნებოდა, რომელსაც თავიანთ მუდმივ ბანაკში აკეთებდნენ და თვეობით ინახებოდა. თუმცა ასე ნაჩქარევად მომზადებული მარაგიც რამდენიმე დღე – მომავალ ნადირობამდე – ყოფნიდათ.

გლასი ტირიფნარიდან ველზე გამოვიდა. თვალებით ირემს ეძებდა. იცოდა, რომ შორს არ იქნებოდა წასული.

ბელებს უფრო ადრე გადააწყდა, ვიდრე დედა დათვს შეამჩნევდა. ორნი იყვნენ, გაზაფხულის ნაყარი, ხუთი თვის, თითოეული ასი ფუტი იქნებოდა. მისკენ წაბაჯ-ბაჯდნენ, ერთმანეთს კბენდნენ და წკმუტუნებდნენ ანცი ლეკვებივით. სასაცილოდ გაგორდნენ მისკენ და გლასმა, რომელიც მოულოდნელობისგან ადგილზე გაირინდა, ვერ მოიფიქრა მდელოს შორეული ბოლოსკენ გაეხედა, ვერ მოისაზრა მათი გამოჩენა რის მომასწავებელი შეიძ-ლებოდა ყოფილიყო.

და უცებ, ერთბაშად მიხვდა. მუხლებში სისუსტე უფ-რო ადრე იგრძნო, სანამ მდელოს კიდიდან მძვინვარე ბრდღვინვა გაიგონა. ბელები მისგან ხუთ მეტრში გაი-ნაბნენ, მაგრამ გლასს ახლა მათთვის არ ცხელოდა – თვალები მდელოს მიღმა ბუჩქებზე ჰქონდა გაშტერებული.

მხოლოდ ხმის გაგონებაც საკმარისი იყო იმის მისახვედრად, რომ დათვი უზარმაზარი იქნებოდა. ბუჩ-ქებს ისე ადვილად მოარღვევდა, თითქოს ბალახში მი-სეირნობსო. და თვითონ ბრდღვინვა, ხის დაცემასავით თუ მეხივით მრგვინავი ხმა, შეიძლებოდა მხოლოდ ვეე-ბერთელა მასიდან წამოსულიყო.

კიდევ უფრო ხმამაღალი ბრდღვინვა გაისმა. დათვი მდელოზე გამოვიდა. მისი შავი თვალები გლასს მიაშ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტერდნენ. თავი დახარა და უცხო სუნი შეიყნოსა, რომელიც ახლა მისი ბელების სუნში იყო არეული. უკვე ახლოს იყო მისი ძლიერი სხეული, ზამბარასავით დაჭიმული, ნახტომისთვის გამზადებული და დაკუნთული, მსხვილი წინა ფეხები, მძლავრ მხრებში რომ გადადიოდა და პირველ რიგში ვერცხლისფერი კუზი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ის გრიზლის ჯიშის იყო.

გლასი ცდილობდა თავი ხელში აეყვანა. მისი გონება გამალებით ეძებდა გამოსავალს. ინსტიქტი კარნახობდა უკან გაქცეულიყო, ტირიფნარი გადაერბინა და მდინარემდე მიეღწია. თუ ღრმად ჩაყვინთავდა, დინება უხიფათო ადგილას გაიყვანდა. მაგრამ დათვი უკვე მეტისმეტად ახლოს იყო. მათ შორის მანძილი ასი ფუტიც აღარ იქნებოდა. ხეზე რომ ამძვრალიყო და მხეცი ზემოდან დაეცხრილა? გაფაციცებით მიიხედ მოიხედა. არა, ხეები მხოლოდ დათვის უკან იყო, ტირიფები კი ვერ უშველიდა. სხვა გამოსავალი არ ჩანდა – ადგილიდან უნდა ესროლა. გრიზლი ანშტადტის 53 კალიბრიანი ტყვიით უნდა შეეჩერებინა.

ცხოველი წინ გამოვარდა, გამძვინვარებული ღრიალებდა, ზიზღს აფრქვევდა უცხოს მიმართ, რომელმაც გაბედა და მის ნაშიერს მიუახლოვდა. ინსტიქტმა გლასი კინალამ აიძულა შებრუნებულიყო და გაქცეულიყო, მაგრამ აშკარა იყო, რომ ვერ გაასწრებდა. დათვი სწრაფად მორბოდა და მანძილი მათ შორის სულ უფრო მცირდებოდა. მან შაშხანა ასწია, ჩახმახი შეაყენა და დაუმიზნა. უნებურად გააკვირვა ამხელა მასის ასეთმა მოქნილმა მოძრაობამ. ახლა ინსტინქტი კარნახობდა დაუყოვნებლივ ესროლა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ იცოდა, რომ გრიზლს ხანდახან ხუთი-ექვსი ტყვიაც კი ვერ კლავდა, მას კი მხოლოდ ერთი ჰქონდა.

დათვი ნახტომებით მორბოდა. თავში ვერ დაუმიზნებდა. როცა მას ათიოდ ნაბიჯზე მიუახლოვდა, უკანა თათებზე დადგა და გლასის ზემოთ, სამი ფუტის სიმაღლეზე ტორი შემართა – მტრის დასაგლეჯად მზად იყო. გლასმა პირდაპირ გულში დაუმიზნა და სასხლეტს გამოჰკრა.

კაუმა ნაპერწკალი გააჩინა, თოფისწამალმა იფეთქა, ჰაერში კვამლის მწარე სუნი დატრიალდა. ცხოველმა დაიღრიალა, როცა ტყვია მკერდში მოხვდა, მაგრამ ამას მისი შეტევა არ შეუნელებია. გლასმა შაშხანა, რომელიც ახლა აღარაფერში არგოდა, ძირს დააგდო და წელზე ჩამოკიდებული ქარქაშიდან დანა ამოიღო. დათვის ტორი ძირს დაეშვა და მრისხანე, ექვსდუიმიანი ბრჭყალები გლასის მკლავში, მხარში და ყელში შეიჭრა. ის ზურგზე დავარდა, დანა ხელიდან გაუცურდა. სასოწარკვეთილი მიწაზე ფეხებს აფართხალებდა, ცდილობდა ტირიფნარისკენ გახოხებულიყო.

ოთხ ფეხზე მდგარი გრიზლი თავზე წამოსდგომოდა. გლასი მოიკუნტა, შეეცადა სახე და მკერდი დაეცვა. დათვმა უკან, კისერში ჩაავლო კბილები, მიწიდან ასწია და ისე მაგრად შეანჯღრია, რომ კინაღამ ხერხემალში გადატეხა. ბეჭმა გაიხრჭიალა, ზურგსა და კეფაში ბრჭყალებმა შეაღწია. გლასმა ტკივილისგან დაიღრიალა. დათვმა იგი ძირს დააგდო და კბილები ბარძაყში ჩაასო, შეანჯღრია, ისევ ჰაერში ასწია და ისე ძლიერად დაანარცხა მიწაზე, რომ განძრევა ვეღარ შეძლო. იწვა, გონება არ დაეკარგა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო. ქვემოდან უყურებდა დათვს, რომელიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკანა ფეხებზე მდგარი მის თავზე წამომართულიყო. შიშმა და ტკივილმა გაუარა და მისი ადგილი მძლავრი ცხოველის მიმართ ძრწოლანარევმა აღტაცებამ დაიკავა. დათვმა კიდევ ერთხელ, უკანასკნელად დაიღრიალა და ეს ხმა გლასს თითქოს შორეულ ექოდ ჩაესმა. გრძნობდა ვეებერთელა წონა როგორ დააწვა. ცხოველის ტყავის ნოტიო სუნმა ყველა სხვა მისი გრძნობა გადაკეტა. ნეტავ რა იყო? გონებაში მიმოჩხრიკა, მეხსიერებაში რატომღაც ყვითელი ძაღლი ამოუტივტივდა, რომელიც ბიჭს სახეს ულოკავდა ხის პარმაღზე.

მის ზემოთ მზით განათებული ცა ჩაბნელდა.

შავმა ჰარისმა გასროლა მდინარის საქცევთან გაიგონა და იმედი გაუჩნდა, რომ გლასმა ირემი მოინადირა. სწრაფი, უხმო ნაბიჯებით წავიდა წინ, გასროლის ხმა ხომ მრავალი რამის მომასწავებელი შეიძლებოდა ყოფილიყო. დათვის ღრიალის გაგონებისას სირბილზე გადავიდა და ამ დროს გლასის ყვირილი მოესმა.

ტირიფნართან ჰარისმა ორი ნაკვალევი დაინახა – დათვის და გლასის. თახვების გადაღრღნილ ბილიკზე დაიხარა და მიაყურადა, მაგრამ მხოლოდ მდინარის თქარუნი მოესმა შორიდან. ბარძაყთან შაშხანას ჩაავლო ხელი, ცერა თითი ჩახმახთან მიიტანა, საჩვენებელი – სასხლეტთან. ქამარზე დაიხედა, პისტოლეტის მზადყოფნა შეამოწმა. შემდეგ მოკასინებით ბილიკს ფრთხილი ნაბიჯებით გაუყვა და ტირიფნარში შევიდა. ბელების ღრიალმა სიჩუმე გაჰკვეთა.

მდელოს კიდეში შავი ჰარისი გაირინდა და შეეცადა მის წინ გადაშლილ სცენის შინაარსს ჩაწვდომოდა. უზარ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაზარი დათვი გრიზლი მუცლით მიწაზე გაშოტილი იწვა. თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ მკვდარი იყო. ერთი ბელი უკანა თათებზე წამომართულიყო და ცხვირით ულიტინებდა, ამაოდ ეძებდა მასში სიცოცხლის ნიშანწყალს. მეორე ბელი რაღაცას ღრღნიდა. ჰარისმა უცებ გააცნობიერა, რომ ეს ადამიანის ხელი იყო.

გლას!

შაშხანა ასწია და ახლოში მყოფ ბელს ესროლა. ის მოწყვეტით დავარდა ძირს. მეორე ბელი თავპირისმტვრევით გაიქცა და მალე გაუჩინარდა. ჰარისმა, სანამ ნაბიჯს გადადგამდა, იარაღი ხელახლა დატენა.

კაპიტანი ჰენრი და რაზმის წევრები, როცა მეორე გასროლა გაიგონეს, დინების ზედა მხარეს გაიქცნენ. პირველი გასროლა არ გაკვირვებიათ: წინა დღით გლასი ჰარისს ეუბნებოდა, რომ უკვე ხორცის მარაგი ეწურებოდათ და ნადირის მოკვლა იყო საჭირო. ერთმანეთის მიყოლებით ორი გასროლაც ცუდს არაფერს ნიშნავდა. ორი კაცი ნადირობდა, შეიძლება ბევრ ცხოველს გადააწყდნენ და პირველ ჯერზე ააცდინეს. მაგრამ ამ ორ გასროლას ერთმანეთისაგან რამდენიმე წუთი აშორებდა. კაპიტანს იმედი ჰქონდა, რომ მონადირეები ცალ-ცალკე ნადირობდნენ, ან შეიძლება პირველს უნდოდა ნადავლი მეორისკენ მიერეკა. ან იქნებ გაუმართლათ და ბიზონებს გადააწყდნენ. ისინი ზოგჯერ სროლის შემდეგ არ გარბოდნენ და მონადირე შაშხანის ხელახლა დატენვას და მეორე ბიზონის მოკვლას ასწრებდა.

– ერთმანეთთან ახლოს იყავით, ბიჭებო, და იარაღი შეამოწმეთ, – გასცა ბრძანება კაპიტანმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლო ასი ნაბიჯის მანძილზე ბრიჯერმა უკვე მესამეჯერ შეამოწმა ახალი შაშხანა, რომელიც მას უილ ანდერსონმა მისცა. – ჩემს ძმას ეს უკვე აღარ სჭირდება – სულ ეს იყო რაც მან უთხრა.

შავმა ჰარისმა დათვის სხეულს დახედა. მის ქვეშიდან მხოლოდ გლასის მკლავი მოჩანდა. ჰარისმა მიმოიხედა, იარაღი მიწაზე დადო, ცხოველს წინა თათში ჩაავლო ხელი და შეეცადა მისი ვეებერთელა სხეული გადაეთრია. თანდათან გლასის თავი გამოჩნდა – სისხლის და ხორცის გასისხლიანებული გუნდა. შეძრწუნებულმა გრიზლის გადათრევა განაგრძო, თუმცა უკვე იმედი აღარ ჰქონდა, რომ გლასს რაიმეს უშველიდა.

დათვს მეორე მხრიდან მოუარა, მასზე აძვრა, წინა თათში ჩაავლო ხელი და თავისკენ გაქაჩა. მუხლი ცხოველის სხეულზე მაგრად ჰქონდა მიჭერილი, რომ ბერკეტად გამოეყენებინა. ერთი ცდა, მეორე და ბოლოს მოახერხა დათვის ზედა ნახევარი გადაეგორებინა. ის ახლა მუცლით ქვემოთ და მკერდით ზემოთ იწვა. ქვედა ნაწილის გადატრიალება რჩებოდა. მან უკანა თათი რამდენჯერმე გამოქაჩა და ბოლოს და ბოლოს ცხოველი მძიმედ გადაგორდა ზურგზე. დათვს მკერდზე შავი ლაქა ეცხო – ჭრილობიდან გამოსული მიმხმარი სისხლი.

შავი ჰარისი ამხანაგის სხეულზე დაიხარა. არ იცოდა რა გაეკეთებინა, თუმცა დაჭრილის მოვლის გამოცდილება არ აკლდა. სამი კაცის სხეულიდან ჰქონდა ისრები და ტყვიები ამოღებული და თვითონაც ორჯერ იყო დაჭრილი. მაგრამ ასე დასახიჩრებული ადამიანი არასოდეს ენახა. გლასის სხეული თავიდან ფეხებამდე დაგლეჯილი იყო. თხემიდან გადამძვრალი თავის კანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ მხარეს ეკიდა. სახის ნაკვთებს თითქმის ვეღარ გაარჩევდი, მაგრამ ყველაზე უარეს მდგომარეობაში მაინც ყელი ჰქონდა. დათვის ტორისგან მიყენებული სამი ღრმა ჭრილობა მხარიდან იწყებოდა და მთელ კისერს ჰკვეთდა. კიდევ ერთი დუიმი და ყელის ვენაც გადაიჭრებოდა. შეძრწუნებულმა ჰარისმა დაინახა, რომ ჭრილობიდან მომდინარე სისხლისგან ბუშტი გამოიბერა – პირველი ნიშანი, იმისა რომ გლასი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ჰარისმა ამხანაგი გადააბრუნა და მისი ზურგი დაათვალიერა. ბამბის ხალათიდან აღარაფერი დარჩენილიყო. კისერსა და მხარზე ღია ჭრილობებიდან სისხლი მოწვეთავდა. მარჯვენა ხელი არაბუნებრივად ეკიდა. შარვალი უკანა ბარძაყთან სისხლით იყო გაჟღენთილი. ზურგი შუიდან წელამდე დატორილი ჰქონდა. ღრმა პარალელურმა ღარებმა ჰარისს ხის ღეროებზე ღარები მოაგონა, რომელსაც დათვები თავიანთი ტერიტორიის მოსანიშნად აკეთებდნენ, მაგრამ იქ ღარები ხეში იყო ამოკვეთილი, აქ კი – სხეულში.

ჰარისმა არც კი იცოდა რით დაეწყო და ლამის იყო გაუხარდა, როცა ნახა, რომ ყელის ჭრილობა აშკარად სასიკვდილო ჩანდა. მან გლასი ჩრდილში გადაათრია და ზურგით ბალახებზე დააწვინა. ყელთან სისხლის ქაფი არაფრად ჩააგდო და მთელი ყურადღება თავზე გადაიტანა. სკალპი მაინც არ ჰქონოდა გადამძვრალი. გლასის ღირსებისთვის მეტისმეტად შეუფერებელი ჩანდა. მათარის წყლით ჰარისი შეეცადა ტალახი ჩამოერეცხა და თავის ადგილას დაებრუნებინა კანის ნაფლეთები, რომელიც თავის ქალიდან თითქმის აგლეჯილი ჰქონდა და მისი დამაგრება იმას ჰგავდა მელოტისთვის შლაპა დაგეხურა. ჰარისმა კანი ძვალზე გადაჭიმა, შუბლზე გადაასწორა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყურის ქვეშ ამოუკეცა. დაკერება შემდეგაც შეიძლებოდა, თუკი გლასი გადარჩებოდა.

ბუჩქების შარიშური გაისმა და ჰარისმა პისტოლეტი ამოიღო. მდელოზე კაპიტანმა ჰენრიმ შემოაბიჯა. მის უკან დანარჩენი ტრაპერები გამოჩნდნენ. მათი პირქუში მზერა გლასიდან დათვზე, ჰარისიდან მოკლულ ბელზე გადადიოდა.

კაპიტანმა მდელოს თვალი მოავლო, თითქოს წინ გადაშლილ სცენას თავისი წარსული ცხოვრების გამოცდილებას ადარებსო და თავი გადააქნია. ჩვეულებრივ, მკვეთრი მზერა ახლა გაფანტული ჰქონდა.

– მკვდარია?

– ჯერ არა, მაგრამ მთლად დაგლეჯილია. სასულე აქვს გადაჭრილი.

– დათვი მან მოკლა?

ჰარისმა თავი დაუქნია.

– ზემოდან აწვა გლასს. ტყვია გულში აქვს მოხვედრილი.

– ეტყობა სროლა დააგვიანა, – ეს ფიცტჯერალდმა თქვა.

კაპიტანი გლასის გვერდით ჩაიმუხლა. ჭუჭყიანი ხელებით ჭრილობა მოსინჯა მის ყელზე, სადაც ყოველ ამოსუნთქვასთან ერთად სისხლის ქაფი ჩნდებოდა. სუნთქვა სულ უფრო უძნელდებოდა და მკერდში ხიხინი მატულობდა.

– ვინმემ სუფთა ნაჭერი და ცოტაოდენი წყალი მოიტანოს. და კიდევ ვისკი, იმ შემთხვევისთვის, თუ ის გონს მოვა.

ბრიჯერმა პატარა ზურგჩანთაში ხელები მოაფათურა, შალის ხალათი ამოიღო და კაპიტანს გაუწოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– აი, გამომართვით.

კაპიტანი შეყოვნდა. ვერ გადაეწყვიტა ბიჭისთვის მთელი ხალათის გამორთმევა, მაგრამ დრო აღარ ითმენდა. უხეშ ქსოვილს ხელი სტაცა და გრძივად დახია, შემდეგ გლასს ყელზე მათარიდან წყალი დაასხა. სისხლი ჩაირეცხა, მაგრამ მის ადგილას ახალი წამოვიდა. გლასმა ჩაახველა, ქუთუთოები აუთრთოლდა და დამფრთხალი თვალები ფართოდ გაახილა.

გლასის პირველი შეგრძნება ის იყო, რომ იხრჩობოდა. ისევ ხველა აუტყდა და მისი ორგანიზმი შეეცადა ყელი და ფილტვები სისხლისგან გაეთავისუფლებინა. კაპიტანმა ის გვერდზე გადააბრუნა. დაჭრილმა ორჯერ შეძლო ამოსუნთქვა და შემდეგ გული აერია. ყელში საშინელი ტკივილი იგრძნო. შეეცადა თავის ყელს შეხებოდა. მარჯვენა ხელი არ დაემორჩილა, მაგრამ მარცხენამ შეძლო ღია ჭრილობა მოესინჯა. იმისგან შეძრწუნებულს, რაც მისმა თითებმა აღმოაჩინეს, თვალები გაუფართოვდა. გარშემომყოფთ შეხედა, თითქოს ელოდა, რომ მათ სახეებზე რაღაც საიმედოს ამოიკითხავდა, მაგრამ მხოლოდ თავისი შიშის დადასტურება დაინახა.

გლასი შეეცადა დაელაპარაკა, მაგრამ ყელიდან რაღაც საშინელი, ღმუილისმაგვარი ხმა ამოუვიდა. შეეცადა იდაყვს დაყრდნობოდა, მაგრამ ჰენრი ხელით დააწვა, მიწაზე დააბრუნა და ყელზე ვისკი დაასხა. მწველმა ტკივილმა ყველა სხვა ტკივილი გადაფარა. გლასი მთელი ტანით მოიკრუნჩხა და ისევ გონება დაკარგა.

– ჭრილობები უნდა შევუხვიოთ, სანამ გრძნობაზე მოსულა. კიდევ მომეცი ნაჭრები, ბრიჯერ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიჭმა ხალათის დახევა დაიწყო. დანარჩენები უყურებდნენ, ისე ცერემონიულად იდგნენ, როგორც ჭირისუფლები დაკრძალვაზე.

კაპიტანმა ამოიხედა. – დანარჩენებიც გაინძერით. ჰარის, შენ დაზვერვაზე წადი. ბანაკის გარშემო მიდამოები დაათვალიერე. ნახე, სროლამ ვინმეს ყურადღება ხომ არ მიიქცია. ვიღაცამ ცეცხლი დაანთოს. რაც შეიძლება მშრალი შეშით. კვამლით სიგნალის მიცემა ნამდვილად არ გვჭირდება. და კიდევ, ეს დათვი გაატყავეთ და დაანაწევრეთ.

ტრაპერები დაიშალნენ და კაპიტანი ისევ გლასისკენ მიბრუნდა. ბრიჯერს ნაჭერი გამოართვა, მისი ბოლო დაჭრილს კისერს ქვეშ ამოუდო და შეხვევა დაიწყო. მერე კიდევ ორი ნაჭერი შემოუჭირა მაგრად. ქსოვილი მაშინვე სისხლით გაიჟღინთა. შემდეგი ნაჭრით გლასს თავი შეუხვია, ცდილობდა თითქმის აგლეჯილი სკალპი თავის ადგილას დაებრუნებინა. სისხლი თავზე ჭრილობისგანაც უხვად მოდიოდა და დაჭრილს თვალებში ეღვრებოდა. კაპიტანმა კიდევ ერთი ნაჭერი აიღო, დაასველა და თვალების გარშემო სისხლი მოწმინდა. მერე მათარა ბრიჯერს გადააწოდა და წყლის მოსატანად მდინარეზე გააგზავნა.

როცა ბიჭი დაბრუნდა, გლასი ისევ გვერდზე გადააბრუნეს. ბრიჯერმა დაჭრილს თავი აუწია, კაპიტანმა მისი ზურგი დაათვალიერა და ჭრილობები მობანა. მიუხედავად მათი სიღრმისა, ზურგზე ჭრილობებისგან ცოტა სისხლი მოდიოდა, მაგრამ სამაგიეროდ ხუთი პარალელური ღარი – ნაკვალევი ტორებისა, რომელთაც კანი და კუნთები გაეფატრათ, – მიწით იყო ამოტენილი და სისხლი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოჟონავდა. წყალმა სისხლდენა კიდევ უფრო გააძლიერა, ამიტომ კაპიტანმა ჭრილობების ჩამობანა შეწყვიტა. მან ხალათს ორი გრძელი ნაჭერი მოახია, გლასს ტანზე შემოახვია და მაგრად შემოუჭირა. მაგრამ სისხლდენა მაინც არ შეჩერდა.

– მეტისმეტად ღრმა ჭრილობებია, – თქვა ჩაფიქრებულმა კაპიტანმა. – უნდა გავუკეროთ, თორემ სისხლისგან დაიცლება.

– და ყელი?

– ყელიც უნდა გავკეროთ, თუმცა იქ ისეა ყველაფერი ერთმანეთში აზელილი, რომ არ ვიცი საიდან დავიწყო.

ჰენრიმ ჩანთიდან შავი, უხეში ძაფი და სქელი ნემსი ამოიღო. მისი სქელი თითებისგან გასაკვირი სიმარდით ძაფი ნემსში გაუყარა და ბოლო გამონასკვა. ბრიჯერმა ყველაზე ღრმა ჭრილობის კიდეები თითებით ერთმანეთისკენ მისწია და თვალებგაფართოებული მისჩერებოდა კაპიტანმა დაჭრილს კანში ნემსი როგორ ჩაარჭო, ჭრილობის შუაში ოთხი ნაკერი დაადო და ბოლოები ამოკერა. შემდეგ იგივე პროცედურა მეორე ღარზე ჩაატარა ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, მას არ უცდია ჭრილობა მთლიანად ამოეკერა. მხოლოდ აქა-იქ დადებული ნაკერებით კანი შუა ნაწილისკენ მისწია, რაც სისხლდენის შენელებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

– ახლა კი მის ყელს მივხედოთ.

გლასი ზურგზე გადააბრუნეს. მიუხედავად იმისა, რომ სახვევი მაგრად ჰქონდა შემოჭერილი, ყელზე ჭრილობა ისევ ბუშტებს იკეთებდა. გადახსნილი კანის ქვეშ ქათქათა თეთრი ხრტილები ჩანდა – სასულის და საყლაპავი მილის. ბუშტები მიახვედრებდა, რომ სასულე გაჭრილი იყო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა რა უნდა მოემოქმედა. ხელისგული გლასის პირთან მიიტანა რათა შეემოწმებინა როგორ სუნთქავდა.

– რის გაკეთებას აპირებთ, კაპიტანო?

კაპიტანმა ნემსში ისევ ძაფი გაუყარა და გამონასკვა.

– პირით ჯერ კიდევ სუნთქავს. ჩვენ რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ის არის, რომ ყელი ამოვუკეროთ და იმედი ვიქონიოთ დანარჩენი თავისით შეხორცდება.

დუიმის ინტერვალებით ჰენრიმ გლასს ყელის ჭრილობა ამოუკერა. ბრიჯერმა ამასობაში ჩრდილში, ტირიფების ქვეშ, ადგილი გაწმინდა და გლასს საფენი დაუგო. მან და კაპიტანმა დაჭრილი, რაც შეეძლოთ, ფრთხილად ასწიეს და დააწვინეს.

კაპიტანმა თავისი შაშხანა აიღო, მდელო გადაიარა და ტირიფნარის გავლით მდინარის ნაპირისკენ გაემართა.

უკვე წყალთან მისულმა იარაღი გვერდით გადადო, ტყავის ქურთუკი გაიხადა და სისხლით სქლად გაწებილი ხელები დაიბანა. რამდენიმე ლაქა წყალმა ვერ მოაშორა. დაიხარა, ქვიშა აიღო და ხეხვა დაიწყო, მაგრამ ქვიშაც კი ყოველთვის არ შველოდა. კაპიტანმა ხელი ჩაიქნია და ყინულივით ცივი წყალი პეშვით წვერებიან სახეზე შეისხა. ისევ ძველი ეჭვი დაუბრუნდა. აი, კიდევ ერთიო, გაიფიქრა.

როცა ველურ ბუნებაში გამოუცდელი ახალბედები უბედური შემთხვევისგან იღუპებოდნენ, არ უკვირდა, გამოცდილი მოგზაურების სიკვდილი კი კაპიტანს მოსვენებას არ აძლევდა. დრუილარდის მსგავსად გლასმა შორეულ დასავლეთში მრავალი წელი გაატარა და, სადაც კი ყოფნა უწევდა, გარშემომყოფთათვის ყველგან დიდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმედს წარმოადგენდა. ახლა კი მისი საათები დათვლილი იყო – დილამდე ვერ მიაღწევდა.

კაპიტანს გლასთან წინა ღამის საუბარი გაახსენდა. ნუთუ გუშინ ღამით იყო? 1809 წელს დუილარდის სიკვდილი დასასრულის დასაწყისად იქცა. ჰენრის რაზმმა „სამი განშტოების“ ველზე სამალავი ადგილი მიატოვა და სამხრეთისკენ სწრაფად დაიძრა. იქ მათ შეეძლოთ შავფეხიანების შიში აღარ ჰქონოდათ, მაგრამ მოსულებს თვითონ კლდოვანი მთები არ ინდობდნენ: რაზმს სასტიკი ყინვების გადატანა მოუწია, შემდეგ შიმშილობა, შემდეგ კროუს ტომის ინდიელების თავდასხმების მოგერიება. როცა, ბოლოს და ბოლოს, 1811 წელს რაზმი მთებიდან ჩამოვიდა, ბეწვეულით ვაჭრობის საკითხი კვლავ გაურკვეველი რჩებოდა.

ახლა, ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ, ტრაპერების მეთაური ჰენრი კვლავ ეძებდა კლდოვანი მთების საგანძურს, რომელიც თითქოს ჯიუტად ცდილობდა ხელში არ ჩავარდნოდა. გონებაში თავის უახლოეს წარსულს გადახედა: სენტ-ლუისიდან გამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ მან დაკარგა ნავი, რომელზეც ათი ათასი დოლარის საქონელი იყო. მისი რაზმის ორი წევრი შავფეხიანებმა მოკლეს მისურის დიდ ჩანჩქერებთან ახლოს. შემდეგ არიკარას დასახლებასთან, სადაც ის ვიცე-გუბერნატორ ეშლის დასახმარებლად იყო წასული პოლკოვნიკ ლივენვორტის შერცხვენის მოწმე გახდა და ნახა არიკარელები მისურისკენ გზებს როგორ კეტავდნენ. როცა გრანდს ზემოთ მიუყვებოდნენ მისი რაზმის სამი მონადირე მანდანამ მოკლა, ჩვეულებრივ მშვიდობიანმა ტომმა, რომლებიც მათ შეცდომით დაესხნენ თავს. ახლა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გლასი, მის ბიჭებს შორის საუკეთესო, დათვთან შეტაკების გამო სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. საიდან, რომელი ცოდ-ვებისთვის ასეთი წყევლა?

ბრიჯერმა გლასს საბანი გადააფარა და დათვისკენ შებრუნდა. ოთხი ტრაპერი ცხოველს უკვე ანაწევრებდა. საუკეთესო ნაჭრები: ღვიძლი, გული, ენა, სუკი, ნეკნები საჭმელად გადადეს, დანარჩენ ხორცს კი დაჭრიდნენ და მარილს მოაყრიდნენ.

ბრიჯერი დათვის უზარმაზარ თათთან მივიდა და ქარქაშიდან დანა ამოიღო. ფიტცჯერალდმა, რომელიც ცხოველზე გადახრილი საქმიანობდა, წამიერად ამოხედა. ბრიჯერმა თათიდან ყველაზე დიდი ბრჭყალის მოჭრა დაიწყო. მისმა ზომამ განაცვიფრა. თითქმის ექვსი დუიმის სიგრძის იქნებოდა და მის ცერა თითზე ორჯერ სქელი. სამართებელივით ბასრ ბოლოზე ჯერ კიდევ გლასის სისხლი ეცხო.

– ბრჭყალის დათრევა გინდა, ბიჭო?

– ჩემთვის არა, ფიტცჯერალდ, – ბრიჯერმა ბრჭყალი აიღო, გლასთან მივიდა და მის ჩანთაში ჩადო.

სუფრა იმ ღამით დიდხანს გაუგრძელდათ. ასეთი ცხიმიანი, ნოყიერი ხორცით ორგანიზმს ხშირად ვერ ანებივრებდნენ. იცოდნენ, რომ მრავალი დღე ჩაივლიდა, სანამ ახალი ხორცის ჭამა ისევ მოუწევდათ და ცდი-ლობდნენ კარგად დანაყრებულიყვნენ. კაპიტანმა ჰენრიმ ორი გუშაგი დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ მდელოს ხეები საკმაოდ მჭიდროდ ერტყა გარს, მაინც საშიში იყო ცეცხლი არ შეემჩნიათ.

კაცების უმრავლესობა ცეცხლთან იჯდა და ტირიფის წნელებზე ხორცს წვავდა. კაპიტანი და ბრიჯერი დაჭრილ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თან რიგრიგობით მიდიოდნენ. ორჯერ თვალგახელილი შეისწრეს, მაგრამ არაფრის მთქმელი, უსიცოცხლო მზერა ჰქონდა. მისი თვალები ცეცხლის ალს აირეკლავდნენ ისე, რომ შიგნიდან არ ეპასუხებოდნენ. ერთი ყლუპი წყალი გადაყლაპა მხოლოდ და სხეულში მტკივნეულმა კრუნჩხვამ დაუარა.

ცეცხლს შეშას არ აკლებდნენ, რათა ხორცი კარგად შებრაწულიყო და კვამლით გაჯერებულიყო. გათენების წინ კაპიტანი ჰენრი კიდევ ერთხელ მივიდა გლასთან, რომელიც უგონო მდგომარეობაში დახვდა. სუნთქვა კიდევ უფრო გაძნელებული ჰქონდა. მკერდიდან ხრიალი ამოსდიოდა. თითქოს ყოველ ამოსუნთქვაზე დარჩენილ მთელ ძალას ხარჯავდა.

ჰენრი ცეცხლთან დაბრუნდა, შავი ჰარისი ნეკნს ღრღნიდა. – კაპიტანო, – თქვა მან. – დათვზე გადაწყდომა იშვიათობა არ არის. ყველას შეიძლება შეემთხვეს. გლასს უბრალოდ არ გაუმართლა.

ჰენრიმ თავი გადააქნია მხოლოდ. შემთხვევითობაზე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი. ერთხანს უხმოდ ისხდნენ, სანამ აღმოსავლეთით ჰორიზონტზე განთიადის მომასწავებელი პირველი მკრთალი სინათლე გამოჩნდა. კაპიტანმა ხელში შაშხანა და თოფისწამლის რქა აიღო.

– მზის ამოსვლამდე დავბრუნდები. როცა გაიღვიძებენ, ორ კაცს უთხარი საფლავი ამოთხაროს.

ერთი საათის შემდეგ კაპიტანი დაბრუნდა. ორმოს თხრა დაეწყოთ, მაგრამ როგორც ეტყობოდა მიეტოვებინათ. მან ჰარისს შეხედა.

– რამ შეგიშალათ ხელი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– როგორ გითხრათ, კაპიტანო. კაცი ჯერ არ მომკვდარა. არ არის მართებული. ცოცხალი ადამიანის საფლავის თხრა. გული არ მიშვებს.

ჰიუ გლასის სიკვდილს შუადღემდე ელოდნენ. გონზე არ მოდიოდა. დაკარგული სისხლის გამო ფერმკრთალი იყო. სუნთქვა ძველებურად უჭირდა, მაგრამ მკერდი ისევ აუდ-ჩაუდიოდა. თითოეულ ამოსუნთქვას ჯიუტად შემდეგი მოჰყვებოდა.

კაპიტანი ჰენრი კარგა ხანს მდინარესა და მდელოს შორის ბოლთას ცემდა. დილა გადასული იყო, როცა შავი ჰარისი დინების ზემო ნაწილის დასაზვერად გაგზავნა. ის შუადღისას დაბრუნდა და თქვა, რომ ინდიელებს არსად გადაჰყრია, მაგრამ მდინარის იქითა მხარეს, ცხოველთა ბილიკზე ადამიანებისა და ცხენების ნაკვალევი შენიშნა, სამ მილში კი დინების ზემო ნაწილში მიტოვებული ბანაკი იპოვა.

მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა.

კაპიტანმა ორ კაცს უბრძანა ნორჩი ხეები მოეჭრათ და გლასისთვის საკაცე გაეკეთებინათ.

– ხომ არ აჯობებს ოთხთვალა გავაკეთოთ, კაპიტანო და ჯორი შევაბათ.

– მდინარის გასწვრივ ისეთი ოღროჩოღრო მიწაა, ოთხთვალა ვერ ივლის.

– მაშინ იქნებ მდინარის ნაპირს მოვცილდეთ?

– გააკეთეთ ეს დაწყევლილი საკაცე, – თქვა კაპიტანმა. – არ აპირებდა დაშორებოდა მდინარეს, ერთადერთ ორიენტირს უცხო მხარეში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 4

28 აგვისტო, 1823

ტრაპერები ერთმანეთის მიყოლებით მიდიოდნენ დაბრკოლებამდე და ჩერდებოდნენ, მდინარე გრანდი აქ ქვიშაქვის კლდის ციცაბო საფეხურს ხვდებოდა, სადაც ღრმა მორევს ქმნიდა, შემდეგ კი დაბრკოლებას გვერდს უვლიდა და ფართო ნაკადად მიედინებოდა საპირისპირო ნაპირისაკენ. ბრიჯერი და ღორუკა, რომელთაც საკაცით გლასი მიჰყავდათ, ყველაზე ბოლოს მივიდნენ, ტვირთი მიწაზე დადეს და აქოშინებული ღორუკა, ოფლისგან ტანსაცმელი მთლად რომ გაშავებოდა, იქვე მძიმედ ჩამოჯდა.

კლდის შეხედვისას მოსულთაგან თითოეულს ისეთი აზრი უჩნდებოდა, რომ მხოლოდ ორი გამოსავალი არსებობდა: პირველი – ციცაბო ფერდობზე აცოცება, თუმც კი ძნელი ჩანდა, მაგრამ არა შეუძლებელი, თუ ხელებით და ფეხებით იფორთხებდნენ. ორი საათის წინ ასე მიდიოდა იქ შავი ჰარისი. მისი ნაკვალევი და მწვანე აბზინდის მოტეხილი ტოტი ჩანდა, რომელსაც მან ეტყობა ხელი ჩასჭიდა ზემოთ რომ აწეულიყო. მაგრამ საკაცით იქ ნამდვილად ვერ ივლიდი და ვერც ჯორი შეძლებდა ასვლას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორე გამოსავალი მდინარის გადალახვა იყო. მოპირდაპირე ნაპირზე გასვლა მაცდური არჩევანი ჩანდა, მაგრამ დაბრკოლებას ჩქარი დინება და მორევი ქმნიდა, რომელიც სულ ცოტა ხუთი ფუტის სიღრმის მაინც იქნებოდა. შემდეგ, მდინარის შუაში ჭავლის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მეჩეჩი იწყებოდა. იქიდან ნაპირამდე მიღწევა ადვილი იქნებოდა. შეიძლებოდა იარაღი და თოფისწამალი თავს ზემოთ დაგეჭირა და მორევიდან მეჩხერ წყლამდე მიგეღწია. თუ დინება წაგაქცევდა, რამდენიმე იარდის გაცურვა ძნელი არ იქნებოდა. ჯორის მდინარეში შეთრევაც არ იყო შეუძლებელი. მას წყალი იმდენად უყვარდა, რომ კაცები იხვს ეძახდნენ. საღამოობით მუცლამდე წყალში იდგა და სწორედ ამან გადაარჩინა, როცა ბანაკს მანდანა დაესხა თავს. დანარჩენი ცხოველები იმ დროს მდელოზე ძოვდნენ, ან ნაპირთან ახლოს ეძინათ, „იხვი“ კი მეჩხერ წყალში იდგა, შლამში საიმედოდ ჩაფლული. ასე რომ თავდამსხმელებმა მისი წაყვანა ვერ შეძლეს და შემდეგ, ტრაპერების ლამის მთელი რაზმი დასჭირდა შლამიდან მის ამოთრევას.

ასე რომ, ჯორი დაბრკოლება არ იქნებოდა. დაბრკოლება გლასი იყო. მორევის გადავლა თავს ზემოთ აწეული საკაცით შეუძლებელი ჩანდა.

კაპიტანი ჰენრი მოქმედების შესაძლო ვარიანტებზე ფიქრობდა და გუნებაში შავ ჰარისს წყევლიდა. საკმარისი იყო მას ნიშანი დაეტოვებინა, რომ რაზმი მდინარეზე ადრე გადავიდოდა. თავისი ხალხის გაყოფაც არ უნდოდა, თუნდაც მხოლოდ რამდენიმე საათით, თუმცა ყველას უკან წაყვანაც სისულელე იქნებოდა.

– ფიტცჯერალდ, ანდერსონ, ახლა თქვენი რიგია საკაცე ატაროთ. გადასასვლელის წინა ადგილს დაუბრუნდით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბერნო და მე თქვენთან ერთად ვიქნებით. დანარჩენები კი აქ გადაკვეთთ მდინარეს და დაგველოდებით.

ფიტცჯერალდმა კაპიტანს მრისხანე მზერა ესროლა და რაღაც წაიბუტბუტა.

– რაიმეს თქმა ხომ არ გსურს, ფიტცჯერალდ?

– მე აქ ტრაპერად ვარ დაქირავებული, კაპიტანო, და არა გამწევ ძალად.

– საკაცეს ყველა ატარებს, რიგრიგობით, და შენ გამონაკლისი არ ხარ.

– მე ახლა იმას გეტყვით, რის პირში თქმასაც ყველა ერიდება. მაინც სადამდე უნდა ვათრიოთ ეს გვამი, იელოუსტოუნამდე?

– მე გლასისთვის ვაკეთებ იმას, რასაც გავაკეთებდი შენთვის და რაზმის ყველა წევრისათვის.

– რასაც თქვენ ჩვენთვის გააკეთებთ ის იქნება, რომ საფლავს გაგვითხრით. რამდენ ხანს უნდა ვიაროთ ველზე, გამოსაჩენ ადგილას, სანამ ინდიელებს არ გადავეყრებით? გლასი არ არის ერთადერთი ამ რაზმში.

– არც შენ ხარ ამ რაზმში ერთადერთი, – შეაწყვეტინა ანდერსონმა. – მე ფიტცჯერალდივით არ ვფიქრობ, კაპიტანო, და ნაძლევს დავდებ ბევრი არ ეთანხმება მას.

ის საკაცესთან მივიდა, შაშხანა გლასის გვერდით დადო და ფიტცჯერალდს შეხედა:

– რას ფიქრობ, მარტო წავიღებ?

უკვე მესამე დღე იყო გლასი საკაცით მიჰქონდათ. გრანდის ნაპირზე ქვიშა და კენჭები ერთმანეთს ენაცვლებოდა, ალვის ხეებს მაღალი, მოქნილი ტირიფები ცვლიდა. უსწორმასწორო ფერდობზე ხან აცოცება უწევდათ, ხანაც იმ ადგილებში მიიკვლევდნენ გზას, სადაც გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზაფხულის ნიაღვრებს ქვების გროვა, ერთმანეთში ჩახლართული ტოტები და მზისგან გათეთრებული და ტალღებისა და ქვიშისგან გაპრიალებული ხის მთელი ღეროებიც კი გამოერიყა. როცა დაბრკოლება ძნელი გადასალახი ხდებოდა, რაზმი მეორე ნაპირზე გადადიოდა. დასველებული ტანსაცმელი უმძიმდებოდათ, მაგრამ მაინც შეუპოვრად განაგრძობდნენ წინსვლას დინების ზედა მიმართულებით.

მდინარე ერთადერთი საიმედო ორიენტირია დაბ-ლობში და მის ნაპირებს არა მხოლოდ ჰენრის რაზმი მიუყვებოდა. ტრაპერები დროდადრო კვალს და მიტო-ვებულ ბანაკებს აწყდებოდნენ. შავმა ჰარისმა ინდიელი მონადირეების ორი მცირერიცხოვანი ჯგუფი დაინახა. საკმაოდ შორს იყვნენ საიმისოდ, რომ გაერჩია სიუს ტომი იყო, თუ არიკარას. ორივე მათგანი საფრთხეს წარმოადგენდა. მისურზე ბრძოლის შემდეგ არიკარაც მტრად რჩებოდა და სიუსაც, მიუხედავად იმისა, რომ იმ ბრძოლაში თეთრკანიანებს ეხმარებოდნენ, ადვილად შეეძ-ლოთ ყოფილი მოკავშირეებისთვის ეღალატათ. რაზმი, რომელშიც მხოლოდ ათი ბრძოლისუნარიანი ტრაპერი იყო, სერიოზულ შეტევას ვერ მოიგერიებდა. არადა მათი იარაღი, მარაგები და ჯორიც კი, შეიძლებოდა ინდიელებს სასურველ ნადავლად ჩაეთვალათ. ყოველ მოსახვევში ჩასაფრებულების თავდასხმის მოლოდინი უნდა ჰქონოდათ. აუცილებლად სჭირდებოდათ მზვერავები, ასეთი კი რაზმში მხოლოდ კაპიტანი ჰენრი და შავი ჰარისი იყვნენ.

ესეც შენი სწრაფი სიარული, – ფიქრობდა კაპიტანი. როგორ სჭირდებოდათ ტერიტორიის სწრაფი გავლა, ისინი კი დამკრძალავი პროცესიის სიჩქარით მიიზლაზნებოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გლასი დროდადრო გონს მოდიოდა და ისევ ითიშებოდა, თუმცა ეს ორი მდგომარეობა ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა. წყალს ხანდახან სვამდა, მაგრამ ყელის ჭრილობების გამო ლუკმას ვერ ყლაპავდა. საკაცე ორჯერ გადაუყირავდათ და დაჭრილი მიწაზე დავარდა. მეორე გადმოვარდნისას ორი ნაკერი აძვრა და რაზმს დაცდა მოუხდა, სანამ კაპიტანი ინფექციისგან შეწითლებულ ყელზე ახალ ნაკერებს ადებდა. სხვა ჭრილობების შემოწმებით თავი არავის შეუწუხებია და ამის გაკეთებას აზრი არც ჰქონდა. გლასს ხმა ერთხელაც არ ამოუღია. მისი დაგლეჯილი ყელიდან მხოლოდ ხრინწიანი სუნთქვა ისმოდა.

მესამე დღის ბოლოს რაზმი შეჩერდა ნაკადულთან, რომელიც გრანდში ჩაედინებოდა. შერწყმის ადგილიდან მილის მეოთხედში შავმა ჰარისმა წყაროსთან ფიჭვებით მჭიდროდ გარშემორტყმული იდეალური ადგილი იპოვა ბანაკისათვის. ჰენრიმ ანდერსონი და ჰარისი მაშინვე სანადიროდ გაგზავნა.

წყარო ფიალის ფორმის არ იყო. მისი ყინულივით ცივი წყალი ხავსმოდებული ქვების ქვემოდან ამოდიოდა და პატარა, სუფთა გუბეში იკრიბებოდა. კაპიტანი ჰენრი წყლის დასალევად დაიხარა. მის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე ფიქრს თავიდან ვერ იშორებდა.

ამ სამი დღის განმავლობაში, როცა გლასი საკაცით დაჰყავდათ, რაზმს სულ ორმოცი მილი ჰქონდა გავლილი – ორჯერ ნაკლები, ვიდრე საჭირო იყო. ჰენრის იმედი ჰქონდა, რომ არიკარას ტერიტორია უკან დარჩა, მაგრამ სიუს ტომის კვალს ჰარისი სულ უფრო და უფრო ხშირად პოულობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაპიტანს იმდენად მათი ახლანდელი ადგილმდებარეობა კი არ აწუხებდა, რამდენადაც შეფერხება. თუ ასე გაგრძელდებოდა, იელოუსტოუნის ნაპირებს გვიან მიაღწევდნენ და იმ ორ კვირას დაკარგავდნენ, რომლის განმავლობაში ზამთრისთვის ხორცი უნდა მოემარაგებინათ. გვიანი შემოდგომის ამინდი არაპროგნოზირებადი იყო: ზაფხულივით თბილი ამინდიც შეიძლებოდა დაეჭირა და შტორმული ქარებიც ამოვარდნილიყო ან ნაადრევი თოვლი წამოსულიყო. და მაშინ მთელ რაზმს შიმშილი ელოდა.

ფიზიკური უსაფრთხოების გარდა კაპიტანს კომერციასთან დაკავშირებული საქმეებიც აჩქარებდა. თუ გაუმართლებდათ, რამდენიმე კვირა კარგად ინადირებდნენ და ინდიელებთანაც მომგებიანად ივაჭრებდნენ, საკმარისი ბეწვეული ექნებოდათ იმისთვის, რომ ერთი თუ ორი ტრაპერის გაგზავნა მდინარის ქვედა ნაწილში გამართლებული ყოფილიყო.

კაპიტანმა წარმოიდგინა როგორი სანახაობრივი იქნებოდა თებერვლის კაშკაშა დღეს სენტ-ლუისში ბეწვით დატვირთული პიროგას[1] ჩასვლა. გაზეთები აჭრელდებოდა სათაურებით იელოუსტოუნში წარმატებული წამოწყების შესახებ. აურზაური ახალ ინვესტორებს მიიზიდავდა და გაზაფხულისთვის ეშლი ახალ რაზმს შექმნიდა ... ჰენრი ლამის იყო ცხადად ხედავდა საკუთარ თავს მეთაურად ტრაპერების ქსელისა, რომელსაც იელოუსტოუნის ნაპირის მთელ სიგრძეზე წარმოება ექნებოდა გაჩაღებული. თუ საკმარისი ხალხი ეყოლებოდა და იმდენი საქონელი ექნებოდა, რომ ინდიე-

---

[1] ინდიელების გრძელი და ვიწრო ნავი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლებთან წარმატებით მოილაპარაკებდა, მაშინ შავფეხიანებთანაც შეიძლებოდა მშვიდობის მიღწევა, რითაც თახვებით მდიდარ სამი განშტოების ველებზე ნადირობის პერსპექტივა ისევ გაჩნდებოდა. მომდევნო ზამთარს კი ტყავის გაგზავნა სენტ-ლუისში უკვე გემებით შეიძლებოდა.

მაგრამ ყველაფერი დროზე იყო დამოკიდებული. ადგილზე პირველნი უნდა მისულიყვნენ და თანაც ენერგიით სავსე. კონკურენტებს არ ეძინათ. ისინი შეიძლება ყველა მხრიდან გამოჩენილიყვნენ.

ჩრდილოეთით ბრიტანეთის ჩრდილო დასავლეთის კომპანიამ ფორტები შორს, მანდანას სამხრეთ დასახლებამდე განალაგა. ბრიტანელები დომინირებდნენ დასავლეთ სანაპიროზეც, საიდანაც ახლა მდინარე კოლუმბიით და მისი შესართავებით მატერიკის სიღრმისკენ მიიწევდნენ. ამბობდნენ, რომ ბრიტანელმა ტრაპერებმა უკვე სნეიკამდე და გრინამდე მიაღწიეს.

სამხრეთიდან, ტაოსიდან და სანტა-ფედან ჩრდილოეთისაკენ კოლუმბიის ბეწვეულის კომპანია, საფრანგეთის ბეწვეულის კომპანია და „სტოუნ-ბოსტვიკი და კომპანია“ მიიკვლევდნენ გზას.

ყველაზე აშკარად კონკურენცია აღმოსავლეთიდან – თვით სენტ-ლუისიდან იგრძნობოდა. 1818 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარმა ე. წ. „იელოუსტოუნის ექსპედიცია“ წამოიწყო. მიზანი გაცხადებული იყო – ბეწვეულით ვაჭრობის გაფართოება. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, ჯარმა მეწარმეებს, რომლებიც ისედაც დაინტერესებული იყვნენ ბეწვეულის ვაჭრობით, გაბედულება შეეშმატა. მისურის ბეწვეულის კომპანიამ „მანუელა ლიზიმ“ მდინარე პლატეზე სავაჭრო ობიექტები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გახსნა. იოჰან იაკობ ასტორმა სიცოცხლე შთაბერა ამერიკის ბეწვეულის კომპანიის ნარჩენებს (რომელიც ინგლისელებმა შეავიწროვეს კოლუმბიის ნაპირებიდან 1812 წლის ომის დროს) როცა სენტ-ლუისში შტაბ-ბინა დააარსა. შეზღუდული ადამიანური რესურსებისა და საშუალებების გამო, აქ საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო.

ჰენრიმ ფიჭვების ჩრდილში საკაცეზე მწოლიარე გლასს გახედა. კაპიტანს აღარ უცდია დაჭრილის თავიდან აგლეჯილი კანი სათანადოდ მიეკერებინა. სკალპი ჯერ კიდევ ედო თავის ქალაზე. მიმხმარი სისხლი კანის მეწამულ-შავ ნაგლეჯებს კიდეებში ამაგრებდა. ისევ ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები დაეუფლა მის მიმართ: შეცოდება და სიბრაზე, მრისხანება და სინანული.

გლასს არ ადანაშაულებდა. დათვთან შეტაკება მონადირეებისთვის უცხო არ იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სენტ-ლუისიდან მიდიოდნენ, მან იცოდა, რომ ცოცხალი ყველა ვერ დაბრუნდებოდა. გლასის დასახიჩრებული სხეული უბრალოდ კიდევ ერთხელ შეახსენებდა საფრთხეს, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო ჩასაფრებული. გლასი ერთადერთი იყო რაზმიდან, რომელსაც კაპიტანი ისე ექცეოდა, როგორც თანასწორს. აფასებდა რა მასში ამტანობის, გამოცდილების და საიმედოობის იშვიათ შერწყმას. დანარჩენები, შესაძლოა შავი ჰარისის გამოკლებით, ზოგი ახალგაზრდა იყო, ზოგი უმეცარი, ზოგი სუსტი, ზოგს გამოცდილება აკლდა. ის რაც გლასს შეემთხვა, შეიძლებოდა ყველას შემთხვეოდა, მათ შორის თვითონ მასაც.

ჰენრი მომაკვდავისგან შებრუნდა. იცოდა, რომ მას, როგორც მეთაურს ხანდახან მძიმე გადაწყვეტილების მიღება უწევდა რაზმის სასიკეთოდ. ველურ ბუნებაში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხოვრება ასწავლიდა და აიძულებდა თითოეულს დამოუკიდებელი ყოფილიყო. სენტ-ლუისის დასავლეთით დახმარება და შეღავათები არავის ჰქონდა. მაგრამ მძვინვარე ადამიანებს, რომელთაც გაბედულება ჰყოფნიდათ დასავლეთის მიწებისკენ გამგზავრებულიყვნენ, საერთო პასუხისმგებლობის გრძნობა აკავშირებდათ. დაწერილი კანონების არარსებობის გამო, აქ ერთი მკაცრი, თავისი არსით ბიბლიური წესი მართავდა ყველაფერს, რომელიც თითოეულის ინტერესებს იმორჩილებდა და რომლის მნიშვნელობა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო შორდებოდნენ ცივილიზებულ სამყაროს. საჭიროების შემთხვევაში შენ მზად უნდა ყოფილიყავი დახმარებოდი ყველას: მეგობარს, თანამებრძოლს თუ სრულიად უცხოს. სიცოცხლე, მათ შორის შენი საკუთარიც, დამოკიდებული იყო მზადყოფნაზე გადაგერჩინა ის, ვინც შენს დახმარებას საჭიროებდა.

თუმცა გლასთან დაკავშირებით ამ წესის სამართლიანობა კაპიტანს უკვე საეჭვოდ ეჩვენებოდა. მათ ხომ დაჭრილისთვის ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. მის ჭრილობებზე იზრუნეს, საკაცით ატარეს, მოთმინებით ელოდნენ დასასრულს, რომ ადამიანურად დაეკრძალათ. ჰენრის გადაწყვეტილებით მთელი რაზმის საჭიროება ერთი კაცის საჭიროებას დაუქვემდებარეს. და სწორადაც მოიქცნენ, მაგრამ ასე უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. ყოველ შემთხვევაში ასეთ სიტუაციაში.

კაპიტანს ადრეც ეეჭვებოდა დაჭრილის თრევა ღირდა თუ არა. როცა მისი საშინელი ჭრილობები ნახა თავში გაუელვა გულმოწყალება ის ხომ არ იქნება შუბლში ტყვია დავახალოთ და მის ტანჯვას ბოლო მოვუღოთო. ეს ფიქრი მაშინვე მოიშორა თავიდან. და მაინც, ხშირად ეჩვენებოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გლასთან დალაპარაკება რომ შეიძლებოდეს, ავუხსნიდი და ისიც გაიგებდა მის გამო რაზმი რამდენს რისკავსო. შეეძლოთ მისთვის თავშესაფარი ეპოვათ, დაეტოვებინათ ცეცხლი და სურსათის მარაგი. თუ გადარჩებოდა, მისურამდე მიაღწევდა და რაზმს შეუერთდებოდა. გლასს კარგად იცნობდა და დარწმუნებული იყო ლაპარაკი რომ შეძლებოდა, სწორედ ამას თხოვდა. ამდენი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩააგდებდა. და მაინც, კაპიტანს დაჭრილის მიტოვება ვერ გადაეწყვიტა. დათვის თავდასხმის შემდეგ ის არც ერთხელ არ მოსულა გონს იმდენად, რომ რაიმეს გაგება შეძლებოდა, მისი თანხმობის გარეშე კი კაპიტანი ხელფეხშებორკილად გრძნობდა თავს. გლასი მისი რაზმის წევრი იყო და პასუხისმგებლობაც მას ეკისრებოდა.

მაგრამ პასუხისმგებლობა მას სხვების მიმართაც ჰქონდა. და ფულის მიმართ, რომელიც საქმეში ვიცეგუბერნატორმა ეშლიმ ჩადო. და კიდევ თავისი ოჯახის მიმართ, რომელიც სენტ-ლუისში ათ წელზე მეტია ელოდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუმცა წარმატება შორეული და მიუღწეველი ჩანდა, ისევე, როგორც კლდოვანი მთები.

იმ საღამოს რაზმი შეიკრიბა სამ პატარა კოცონთან, რომლებზეც ახალ ხორცს ბოლავდნენ. მდელოს გარშემო ფიჭვები ცეცხლს უცხო თვალისგან იფარავდა. მზე ჩავიდა და აგრილდა. გვიანი აგვისტოს საღამო იდგა. აცივებამდეც შორი აღარ იყო.

კაპიტანი რაზმისთვის რომ მიემართა ფეხზე წამოდგა, რითაც ხაზი გაუსვა რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა იმას, რის თქმასაც აპირებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ჩვენი მეტად შეფერხება აღარ შეიძლება. დრო არ ითმენს. ორი მოხალისე გვჭირდება, რომელიც გლასთან დარჩება მანამ, სანამ არ მოკვდება, შემდეგ კი დაკრძალავს მას და ჩვენ წამოგვეწევა. მათ, ვინც დარჩება, გაწეული რისკის საფასურად კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანია სამოცდაათ დოლარს გადაუხდის.

ერთ-ერთ კოცონში გირჩი გასკდა და ღამის კრიალა ცაში ნაპერწკლები აიტყორცნა. მისმა ხმამ ბანაკში ჩამოწოლილ სიჩუმეს ხაზი გაუსვა. ტრაპერები დუმდნენ, კაპიტნის წინადადებაზე ფიქრობდნენ. გლასის თუნდაც გარდაუვალი სიკვდილი მათში ძრწოლას იწვევდა. ფრანგმა ჟან ბერნომ პირჯვარი გადაიწერა. დანარჩენები ცეცხლს თვალს არ აშორებდნენ.

კარგა ხანს ხმა არავის ამოუღია. ახლა ყველა ფულზე ფიქრობდა, სამოცდაათი დოლარი მათი წლიური ხელფასის მესამედზე მეტი იყო. თუ გრძნობებს გვერდით გადადებდნენ და საქმეს პრაგმატულად შეხედავდნენ, ცხადი იყო, რომ გლასი მალე მოკვდებოდა. სამოცდაათი დოლარი კი იმისთვის, რომ რამდენიმე დღე მდელოზე ავადმყოფთან გაჩერებულიყვნენ და შემდეგ სწრაფად დასწეოდნენ რაზმს. რა თქმა უნდა, დარჩენა რისკი იყო: ათკაციანი რაზმი ბრძოლისუნარიანი ძალაა, ორი მონადირე კი – არა. თუ ინდიელები დაესხმებოდათ თავს, სამოცდაათი დოლარი აღარაფერში გამოადგებოდათ.

– მე დავრჩები გლასთან, კაპიტანო.

ყველა გაკვირვებული შებრუნდა ფიტცჯერალდისკენ. არავინ ელოდა მისგან, რომ მოხალისეობის სურვილს გამოთქვამდა.

კაპიტანმა ჰენრიმ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ფიცტჯერალდის მოტივი ძალიან საეჭვო ჩანდა.

– არა მოყვასის სიყვარულის გამო, კაპიტანო – განმარტა მან, რადგან იგრძნო, რომ თანარაზმელები გააკვირვა – მე ამას უბრალოდ ფულის გულისთვის გავაკეთებ და არც ვმალავ, რომ ასეა. და თუ ძიძაა საჭირო, კიდევ სხვა ვინმე აიყვანეთ.

– ჰენრიმ რაზმს თვალი მოავლო.

– კიდევ ვინ დარჩება?

შავმა ჰარისმა პატარა ჯოხი ცეცხლში შეაგდო.

– მე დავრჩები, კაპიტანო.

ჰარისი გლასის მეგობარი იყო და მას ფიტცჯერალდთან ვერ დატოვებდა. ფიტცჯერალდი არავის უყვარდა. გლასი უკეთესს იმსახურებდა.

კაპიტანმა თავი გადააქნია.

– თქვენ ვერ დარჩებით, ჰარის.

– რას გულისხმობთ, რატომ ვერ დავრჩები?

– ვერ დარჩები. მე ვიცი, რომ მისი მეგობარი ხარ და მაინც, მაპატიე, მაგრამ შენ რაზმს ჭირდები, როგორც მზვერავი.

ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. უმრავლესობა ცეცხლს ჩაშტერებოდა. თანდათან ყველას თავში ერთი და იგივე აზრი მწიფდებოდა: არ ღირდა ეს საქმე, არ ღირდა მასში აღებული ფული. ბოლოს და ბოლოს თვითონ გლასის გულისთვისაც არ ღირდა. არა იმიტომ, რომ მას პატივს არ სცემდნენ, პირიქით, უყვარდათ კიდეც. ზოგიერთს ანდერსონის მსგავსად მისგან სიკეთეც ახსოვდა და თავს დავალებულად მიიჩნევდნენ. სხვა იქნებოდა, – ფიქრობდა ანდერსონი. – კაპიტანს ჩვენთვის გაჭირვებაში ჩავარდნილი გლასის ხსნა ეთხოვა. მაშინ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მზად იქნებოდა მის გადასარჩენად. მაგრამ აქ სხვა რამ იყო. უბრალოდ მის სიკვდილს უნდა დალოდებოდა და დაეკრძალა. არა, არ ღირდა ამის გაკეთება.

ჰენრი უკვე შიშობდა ამ საქმის მხოლოდ ფიტცჯერალდისთვის მინდობა მომიწევსო, როცა უცებ ჯიმ ბრიჯერი მოუქნელად წამოდგა ფეხზე.

– მე დავრჩები.

ფიტცჯერალდმა დამცინავად ჩაიქირქილა.

– არც იფიქროთ, კაპიტანო ამ ცხვირმოუხოცავ ღლაპთან ჩემი დატოვება. თუ ის დარჩება, მაშინ ორმაგი უნდა გადამიხადოთ. იმიტომ, რომ ორის მოვლა მომიწევს.

ბრიჯერს თითქოს სილა გააწნესო. სირცხვილისა და მრისხანებისგან სახეში სისხლმა წამოასხა.

– გპირდებით, კაპიტანო. მე ჩემს გასაკეთებელს გავაკეთებ.

კაპიტანი ასეთ გაგრძელებას არ ელოდა. შინაგანად გრძნობდა, რომ გლასის ფიტცჯერალდთან და ბრიჯერთან დატოვება თითქმის იგივე იყო მარტო დაგეტოვებინა. ბრიჯერს ჯერ კიდევ ბიჭი ეთქმოდა და თუმცა ბეწვეულის კომპანიაში მუშაობის ერთი წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ პატიოსანი, უნარიანი ახალგაზრდა იყო, ფიტცჯერალდის საპირწონედ ვერ გამოდგებოდა. მაგრამ, ფიქრობდა კაპიტანი, განა ამაში არ არის არჩევანის არსი? მას უბრალოდ, კომპენსაციის საფასურად ორ კაცზე გადაჰქონდა საერთო პასუხისმგებლობა. თავისი საკუთარი პასუხისმგებლობაც. სხვა რა უნდა ექნა? უკეთესი არჩევანი არ ჩანდა.

– კარგი, – თქვა კაპიტანმა. დანარჩენები ალიონზე გავდივართ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 5

30 აგვისტო, 1823

რაზმის გამგზავრების მეორე დღეს, საღამოს, ფიტცჯერალდმა ბრიჯერი შეშის მოსატანად გააგზავნა და გლასთან მარტო დარჩა. გლასი პატარა ცეცხლთან იწვა. ფიტცჯერალდს მისკენ არც გაუხედავს.

მდელოს თავზე წამომართული იყო კლდე – მასიური რიყის ქვების გროვა. გეგონებოდა ვიღაცის გიგანტურმა ხელმა ისინი ერთმანეთზე შეაწყო და დაწნეხაო. ორ დიდ ქვას შორის გამოშვერილი იყო მრუდე ფიჭვი – იმ ხეების ჯიშის, რომელსაც ადგილობრივი ინდიელები თავიანთი საცხოვრებლების საყრდენ ბოძებად იყენებდნენ. თესლი, რომლიდანაც ის აღმოცენდა, ათეული წლების წინ ბეღურამ ამოკენკა გირჩიდან და ის ნაპრალში ჩაუვარდა, სადაც წვიმით დატენიანებული საკმარისი მიწა აღმოჩნდა, მზისგან გახურებულმა კლდეების სითბომ კი თესლი გააღვივა. მზისკენ პირდაპირი გზა არ ჰქონდა და ამიტომ ფიჭვი თავიდან გვერდულად იზრდებოდა, მაგრამ ნაპრალიდან გასვლის შემდეგ გაიმართა და ცისკენ აუყვა. ღეროს მოღუნულ ნაწილზე ტოტები გამოიზარდა ძირს დაშვებული ნემსებით და ახლა ფიჭვი, თუნდაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დამახინჯებული, უფრო მაღალი იყო გვერდით მდგარ თანამოძმეებზე, რომელთაგან ზოგიერთი სამოც ფუტს აღწევდა.

კაპიტნისა და რაზმის წასვლის შემდეგ ფიტცჯერალდის სტრატეგია მარტივი გახლდათ – რაც შეიძლება მეტი შებოლილი ხორცი უნდა მოემარაგებინა, რომ გლასის სიკვდილის შემდეგ მზად ყოფილიყვნენ და რაც შეიძლება სწრაფად წასულიყვნენ რაზმთან შესაერთებლად, ჯერ კი ბანაკიდან თავი შორს დაეჭირათ.

თუმცა მდელო მდინარიდან შორს იყო, მაგრამ ფიტცჯერალდს წყაროს სიახლოვეც არ მოსწონდა, რადგან საიმედო ადგილად არ მიაჩნდა. პატარა წყარო პირდაპირ ბანაკთან მიდიოდა. ძველი კოცონების ნარჩენებიც აჩვენებდა, რომ ამ ადგილს ხშირად სადგომად იყენებდნენ. ფიტცჯერალდი შიშობდა, ვინ იცის, იქნებ ეს ცნობილი ბანაკიაო. მაშინაც კი, თუ ეს ასე არ იყო, ათობით ადამიანის და ჯორის კვალი მდინარიდან ბანაკამდე მოდიოდა. მონადირეთა ან მებრძოლთა ნებისმიერი რაზმი, რომელიც გრანდის პირას აღმოჩნდებოდა, მათ აქ ყოფნას აუცილებლად შენიშნავდა.

ფიტცჯერალდმა დაჭრილს პირქუშად გახედა. რაზმის დანარჩენი წევრების წასვლის შემდეგ მან გლასის ჭრილობა ავადმყოფური ცნობისმოყვარეობით დაათვალიერა. ნაკერები კისერზე, საკაციდან გადმოვარდნის შემდეგ ხელახლა ჩანაკერები, საიმედოდ ჩანდა, მაგრამ ინფექციისგან გარშემო ყველაფერი ჩაწითლებოდა. ხელებსა და ფეხებზე ჭრილობები თანდათან ხორცდებოდა, თუმცა ზურგის ღრმა იარა გამიზეზებული ჰქონდა. „გაგიმართლა, რომ გონება დაკარგული გაქვს, –

გაიფიქრა ფიტცჯერალდმა. – ნეტავ, როდის მოკვდები, შე ძაღლიშვილო“.

ჯონ ფიტცჯერალდი ველურ დასავლეთში მრუდე გზებმა მიიყვანა. ჯერ იყო და ახალი ორლეანიდან გამოიქცა 1815 წელს იმის შემდეგ, რაც სიმთვრალეში, გამძვინვარებულმა მეძავი ქალი სასიკვდილოდ დაჭრა.

შოტლანდიელი მატროსის და ლუიზიანელი ვაჭრის ქალიშვილის ვაჟი ნიუ-ორლეანში გაიზარდა. ათი წლის განმავლობაში მამა წელიწადში ერთხელ თუ გადმოვიდოდა ნაპირზე და ყოველ ჯერზე ცოლს დაფეხმძიმებულს ტოვებდა. სამ თვეში, მას შემდეგ რაც ცნობა მიიღეს, რომ ის კარიბის ზღვაში გემთან ერთად ჩაიძირა, ფიტცჯერალდის დედა რძის პროდუქტების მაღაზიის ხანშიშესულ მფლობელს გაჰყვა ცოლად, რათა ბავშვები გამოეკვება. ეს პრაგმატული გადაწყვეტილება მისი შვილების უმრავლესობისთვის სასარგებლო გამოდგა. იმ რვიდან, რომლებმაც სიმწიფის ასაკს მიაღწიეს, ორმა უფროსმა ვაჟიშვილმა მამინაცვლის მაღაზია მიიღო მემკვიდრეობით. დანარჩენი ბიჭებიც პატიოსნად შრომობდნენ და მათი დებიც რიგიანად გათხოვდნენ. ერთი ჯონი დარჩა მხოლოდ გზააბნეული.

ბოღმიან ხასიათს და ჩხუბისკენ მიდრეკილებას ის ადრეული ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა. ყოველთვის მზად იყო დავა მუშტების საშუალებით გადაეჭრა და კლასიდან ხშირად აძევებდნენ იმის გამო, რომ ამა თუ იმ თანაკლასელს ფეხში ფანქარს არჭობდა. არ უნდოდა მამის კვალს გაჰყოლოდა და რიგითი მეზღვაური გამხდარიყო, რადგან იცოდა, რომ ეს ძნელი საქმე იყო. სამაგიეროდ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიამოვნებით გადაეშვა თავით პორტის ცხოვრების უხეშ ქაოსში, სადაც ყრმობის წლებიდან მოყოლებული ჩხუბის ხელოვნებას ხვეწდა. ჩვიდმეტი წლის ასაკში ბარში ჩხუბის დროს ვილაც მენავემ დანა ჩაარტყა. ამ ინციდენტმა მას სახეზე ანკესის ფორმის ნაიარევი დაუტოვა და მას შემდეგ მჭრელი ინსტრუმენტებისადმი პატივისცემით განიმსჭვალა. დანები მის გატაცებად იქცა და სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხანჯლებისა და სკალპელების მთელი კოლექცია შეაგროვა.

ოცი წლის ასაკში საპორტო დაწესებულების მეძავი შეუყვარდა – ახალგაზრდა ფრანგი გოგონა დომინიკ პერო. მიუხედავად იმისა, რომ მათი დამოკიდებულება კომერ-ციული ხასიათის იყო, ჯონი შეყვარებულის პროფესიის არსს ბოლომდე ვერ აცნობიერებდა. ერთხელ დომინიკს ერთ-ერთი შემთხვევითი გემის მსუქან კაპიტანთან ერთად შეუსწრო ლოგინში და გამძვინვარებულმა ორივე დაჭრა, ქუჩაში გავარდა, თავისი ძმების მაღაზიიდან ოთხ-მოცდაოთხი დოლარი მოიპარა და ბილეთი იყიდა ნავზე, რომელიც მისისიპით ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა.

მომდევნო ხუთი წელი მან მემფისის ტავერნებში გაატარა. ბარმენად მუშაობდა დაწესებულებაში, რომელ-საც მაღალფარდოვნად (და დაუმსახურებლად) „ოქროს ლომი“ ერქვა. ეს სამსახური მას თავშესაფარს, საკვებს და საცოდავ გროშებს აძლევდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ აქ მას ნიუ-ორლეანისგან განსხვავებით, ადამიანების ცემის და დასჯის უფლება ჰქონდა. დამნაშავეებს ბარიდან ისეთი სიამოვნებით აგდებდა, რომ მრავლისმნახველ კლიენტებსაც კი აოცებდა. ცემით კაცი ორჯერ კინაღამ სიკვდილამდე მიიყვანა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანგარიშის უნარი, რამაც მის ძმებს ვაჭრობაში წარმატება მოუტანა, ჯონსაც ჰქონდა, მაგრამ თავის ამ ნიჭს ის აზარტულ თამაშებში იყენებდა. კარგა ხანს იმით კმაყოფილდებოდა, რომ თავის ისედაც უბადრუკ ხელფასს ბანქოში აგებდა, შემდეგ უფრო დიდმა ფსონებმა მიიზიდა. ახალ თამაშებს მეტი თანხა სჭირდებოდა, მაგრამ ყოველთვის მოიძებნებოდა ხალხი, რომლებიც მზად იყვნენ მისთვის ფული ესესხებინათ.

ერთხელ ისე მოხდა, რომ მეზობელი კონკურენტი დაწესებულების მეპატრონისგან ორასი დოლარი ისესხა და გაუმართლა: ოთხი დამა ოთხი ათიანის წინააღმდეგ და ათასი დოლარი ჯიბეში. ასეთმა დიდმა მოგებამ მას თავდაჯერებულობა შეჰმატა, ძლიერი მოთამაშის, რწმენა განუმტკიცა და მეტის სურვილი გაუჩინა. „ოქროს ლომში" მუშაობას თავი დაანება და შეეცადა ბანქოში ფულის მოგებით ეცხოვრა, მაგრამ ბედმა ზურგი შეაქცია და უკვე ერთი თვის შემდეგ მევახშის, ჯეფრი რობინსონის ორი ათასი დოლარი ემართა. ფიტცჯერალდი რამდენიმე კვირის განმავლობაში იმალებოდა, მაგრამ შემდეგ მევახშის ორმა დამქაშმა იპოვა, ცემეს, ხელი მოტეხეს და ვალის დასაფარავად ერთი კვირა მისცეს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ფული ახლა სხვა მევახშისგან – გერმანელი ჰანს ბანგემანისგან ისესხა, რომ რობინსონის ვალი გაესტუმრებინა. მაგრამ როდესაც ფული დაინახა უცებ გონება გაუნათდა: რატომ უნდა გადაეხადა ვალი, როცა შეეძლო მემფისიდან გაქცეულიყო და სადმე სხვაგან ხელახლა დაეწყო ცხოვრება. დილით ჩრდილოეთისკენ მიმავალი გემის ბილეთი იყიდა და 1822 წლის თებერვალში სენტ-ლუისში ჩავიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახალ ქალაქში ჩასვლიდან ერთი თვის შემდეგ შეიტყო, რომ სამიკიტნოებში ორი კაცი ეძებდა „ბანქოს მოთამაშეს ნაიარევი სახით“. მემფისში არც თუ ბევრი მევახშე იყო და რობინსონს და ბანგემანს დიდი დრო არ დასჭირვებიათ ფიტცჯერალდის მზაკვრობა მთელი სიგრძე-სიგანით შეეფასებინათ. თითოეულმა ას-ასი დოლარი დადო და ორი ბანდიტი დაიქირავეს მის მოსაძებნად და მოსაკლავად. ბანდიტებს დაევალათ ვალის, თუნდაც რაღაც ნაწილი მაინც ამოეღოთ, თუ მოხერხდებოდა. ფულის უკან დაბრუნების იმედი დიდად არ ჰქონდათ, მაგრამ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ ფიტცჯერალდი უნდა მოეკლათ. ცდილობდნენ რა საკუთარი რეპუტაციის დაცვას, მათ თავიანთი გეგმის შესახებ მემფისის ტავერნების ქსელში ხმები გაავრცელეს.

ფიტცჯერალდი მახეში აღმოჩნდა: მისისიპიზე, სენტ-ლუისის ჩრდილოეთით დასახლებული ადგილები არ იყო, სამხრეთით წასვლა კი ეშინოდა – ნიუ-ორლეანსა და მემფისში მას ელოდნენ. იმავე დღეს ჯონიმ ბარში გაცხოველებულ საუბარს მოჰკრა ყური. ბარის მეპატრონეები „მისური რეპაბლიკანში “ გამოქვეყნებული განცხადების შესახებ მსჯელობდნენ. მან გაზეთი აიღო და წაიკითხა:

„ყოჩაღი, ფხიანი ახალგაზრდების საყურადღებოდ! ამ განცხადების ავტორს სჭირდება ასი ახალგაზრდა, რომელთაც სურვილი ექნებათ მდინარე მისურის აუყვნენ სათავისაკენ. გარანტირებული სამუშაო ერთი, ორი ან სამი წლის განმავლობაში. დეტალების შესახებ შეგიძლიათ ჰკითხოთ კაპიტან ჰენრის, რომელიც ვაშინგტონის ოლქში

ტყვიის მალაროებთან ცხოვრობს. კაპიტანი ჰენრი თან გაჰყვება რაზმს და უხელმძღვანელებს მას“.

ფიტცჯერალდმა გადაწყვეტილება მაშინვე მიიღო. ჰანს ბანგემანიდან ნასესხები ფულიდან შემორჩენილი უკანასკნელი გროშებით ტყავის გაცვეთილი ქურთუკი, მოკასინები და შაშხანა იყიდა. მეორე დილით კაპიტან ჰენრის თავი წარუდგინა და განაცხადა, რომ მზად იყო რაზმში ჩაწერილიყო. კაპიტანს ის თავიდანვე საეჭვოდ მოეჩვენა, მაგრამ დიდი არჩევანი არ ჰქონდა. რაზმისთვის ასი კაცი სჭირდებოდა, ფიტცჯერალდი კი ფიზიკურად შესაფერისად გამოიყურებოდა. თუ ოდესღაც რამდენიმეჯერ დანებით უჩხუბია, მით უკეთესი. ერთი თვის შემდეგ ჯონი უკვე მისურით ჩრდილოეთისკენ მიცურავდა.

თუმცა კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის მიტოვებას პირველივე ხელსაყრელი შემთხვევის დადგომისას აპირებდა, ფიტცჯერალდი ველურ დასავლეთში ცხოვრებას მიეჩვია. მართალია, ნადირის კვალში ჩადგომის უნარი არ აღმოაჩნდა, სამაგიეროდ არა მხოლოდ დანას იყენებდა კარგად, არამედ ის შესანიშნავი მსროლელი აღმოჩნდა. მხოლოდ მისურისთან ბრძოლაში, ჭეშმარიტი სნაიპერის მოთმინების წყალობით ორი არიკარა გამოასალმა სიცოცხლეს. ჰენრის რაზმის ბევრ წევრს ინდიელებთან ბრძოლა აშინებდა, ფიტცჯერალდს კი ართობდა და აღაგზნებდა კიდეც.

ფიტცჯერალდი გლასისკენ შებრუნდა. თვალში მოხვდა ანშტადტი, რომელიც დაჭრილის გვერდით იდო. მიიხედ-მოიხედა ბრიჯერი ხომ არ ბრუნდებაო და შაშხანა ხელში აიღო – კონდახი მხარზე მოხერხებულად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიებჯინა. მსუბუქი კონსტრუქცია საიმედოდ დამიზნების საშუალებას იძლეოდა. შაშხანა ასწია, მიზანში ხან რა ამოიღო, ხან რა სანამ ბოლოს გლასზე არ შეჩერდა.

ფიტცჯერალდმა კიდევ ერთხელ გაიფიქრა, ეს იარაღი მალე ჩემი იქნებაო. მართალია კაპიტნისთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ვინ იმსახურებდა შაშხანას იმ კაცზე მეტად, ვინც სიკვდილამდე მასთან დარჩა. რა თქმა უნდა ბრიჯერი ვერ შეეცილებოდა. გლასის შაშხანა ყველა ტრაპერს ძალიან მოსწონდა. სამოცდაათი დოლარი არაფერი იყო იმ რისკთან შედარებით, რაც მან გასწია, როცა რაზმს ჩამოშორდა. აქ სწორედ ანშტადტისთვის დარჩა. ასეთი იარაღი ბიჭისთვის მეტისმეტი ფუფუნება იქნებოდა. გარდა ამისა, ბრიჯერი უკვე იმითაც ბედნიერი იყო, რომ უილიამ ანდერსონის იარაღი მისცეს. დაჭრილის სიკვდილის შემდეგ კიდევ შეიძლებოდა მისთვის რაღაც მიგეგდო – ვთქვათ გლასის დანა.

ისევ იმ გეგმაზე ფიქრობდა, რომლის განსახორციელებლად დაჭრილთან დარჩა და ის ყოველ საათს სულ უფრო მაცდურად ეჩვენებოდა. რას ნიშნავდა გლასისთვის კიდევ ერთი დღე? სულერთი არ იყო მისთვის? ფიტცჯერალდისთვის კი შეიძლებოდა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი აღმოჩენილიყო.

მან ანშტადტი ძირს დადო. გლასის თავთან გასისხლიანებული ხალათი იდო. „სულ რამდენიმე წამით მიაჭერ დაჭრილს სახეზე და ხვალ დილით უკვე შეიძლება გზას დაადგე...“ ისევ შაშხანას დახედა მუქი ყავისფერი რომ დაჰკრავდა ფიჭვის დაცვენილი ფორთოხლისფერი წიწვების ფონზე და ხალათისკენ წაიწია.

– გაეღვიძა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის უკან ბრიჯერი იდგა. ხელები შეშით ჰქონდა სავსე. ფიტცჯერალდი შეკრთა. წამიერად შეყოვნდა, სანამ უპასუხებდა.

– შენ რა, ბიჭო, მთლად გამოშტერდი? კიდევ ერთხელ მომეპარები ასე და თავს მოგაჭრი იცოდე.

ბრიჯერმა შეშა მიწაზე დაყარა და გლასს მიუახლოვდა.

– ვიფიქრე, იქნებ ცოტაოდენი ბულიონი შევაჭამოთ-მეთქი. რომ ვცადოთ მაინც.

– ო, რა კეთილი ვინმე ხარ, ბრიჯერ. ჩავასხათ ყელში ცოტა ბულიონი, რომ ხვალ არ მოკვდეს და კიდევ ერთი კვირა გაძლოს. და ამით რას მიაღწევ? შენ გგონია თუ ერთ ყლუპ სუპს დავალევინებთ, წამოდგება და გაივლის?

ბრიჯერი ერთ წუთს დუმდა, შემდეგ თქვა:

– შენ ისე ლაპარაკობ თითქოს მისი სიკვდილი გინდა.

– რა თქმა უნდა, მისი სიკვდილი მინდა. თვითონ მასაც უნდა, რომ მოკვდეს. – ფიტცჯერალდმა პაუზა გააკეთა, რომ მის სიტყვებს ეფექტი მოეხდინა. – შენ, ბრიჯერ, სკოლაში თუ გივლია ოდესმე? – მან თავისი შეკითხვის პასუხი იცოდა.

ბიჭმა თავი გააქნია.

– ჰოდა, მოდი მათემატიკის პატარა გაკვეთილს ჩაგიტარებ. კაპიტანი ჰენრი და მისი რაზმი, რომელიც ახლა გლასს არ მიათრევს, დღეში დაახლოებით ოცდაათ მილს გადის. ახლა წარმოიდგინე, რომ ჩვენ უფრო სწრაფად ვივლით და დღეში 40 მილს გავივლით. ორმოცს რომ ოცდაათი გამოვაკლოთ, რამდენი იქნება?

ბიჭი უაზროდ იყურებოდა და ხმას არ იღებდა.

– მე გეტყვი, ბრიჯერ. ათი იქნება. – მან დამცინავი ჟესტით ორივე ხელის ყველა თითი გაშალა. – აი, ამდენი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქნება, ბიჭო. ჩვენ მათ დღეში მხოლოდ ათი მილით შეგვიძლია მივუახლოვდეთ. რადგან უკვე ასი მილი აქვთ გავლილი, მათ დასაწევად ათი დღე დაგვჭირდება. ეს იმ შემთხვევაში თუ გლასი დღესვე მოკვდება და რაზმის კვალზე სწორად ვივლით და გზა არ დაგვებნევა. მთელი ათი დღე სიუს მონადირეების სამიზნე ვიქნებით. ნუთუ არ გესმის? ერთი ზედმეტი დღე აქ ყურყუტი, კიდევ სამი დღე მარტო სიარულს ნიშნავს. გლასზე უარესი სანახავი იქნები მას შემდეგ, რაც ინდიელები გაგისწორდებიან. ოდესმე თუ გინახავს ადამიანი, რომელსაც სკალპი გადააძრეს თავიდან?

ბრიჯერმა არ უპასუხა, თუმცა სკალპგადამძვრალი ადამიანები ენახა. მისურის ჩანჩქერთან შავფეხიანების შეტაკების შემდეგ კაპიტანმა ჰენრიმ ბანაკში ორი მოკლული მონადირის გვამი მოიტანა. ბრიჯერს მათი სახეები ნათლად ახსოვდა. სახით ჯორის მუცელზე იყვნენ მიბმულნი და როცა კაპიტანმა თოკები გადაჭრა, მათი სხეულები, რომელთაც უკვე გაშეშება მოესწროთ, მიწაზე დავარდა. მონადირეები მათ გარშემო შეიკრიბნენ. გაოგნებული მისჩერებოდნენ დასახიჩრებულ გვამებს იმ ადამიანებისა, რომლებიც ჯერ კიდევ დილით მათ გვერდით ბანაკის ცეცხლს უსხდნენ. გვამებისთვის არა მხოლოდ სკალპები გადაეძროთ, არამედ ცხვირი და ყურები მოეჭრათ და თვალებიც ამოეთხარათ. ბრიჯერს გაახსენდა, რომ ცხვირების გარეშე მათი თავები ქალას უფრო ჰგავდა, ვიდრე სახეებს. კაცები შიშველი იყვნენ. გენიტალიები ამოგლეჯილი ჰქონდათ. კისერზე და მაჯებზე რუჯის ხაზი მკაფიოდ აჩნდათ. ხაზს ზემოთ მათი ყავისფერი კანი უნაგირის ტყავივით იყო დაჭიმული, და-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნარჩენი სხეული მაქმანივით თეთრი ჰქონდათ. ეს ლამის სასაცილოდ გამოიყურებოდა და ასეთ მკვეთრ სხვაობას შეიძლებოდა ადამიანი ხუმრობის ხასიათზე დაეყენებინა შედეგი ასეთი საშინელი რომ არ ყოფილიყო. რა თქმა უნდა, არავის გაუცინია. მას შემდეგ ბრიჯერს დაბანისას ყოველთვის ის ორი წარმოუდგებოდა – ჩვილივით სუსტი და უმწეო მაქმანივით თეთრი სხეულები ტანსაცმლის ქვეშ.

ბრიჯერს საშინლად უნდოდა ფიტცჯერალდისთვის საკადრისი პასუხი გაეცა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. იმიტომ კი არა, რომ სიტყვები არ ჰყოფნიდა, არამედ იმიტომ, რომ არგუმენტები არ ჰქონდა. ანგარებაში მხილება უაზრობა იქნებოდა – ფიტცჯერალდი ხომ თვითონაც არ მალავდა, რომ მომაკვდავთან ფულის გამო დარჩა. მაგრამ თვითონ ბრიჯერის მოტივი რა იყო? ანგარება ნამდვილად არა. ციფრები ისედაც უკვე თავში ერეოდა. ჩვეულებრივი ხელფასითაც უკვე იმდენი ფული დაუგროვდა, რამდენიც თავის სიცოცხლეში არ ენახა. სურდა თავი დაეჯერებინა, რომ გლასთან უბრალოდ ერთგულების გამო დარჩა. მას, რა თქმა უნდა, პატივს სცემდა. გლასი კეთილი იყო, მამობრივად ზრუნავდა მასზე, მონადირისთვის საჭირო ჩვევებს ასწავლიდა, დაცინვებისგან იცავდა. ბრიჯერმა იცოდა, რომ გლასთან ვალში იყო, მაგრამ სად გადიოდა ამ ვალის ზღვარი?

გაახსენდა როგორი გაკვირვებული და აღტაცებული უყურებდნენ რაზმელები, როცა მან გლასთან დარჩენის სურვილი გამოთქვა. როგორი კონტრასტი იყო სიბრაზისა და ზიზღის, რომელიც მათგან იგრძნო იმ საშინელ ღამეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საგუშაგოზე. გაახსენდა კაპიტანმა მხარზე ხელი რო-გორ მოუთათუნა, როცა რაზმთან ერთად მიდიოდა და ამ უბრალო ჟესტმა მათიანად აგრძნობინა თავი ტრაპერებს შორის. თითქოს მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რომ კაცებთან ყოფნას იმსახურებდა. განა ის აქ იმისთვის არ იყო, რომ შელახული ღირსება აღედგინა. ნუთუ ისიც ფიტცჯერალდის მსგავსად მოყვასის უბედურებაში სარგებელს ეძებდა? ფიტცჯერალდზე რაც გინდა თქვი და, იმას მაინც აცხადებდა პატიოსნად, რომ გლასთან ფულისთვის დარჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 6

31 აგვისტო, 1823

მესამე დღეს, დილით, ბრიჯერი მდელოზე იჯდა და უკვე რამდენიმე საათის განმავლობაში თავის მოკასინების შეკეთებით იყო დაკავებული. ამდენი სიარულით ორივეს ხვრელები გაუჩნდა და შედეგად ფეხები დაჩეჩქვილი და ჩალურჯებული ჰქონდა, ამიტომ გადაწყვიტა თავისუფალი დრო გონივრულად გამოეყენებინა. ტყავი ჯერ კიდევ რაზმის წასვლამდე მოიმარაგა, ბიზონის დაუმუშავებელი ტყავიდან ნაჭერი ამოჭრა და ახლა მოკასინებს ახალ ლანჩებს აკერებდა. ნაკერები არცთუ მთლად თანაბარი, მაგრამ საკმაოდ მაგარი გამოდიოდა.

თავისი ნამუშევარი კარგად დაათვალიერა და გლასს გახედა. ჭრილობებს ბუზები დასტრიალებდნენ. მომაკვდავს ტუჩები სიმშრალისგან დასკდომოდა. საკუთარ თავს კიდევ ერთხელ ჰკითხა მორალურად ფიტცჯერალდზე მაღლა თუ ვდგავარო. წყაროდან თუნუქის ტოლჩა შეავსო და ცივი წყალი გლასს პირთან მიუტანა. დაჭრილი თუმცა გონზე არ მოსულა, ბაგეებზე სისველე იგრძნო და წყლის სმა დაიწყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თითქოს გული დასწყდა, როცა გლასმა ტოლჩას ტუჩი მოაშორა. სიამოვნებდა შეგრძნება, რომ ვიღაცას სჭირდებოდა. დაჭრილს შეხედა. ფიტცჯერალდი მართალი იყო. გლასს, რა თქმა უნდა, არაფერი ეშველებოდა. მას მხოლოდ ერთი რამით თუ დაეხმარებოდი – სიცოცხლის უკანასკნელ საათებს შეუმსუბუქებდი.

ბრიჯერის დედამ იცოდა რომელი მცენარით რისი მკურნალობა შეიძლებოდა. არაერთხელ უნანია რატომ ყურადღებას არ ვაქცევდი, როცა დედა ტყიდან ყვავილებით, ფოთლებით და ქერქით სავსე კალათით ბრუნდებოდაო. მაგრამ რაღაცის გახსენება მან მაინც შეძლო და მდელოს კიდეში იპოვა რასაც ეძებდა: წიწვის ხე, ღეროზე ბადაგივით წებოვანი ფისით. ჟანგიანი დანით რამდენიც საჭირო იყო ჩამოფხიკა, გლასთან მივიდა და მუხლებზე დაეშვა. ხელებზე და ფეხებზე ჭრილობების გარშემო, სადაც დათვის ნაკბილარები იყო, ჩაშავებული ჩალურჯებები ჩანდა, თუმცა თვითონ კანი შეხორცებას იწყებდა. ბრიჯერმა თითით ფისის წასმა დაიწყო – ჭრილობები ამოავსო და მათ გარშემო კანზეც წაუსვა.

როცა დაასრულა გლასი გადააბრუნა და ზურგი დაათვალიერა. საკაციდან გადმოვარდნისას ნაკერები გადახსნოდა და ახალგამოსული სისხლი აჩნდა. თუმცა ზურგი ანთებისგან იყო ჟოლოსფერი და არა სისხლისგან. ხუთი პარალელური ღარი თითქმის მთელ ზურგზე ჩამოსდევდა. ღარების ცენტრში ყვითელი ჩირქი ჩადგომოდა. ჭრილობების კიდეები მხურვალებისგან ავარვარებული ჰქონდა. ამჟავებული რძის სუნი იდგა. ბრიჯერმა ზუსტად არ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა. მთელ ზურგზე ფისი

მოუსვა – ორჯერ მოუწია ფიჭვებთან დაბრუნება მის მოსატანად.

სულ ბოლოს ყელის ჭრილობები დაათვალიერა. კაპიტნის მიერ დადებული ნაკერები ისევ თავის ადგილას იყო, თუმცა, როგორც ბიჭს მოეჩვენა, ის მხოლოდ ფარავდა კანის შიგნით ღრმა ჭრილობას. გლასი ისევ უგონოდ იწვა, მძიმედ სუნთქავდა, პირიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხრიალი ამოსდიოდა, თითქოს დაზიანებული მექანიზმი მუშაობსო. ბრიჯერი კიდევ ერთხელ წავიდა ფიჭვებისაკენ. აქერცლილ ქერქიანი ღერო მოძებნა და ზედა ფენა დანით ააჭრა. რბილი შიგა ქერქი თავის ქუდში მოაგროვა.

წყაროდან წყალი აიღო და ტოლჩა ცეცხლზე კიდეში დაადგა. როცა ადუღდა, მასში ფიჭვის ქერქი ჩაყარა და ნახარშს დანის ტარით მოურია, დაელოდა სანამ ის ჩასქელდა და შლამივით დარბილდა. ოდნავ გაცივებული საფენი გლასის კისერთან მიიტანა, ჭრილობაზე მოუსვა და შემდეგ მხარზე გადავიდა. ჩანთიდან დახეული ხალათის ნარჩენი ამოიღო და საფენებს დაადო, გლასს თავი აუწია და კეფაზე მაგრად განასკვა.

გლასის თავი მიწაზე ფრთხილად დაუშვა და უცებ შეამჩნია, რომ თვალი გაახილა. ნათელი მზერა ჰქონდა, კონცენტრირებული, რაც მისი უძლური, დასახიჩრებული სხეულიდან იმდენად გასაკვირი იყო, რომ ბიჭი შეკრთა და გლასს თვალს არ აშორებდა. დაჭრილს აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც უნდოდა მისთვის ეთქვა, მაგრამ რა?

ერთი წუთის შემდეგ გლასმა თვალები დახუჭა. იმ წამის გაელვებისას, როცა ცნობიერება დაუბრუნდა, დაჭრილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მომეტებულად მგრძნობიარე გახდა, თითქოს თავისი სხეულის საიდუმლოებები ერთბაშად გააცნობიერაო. ფიჭვის ფისისგან ჩამპალ ჭრილობას რომ უფარავდა, წვაც იგრძნო და საფენების სითბოც, რაც ყელში ტკივილს უმსუბუქებდა. ამასთან ერთად გლასმა ისიც იგრძნო, რომ მისი სხეული გაცოცხლდა და კიდევ ერთი, გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ზედაპირზე კი არა, სადღაც ღრმად, შიგნით.

გვიან ნაშუადღევს, როცა ფიტცჯერალდი დაბრუნდა, მიწაზე გაწოლილი წაგრძელებული ჩრდილები უკვე მალე მოსალამოვებას მოასწავებდა. მხარზე გამოშიგნული ირემი ჰქონდა გადებული, გამოჭრილი ყელით და ამოცლილი შიგნეულით. ნანადირევი ერთ-ერთი ცეცხლის გვერდით დააგდო. გრაციოზული ირემი ახლა მხოლოდ ხორცის მასა იყო.

გლასის ჭრილობებზე ახალი ნაკერების დანახვისას ის მოიღუშა.

– ტყუილად კარგავ დროს, – პაუზა გააკეთა – მე ამას ფეხებზე დავიკიდებდი, ჩემს დროსაც რომ არ ფლანგავდე.

ბრიჯერს სისხლი მოაწვა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

– რამდენი წლის ხარ, ბიჭო?

– ოცის.

– იტყუები, ჯერ ხმაც კი არ დაგბოხებია, წრიპინებ რალაცას. ქალის ძუძუც კი არ გინახავს ალბათ დედაშენის მკერდის გარდა.

ბიჭმა გვერდით გაიხედა. ეზიზღებოდა ფიტცჯერალდი მისი წყეული უნარის გამო – ადამიანის ყველაზე სუსტი წერტილი მოეძებნა.

ფიტცჯერალდმა იგრძნო, რომ ბიჭმა დაირცხვინა და ამან გაამხიარულა. მან გაიცინა:

– რა? ქალთან არასოდეს ყოფილხარ? ასეა, ხომ, ბიჭო. კი მაგრამ, რატომ ბრიჯერ? ორი დოლარი ვერასდროს გადადე მეძავებისთვის სენტ-ლუისში ყოფნისას?

ის მიწაზე ჩამოჯდა, რათა ჩამოესვენა და ბიჭის წვალებით უკეთ დამტკბარიყო.

– თუ შენ გოგოები არ გაინტერესებს? გეი ხომ არ ხარ? ღამე ზურგზე ხომ არ უნდა დავიძინო, რომ შენი შიში არ მქონდეს?

ბრიჯერმა ისევ არაფერი თქვა.

– იქნებ ასოც არ გაქვს, ა?

წონასწორობიდან გამოსული ბრიჯერი ფეხზე წამოხტა, თავის შაშხანას ხელი სტაცა, ჩახმახი შეაყენა და გრძელი ლულა ფიტცჯერალდს თავზე მიაბჯინა:

– შე ძაღლიშვილო, ფიტცჯერალდ, კიდევ ერთი სიტყვა და შუბლს გაგიხვრიტავ იცოდე.

ჯონი გაირინდა, შავ ლულას თვალს არ აცილებდა. შემდეგ გამოერკვა და ნელ-ნელა ბრიჯერისკენ აიხედა. გაიცინა და ნაიარევი სახეზე უფრო მკვეთრად დააჩნდა.

– ბიჭოს, შენ არ ხუმრობ, ბრიჯერ. შეიძლება უკვე მოფსმისთვის ჩაცუცქვაც აღარ გჭირდება.

საკუთარ ხუმრობაზე ჩაიცინა, დანა აიღო და ირმის დაჭრა დაიწყო. ჩამოვარდნილ სიჩუმეში ბრიჯერმა საკუთარი მძიმე სუნთქვა გაიგონა და საკუთარი გულის სწრაფი ძგერა იგრძნო. შაშხანა ძირს დაუშვა, კონდახზე ჩამოეყრდნო და მიწაზე ჩამოჯდა. ერთბაშად დაღლილობა იგრძნო და მხრებზე საბანი შემოიხვია. რამდენიმე წუთის შემდეგ ფიტცჯერალდის ხმა გაიგონა.

ბრიჯერმა გახედა მაგრამ არაფერი თქვა. ფიტცჯერალდმა ვითომც აქ არაფერიო სისხლიანი ხელით ცხვირი მოიხოცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ეგ შენი თოფი კაჟის გარეშე არ გაისვრის.

ბიჭმა შაშხანას შეხედა. კაჟი თოფში მართლაც არ იყო. ისევ სისხლი მოაწვა სახეზე, მაგრამ ამჯერად საკუთარ თავზე უფრო მეტად ბრაზობდა, ვიდრე ფიტცჯერალდზე. ჯონიმ წყნარად ჩაიცინა და გრძელი დანით ნანადირევის დაქუცმაცება განაგრძო.

სინამდვილეში ბრიჯერი ცხრამეტი წლის იყო, მაგრამ სუსტი აღნაგობის გამო კიდევ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ის 1804 წელს დაიბადა, ლუისის და კლარკის ექსპედიციის დაწყების წინ. მათმა გახმაურებულმა დაბრუნებამ მამამისი აიძულა ვირჯინიიდან დასავლეთისკენ წასვლა გაერისკა.

ბრიჯერების ოჯახი სენტ-ლუისიდან ახლოს პატარა ფერმაში დასახლდა. რვა წლის ჯიმისათის დასავლეთისკენ მოგზაურობა ერთ დიდ თავგადასავლად იქცა. ოღროჩოღრო გზები, ნადირობა, რომ ვახშამი ჰქონოდათ, ძილი ღია ცის ქვეშ. ახალ ფერმაში ბიჭს ველ-მინდვრები, ტყეები და ნაკადულები ელოდა – უცნობი ტერიტორიის ორმოცი აკრი. დღემდე ცოცხლად ახსოვდა როგორ მიიყვანა მამა მის მიერ აღმოჩენილ წყაროსთან, როგორ ამაყობდა როცა იქ ფარდული ააშენეს. უფროსი ბრიჯერი სხვა რამესთან ერთად მიწისმზომელიც იყო და ჯიმი ხშირად დაჰყავდა თან, რითაც თავის ვაჟიშვილს ახალი მიწების გამოკვლევის სურვილი კიდევ უფრო გაუღვივა.

ჯიმის ბავშვობა მოულოდნელად დამთავრდა ცამეტი წლის ასაკში, როცა დედა, მამა და უფროსი ძმები ერთი თვის განმავლობაში ციებ-ცხელებისგან გარდაიცვალნენ. ის უმცროს დასთან ერთად დარჩა, და თუმცა გოგონას მოვლა მათმა ხანშიშესულმა დეიდამ აიღო თავის თავზე,

ოჯახი ჯიმის სარჩენი გახდა. მან მებორნესთან დაიწყო მუშაობა.

იმ დროს მისისიპიზე გაცხოველებული მიმოსვლა იყო. სენტ-ლუისში, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა, სამხრეთიდან სამრეწველო საქონელი შემოჰქონდათ. ზემოდან, დინების მიმართულებით ველური დასავლეთიდან ნედლეული მოდიოდა. ბრიჯერს ესმოდა ამბები ახალი ორლეანის და იმის იქით უცხო პორტების შესახებ. ხვდებოდა წვერგაბურძგნულ მენავეებს, რომელთაც თავიანთი კუნთების ძალით და ძლიერი ნებით ნავები დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიჰყავდათ, ესაუბრებოდა პირუტყვის გამრეკებს, რომლებიც საქონელს ლექსინგტონიდან და ტერე ჰოტადან ეზიდებოდნენ. ხედავდა მდინარეზე ნავიგაციის მომავალს – თბომავლებს, კვამლს რომ გამოტყორცნიდნენ და ქშენით მიცურავდნენ დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.

მაგრამ ბიჭის წარმოსახვა მისისიპიზე მეტად მისურით იყო შეპყრობილი. სულ რაღაც ექვს მილში ბორნიდან, რომელზეც ის მუშაობდა, ორი დიდი მდინარე უერთდებოდა ერთმანეთს. მისისიპის ყოველდღიური, მთვლემარე დინება შორეული მიწებიდან მომავალ თავაწყვეტილ ნაკადს ერთვოდა. ეს გახლდათ შერწყმა ძველისა და ახლის, ნაცნობისა და უცნობისა, დასახლებული და უდაბური ადგილებისა. ბრიჯერი ყოველთვის მოუთმენლად ელოდა იმ იშვიათ წამს, როცა ბეწვით მოვაჭრეები და მოგზაურები მსუბუქ, ბრტყელძირიან ნავებს ბორნის ნავმისადგომს მიაბამდნენ, ხანდახან ღამით ბანაკსაც კი გაშლიდნენ და დაიწყებდნენ მოყოლას ველურ ინდიელებზე, გარეულ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხოველებსა და ფრინველებზე, მარადიულ ველებზე, ცამდე აწვდენილ მთებზე.

დასავლეთის მიწებისაკენ ლტოლვა ბრიჯერის გულში სულ უფრო იზრდებოდა, ისე, რომ თვითონაც არ ჰქონდა კარგად გაცნობიერებული. რაღაც მაგნიტური ძალა უხმობდა უცხო მხარეებისკენ, რომელთა შესახებ მხოლოდ გაეგონა, მაგრამ არასოდეს ენახა. და აი, ერთხელ, ბორანზე, ჩავარდნილზურგიან ჯორთან ერთად მქადაგებელი ამოვიდა და ბიჭს ჰკითხა როგორ გგონია, ამ ქვეყნად ღმერთმა რა მისია დაგაკისრაო. „კლდოვან მთებში გამგზავრება“, – უყოყმანოდ უპასუხა ბიჭმა. მქადაგებელს გაუხარდა და მის დარწმუნებას შეეცადა – ძალიან მნიშვნელოვანი მისია იქნება ველურებში რწმენის გავრცელებაო, უთხრა. ბრიჯერს ინდიელების ქრისტიანებად მოქცევის არავითარი ინტერესი არ ჰქონდა, მაგრამ ეს სიტყვები მაინც გონებაში ჩარჩა. დასავლეთი ბიჭს არა მხოლოდ სიახლით იზიდავდა. ბრიჯერს ეჩვენებოდა, რომ შორეულ ველებსა და ველურ მთებში დაკარგული იყო ნაწილი მისი სულისა, რომელსაც ახლა გამოღვიძებოდა და დანარჩენ ნაწილთან შეერთებას ლამობდა.

მომავალზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა, რეალობა კი ბორანზე ყოველდღიური მუშაობა იყო, წინ და უკან, ნაპირიდან ნაპირამდე, უაზრო მოძრაობა დადგენილ მარშრუტზე, რომლიდანაც ერთ მილზე მეტით არასოდეს გადაუხვევია. როგორ არ ჰგავდა ეს იმ ცხოვრებას, რომელზეც ბრიჯერი ოცნებობდა – მას ხომ ხეტიალი და კვლევა ეწადა უცხო მხარეებისა, სადაც ფეხი არასოდეს დაედგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბორანზე მუშაობის ერთი წლის შემდეგ სასოწარ-კვეთილმა ბრიჯერმა სანუკვარი მიზნის მისაღწევად წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა და სენტ-ლუისში მჭედელს შეგირდად დაუდგა. მჭედელი კარგად ექცეოდა და ცოტაოდენ ფულსაც უხდიდა, რომელსაც ჯიმი თავის დებს და დეიდას უგზავნიდა. თუმცა შეგირდობის მთავარი პირობა მკაფიო იყო განსაზღვრული და გადახედვას არ ექვემდებარებოდა: მას ხუთი წელი უნდა ემსახურა.

მართალია ახალმა სამუშაომ ბრიჯერი დასავლეთს ვერ მიაახლოვა, მაგრამ სენტ-ლუისში თითქმის გამუდმებით ამ ველურ მხარეზე ლაპარაკობდნენ და მთელი ხუთი წლის განმავლობაში ბიჭმა ბევრი რამ შეიტყო. როგორც კი სამჭედლოში ცხენზე ნალის დასაჭედებლად ან მახის შესაკეთებლად ვინმე შევიდოდა, ჯიმი სიმორცხვეს ძლევდა და უამრავ შეკითხვას აყრიდა იმის შესახებ, თუ სად იყო ის და რა ნახა. ასე მოუყვნენ მას ჯონ კოლტერზე, რომელმაც რამდენიმე მილი ფეხშიშველმა ირბინა, რომ გამოქცეოდა ას შავფეხას თავიდან სკალპის გადაძრობას რომ უპირებდნენ. ისევე როგორც ყველამ სენტ-ლუისში მანაც იცოდა წარმატებული ვაჭრების ამბები, ისეთების, როგორიც იყვნენ მანუელ ლიზი და ძმები შუტოები. ყველაზე მეტად ბრიჯერს რა თქმა უნდა გმირების ცოცხლად ხილვა აღელვებდა. თვეში ერთხელ, როცა კაპიტანი ენდრიუ ჰენრი ცხენზე ნალის დასაჭედებლად სამჭედლოში შედიოდა, სამუშაოს შესრულებას ჯიმი თავის თავზე იღებდა – იქნებ ორიოდ სიტყვის გაცვლა მაინც მოეხერხებინა სახელგანთქმულ კაპიტანთან. ასეთი ხანმოკლე შეხვედრები ოცნებას სინამდვილესთან აახლოებდა და ბიჭს იმედს უნერგავდა, რომ ოდესღაც მის ნატვრას ახდენა ეწერა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეგირდობის ხუთწლიანი პერიოდი ბრიჯერის მეთვრამეტე დაბადების დღეს – 1822 წლის 17 მარტს დასრულდა. მსახიობების ადგილობრივმა დასმა მარტის იდებისათვის შექსპირის „იულიუს კეისარი“ დადგა. ჯიმი სცენას უყურებდა და თითქმის ნანობდა, რომ ბილეთზე ოცდახუთი ცენტი დახარჯა: უაზროდ გაჭიანურებული პიესა, სულელურ, გრძელ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცები. ის კარგა ხანს დარწმუნებულიც არ იყო, რომ მსახიობები ინგლისურად ლაპარაკობდნენ. მაგრამ თანდათან სპექტაკლმა ჩაითრია და ჯიმმა საზეიმო ფრაზების ხიბლი იგრძნო. მშვენიერი გარეგნობის მსახიობმა მჭექარე ხმით წარმოთქვა:

> კაცთ ბედის ჩარხი ზღვის ტალღების მიმოქცევას ჰგავს:
> თუ ზე ამავალს პირს მოექეც ხომ წარიმატებ.[1]

ბრიჯერი მიხვდა, რომ ამ სიტყვებს სამარადისოდ დაიმახსოვრებდა.

სამი დღის შემდეგ მჭედელმა მას „მისური რეპაბლიკანში“ გამოქვეყნებული განცხადების შესახებ უთხრა. „ფხიან, ყოჩაღ ბიჭებს“ ეძებდნენ. ის ახლა „ზე ამავალ“ ტალღას პირზე უნდა მოქცეოდა.

როცა მომდევნო დილით გაიღვიძა, ბრიჯერმა დაინახა, რომ ფიტცჯერალდი გლასზე გადახრილიყო და დაჭრილის შუბლზე ხელი ედო.

– რას აკეთებ, ფიტცჯერალდ?

– დიდი ხანია ციებ-ცხელება აქვს?

---

[1] უილიამ შექსპირი. „იულიუს კეისარი“. თარგმანი ივანე მაჩაბლისა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრიჯერი გლასს მივარდა და შუბლზე შეეხო. ცხელი და ოფლიანი იყო.

– გუშინ ღამით შევამოწმე და სიცხე არ ჰქონდა.

– ახლა აქვს. სიკვდილის წინ გაოფლიანება იცის. ბოლოს და ბოლოს მიდის საიქიოს ეს ძაღლიშვილი.

ბრიჯერი გაირინდა. არ იცოდა გახარებოდა თუ წყენოდა. გლასს ძაგძაგი დააწყებინა. ფიტცჯერალდი ალბათ მართალი იყო.

– მისმინე, ბიჭო. წასასვლელად უნდა მოვემზადოთ. მე გრანდს ავუყვები დასაზვერავად, შენ კენკრა და ხორცი აიღე და პემიკანი გააკეთე.

– და გლასს რა ვუყოთ?

– გლასს რა უნდა ვუყოთ. შენ რა, აქ ექიმობა მომინდომე? ჩვენ მისთვის არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

– ჩვენ იმის გაკეთება შეგვიძლია რისთვისაც აქ ვართ: მის სიკვდილს უნდა დაველოდოთ და დავკრძალოთ. ასე ვართ შეთანხმებული კაპიტანთან.

– რადგან ასეთი ჭკვიანი ხარ, მაშინ საფლავი ამოთხარე. საკურთხეველის გაკეთებაც არ დაგავიწყდეს. მაგრამ იცოდე, რომ თუ ხორცი მზად არ იქნება, როცა დავბრუნდები, ისე გაგროზგავ გლასზე უარესად გახდები. – ფიტცჯერალდმა შაშხანას ხელი დაავლო და ნაკადულს ქვემოთ გაუჩინარდა.

იქ, სადაც შენაკადი მდინარეში ჩაედინებოდა, წვრილი ნაკადულის მთელ ბრტყელ ქვიან ნაპირზე ფართოდ იშლებოდა და სწრაფ გრანდში მხოლოდ შემდეგ ეშვებოდა. ადრეული სექტემბრის ჩვეულებრივი მზიანი დღე ცხელ შუადღეს უახლოვდებოდა. ფიტცჯერალდმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაზმის გაფანტულ ნაკვალევს დახედა, რომელიც ახლაც, ოთხის დღის შემდეგაც კი, მკაფიოდ ჩანდა. შემდეგ ზევით, დინებას ახედა, სადაც გამხმარი ხის შიშველ ტოტზე არწივი გუშაგივით იჯდა. უცებ ფრინველი რაღაცამ დააფრთხო, ფრთის ორი მოქნევით ჰაერში აფრინდა, ფრთაზე შემოტრიალდა და მდინარის სათავისკენ გაფრინდა.

სადღაც ცხენმა დაიხვიხვინა. ფიტცჯერალდი შებრუნდა. დილის მზე მდინარეში ირეკლებოდა. სინათლის მოცეკვავე ზღვა კაშკაშებდა. მან თვალები დაახამხამა და თვალისმომჭრელი სხივების მიღმა ცხენზე ამხედრებული ინდიელების სილუეტები გაარჩია.

ის მაშინვე მიწაზე განერთხა. „ხომ არ დავუნახივართ?“ ორი სამი მოკლე ამოსუნთქვა და ტანდაბალი ტირიფებისკენ გახოხდა. სადღაც ისევ ცხენი ახვიხვინდა, მაგრამ ამას ჩლიქების ბაკუნი არ მოჰყოლია. ფიტცჯერალდმა შაშხანა და პისტოლეტი შეამოწმა – ორივე დატენილი იყო. მგლის ტყავის ქუდი მოიხადა და თავი ასწია. შეეცადა ტირიფების ტოტებს მიღმა რაღაც გაერჩია.

დაახლოებით ორას იარდში გრანდის იქით ნაპირზე ხუთი ინდიელი დაინახა. ოთხ მათგანს ნახევარწრე გაეკეთებინა მეხუთეს გარშემო, რომელიც მათრახით ცემდა გაჯიუტებულ ამლაკს. დანარჩენებს ეტყობოდათ მათ წინ გადაშლილი სცენა ძალიან ართობდათ. ორი მათგანი იცინოდა.

ერთ-ერთ ინდიელს თავზე არწივის ფრთების ქუდი ეხურა. ორასი იარდიდანაც კი ფიტცჯერალდმა მკერდზე დათვის ეშვების ყელსაბამი და ნაწნავზე შემოხვეული წავის ტყავი გაარჩია. სამ ინდიელს ხელში თოფი ეჭირა, დანარჩენ ორს – მშვილდ-ისარი. არც კაცებს და არც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხენებს ტანზე საომარი მოხატულობა არ ჰქონდათ, ფიტცჯერალდი მიხვდა, რომ ისინი მონადირეები იყვნენ. თუმცა რომელ ტომს ეკუთვნოდნენ ვერ გამოიცნო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა – ყველა ადგილობრივი ინდიელი ტრაპერებს მტრებად მიიჩნევდა. მან თვალით გაზომა – მათი ტყვია არ მოწვდებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ცოტა მოახლოებოდნენ და ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა. ერთი ტყვია შაშხანაში, ერთი – პისტოლეტში. შაშხანის კიდევ ერთხელ დატენას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოასწრებდა, თუ მათ მდინარე შეაფერხებდა. სამი გასროლა ხუთ სამიზნეზე. ასეთი თანაფარდობა არ მოეწონა.

ფიტცჯერალდი მუცელზე ხოხვით გაცოცდა ნაკადულის ახლოს ყველაზე მაღალი ტირიფების საფარველის ქვეშ. რაზმის კვალს მიყვებოდა და წყევლიდა ნაფეხურებს, რომლებიც აშკარად მიანიშნებდა მათ ადგილსამყოფელს. როცა უფრო ხშირ ტირიფნარს მიაღწია, უკან მოიხედა: ინდიელები ისევ ჯიუტი ამლაკით იყვნენ დაკავებული. მაგრამ მდინარის და ნაკადულის შერწყმის ადგილას ისინი წუთი წუთზე მივიდოდნენ, ნაკადულს დაინახავდნენ, და, რაც მთავარია, მერე კვალს შეამჩნევდნენ, ამ დაწყევლილ კვალს, რომელიც მდელოსკენ ისე მიანიშნებდა, როგორც გაშვერილი თითი.

ფიტცჯერალდი ტირიფებიდან ფიჭვებისკენ გახოხდა და მონადირეებს კიდევ ერთხელ გახედა. გაჯიუტებული ცხენი ბოლოს და ბოლოს დაემორჩილებინათ და ახლა ხუთივე ინდიელი დინებას ზედა მიმართულებით მიუყვებოდა. საჭირო იყო წასვლა და რაც შეიძლებოდა სწრა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფად. ნაკადულის გასწვრივ, პირდაპირი გზით ბანაკისკენ გაიქცა.

– ხუთი ინდიელი გრანდს მოუყვება ზემოთ, – მიუგდო მან ბრიჯერს, რომელიც ირმის ხორცს ქვაზე ბეგვავდა და ფაცი-ფუცით თავისი ნივთების ტომარაში ჩაყრა დაიწყო. უცებ თავი ზემოთ ასწია. მის თვალებში დაძაბულობა და შიში მრისხანებამ შეცვალა.

– გაინძერი, ბიჭო. საცაა თავს დაგვესხმებიან.

ბრიჯერმა ხორცი ჩანთაში ჩაჩურთა, ტომარა და ჩანთა ზურგზე მოიგდო და დაიხარა, რათა აეღო შაშხანა, რომელიც ხეზე იყო მიყრდნობილი გლასის ანშტადტის გვერდით. გლასი! მხოლოდ ახლა გაიაზრა გაქცევა რას ნიშნავდა. თითქოს სილა გააწნეს. ერთბაშად შეფხიზ-ლებულმა დაჭრილს დახედა.

პირველად, ამ დილით, გლასს თვალები გაეხილა. ჯერ არაფრისმთქმელი მზერა ჰქონდა, როგორც ღრმა ძილიდან გამორკვეულს, მაგრამ თვალები თანდათან სულ უფრო აზრიანი უხდებოდა და უცებ ბრიჯერმა გააცნობიერა, რომ გლასი მასზე არანაკლებ ხვდებოდა რას ნიშნავდა მდინარეზე ინდიელების ყოფნა.

დაძაბულობისგან სხეულის ყველა ნერვი უკრთოდა, თუმცა გლასის თვალებში არაამქვეყნიურ სიმშვიდეს ხედავდა. რა იყო ეს? გაგება? პატიება? თუ ბრიჯერს სურდა ასე ყოფილიყო? დაჭრილს უყურებდა. დანაშაულის გრძნობამ მთელი მისი არსება მოიცვა. ნეტავ რას ფიქრობს გლასი ახლა? კაპიტანი რას იტყვის?

– დარწმუნებული ხარ, რომ აქეთ მოდიან? – გაბზა-რული ხმით იკითხა მან. საკუთარი თავი სძულდა იმის

გამო, რომ გადამწყვეტ მომენტში ასეთ სისუსტეს და სულმოკლეობას იჩენდა.

– გინდა დარჩე და შეამოწმო? – ფიტცჯერალდი ცეცხლთან მივარდა და საშრობი ცხაურიდან ხორცის დარჩენილი ნაჭრები აიღო.

ბრიჯერმა გლასს შეხედა. დაჭრილი გამომშრალ ტუჩებს არხევდა, ცდილობდა ყელიდან რაღაც სიტყვები ამოეთქვა.

– რაღაცის თქმა უნდა.

ბიჭი მუხლებზე დაეშვა, შეეცადა გაეგო დაჭრილი რას ითხოვდა. გლასმა ხელი ნელა ასწია და აკანკალებული თითი თავისი ანშტადტისკენ გაიშვირა.

– შაშხანა! თავის შაშხანას ითხოვს!

ბრიჯერს ზურგში რაღაც ძლიერად მოხვდა და ის სახით მიწაზე დაემხო. შეეცადა მუხლებზე და ხელებზე წამოწეულიყო და ფიტცჯერალდს ახედა – მისი სახის მრისხანე ნაკვთები თითქოს მგლის ტყავის ქუდის მკვეთრად გამოშვერილ კიდეებს უცნაურად ერწყმოდა.

– გაინძერი, შე ძაღლიშვილო.

ბრიჯერი ფეხზე გაჭირვებით წამოდგა. გაოგნებული, თვალებგაფართოებული უყურებდა ფიტცჯერალდს, რომელიც გლასთან მივიდა და მისი ნივთები დაათვალიერა: მონადირის ჩანთა, დანა მძივებით მორთულ ქარქაშში, პატარა ნაჯახი, შაშხანა და თოფისწამლის რქა.

ფიტცჯერალდი გლასის ჩანთის ასაღებად დაიხარა, შიგნით ხელი მოაფათურა, ტალკვესი ამოიღო და ტყავის ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო. თოფისწამლიანი რქა მხარზე ჩამოიკიდა, პატარა ნაჯახი კი ტყავის ფართო ქამრის შიგნით ჩაიდო. ბრიჯერი გაოცებული მიშტერებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რას აკეთებ?

ფიტცჯერალდი ისევ დაიხარა, გლასის დანა აიღო და ჯიმს ესროლა.

– დაიჭირე.

ბიჭმა დანა ჰაერში დაიჭირა და ქარქაშს შეძრწუნებულმა დახედა.

მხოლოდ შაშხანა რჩებოდა. ფიტცჯერალდმა ის აიღო და შეამოწმა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად დატენილი იყო.

– ნუ გაგვიბრაზდები, გლას, ძველო, შენ ის აღარაფერში გამოგადგება.

ბრიჯერი თავზარდაცემული იდგა.

– ასე უპირებ მიტოვებას? უიარაღოდ?

მგლის ტყავის ქუდიანმა კაცმა მას ერთი გახედა მხოლოდ, შებრუნდა და ხეებში გაუჩინარდა.

ბრიჯერმა ისევ დანას შეხედა, შემდეგ გლასს, რომელიც დაჟინებით მისჩერებოდა, გაღვივებული ნაკვერჩხალივით მწველმა მზერამ თითქოს სხეული დაუწვა. პარალიზებული იდგა, მასში ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები ებრძოდა ერთმანეთს, ცდილობდნენ ეკარნახათ მისთვის როგორ მოქცეულიყო, სანამ ბოლოს ერთმა გრძნობამ არ იმძლავრა – დაუძლეველი, ყოვლისმომცველი შიში დაეუფლა.

ის მკვეთრად შებრუნდა და ტყისკენ გაიქცა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 7

2 სექტემბერი, 1823. ღიღა

დღე იყო. განძრევის გარეშე გლასს მხოლოდ ამის მიხვედრა შეეძლო. სხვა მხრივ დროზე წარმოდგენა არ ჰქონდა. იქვე იწვა, სადაც გუშინ დავარდა. გამძვინვარებულმა მხოლოდ მდელოს კიდემდე შეძლო მიღწევა. ციებ-ცხელებამ იქ შეაჩერა.

დათვმა გლასის სხეული გარედან დაგლიჯა, ახლა ამას ციებ-ცხელება შიგნიდან აკეთებდა. გატანჯული და გამოცარიელებული კანკალს ვერ იკავებდა და მხოლოდ იმაზე ოცნებობდა გამთბარიყო, მაგრამ კვამლი არსაიდან ამოდიოდა. ბანაკის ყველა ცეცხლი ჩამქრალიყო. უცეცხლოდ კი სითბო არ არის.

გლასი ანგარიშობდა შეძლებდა თუ ვერა მიღწევას დახეულ საბნამდე, რომელიც ძველ ადგილას ეგდო. შეეცადა ძალა მოეკრიბა. სხეული თითქოს გამოეხმაურა. მოძრაობის რაღაც შორეული, სუსტი ექო.

მოძრაობის მცდელობამ მკერდში რაღაც გაუღიზიანა. მოიკუნტა, რომ არ დაეხველებინა, მაგრამ წინა მცდელობებისგან გატანჯული კუნთები არ დაემორჩილა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხველების შეკავება ველარ შეძლო. ტკივილისგან დაიმანჭა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა თითქოს ყელიდან შინაგან ორგანოებს თევზსაჭერი ანკესით ულებდნენ.

როცა დახველებისგან გამოწვეული ტკივილი დაუცხრა, მისი ფიქრები ისევ საბანს დაუბრუნდა.

საჭირო იყო გამთბარიყო, სხვანაირად ვერ გადარჩებოდა. ძალების მოკრება დასჭირდა, რომ თავი აეწია. საბანი დაახლოებით ოც ფუტში იდო. გვერდიდან მუცელზე გადაბრუნდა, მარცხენა ხელი წინ გასწია, მარცხენა ფეხი მოღუნა, ფეხისგულით მიწას დააწვა და სწრაფად გამართა. ასე მიცოცავდა მდელოზე ჯანმრთელი ხელით და ჯანმრთელი ფეხით. ოცი ფუტი ისე გაიწელა თითქოს ოცი მილი ყოფილიყოს. სამჯერ შეჩერდა დასასვენებლად. თითოეული ამოსუნთქვა ყელს ულიზიანებდა, გულის ყოველ ძგერას ზურგზე ჭრილობები ყრუ ტკივილით ეხმაურებოდა. როცა ბოლოს და ბოლოს სანუკვარ მიზნამდე მიაღწია, მძიმე, სქელ შალში გაეხვია და მხოლოდ მაშინ მისცა თავს უფლება სხეული მოედუნებინა. და ისევ გონება დაკარგა.

მთელი დილის განმავლობაში გლასის სხეული ბორგავდა, გონს მოდიოდა, მერე ისევ ითიშებოდა, ხან კი თითქოს სადღაც ამ ორ მდგომარეობას შორის იმყოფებოდა. გარემოს ისე აღიქვამდა, როგორც დახეულ სურათს, ნაკუწებად ქცეულს, იმდენად, რომ მათ შორის კავშირის დამყარება შეუძლებელი იყო. გრძნობაზე მოსვლისას მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობდა – ჩაძინებოდა და ტკივილებისგან გათავისუფლებულიყო, მაგრამ თან შიში ღრღნიდა – ვაითუ აღარ გაღვიძებოდა. ნუთუ სიკვდილი ასე მოვიდოდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გლასს წარმოდგენა არ ჰქონდა რამდენი ხნის განმავლობაში იწვა ასე, როცა გველი გამოჩნდა. ის ტყიდან ღია სივრცეში გამოსრიალდა, მდელოს კიდესთან შეჩერდა, ენა გამოჰყო და ჰაერში გაასავსავა. თავდაჯერებული, საშიში მტაცებელი ნადავლის ძიებაში. გლასი ძრწოლით მისჩერებოდა. გველი წინ გაცურდა. ზანტი გრაციოზული მოძრაობა ერთბაშად მკვეთრად აჩქარდა. პირდაპირ გლასისკენ მისრიალებდა. გლასს უნდოდა გვერდზე გადაბრუნებულიყო, მაგრამ გველი თითქოს მის ნებას იმორჩილებდა. გაახსენდა ოდესღაც გაგონილი – როცა გველს დაინახავ არ უნდა გაინძრე. იგი ჰიპნოზისგან გაირინდა. გველი ახლოს მიცოცდა და რამდენიმე ფუტში შეჩერდა მის სახესთან. გლასი თვალებში უყურებდა, ცდილობდა მისთვის მიებაძა და თვალები არ დაეხამხამებინა. მაგრამ ღირსეული მეტოქე ვერ გამოდგა. გველის შავი თვალები სიკვდილივით უმოწყალო იყო. მონუსხული მისჩერებოდა ნელ-ნელა მორგვად როგორ იკვრებოდა, რომ თავდასხმისთვის მომზადებულიყო. ენას დროდადრო გარეთ ჰყოფდა, სინჯავდა, ამოწმებდა. მორგვის შუიდან კუდმა, როგორც მეტრონომმა, წინ და უკან რხევა დაიწყო. პირველი თავდასხმა ისე სწრაფად მოხდა, რომ გლასმა უკან გაწევაც ვერ მოასწრო. შეძრწუნებული უყურებდა გველის წამოყელყელავებულ თავს. შხამიანი კბილები იდაყვს ქვემოთ, ხელში ჩაესო. ტკივილისგან წამოიყვირა როცა შხამმა მთელ სხეულში დაუარა და შეეცადა თავდამსხმელი მოეშორებინა, მაგრამ კბილები მაგრად ჰქონდა ჩაჭიდებული. გველის სხეული გაქნეულ ხელს თან გაჰყვა. ერთბაშად მოჭერა შესუსტდა, გველი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი სხეულით მიწას დაენარცხა, მაგრამ მაშინვე მორგვად შეიკრა და ისევ თავს დაესხა. გლასმა ამჯერად დაყვირება ვერ შეძლო – გველის შხამიანი კბილები ყელში ჰქონდა ჩასობილი.

როცა თვალები გაახილა. მზე ზენიტში იყო. სხივები პირდაპირ მდელოს დანათოდნენ. ფრთხილად გადაბრუნდა გვერდზე რომ მზის ელვარება აერიდებინა და რამდენიმე ნაბიჯში მთელ თავის სიგრძეზე – ექვს ფუტზე გაწოლილი ჩხრიალა გველი დაინახა. ერთი საათის წინ ამერიკული ბოცვერი გადაყლაპა და ახლა მისი სხეული დიდი ბელტით იყო დამახინჯებული – ბოცვერი ნელა მიიწევდა ქვემოთ საჭმლის მომნელებელი სისტემისაკენ.

შეშინებულმა გლასმა ხელზე დაიხედა – ნაკბენის კვალი არ ჩანდა.

თითებით ყელი მოისინჯა – თითქმის ელოდა, რომ ზედ მიკრული გველი დახვდებოდა. არაფერი მსგავსი. შვება მოჰგვარა იმის გაცნობიერებამ, რომ ქვეწარმავალი, ყოველ შემთხვევაში მისი ნაკბენი, ღამის შემაძრწუნებელი კოშმარი, მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფი ყოფილა. ისევ გახედა გველს, რომლის სხეული ნადავლის გადამუშავებით იყო დაკავებული.

ხელი ყელიდან სახეზე გადაიტანა. კანი ოფლის მარილიანი წვეთებით სქლად ჰქონდა დაფარული, მაგრამ აღარ უხურდა. ციებ-ცხელებას გაევლო. წყალი წყუროდა. სხეული სითხეს ითხოვდა. რის ვაივაგლახით წყარომდე მიცოცდა. დაგლეჯილი ყელი წყლის მხოლოდ უმცირეს ყლუპებს იღებდა და ისიც ტკივილს აყენებდა, მაგრამ ყინულივით ცივი თითოეული წვეთი ამხნევებდა, ძალას აძლევდა და სხეულს შიგნიდან უწმენდდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

.....

ჰიუ გლასის არაჩვეულებრივი ცხოვრება სრულიად ჩვეულებრივად დაიწყო. ის ფილადელფიელი კალატოზის, ინგლისელი უილიამ გლასისა და მისი ცოლის – ვიქტორიას პირმშო იყო. ფილადელფია საუკუნეების გასაყარზე ძალიან სწრაფად იზრდებოდა და კალატოზებს სამუშაო არ აკლდათ. და თუმცა უილიამ გლასს ფული თავსაყრელად არასოდეს ჰქონია, თავის ხუთ შვილს არაფერს აკლებდა. მშენებლის გამოცდილმა თვალმა მას უკარნახა, რომ ბავშვების მომავალი კეთილდღეობისათვის საიმედო ფუნდამენტის ჩაყრა იყო საჭირო და ცხოვრების მთავარ მიზნად მათთვის კარგი განათლების მიცემა დაისახა.

სანაოსნო კომპანიას „როსტორნი და ვაჟიშვილები“ ოფისი იმავე ქუჩაზე ჰქონდა, რომელზეც გლასების ოჯახი ცხოვრობდა. მათი შენობის ფოიეში უზარმაზარი გლობუსი იდგა, ერთ-ერთი არცთუ მრავალს შორის ფილადელფიაში. და ყოველდღე, როცა სკოლიდან სახლში მიდიოდა, ჰიუ ოფისში შეივლიდა ხოლმე და გლობუსს ღერძის გარშემო დაატრიალებდა, თითებით ოკეანეებს და ზღვებს ეხებოდა. კედელზე გაკრული ფერადი რუკები სანაოსნო გზებს აჩვენებდნენ – წვრილი ხაზები უზარმაზარ ოკეანეებს სეერავდა, ფილადელფიას მსოფლიოს უდიდეს პორტებთან აერთებდა. ჰიუ უყურებდა მათ და წარმოიდგენდა ქალაქებს და ადამიანებს ამ მარშრუტებზე – ბოსტონიდან ბარსელონამდე, სტამბულიდან ჩინეთამდე.

უილიამი შეეცადა შვილის გატაცებისთვის პრაქტიკული გამოყენება მოეძებნა და შესთავაზა მას კარტოგრაფია შეესწავლა. მაგრამ ერთ ადგილას ჯდომა და რუკების ხატვა ბიჭს მოსაწყენ საქმიანობად ეჩვენებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მას სივრცეების აბსტრაქტული ასახვა კი არ იზიდავდა, არამედ თვითონ მიწები და ზღვები და ყველაზე მეტად დიდი თეთრი ლაქები წარწერით "terra incognita".[1] იმ დროის კარტოგრაფები უცნობ ადგილებს ზღაპრული მხეცებით და არნახული ურჩხულებით ასახლებდნენ. ჰიუ თავს იმტვრევდა ასეთი ცხოველები მართლა არსებობს თუ რუკის შემდგენლები იგონებენო. „არავინ იცის" – უთხრა მამამ, იმ განზრახვით, რომ ბიჭს შეშინებოდა და მოგზაურობის სურვილი დაკარგვოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ცამეტი წლის ასაკში ჰიუმ განაცხადა, რომ სურდა გემის კაპიტანი გამოსულიყო.

1802 წელს მას თექვსმეტი წელი შეუსრულდა და უილიამი, რომელსაც ეშინოდა მისი ვაჟი სახლიდან არ გაქცეულიყო, დაჰყვა შვილის ნებას და ერთ ნაცნობ ჰოლანდიელს, ფრეგატის კაპიტანს, რომელიც „როსტორ-ნი და ვაჟიშვილების" კომპანიაში მუშაობდა, თხოვნით მიმართა ჰიუ გემზე იუნგად აეყვანა. კაპიტანმა, უშვილო იოზიას ვან აარტზენმა, ჰიუზე პასუხისმგებლობა მთელი სერიოზულობით აიღო და მთელი ათი წლის განმავლობაში სიკვდილამდე, 1812 წლამდე მას საზღვაოსნო საქმეში წვრთნიდა. ჰიუმ ამ პერიოდში ყველა საფეხური გაიარა და იუნგი კაპიტნის თანაშემწე გახდა.

ინგლის-ამერიკის 1812 წლის ომმა დიდ ბრიტანეთთან ტრადიციული ვაჭრობა შეაჩერა და ოფისი სახიფათო, მაგრამ მომგებიან საქმეზე – კონტრაბანდაზე გადავიდა. მთელი ომის განმავლობაში, 1815 წლამდე, ჰიუს თავისი

---

[1] უცნობი მიწები, შეუსწავლელი, გამოუკვლეველი ადგილები. რაღაც შეუცნობელი ან მიუწვდომელი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწრაფი ფრეგატით კარიბის ზღვიდან ამერიკის პორტებში, სადაც ომი მძვინვარებდა, რომი და შაქარი გადაჰქონდა და ცდილობდა ეს ისე გაეკეთებინა ბრიტანეთის სამხედრო გემებს თვალში არ მოხვედროდა. ომის დამთავრების შემდეგ „როსტორნი და ვაჟიშვილების“ ოფისმა კარიბის ბიზნესი შეინარჩუნა და ჰიუ პატარა სატვირთო გემის კაპიტნად დანიშნა.

იმ ზაფხულს, როცა ოცდათერთმეტი წელი შეუსრულდა, ჰიუ გლასმა, ცხრამეტი წლის ელიზაბეტ ვან აარტზენი, მისი აღმზრდელი კაპიტნის დისშვილი, პირველად იხილა. ოთხ ივლისს „როსტორნმა და ვაჟიშვილებმა“ დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა – ცეკვებით და კუბური რომით. წყვილებად არ ცეკვავდნენ და საუბრის გაბმის საშუალება არ იყო, მაგრამ ჰიუმ ელიზაბეტთან რამდენიმე მოკლე, გულში ჩამწვდომი ფრაზის გაცვლა მაინც მოახერხა. არაჩვეულებრივმა, თავდაჯერებულმა, ძლიერმა ელიზაბეტმა მთელი მისი არსება დაიპყრო.

მომდევნო დღეს ქალს შინ ეწვია და მერეც ყოველთვის სტუმრობდა ხოლმე, როცა ფილადელფიაში ღუზას ჩაუშვებდნენ. ელიზაბეტს კარგი განათლება ჰქონდა მიღებული, ბევრი ემოგზაურა, ბევრი რამ იცოდა შორს მცხოვრები ხალხისა და ადგილების შესახებ. მოკლე ფრაზებითაც კარგად აგებინებდნენ ერთმანეთს, თითოეულს შეეძლო მეორის აზრები დაესრულებინა. ადვილად ეცინებოდათ ერთმანეთის მოყოლილ ამბებზე. მალე ფილადელფიის გარდა ნებისმიერ ადგილზე ყოფნა გლასისთვის ტანჯვად იქცა. დილის მზის ყოველი სხივი ელიზაბეტის ნათელ მზერას აგონებდა, იალქნის ტილოზე არეკლილი მთვარის შუქი – მის ფერმკრთალ სახეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

1818 წლის მაისის ერთ მზიან დილას გლასი ფილადელფიაში დაბრუნდა. მუნდირის მკერდის ჯიბეში ხავერდის მინიატურული ფუტლარი ედო ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებული მოელვარე მარგალიტით. ის ელიზაბეტს მიართვა საჩუქრად და ცოლობა სთხოვა. ქორწილი ზაფხულისთვის დანიშნეს.

ერთი კვირის შემდეგ გლასი კუბაში ჩავიდა. ჰავანას პორტში დიდხანს მოუხდა ყურყუტი. იძულებული იყო ასობით ბარელი რომის დაგვიანებით ჩაბარებასთან დაკავშირებული დავის შესახებ გადაწყვეტილებას დალოდებოდა. ერთი თვის შემდეგ ჰავანაში „როსტორნი და კომპანიის“ კიდევ ერთი გემი შევიდა. გლასს დედის წერილი გადასცეს, რომლითაც დედა მას მამის სიკვდილის ამბავს ატყობინებდა და სთხოვდა ფილადელფიაში სასწრაფოდ დაბრუნებულიყო.

ჰიუმ იცოდა, რომ რომთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტას შეიძლებოდა თვეები დასჭირვებოდა. ამასობაში მას შეეძლო ფილადელფიაში ჩასულიყო, მამის მემკვიდრეობის საკითხი მოეგვარებინა და კუბაში დაბრუნება მოესწრო. და თუ ჰავანაში იურიდიული პროცესი უფრო ადრე დასრულდებოდა, უფროსი თანაშემწე გემს ფილადელფიაში მის გარეშეც ჩაიყვანდა. გლასმა ადგილი დაჯავშნა ესპანეთის სავაჭრო გემზე – „ბონიტა მორენა“, რომელიც რამდენიმე დღეში ბალტიმორში მიემგზავრებოდა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესპანელთა სავაჭრო გემს არ ეწერა, ფორტ მაკჰენრის გაცდენოდა, გლასს კი ფილადელფია ენახა. ჰავანიდან გაცურვის მეორე დღეს ჰორიზონტზე გამოჩნდა გემი, რომელზეც დროშა არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო აღმართული. „ბონიტა მორენას“ კაპიტანი შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ მეკობრეების ხომალდი მათ გემზე გაცილებით სწრაფი აღმოჩნდა. როცა მოუახლოვდნენ მეკობრეებმა მსხვილი საფანტით ხუთი ზარბაზნიდან ესროლეს. გემბანზე ხუთი მეზღვაური დაიღუპა. კაპიტანმა იალქნები ჩამოაშვებინა. ფიქრობდა, რომ დანებება საქონლის განაწილებით დამთავრდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. „ბონიტა მორენაზე“ ოცი მეკობრე გადმოხტა. მათი ბელადი, ოქროსკბილიანი და ოქროსძეწკვიანი მულატი მიუახლოვდა კაპიტანს, რომელიც კვარტერდეკზე იდგა, ქამარში გაჩრილი პისტოლეტი ამოიღო და მას თავში ტყვია დაახალა.

თავზარდაცემული ეკიპაჟი და მგზავრები თავიანთი ბედის გადაწყვეტის მოლოდინში გაირინდნენ. ჰიუ გლასიც მათ შორის იდგა და მეკობრეებს და მათ გემს თვალს არ აცილებდა. კრეოლის, ინგლისურის და ფრანგულის უთავბოლო ნარევის რამდენიმე ყურმოკრული ფრაზით მან სწორად ივარაუდა, რომ ისინი ბარატარიანელები უნდა ყოფილიყვნენ, ქვეითი ჯარის, რომელსაც მეკობრე ჟან ლაფიტი მეთაურობდა.

ლაფიტი კარიბის ზღვაში ინგლის-ამერიკის ომამდე, 1812 წლამდე მძვინვარებდა. ძირითადად ბრიტანეთის ხომალდებს ესხმოდა თავს, ამიტომ ამერიკელები ყურადღებას არ აქცევდნენ. 1814 წელს მისი სიძულვილი ინგლისელების მიმართ კანონიერად იქნა გამოყენებული: გენერალ მაიორმა სერ ედვარდ პაკენჰემმა ვატერლოოს ბრძოლის ექვსი ათასი ვეტერანით ახალ ორლეანს ალყა შემოარტყა. გენერალი ენდრიუ ჯექსონი, რომელიც ამერიკის ჯარს ხელმძღვანელობდა, რიცხობრივად ხუთჯერ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეტი მტრის პირისპირ აღმოჩნდა. და როცა ლაფიტმა თავისი სამსახური შესთავაზა, ჯექსონს მისთვის სარეკომენდაციო წერილები არ მოუთხოვია. ლაფიტმა და მისმა პირატებმა ინგლისელთა წინააღმდეგ მედგრად იბრძოლეს, ამერიკელების გამარჯვების შემდეგ კი, ლაფიტის ადრინდელი დანაშაულების პატიების შესახებ შუამდგომლობა აღიძრა და პრეზიდენტმა ის დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა.

ლაფიტს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მისი ადრინდელი საქმიანობისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ ასეთი მაღალი რანგის მფარველის დაკარგვაც არ უნდოდა. მექსიკა ესპანეთს ებრძოდა. გალვესტონის კუნძულზე ლაფიტმა დასახლება დააარსა, რომელსაც „კამპეჩე“ დაარქვა და ქალაქ მეხიკოს თავისი სამსახური შესთავაზა. მექსიკელებმა ლაფიტს პატენტი მისცეს და მისი ფლოტი, ჯერჯერობით მცირერიცხოვანი, ესპანურ გემებზე თავდასხმის უფლებამოსილებით აღჭურვეს. სამაგიეროდ ესპანელების ძარცვასაც არ დაუშლიდნენ.

ახლა გლასის თვალწინ ამ ბრუტალური ხელშეკრულების პრაქტიკული განხორციელება ხდებოდა. ორი მეზღვაური, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილ კაპიტანს დასახმარებლად მივარდა, ადგილზე დახვრიტეს. ბორტზე მყოფი ყველა ქალი (მათ შორის ხანშიშესული ქვრივი) კატერზე გადაიყვანეს, სადაც მათ ავხორცი ეკიპაჟი უხამსი შეძახილებით დახვდა. ბანდიტების ნაწილი ტრიუმში ჩავიდა ტვირთის დასათვალიერებლად, დანარჩენებმა კი ეკიპაჟის და მგზავრების დახარისხება დაიწყეს. ორი მოხუცი და ერთი მსუქანი ბანკირი ზღვაში გადააგდეს, მას შემდეგ რაც ყველაფერი ღირებული წაართვეს.

მულატი ფრანგულადაც ლაპარაკობდა და ესპანურადაც. მან ეკიპაჟის წევრ ტყვეებს არჩევანი მისცა: ვისაც სურდა, შეეძლო ესპანეთზე უარი ეთქვა და ჟან ლაფიტის სამსახურში ჩამდგარიყო, დანარჩენები კი კაპიტნის ბედს გაიზიარებდნენ. მეზღვაურებმა, სულ თორმეტმა კაცმა, ლაფიტის სამსახური აირჩიეს. ექვსი მათგანი კატერზე გადაიყვანეს დანარჩენები კი „ბონიტა მორენაზე" მყოფ მეკობრეებს შეუერთდნენ.

თუმცა გლასმა ესპანური საერთოდ არ იცოდა, ის მულატის ულტიმატუმის შინაარსს ჩაწვდა. როცა მულატი მას პისტოლეტით ხელში მიუახლოვდა, ჰიუმ საკუთარ თავზე მიანიშნა და ფრანგულად ერთი სიტყვა თქვა: Marin – მეზღვაური.

მულატმა ის შემფასებელი მზერით შეათვალიერა და ტუჩის კუთხეებში კმაყოფილი ღიმილი გამოეხატა:

– Ah bon? Okay monsieur, le marin, hissez le foc.[1] – აუშვით აფრები!

გლასმა გონების კუნჭულები მოიჩხრიკა. თავისი უბადრუკი ფრანგულით დაძაბული ცდილობდა ნათქვამის აზრს ჩაწვდომოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა "hizzes le foc" რას ნიშნავდა, თუმცა იმას კი ნათლად მიხვდა, რომ მულატის ტესტის გავლაზე მისი სიცოცხლე იყო დამოკიდებული. ივარაუდა რომ მულატი ცდილობდა შეემოწმებინა ის მართლა მეზღვაური იყო თუ არა. თავდაჯერებული ნაბიჯებით გემის ცხვირთან მივიდა და კლივერის დაყენება დაიწყო რათა გემი ადგილიდან დაძრულიყო.

---

[1] (ფრანგ.) მართლა? კარგი, ბატონო. მეზღვაურო, აღმართეთ კლივერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– Bien fait, monsieur le marin.[1] – თავი დაუქნია მულატმა.

1819 წლის აგვისტო იდგა.

ჰიუ გლასი მეკობრე გახდა.

გლასმა ისევ ხეებს შორის გასასვლელისკენ გაიხედა, სადაც ფიტცჯერალდი და ბრიჯერი გაუჩინარდნენ. სიმწრისაგან კბილები ერთმანეთზე დააჭირა. როგორც იმ დღეს, ახლაც უნდოდა გამოდევნებოდა მათ და დასწეოდა, მაგრამ იცოდა, რომ საამისოდ ძალა არ შესწევდა.. დათვთან შეხვედრის შემდეგ პირველად იყო რომ ნათლად აზროვნებდა, მაგრამ გონების სიცხადესთან ერთად სიტუაციის შეფასების მშფოთვარე აუცილებლობაც გაჩნდა.

გულის ფანცქალით შეეცადა გაეგო რამდენად მძიმედ იყო დაჭრილი და მარცხენა ხელით თავზე იარები მოისინჯა, სკალპის კიდეებს შეეხო. უკვე ნანახი ჰქონდა თავისი სახის მღვრიე ანარეკლი, როცა წყაროზე წყლის დასალევად დაიხარა და იცოდა, რომ დათვმა სკალპელი თავიდან თითქმის გადააძრო. და თუმცა თავმომწონე კაცი არასოდეს ყოფილა და თავისი გარეგნობა ყოველთვის ნაკლებად აღელვებდა, ახლა თავისი სახე სრულიად უცხოდ მოეჩვენა. თუ ცოცხალი გადარჩებოდა ასეთი ნაიარევები მონადირეებს მის მიმართ პატივისცემის გრძნობას აღუძრავდა.

ყველაზე მეტად ყელი აწუხებდა. გარდა წყაროს წყალში ბუნდოვანი ანარეკლისა, ჭრილობების დანახვა არ შეეძლო და მათ თითებით ფრთხილად ისინჯავდა მხოლოდ. ბრიჯერის დადებული საფენი ჯერ კიდევ წინა

---

[1] (ფრანგ.) კარგი, ბატონო მეზღვაურო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დღით აძვრა, როცა ცდილობდა წყარომდე მიცოცებულიყო. ნაკერებს შეეხო და კაპიტან ჰენრის საექიმო ხელოვნება დაუფასა. ბუნდოვნად ახსოვდა მის სახეზე დახრილი კაპიტნის სახე, დათვთან ორთაბრძოლის შემდეგ, თუმცა დეტალები, ისევე, როგორც მომხდარის თანმიმდევრობა, გონების სიღრმეში ღრმად იყო ჩაკარგული.

როცა კისერს დახრიდა ხედავდა ბრჭყალების ნაკვალევს ბეჭიდან ყელამდე რომ აღწევდა და ღრმა ღარებს, მკერდსა და იდაყვს ზემოთ. ფიჭვის ფისმა, რომელიც ბრიჯერმა კანზე წაუსვა, ჭრილობებს პირი შეუკრა. ის შედარებით ჯანმრთელად გამოიყურებოდა, მაგრამ კუნთები ისე სტკიოდა, რომ მარჯვენა ხელის ზემოთ აწევას ვერ ახერხებდა. ფიჭვის ფისმა ბრიჯერი მოაგონა. გაახსენდა როგორ ზრუნავდა ბიჭი მის ჭრილობებზე, მაგრამ თვალწინ მაინც სხვა სურათი ედგა – ბრიჯერი მდელოს კიდეში იდგა, მისგან მოპარული დანა ხელში ეჭირა და მზად იყო ტყისკენ გაქცეულიყო.

გლასმა ჩხრიალა გველს კიდევ ერთხელ გახედა. რას არ მისცემდა, რომ თავისი დანა ახლა თან ჰქონოდა. გველი ხომ ცოცხალი იყო და ადრე თუ გვიან მისკენ დაიძვრებოდა. შეეცადა ფიტცჯერალდზე და ბრიჯერზე ფიქრი თავიდან მოეშორებინა. ახლა ამის დრო არ იყო.

ჭრილობების დათვალიერება განაგრძო. მარჯვენა ბარძაყზე ბრჭყალების ღრმა ნაჭდევები, რომელზეც ბრიჯერმა ფისი მოუსვა, ასევე შუშდებოდა, თუმცა ფეხის გამართვა ვერ შეძლო და შეეცადა სხეულის სიმძიმე თანდათან გვერდზე გადაეტანა და შემდეგ ფეხს დაყრდნობოდა. მტანჯველი ტკივილი იგრძნო. არა, ფეხი დატვირთვას ვერ გაუძლებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს მარცხენა ხელით ზურგის ჭრილობები მოისინჯა. ხუთი პარალელური განაჭერი დაითვალა. ფიჭვის ფისის წებოვან მასას შეეხო, ნაკერს და ფუფხს. როცა ხელზე დაიხედა, ახალგამოსული სისხლი დაინახა. ღარები წელსქვემოთ იწყებოდა და თითქმის კისრამდე აღწევდა. ჭრილობა ბეჭებს შორის ღრმავდებოდა. იქ ხელით ვერ წვდებოდა.

შემოწმება დაამთავრა და ჩაფიქრდა. ძალიან არასახარბიელო დასკვნამდე მივიდა. ის სრულიად უმწეო იყო. თუ ინდიელები ან ცხოველები მიაგნებდნენ, თავის დაცვას ვერ შეძლებდა. მდელოზე დარჩენაც არ შეიძლებოდა. ამ ბანაკში რამდენ ხანს იმყოფებოდა არ იცოდა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ ფიჭვებით გადახურული წყარო ინდიელებისთვის უცხო ადგილი არ იქნებოდა. უბრალოდ გაუმართლა, რომ ამდენ ხანს არ დაადგნენ თავს. ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

არ უნდოდა გრანდს დაშორებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აქ შეიძლებოდა ინდიელებს გადაჰყროდა. მდინარე ხომ წყალსაც ნიშნავდა, საკვებსაც და ორიენტირსაც. თუმცა რჩებოდა მთავარი საკითხი: მდინარის ქვემოთ თუ ზემოთ. ის მარტო იყო, უიარაღო, მტრულ გარემოში. ჭრილობებისა და ციებ-ცხელებისგან დასუსტებული. მიუხედავად ძლიერი სურვილისა მოღალატეებს კვალში ჩადგომოდა, ეს ახლა უგუნურება იქნებოდა – მას ახლა ამისთვის საჭირო ძალა არ ჰქონდა.

უკანდახევა, თუნდაც დროებითი, გლასს აღიზიანებდა, მაგრამ იცოდა, რომ ახლა სხვა, უფრო გონივრული გზა არ ჩანდა. თუ ფორტ ბრაზომდე მიაღწევდა, იქ ძალების აღდგენას და მარაგის შევსებას შეძლებდა, და მტერს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაედევნებოდა. მაგრამ ბრაზო შორს იყო – იქ, სადაც თეთრი მდინარე და მისური ერთმანეთს ერწყმოდა, დაახლოებით სამას ორმოცდაათ მილში, მდინარის ქვემოთ.

სამას ორმოცდაათი მილი! ჯანმრთელი კაცისთვის, კარგ ამინდში ორი კვირის გზაა. მაინც რა მანძილი შეუძლია დღეში გაიაროს? ეს არ იცოდა, მაგრამ ერთ ადგილას ჯდომას არ აპირებდა. ხელი და ფეხი ისევ სტკიოდა, მაგრამ ანთება აღარ ჰქონდა. თანდათან გამივლისო, თავს იიმედებდა. ცოცვით მოუწევდა გადაადგილება, შემდეგ კი, როცა სხეული მოძლიერდებოდა – ყავარჯნებით. თუნდაც დღეში მხოლოდ სამი მილი გაევლო. ჯობდა ის სამი მილი უკან ჰქონოდა მოტოვებული, ვიდრე წინ გასავლელი. გარდა ამისა, მოძრაობისას საკვების პოვნა უფრო ადვილი იქნებოდა.

მულატი დატყვევებული ესპანური გემით დასავლეთისაკენ დაიძრა გალვესტონის ყურისა და კამპეჩში ლაფიტის კოლონიისაკენ. ახალი ორლეანის სამხრეთით, ას მილში, კიდევ ერთი ესპანური სავაჭრო ხომალდი იგდო ხელთ. მსხვერპლი „ბონიტა მორენა“-ზე აღმართული ესპანური დროშით ზარბაზნის გასროლის მანძილზე მიიტყუა. როგორც კი ახალი მსხვერპლის, „კასტელანას“ ბორტზე გადავიდნენ, მეკობრეები ისევე სასტიკად მოიქცნენ, როგორც „ბონიტა მორენაზე“, თუმცა ამჯერად კიდევ უფრო მეტად ჩქარობდნენ. ზარბაზნის ჭურვმა „კასტელანას“ კორპუსი წყლის ხაზს ქვემოთ გაგლიჯა და გემი იძირებოდა.

მეკობრეებს აშკარად გაუმართლათ. იარაღით დატვირთული „კასტელანა“ სევილიიდან ახალი ორლეანისკენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიემართებოდა. თუკი გემის ჩაძირვამდე იარაღის გადატანას მოასწრებდნენ, უზარმაზარი მოგება დარჩებოდათ და ლაფიტს ძალიან გაახარებდნენ.

იმის შემდეგ, რაც 1819 წელს ტეხასის სწრაფი დასახლება დაიწყო, ჟან ლაფიტის მეკობრეთა ანკლავი გალვესტონის კუნძულის მოსამარაგებლად მონდომებით მუშაობდა: მდინარე რიო გრანდედან მდინარე საბინამდე ბევრი ქალაქი აღმოცენდა და ყველა მათგანს არსებობისთვის სურსათ-სანოვაგე სჭირდებოდა. ლაფიტი ამჯობინებდა შუამავლების გარეშე ემოქმედა. ფაქტობრივად მას შუამავლები საერთოდ არ ჰყავდა. ტრადიციულ მოვაჭრეებს ასეთ სიტუაციაში არავითარი შანსი არ ჰქონდათ და აყვავებული კამპეჩე კონტრაბანდისტებს, მონათმფლობელებს და სხვადასხვა ჯურის თაღლითებს, რომლებიც ხელსაყრელ გარემოს ეძებდნენ უკანონო ვაჭრობისათვის, სულ უფრო იზიდავდა. ტეხასის ბუნდოვანი სტატუსი ლაფიტს გარე ჩარევისგან იცავდა. მათ თავდასხმებს ესპანურ გემებზე მექსიკისთვის სარგებელი მოჰქონდა, ესპანეთი კი მეტისმეტად სუსტი იყო საიმისოდ, რომ წინააღმდეგობა გაეწია. ამერიკა ჯერჯერობით ყველაფერზე თვალს ხუჭავდა – ბოლოს და ბოლოს ლაფიტი ხომ ახალი ორლეანისთვის ბრძოლის გმირი იყო და გარდა ამისა ამერიკის გემებს არ ეხებოდა.

ჰიუ გლასს მართალია ბორკილები არ ედო, მაგრამ თავს ჟან ლაფიტის კრიმინალური ინდუსტრიის მძევლად გრძნობდა. ესპანურ გემებზე თავდასხმისას ის მიხვდა, რომ მეკობრეების გულმოწყალების იმედი არ უნდა ჰქონოდა, დაუმორჩილებლობის უმცირესი გამოვლენა მისი სიკვდილით დასრულდებოდა და გარდაუვალს შეე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გუა. მოახერხა, რომ სისხლში ხელი არ გაესვარა, სხვა ქმედებებს კი თავის გადარჩენის აუცილებლობით ამართ-ლებდა.

იმედი ჰქონდა, რომ კამპეჩეში შეჩერებისას გაქცევას მოახერხებდა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ლაფიტი კუნძულს ერთპიროვნულად მართავდა, მატერიკზე კი, ყურეს იქით, ტეხასში უმეტესად ცნობილი კაციჭამიები – კარანკავას ტომის ინდიელები ცხოვრობდნენ. მათ მილმა ტერიტორიები ტონკავას, კომანჩის, კაიოვას და ოსაჯის ტომებს ეკავათ. თუმცა ადამიანის ხორცს მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ, თეთრკანიანები გულზე არც მათ ეხატებოდათ. ცივილიზაციის აქა-იქ გაფანტული ოაზისები ძირითადად დასახლებული იყო ესპანელებით, რომლებიც მეკობრეობისთვის სიკვდილით სჯიდნენ ყველას, ვინც სანაპიროდან მოვიდოდა. ჭრელ მოზაიკას ავსებდნენ მექსიკელი „ბანდიტოსები“ და ტეხასელი „ვიჯილანტები“ ე. წ. სიფხიზლის კომიტეტიდან.

რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან ცივილიზებულ სამ-ყაროს მოთმინების ძაფი გაუწყდებოდა და თავის გვერდით მეკობრულ სახელმწიფოს, თანაც ასე სწრა-ფად მზარდს, ვერ იგუებდა. და როცა ამერიკის შეერ-თებულმა შტატებმა გადაწყვიტა ესპანეთთან ურთიერ-თობა მოეგვარებინა, დიპლომატიურ ძალისხმევას ესპანეთის გემებზე თავდასხმებმა შეუშალა ხელი, მათ შორის ხშირად აშშ-ს წყლებშიც. 1820 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა მედისონმა კამპეჩეში ლეიტენანტი ლარი კირნი, შხუნა „ენტერპრაისი“ და სამხედრო ხომალდები გაგზავნა. ლეიტენანტმა კირნიმ ლაფიტს მოკლე ულტი-მატუმი წაუყენა: ან კუნძულიდან უნდა წასულიყო, ან ნაწილებად დაგლეჯდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლაფიტს თავზეხელაღებულის რეპუტაცია კი ჰქონდა, მაგრამ შესაშური პრაგმატულობითაც გამოირჩეოდა. მან გემზე დატვირთა მთელი ნადავლი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა, კამპეჩე გადაწვა და მეკობრეების ფლოტთან ერთად გაქრა. ამის შემდეგ მის შესახებ არავის არაფერი სმენია.

ნოემბრის იმ ღამით კამპეჩეს ქაოსში ჩაფლულმა გლასმა ერთბაშად მიიღო გადაწყვეტილება თავის მომავალი ცხოვრების შესახებ. მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა მეკობრეების ბანდასთან ერთად გაქცეულიყო. უფრო მეტიც, ზღვა, რომელიც მისთვის ყოველთვის თავისუფლების სინონიმი იყო ახლა მის აღქმაში პატარა ხომალდამდე, მცურავ სატუსაღომდე დავიწროვდა. ახალი გზის მოძიება იყო საჭირო.

სისხლისფერი ცეცხლის ალი კამპეჩეს ბოლო ღამეს აპოკალიფსურ ბრწყინვალებას ქმნიდა. შენობის შიგნით და გარეთ ბრბო ფუთფუთებდა. იტაცებდნენ ყველაფერს, რაც ოდნავ მაინც ღირებული იყო. დასალევი, რომლის ნაკლებობა აქ არასოდეს არ იყო, ახლა მთლად მდინარესავით მოედინებოდა. ნაძარცვისთვის დავა თითქმის მაშინვე გასროლით მთავრდებოდა. დროდადრო თოფების ბათქა-ბუთქი მთელ ქალაქში ისმოდა. ხმა გავარდა, თითქოს ამერიკელები კუნძულისთვის ზარბაზნების დაშენას აპირებენო და სასოწარკვეთილი ადამიანები მიმავალ გემებზე მიძვრებოდნენ. მეკობრეები მათ ხმლებით და პისტოლეტებით ემუქრებოდნენ და წყალში ყრიდნენ.

გლასი, რომელმაც არ იცოდა საით გაქცეულიყო, ალექსანდრ გრინსტოკს გადააწყდა. ჰიუს მსგავსად ისიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეკობრეებმა დაატყვევეს, როცა ხელში ჩაიგდეს და „გალფზე“ უკანასკნელ თავდასხმაშიც ერთად მონაწილეობდნენ.

– სამხრეთ სანაპიროზე პატარა კარპაჭი მეგულება. იქნებ კონტინენტამდე მივაღწიო.

იმ უბადრუკ არჩევანს შორის, რომელიც გლასს ჰქონდა, კონტინენტზე მოსალოდნელი საფრთხეები ნაკლებ უბედურებად ეჩვენებოდა. გრინსტოკმა და გლასმა ქალაქიდან გაღწევა დაიწყეს. პირდაპირ მათ წინ, ვიწრო გზაზე, კასრებით და ყუთებით პირთამდე სავსე ოთხთვალა მიგორავდა. მასში სამი კბილებამდე შეიარაღებული კაცი იჯდა. ერთი ცხენს მათრახით ერეკებოდა, დანარჩენი ორი იდგა და დარაჯობდა ვინმეს მათთვის ნადავლის წართმევის სურვილი არ გაჩენოდა. გლასის და გრინსტოკის თვალწინ ბორბალი ქვას წამოედო და ოთხთვალადან ყუთი გადმოვარდა. სამეულმა ყურადღება არ მიაქცია. ჩქარობდნენ, გემისთვის უნდა მიესწროთ.

ყუთს თავზე „კუტცტაუნი, პენსილვანია“ ეწერა. შიგნით ანშტატდის იარაღის სახელოსნოს ახალთახალი შაშხანები ეწყო. ბედის ასეთი წყალობისგან გაკვირვებულმა გლასმა და გრინსტოკმა თითო იარაღს დასტაცეს ხელი და გაჩხრიკეს რამდენიმე სახლი, რომლებიც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. საფანტი და თოფისწამალი იპოვეს და კიდევ სამშვენისები, რაიმეზე გადასაცვლელად და გზა განაგრძეს.

თითქმის მთელი ღამე დასჭირდა ნიჩბებიანი ნავით აღმოსავლეთიდან კუნძულის შემოვლას და გალვესტონის ყურეს გადაკვეთას. ტალღები ცეცხლმოდებული ქალაქის ციალს ირეკლავდა ისე ჩანდა, თითქოს მთელი ყურე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალში იყო გახვეული. ნათლად ხედავდნენ ამერიკის გემების კორპუსების ათინათებს და ლაფიტის ფლოტს, თანდათან რომ უჩინარდებოდა. როცა ნაპირამდე ასი იარდი ჰქონდათ დარჩენილი, კუნძულიდან აფეთქების ხმა გაისმა. „მეზონ რუჟის“ – ჟან ლაფიტის სახლის ზემოდან, რომელშიც იარაღის საწყობი იყო განლაგებული, სოკოს ფორმის გიგანტური ალი ავარდა. გლასმა და გრინსტოკმა ნიჩბის რამდენიმე მოსმით მეჩეჩს მიაღწიეს და წყალში გადახტნენ. გლასმა ნაპირზე ფეხი დაადგა და მიხვდა, რომ ზღვას აღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

ორი კაცი ტეხასის სანაპიროს ნელა შეუყვა. ბუნდოვანი გეგმები ჰქონდათ. უფრო ის იცოდნენ რას გამოექცნენ, ვიდრე ის, თუ რა ეკეთებინათ. ღია ნაპირზე თავს ვერსად შეაფარებდნენ, მატერიკის სიღრმეში შესვლას კი ხელს უშლიდა ლელქაშების სქელი ჯუნგლები და მდინარეების ჭაობიანი შენაკადები, რომლებიც ყურეში ჩაედინებოდა. თავშესაფარი კი საჭირო იყო. საფრთხეს არა მხოლოდ კარანკავას ინდიელები წარმოადგენდნენ, არამედ ესპანელი მებრძოლებიც და ამერიკის ფლოტიც.

ერთი კვირის სიარულის შემდეგ ჰორიზონტზე ნაკოდოჩესის მომცრო ზომის საგუშაგო პოსტი გამოჩნდა. გლასს და გრინსტოკს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ კამპეჩეზე ამერიკელთა თავდასხმის ამბავს აქ უკვე მოღწეული ექნებოდა, ამიტომ ყველას ვინც გალვესტონის მხრიდან ჩამოვიდოდა უეჭველად გამოქცეულ მეკობრედ ჩათვლიდნენ და უცერემონიოდ ჩამოახრჩობდნენ. ჰიუ გლასმა იცოდა, რომ ესპანეთის ანკლავის სან-ფერნანდოდე-ბექსარისკენ გზა ნაკოდოჩესის გავლით მიდიოდა. მათ გადაწყვიტეს დასახლებისთვის თავი აერიდებინათ და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მატერიკის სილრმისკენ წასულიყვნენ. ფიქრობდნენ, რომ იქ ჯერ კიდევ არ ეცოდინებოდათ რა მოხდა კამპეჩეში.

მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. სან-ფერნანდო-დე-ბექსარში, სადაც მათ ექვს დღეში ჩააღწიეს, ესპანელებმა ჩასვლისთანავე დააპატიმრეს. ვიწრო დილეგში ერთი კვირის გატარების შემდეგ გამოქცეულები ადგილობრივი მოსამართლის, მაიორ ხუან პალასიო დელ ვალიე ლერსუნდის, წინაშე წარსდგნენ.

მაიორმა პალასიომ მათ დაქანცული მზერა მიაპყრო. ის მოხუცი სამხედრო იყო, სკეპტიკოსი, ვერშემდგარი კონკისტადორი, რომელსაც ამის ნაცვლად წილად ხვდა სადღაც, მიყრუებულ ადგილას, მტვრიან სოროში ჩინოვნიკად ემუშავა იმ ომის ბოლოს, რომელშიც ესპანეთს გამარჯვება არ ეწერა. როცა თავის წინ მდგარ ორ კაცს უყურებდა, იცოდა, რომ ყველაზე ადვილი გზა მათი ეშაფოტზე გაგზავნა იყო. სანაპიროდან ჩამოვიდნენ, მხოლოდ შაშხანებით და ზურგზე მოკიდებული ტანსაცმლით. ალბათ მეკობრეები, ან ჯაშუშები იქნებოდნენ. ამაოდ არ ჰყვებოდნენ, თითქოს ისინი ლაფიტმა დაატყვევა ესპანურ გემზე.

მაგრამ მაიორ პალასიოს არავითარი სურვილი არ ჰქონდა ვინმე სიკვდილით დაესაჯა. ერთი კვირის წინ ჩამოხრჩობა მიუსაჯა ახალგაზრდა ესპანელ ჯარისკაცს, რომელსაც საგუშაგოზე ჩაძინებოდა. და თუმცა სასჯელი ომის დროის კანონს შეესაბამებოდა, მაიორი მას შემდეგ ადგილს ვერ პოულობდა და თითქმის მთელი ერთი კვირა ადგილობრივი პადრეს სააღმსარებლოში გაატარა. ორ პატიმარს მისჩერებოდა და ყურადღებით უსმენდა. ვითომ სიმართლე იყო რასაც ყვებოდნენ? საიდან შეიძლებოდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარწმუნებით ცოდნოდა და თუ არ ეცოდინებოდა, რა უფლება ჰქონდა მათთვის სიცოცხლე მოესწრაფა?

ბოლოს და ბოლოს მაიორმა პალასიომ გლასს და გრინსტოკს გარიგება შესთავაზა: ისინი თავისუფალი იყვნენ და შეეძლოთ სან-ფერნანდო-დე-ბექსარი დაეტოვებინათ მხოლოდ ერთი პირობით – ჩრდილოეთისკენ უნდა წასულიყვნენ. პალასიოს ეშინოდა, რომ თუ სამხრეთისკენ წავიდოდნენ, მათ ესპანეთის პატრული დააკავებდა და მაშინ მაიორი მეკობრეების მიმართ გამოჩენილი ლმობიერებისათვის სასჯელს ვერ ასცდებოდა.

გამოქცეულები ტეხასს ნაკლებად იცნობდნენ, მაგრამ გლასი თავისდა გასაკვირად აღტაცებამ შეიპყრო, როცა წარმოიდგინა, რომ უცნობ მხარეში მოუწევდა ხეტიალი ყოველგვარი აღჭურვილობისა და კომპასის გარეშეც კი.

მეგობრები ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ. ვარაუდობდნენ, რომ ადრე თუ გვიან დიდ მისისიპის მიადგებოდნენ. ათას მილზე მეტი იხეტიალეს და მოახერხეს ცოცხალი გადარჩენილიყვნენ. გზად ტეხასის ვრცელ ველებზე უამრავ ცხოველს აწყდებოდნენ და საკვების შოვნა ძნელი არ იყო. საფრთხე ინდიელებისგან ემუქრებოდათ, მაგრამ გლასმა და გრინსტოკმა მოახერხეს მათთვის თავი აერიდებინათ და კარანკავას, კომანჩების, კაიოვას, ტონკავას და ოსაჟის ტომებით დასახლებული ტერიტორიები უკან მოიტოვეს.

ბედმა მათ მხოლოდ მდინარე არკანზასის ნაპირებთან უმუხთლა. ის-ის იყო ბიზონი მოკლეს და მის დანაწევრებას აპირებდნენ, როცა ბორცვის მწვერვალიდან პაუნის ტომის ოცი ცხენოსანი დაეშვა. მოშიშვლებულ დაბლობზე დასამალი არსად ჰქონდათ, არც ხე იყო ირგვლივ, არც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლდე. გაქცევაც ვერ უშველიდათ – ცხენებზე ამხედრებული ინდიელები ადვილად დაეწეოდნენ. გრინსტოკმა დაუფიქრებლად ასწია თავის იარაღი, დაუმიზნა და გაისროლა. ერთ-ერთი მომხვდურის ცხენი წაიქცა. თვითონ გრინსტოკი რამდენიმე წამის შემდეგ მკვდარი იწვა მკერდში გარჭობილი სამი ისრით. კიდევ ერთი ისარი ბარძაყში ჰქონდა მოხვედრილი.

გლასს შაშხანის აწევა არც კი უფიქრია. მოჯადოებულივით, თითქოს სიზმარში იყო, უცქერდა ცხრამეტი ცხენოსანი მისკენ როგორ მოჰქროდა. წინ მსრბოლი ცხენის მკერდის საბრძოლო მოხატულობა გაკრთა მის თვალებში და კიდევ შავი თმა, ლურჯი ცის ფონზე, და მაშინვე მის თავზე ინდიელთა კვერთხის ქვის ბუნიკი დაეშვა.

გლასმა პაუნის ტომის ინდიელთა სოფელში გაილვიძა. მიწაში ჩარჭობილ ბოძს კისრით იყო მიკრული. მაჯები და კოჭები თოკით მაგრად ჰქონდა გაკოჭილი, თუმცა ხელის მტევნის მოძრაობა შეეძლო. მის გარშემო თავი მოეყარათ ბავშვებს, რომლებიც აღგზნებული ატიტინდნენ, როცა მან თვალი გაახილა.

გლასს მოხუცი ბელადი მიუახლოვდა ხეშეში, ბიბილოსებური თმით და ტყვე ყურადღებით შეათვალიერა. თავისი სიცოცხლის განმავლობაში არცთუ ბევრი თეთრკანიანი ენახა. ბელადმა, სახელად „მხტუნავი ბიზონი“, რაღაც თქვა. ჰიუ ვერაფერს მიხვდა, მაგრამ გარს შემოჯარული ინდიელები გახარებული აჭყლოპინდნენ. გლასმა მიიხედ მოიხედა. სოფლის შუაში იწვა, დიდი წრის კიდეში, რომლის ცენტრში კოცონისთვის შეშა მოემარაგებინათ. ეტყობოდა ინდიელთა მხიარულების მიზეზი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწორედ ეს იყო. მოხუცმა ქალმა ბავშვებს დაუყვირა და ისინი გაიქცნენ. უფროსები რიტუალური დაწვის ცერემონიალისთვის ემზადებოდნენ.

მარტოდ დარჩენილი გლასი შეეცადა სიტუაცია შეეფასებინა. ძლიერი დარტყმისაგან ყველაფერი ორად ეჩვენებოდა და საგნებს მკვეთრად მხოლოდ მაშინ ხედავდა, თუ თვალებს მოწკურავდა ან ერთ-ერთ თვალს დახუჭავდა. ქვემოთ ჩაიხედა და დაინახა, რომ ინდიელებს ფეხიდან ისარი ამოეღოთ. ჭრილობა ღრმა არ იყო, მაგრამ ხელისშემშლელი მაინც იქნებოდა თუ გაქცევას გადაწყვეტდა. ასე რომ ლამის დაბრმავებული იყო და არათუ სირბილი, სიარულიც თითქმის არ შეეძლო.

ხელით მკერდი მოისინჯა და აღმოაჩინა, რომ ხალათის ჯიბიდან სინგურის პატარა შუშა არ ამოვარდნოდა. ის ერთ-ერთი იყო იმ მცირეოდენი ნივთებიდან, რომლის წამოღებაც კამპეჩედან მოახერხა. გვერდზე გადაგორდა, რათა არასასურველი მზერა აერიდებინა, სინგურის ფხვნილს დააფურთხა და თითებით მოზილა. მიღებული საღებავი სახეზე და კისერზე წაისვა, მთელი კანი შუბლიდან ხალათის საყელომდე დაიფარა. შემდეგ საღებავის სქელი ფენა ხელისგულზე წაისვა. შუშა ქვიშაში ჩაფლა იმ ადგილის ქვეშ, სადაც იწვა. თვითონ კი მუცელზე გადაბრუნდა და თავი მკლავებს შორის ჩადო, რათა სახე დაეფარა.

ამ პოზაში იწვა საღამომდე, მისი სიკვდილით დასჯისთვის მზადების ხმებს უსმენდა. ბოლოს დაღამდა, ბანაკი წყვდიადმა მოიცვა, წრის ცენტრში კი უზარმაზარი ცეცხლი სოფლის მოედანს ანათებდა.

გლასმა თვითონაც არ იცოდა კარგად საღებავის წასმა ჩაფიქრებული ჰქონდა როგორც ერთგვარი გამოსათ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხოვარი სიმბოლური ჟესტი, თუ იმედოვნებდა რომ ის მოხდებოდა, რაც მოხდა. შეიძლება ეს იმიტომ გააკეთა, რომ გაგონილი ჰქონდა ველურების უმრავლესობა ცრუმორწმუნეაო. ასე იყო თუ ისე, მისი ძალისხმევა ამაო არ გამოდგა. სინგურმა გადაარჩინა.

მსხვერპლის კოცონთან მიყვანის დრო დადგა და მასთან ბელადი და ორი ინდიელი მებრძოლი მივიდა. როცა ტყვე მიწაზე განრთხმული ნახეს, ეს სისუსტედ ჩაუთვალეს. მხტუნავმა ბიზონმა გლასის კისრის გარშემო თოკი გადაჭრა და მებრძოლები დაიხარნენ, რომ მისთვის მკლავში ხელი ამოედოთ და წამოეყენებინათ. და უცებ ჰიუ, არაფრად ჩააგდო რა ბარძაყის ტკივილი, ფეხზე წამოხტა და ბელადის, მებრძოლების და ტომის წინ დადგა.

ინდიელები შეძრწუნებულნი გაირინდნენ. ტყვეს სისხლივით წითელი სახე ჰქონდა, თითქოს კანი გააძვრესო. თვალის გუგები სინათლის შუქზე მთვარის დისკოსავით ციალებდა. ინდიელთა უმრავლესობას აქამდე თეთრკანიანი არ ენახა, მით უმეტეს წვერებიანი და მათ თვალში უცხო კაცი დემონურ მხეცად ჩანდა. გლასმა გაშლილი ხელი მის გვერდით მდგომ მებრძოლს მკერდში მიარტყა და კანზე სისხლიანი ანაბეჭდი დაუტოვა. ბრბომ ამოიოხრა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. გლასი მის წინ მდგომ ინდიელებს უყურებდა, შეძრწუნებული ინდიელები კი მას თვალს არ აშორებდნენ. თავისი ტაქტიკის წარმატებით გაკვირვებული გლასი ფიქრობდა ახლა როგორ მოვიქცეო. შიშობდა, რომ მისი საქმე ცუდად იქნებოდა, თუ რომელიმე ინდიელი გამოერკვეოდა. ბოლოს გადაწყვიტა, რომ მათი შეშინება შეიძლებოდა საუკეთესო გამოსავალი ყოფილიყო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და რადგან სხვა ვერაფერი მოიფიქრა ყვირილით ლოცვა დაიწყო:

– „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი...“

ბელადი „მხტუნავი ბიზონი“ უცხოს გაშტერებული მისჩერებოდა. მას ადრე რამდენიმე თეთრკანიანი ენახა, მაგრამ ეს კაცი ყველასგან განსხვავდებოდა – შამანი ან ბოროტი სული ხომ არ იყო. თან ისე ღრიალებდა, რომ მთელი ტომი მონუსხა და ტრანსში ჩააგდო.

გლასი კი განაგრძობდა:

– „რამეთუ შენია სუფევა, ძალი და დიდება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ!“

ბოლოს თეთრმა კაცმა ღრიალი შეწყვიტა. ის ბრბოს წინაშე იდგა და მძიმედ სუნთქავდა. მხტუნავმა ბიზონმა მიმოიხედა. ინდიელები ხან მას უყურებდნენ, ხან ბოროტ სულს. მათ თვალებში საყვედური იკითხებოდა: რატომ მოიყვანა აქ ეს უცნაური კაცი? ახლა რა უნდა ექნათ?

გლასისკენ ნელი ნაბიჯებით წავიდა და მის წინ შეჩერდა. ყელსაბამი მოიხსნა, რომელზეც არწივის წყვილი ბრჭყალი ეკიდა, გლასს კისერზე ჩამოჰკიდა და ბოროტ სულს თვალებში ჩახედა. შეკითხვის გამომხატველი მზერა ჰქონდა.

გლასმა მოედანი შეათვალიერა. შუაში, კოცონის გვერ-დით, დაწნული ტირიფების ოთხი დაბალი სკამი იდგა, რომელიც არშემდგარი რიტუალური დაწვის საპატიო მაყურებლებისთვის იყო განკუთვნილი. სკამებამდე კოჭლობით მივიდა და ერთ-ერთ მათგანზე ჩამოჯდა. მხტუნავმა ბიზონმა რაღაც თქვა. ორი ქალი დაფაცურდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და საჭმელი და წყალი მოიტანა. შემდეგ ბელადმა მეორე ბრძანება გასცა: იმ მებრძოლს რომელსაც მკერდზე ხუთი თითის წითელი ანაბეჭდი აჩნდა რაღაც დაავალა. ის გაიქცა, ანშტატდის შაშხანით დაბრუნდა და იარაღი გლასს დაუდო გვერდით.

იქ, მდინარე არკანზასსა და პლატეს ნაპირებს შორის გლასმა პაუნის ტომთან თითქმის მთელი წელი დაჰყო. მხტუნავმა ბიზონმა, თავიდან თავშეკავებულმა და სიტყვაძვირმა, მალე თეთრი კაცი საკუთარი შვილივით მიიღო. გლასმა ინდიელებთან ყოფნისას შეისწავლა ის, რისი სწავლაც კამპეჩეში ვერ მოასწრო ველურ ბუნებაში გადარჩენის შესახებ.

1821 წელს არკანზასსა და პლატეს შორის დაბ-ლობში თეთრკანიანი მოგზაურები გამოჩნდნენ. იმ ზაფ-ხულს გლასი, რომელიც ათიოდე კაცისგან შემდგარ რაზმთან ერთად ნადირობდა, ოთხთვალაში მსხდომ ორ თეთრკანიანს გადააწყდა. მან ინდიელებს მოცდა უბრძანა და თვითონ ნელა წავიდა წინ. ისინი უილიამ კლარკის – ინდიელების საკითხში სახელმწიფო უფლებამოსილი პირის ფედერალური აგენტები აღმოჩნდნენ. კლარკი სენტ-ლუისის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ინდიელების ბელადებს თავისთან იწვევდა. კეთილი ზრა-ხვების დასტურად ოთხთვალა საჩუქრებით – საბნებით, საკერავი ნემსებით, დანებით, თუჯის ქვაბებით იყო სავსე.

სამი კვირის შემდეგ გლასი მხტუნავ ბიზონთან ერთად სენტ-ლუისში ჩავიდა.

სენტ-ლუისი ერთგვარი საზღვარი იყო იმ ორ სამყაროს შორის, რომლებიც მას იზიდავდა. აღმოსავლეთიდან ცივი-ლიზებული სამყარო უხმობდა თავისკენ – ელიზაბეტი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავისი ოჯახი, პროფესია და მთელი თავისი წარსული, დასავლეთიდან კი შეუცნობელთან ზიარების დაუოკებელ სწრაფვას გრძნობდა, უკიდეგანო თავისუფლება და ახალი ჰორიზონტები აცდუნებდა. ფილადელფიაში სამი წერილი გაგზავნა – ელიზაბეტის, დედის და „როსტორნი და ვაჟიშვილების“ მისამართით, მისისიპის სანაოსნო კომპანიაში კლერკად დაიწყო მუშაობა და პასუხს დაელოდა.

ლოდინი დიდხანს მოუწია. ბოლოს, 1822 წლის მარტში ძმის წერილი მიიღო. დედის სიკვდილის შესახებ ატყობინებდა. ის მამის გარდაცვალების შემდეგ ერთ თვეში მომკვდარიყო.

ახალი ამბები ამით არ მთავრდებოდა. „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თავს ვალდებულად მივიჩნევ გითხრა, რომ შენი შეყვარებული – ელიზაბეტიც გარდაიცვალა. გასული წლის იანვარში ციებ-ცხელება შეეყარა და თუმცა სენს რაც შეეძლო ებრძოლა, გამოჯანმრთელება ვეღარ შეძლო“. გაფითრებული გლასი სავარძელში ჩაესვენა. ყელში ბურთი მოადგა და სუნთქვას უშლიდა. „იმედი მაქვს შენთვის ერთგვარი ნუგეში იქნება იმის შეტყობა, რომ ელიზაბეტი ჩვენი დედის გვერდით დავკრძალეთ. მინდა ასევე იცოდე, რომ ელიზაბეტი მუდამ შენი ერთგული რჩებოდა, მაშინაც კი, როცა ჩვენ ყველანი შევეგუეთ იმ აზრს, რომ შენ დაღუპული იყავი“.

ოც მარტს სანაოსნო კომპანიის ოფისში მისულ გლასს იქ კაცების ჯგუფი დახვდა, რომელთაც „მისური რეპაბლიკანის“ განცხადებასთან მოეყარათ თავი. უილიამ ეშლი მონადირეების რაზმს აგროვებდა მისურის ზედა ნაწილში ბეწვეულის მოსაპოვებლად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი კვირის შემდეგ გლასმა „როსტორნი და ვაჟიშ-ვილებისაგან“ წერილი მიიღო. მას კაპიტნის თანამდებობას სთავაზობდნენ გემზე, რომელიც ფილადელფიასა და ლი-ვერპულს შორის ივლიდა. თოთხმეტ აპრილს, საღამოს, წერილი კიდევ ერთხელ გადაიკითხა და შემდეგ ცეცხლში შეაგდო. დიდხანს იჯდა ბუხართან, უყურებდა როგორ იქცეოდა ფერფლად უკანასკნელი კვალი მისი ყოფილი ცხოვრებისა.

მომდევნო დილით ჰიუ გლასი კაპიტან ჰენრისთან და კლდოვანი მთის ბეწვეულის კომპანიის მონადირეებთან ერთად სენტ-ლუისიდან გავიდა. ოცდათექვსმეტი წლის გლასი თავს ახალგაზრდად აღარ თვლიდა და ყმაწვილ-კაცებისგან განსხვავებით მიაჩნდა, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა. დასავლეთისკენ გამგზავრება არ იყო არც წინდაუხედავი და არც იძულებითი ნაბიჯი. გლასმა, როგორც ყოველთვის, შეგნებული არჩევანი გააკეთა, თუმცა ძალიან გაუჭირდებოდა იმის ახსნა ასე რატომ მოიქცა. ეს ისეთი რაღაც იყო, რასაც ის უფრო გრძნობდა, ვიდრე ხვდებოდა.

ძმას კი მისწერა: „ეს წამოწყება ისე ძლიერ მიზიდავს, როგორც არასდროს არაფერს ჩემს ცხოვრებაში არ მივუზიდივარ. დარწმუნებული ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, თუმცა მიზეზების ახსნა არ შემიძლია“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 8

2 სექტემბერი, 1823

ჩხრიალა გველი მდელოზე ისევ უძრავად იწვა ნახევრადმძინარე მდგომარეობაში და თავის მსხვერპლს ინელებდა. ჰიუ გლასს, რომელსაც გონს მოსვლის შემდეგ თვალი არ მოუშორებია მისთვის, უცებ საჭმელი გაახსენდა. წყურვილის მოკვლა უკვე მოასწრო წყაროზე, მაგრამ ახლა შიმშილმა შეაწუხა, მძაფრმა და მოუთმენელმა. წარმოდგენა არ ჰქონდა რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც პირში ლუკმა არ ჩაუდია. სისუსტისგან ხელები უკანკალებდა. როცა თავი ასწია, მდელო მის თვალწინ თითქოს შექანდა.

ფრთხილად გაფორთხდა გველისკენ – კოშმარი ჯერ კიდევ ცოცხლად ედგა თვალწინ. ქვეწარმავალთან ორ ნაბიჯში შეჩერდა, ჯანმრთელი ხელით კაკლისოდენა კენჭი აიღო და ესროლა. ის არ განძრეულა. მაშინ გლასმა მუშტისოდენა ქვა აიღო და იმდენად მიუახლოვდა, რომ დარტყმა შეძლებოდა. გველმა საფრთხე იგრძნო და ნელა ამოძრავდა, მაგრამ მეტისმეტად გვიან იყო. გლასმა მოასწრო მისთვის თავში ქვა ჩაერტყა და მანამ ურტყა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სანამ არ დარწმუნდა, რომ სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

ახლა გველის გამოშიგვნა იყო საჭირო. ჰიუმ ბანაკს მოავლო თვალი. მდელოს კიდეში ჩანთა ეგდო. იქამდე მიაღწია და ყველაფერი, რაც შიგ იდო, მიწაზე დაყარა: თოფის ჩვრები, სამართებელი, ყელსაბამი არწივის ორი ბრჭყალით და ხელისგულისოდენა დათვის თათი. თათს შეხედა, რომელსაც წვერზე შემხმარი სისხლი სქლად ეცხო და ის უკან, ჩანთაში ჩააბრუნა. უკვირდა, აქ საიდან გაჩნდაო. თოფის ჩვრები აბედისთვის თუ გამოდგებოდა. აი, სამართებლის გამოყენება კი შეიძლებოდა, თუმცა იარაღად – არა, ამისთვის ის სუსტი იქნებოდა. მაგრამ სხვა მხრივ, მაგალითად გველის გასატყავებლად, სასარგებლო ნივთი იყო. სამართებელი ჩანთაში ჩადო, ჩანთა მხარზე გადაიკიდა და უკან, გველისკენ გაცოცდა.

გველის გასისხლიანებულ თავს უკვე ბუზები ეხვეოდა. გლასმა ამჯობინა ფრთხილად ყოფილიყო. მან ერთხელ ნახა გველის მოჭრილი თავი კბილებით როგორ დააცხრა ძაღლის ცხვირს, რომელმაც თავისდა საუბედუროდ გადაწყვიტა მისთვის დაესუნა. გლასმა გველს თავზე გრძელი ჯოხი დაადო და ზედ მარცხენა ფეხი დააჭირა. მარჯვენა მკლავის აწევა არ შეეძლო, რადგან მხარში ძლიერ ტკივილს გრძნობდა, თუმცა თვითონ ხელი ნორ-მალურად ფუნქციონირებდა. სამართებელს თითები მოუ-ჭირა და გველის თავი გადახერხა, შემდეგ ის ჯოხით მდელოს კიდისკენ გადააგდო.

გლასი კისრიდან ჩამოჰყვა და გველს მუცელი გაუჭრა. სამართებელი თანდათან ბლაგვდებოდა და ყოველი მომდევნო დუიმის გაჭრა სულ უფრო უჭირდა. მუცლიდან შიგნეული ამოყარა და ისევ კისერს მიუბრუნდა. ამჯერად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამართებლით ქერცლიანი კანი ამოთალა და ხორცი გააშიშვლა – აუტანლად მაცდური მშიერი მზერისათვის.

გველის სხეულს ჩააფრინდა, კბილებით ისე გლეჯდა თითქოს სიმინდის ტაროს ჭამდა. ბოლოს ხორცს მიადგა, მაგარს და ისეთ სლიპინას, რომ კბილებიდან უსხლტებოდა. ისე ძლიერ შიოდა, ჭრილობები არც გახსენებია და სისულელე მოუვიდა: მთელი ნაჭერი დაულეჭავად გადაყლაპა. უმი ხორცის დიდი ნაჭერი ქვასავით გაეჩხირა დაჭრილ ყელში. ხველება აუტყდა და კინაღამ დაიხრჩო, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, უმმა ხორცმა საყლაპავი მილი ჩაიარა.

მომხდარმა ჭკუა ასწავლა. მთელი დანარჩენი დღის განმავლობაში ძარღვიან ხორცს სამართებლით პატარა ნაწილებად ჭრიდა, მერე ორ ქვას შუა აქცევდა, ჩეჩქვავდა და ყლაპავდა. ზედ წყაროს წყალს აყოლებდა. ჭამას დიდი ძალა და დრო დასჭირდა და მაინც, როცა კუდზე დავიდა გლასი კარგად დანაყრებული არ იყო. არადა შემდეგ ჯერზე საკვების მოსაპოვებლად მეტი დრო დასჭირდებოდა. საეჭვო იყო მომდევნო ნადავლი ასე ადვილად ჩავარდნოდა ხელთ.

ჩამავალი მზის უკანასკნელ შუქზე გველის კუდზე რგოლები დაათვალიერა. სულ ათი იყო. თითოეული გველის სიცოცხლის ერთ წელს შეესაბამებოდა. გლასს ათი წლის ჩხრიალა გველი არასოდეს ენახა და ახლა იმაზე ჩაფიქრდა როგორი ბრძოლა უწევდა ალბათ მას ამ ხნის განმავლობაში თავის გადასარჩენად. და შემდეგ, შემთხვევით, ერთი სულელური შეცდომის გამო, დაუცველი აღმოჩნდა ულმობელ სამყაროში – და აი, მკვდარი წევს, თითქმის ბოლომდე შეჭმული უფრო ადრე, ვიდრე სისხლისაგან დაიწრიტებოდა. გველის ნარჩენიდან

რგოლები მოჭრა და ხელში კრიალოსანივით დაატრიალა. შემდეგ კუდი ჩანთაში ჩააგდო სამახსოვროდ.

ღამდებოდა. გლასი საბანში გაეხვია, მოიკუნტა და ჩაიძინა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი, შფოთიანი ძილი ჰქონდა. დილით წყურვილისა და შიმშილისგან დასუსტებულს გაეღვიძა. ყველა ჭრილობა სტკიოდა.

სამას ორმოცდაათი მილი კაიოვას ფორტამდე! ამის გაფიქრებაც კი შიშს გვრიდა. იქნებ ერთი მილის გავლა მაინც მოეხერხებინა ყოველ ჯერზე. პირველ მიზნად გრანდამდე მიღწევა დაისახა. როცა ტრაპერებმა მდინარიდან მდელოსკენ გადაუხვიეს, გლასს გონება დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ფიტცჯერალდის და ბრიჯერის საუბრებიდან იცოდა, რომ ის სადღაც ახლოს იყო.

მხრებიდან შალის საბანი მოიშორა და სამართლებლით სამი გრძელი ზოლი ჩამოაჭრა. ერთი მათგანი შემოიხვია მარცხენა, ჯანმრთელ მუხლზე, რომელსაც დაეყრდნობოდა, როცა ცოცვას დაიწყებდა. დანარჩენი ორი ზოლი ხელისგულზე შემოიჭირა, ისე რომ თითები თავისუფალი დაიტოვა. საბნის დარჩენილი ნაწილი დაახვია, კიდეები ჩანთის გრძელი ღვედით შეუკრა, შეამოწმა მაგრად იყო თუ არა შეკრული და ჩანთაც და საბანიც ზურგზე შემოიდო. ღვედი ორივე მხარზე გადაიტარა, რომ ხელები თავისუფალი ჰქონოდა.

წყაროს წყალი დალია და ცოცვას შეუდგა. სინამდვილეში იმდენად კი არ მიცოცავდა, რამდენადაც სხეულის დასახიჩრებულ ნაწილს მიათრევდა. წონასწორობის დასაცავად შეეძლო თავის მარჯვენა მკლავს დაყრდნობოდა, თუმცა ის მის წონას ვერ უძლებდა. მარჯვენა ფეხი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გახევებული ჰქონდა და ძლივს მიითრევდა. რამდენჯერმე გაშალა და მოღუნა, რომ კუნთები მოედუნებინა, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა – ფეხი ჯირკივით უგრძნობი რჩებოდა.

მალე მისთვის მისაღებ რიტმს მიაგნო. მარჯვენა ხელს მხოლოდ წონასწორობის დაცვისთვის იყენებდა, ამიტომ ძირითადი დატვირთვა გადადიოდა მარცხენა ხელზე, რომელსაც გლასი წინ იშვერდა, შემდეგ მარცხენა მუხლს ღუნავდა, წამოიზიდებოდა და უძრავ მარჯვენა ფეხს თან მიითრევდა. და ასე კვლავ და კვლავ, იარდ-იარ-დობით. რამდენჯერმე შეჩერდა, რომ მხარზე საბანი და ჩანთა შეესწორებინა. ბიძგებით მოძრაობისას ნასკვები იშლებოდა. ბოლოს მიხვდა როგორ უნდა გაეკეთებინა კვანძი ისე, რომ აღარ გახსნილიყო და დრო აღარ დაე-კარგა.

დროდადრო ხელისგულებზე და მუხლებზე საბნიდან ჩამოჭრილი შალის ზოლების უფრო მაგრად შემოჭერა უხდებოდა. მარჯვენა ფეხის თრევა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. მოკასინი მხოლოდ კოჭამდე წვდებოდა, მის ზემოთ კი ფეხი დაუცველი რჩებოდა. პირველივე ას იარდზე კანი გადაეყვლიფა და სისხლი წამოუვიდა. იძულებული გახდა შეჩერებულიყო, საბნისთვის ზოლი ჩამოეჭრა და ფეხი შეეხვია.

ნაკადულის გასწვრივ მიცოცავდა. გრანდამდე მიღწე-ვას თითქმის ორი საათი დასჭირდა. ხელები და ფეხები ასტკივდა მიუჩვეველი, უხერხული მოძრაობებისგან. რაზ-მის ძველ ნაკვალევს დახედა და თავი გადააქნია, გაუკ-ვირდა, ინდიელებმა ეს როგორ ვერ შენიშნესო, გაიფიქრა.

მას ამ კითხვაზე პასუხის გაგება არ ეწერა, თუმცა საკმარისი იყო მდინარის მეორე ნაპირზე გადასულიყო და ყველაფერი ცხადი გახდებოდა. იქ, ცირცველის ჭალაში, ჯერ კიდევ აჩნდა დათვის უზარმაზარი ანაბეჭდები, ისეთივე მკაფიო, როგორც ინდიელთა ხუთი ცხენის ნაკვალევი. ბედის ირონია, რომლის შესახებაც გლასი ვერასოდეს გაიგებდა: სწორედ გრიზლიმ იხსნა ის ინდიელთა ხელში ჩავარდნისგან. ფიტცჯერალდის მსგავსად დათვმაც გრანდის ახლოს კენკრა აღმოაჩინა და პირს იტკბარუნებდა როცა არიკარას ტომის ხუთი ინდიელი წაადგა თავს. სწორედ დათვის სუნი იყო ამლაკი რომ გააგიჟა. ხუთი ინდიელი მხედრისა და დანახვით და სუნით დამფრთხალი გრიზლი ჭალაში შევარდა. მონადირეები დაედევნნენ და მოპირდაპირე ნაპირზე კვალი შეუმჩნეველი დარჩათ.

გლასმა, რომელსაც ბოლო დღეებში ფიჭვებით დაბურული ვიწრო მდელოს გარდა არაფერი ენახა, მზერა მოავლო ფართო დაბლობს, აქა იქ დამრეცი ბორცვებით და ალვის ხეებით. მდინარისკენ გზას ხშირი ტირიფნარი ულობავდა. იქ ცოცვა შეუძლებელი იყო და არც შუადღის მზისგან დაიფარავდა – მხურვალე სხივები ხეების ფოთლებს შორის აღწევდა. ზურგსა და მკერდზე ოფლის წვეთები წამოუვიდა და როცა ჭრილობებში ჩააღწია, მარილისგან წვა იგრძნო. გლასი დაიხარა, რომ ნაკადულის ცივი წყალი დაელია და ყლუპებს შორის მდინარეს გახედა. ზემოთ, სათავისკენ ხომ არ აჰყოლოდა? თან მათ კვალსაც დაადგებოდა. არა, ჯერ დევნის დრო არ იყო.

გადავადების აუცილებლობა გულს უღრღნიდა, თითქოს ქურაში გავარვარებულ რკინაზე ცივ წყალს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასხამდნენ, მაგრამ თან ამაგრებდა მას და მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. საკუთარ თავს შეჰფიცა, რომ გადარჩებოდა, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ იმ ორ მოღალატეზე ეძია შური.

გლასმა იმ დღეს კიდევ ორი საათი იხოხა და, რამდენადაც შეეძლო განესაზღვრა, დაახლოებით ორი მილი გაიარა. მდინარე გრანდის ორივე ნაპირზე ქვიშის პლიაჟები ხან ბალახში გადადიოდა და ხან ქვებით იცვლებოდა. მდინარის საკმაოდ დიდი მონაკვეთები წყალმარჩხი იყო და სიარული რომ შეძლებოდა ფეხით გაივლიდა და გზას შეიმოკლებდა, მაგრამ დაჭრილისთვის, რომელსაც მხოლოდ ხოხვა შეეძლო მხოლოდ ჩრდილოეთ ნაპირი რჩებოდა.

განსაკუთრებულ სიძნელეს ქვიანი ადგილები წარმოადგენდა. როცა შესასვენებლად შეჩერდა, დაინახა, რომ შალის ნაჭრები ნაფლეთებად ქცეულიყო. სახვევები კანს გადაყვლეფისგან იფარავდა, მაგრამ ჩალურჯებისგან – ვერა. ჩაშავებული ხელისგულები და მუხლები ტკიოდა. მარცხენა ხელის კუნთები ეკრუნჩხებოდა, შიმშილისგან თავბრუსხვევა დაეწყო. როგორც გლასმა იწინასწარმეტყველა ნადავლი არ ჩქარობდა ხელში ჩავარდნოდა. იძულებული იყო თავი მცენარეებით გამოეკვება.

პაუნის ინდიელებთან ცხოვრებამ სტეპის ყვავილების გარჩევა ასწავლა. ჭაობიან დაბლობებში ოთხი ფუტი სიმაღლის ლაქაშის ბარდებს არჩევდა სხვა მცენარეებისგან. მათ ბეწვისებური ყავისფერი თავები ჰქონდათ წვრილ, მწვანე ღეროებზე. ფესვებს ჯოხით თხრიდა, კანს აძრობდა და მწვანე ყლორტებს ჭამდა. თუმცა ჭაობში არა მხოლოდ ლაქაშის ბარდები იყო უხვად, არამედ კოღოებიც. ისინი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განუწყვეტლივ დაბზუოდნენ თავზე, კისერზე, მკლავებზე. სანამ შიმშილისგან არაქათგამოცლილი გლასი ღეროებს თხრიდა, კოლოებს თითქმის ვერ ამჩნევდა, მაგრამ, როგორც კი შიმშილს მოიკლავდა, მათი კბენების ატანა შეუძლებელი ხდებოდა და ის კიდევ ას ნაბიჯს მიხოხავდა მდინარის გასწვრივ. ჭაობიანი ადგილებისგან მოშორებით კოლოების რაოდენობა მცირდებოდა.

უკვე სამი დღე იყო მდინარე გრანდის ქვემო წელისკენ მიიწევდა. ლაქაშები ისევ მრავლად ხვდებოდა. დროდადრო ველური ხახვი ჩაუვარდებოდა ხელში. ბაბუაწვერასაც არ იწუნებდა და ხანდახან ტირიფის ფოთლებსაც კი ჭამდა. ორჯერ კენკრას გადაეყარა და მანამ არ მოეშვა, სანამ კარგად არ დანაყრდა. მათი წვენისგან თითები კარგა ხანს მეწამულისფერი ჰქონდა.

და მაინც, მისი ორგანიზმი ხორცს ითხოვდა. თორმეტი დღის განმავლობაში რაც გრიზლის თავდასხმის შემდეგ იყო გასული, დაჭრილს სულ რამდენიმე ყლუპი ბულიონი ჰქონდა დალეული ჯერ კიდევ ფიტცჯერალდისა და ბრიჯერის წასვლამდე. და კიდევ გველის ხორცით დანაყრება მოახერხა. კენკრის და ფესვების ჭამით შეეძლო რამდენიმე დღე გაეძლო, მაგრამ თუ უნდოდა ფეხზე წამომდგარიყო, ყუათიანი საკვები სჭირდებოდა. გველს რომ გადაეყარა გაუმართლა. ასეთი რამ მომავალში ნაკლებად ეიმედებოდა, თუმცა თუ ერთ ადგილას იჯდებოდა, საერთოდ არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. და მომდევნო დილით გლასმა ისევ წინ დაიწყო ფორთხვა. ხელს თუ გაანძრევდა, იქნებ ილბალიც წამოშველებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 9

8 სექტემბერი, 1823

ბიზონის ჩონჩხი უფრო ადრე იყნოსა, ვიდრე დაინახა. არა მხოლოდ სუნი ეცა, გაიგონა კიდეც. ყოველ შემთხვევაში ის ნამდვილად ჩაესმა ბუზები ძვლის და ტყავის გროვას როგორ დაბზუოდნენ. ჩონჩხს მყესები ჯერ კიდევ იჭერდა, რომ არ დაშლილიყო, თუმცა ხორცი უკვე დიდი ხნის წინ ამოეჭამათ. მასიური თავი, მოხრილი რქებით – ცხოველს თითქოს ჯერ კიდევ სიამაყეს სძენდა, თუმცა ჩიტებს უყურადღებოდ არც ის მიეტოვებინათ – თვალები ამოეკენკათ.

ბიზონის დანახვისას გლასს ზიზღი არ უგრძნია, თუმცა იმედი კი გაუცრუვდა იმის გამო, რომ ხორცი, რომელიც მას ასე სჭირდებოდა სხვებს ჩავარდნოდა. ცხოველის გარშემო მრავალი ნაკვალევი იყო და გლასი მიხვდა, რომ ის აქ ოთხი თუ ხუთი დღის განმავლობაში მაინც იდო ასეთ მდგომარეობაში. ძვლების გროვას შეხედა და წამიერად თავისი ჩონჩხი წარმოიდგინა სადღაც პრერიის შორეულ კუთხეში მიგდებული, ჩიტების და კოიოტების შეჭმული. თავში ბიბლიური სიტყვები ამოუტივტივდა: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“. ნუთუ ამას ნიშნავს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ მისი ფიქრები მაშინვე რეალობას დაუბრუნდა. არაერთხელ უნახავს, რომ ინდიელები, როცა სხვა საკვები არ ჰქონდათ, ცხოველის ტყავს ხარშავდნენ, წებოვან მასად აქცევდნენ და ჭამდნენ. თვითონაც სიამოვნებით გააკეთებდა იგივეს ჭურჭელი რომ ჰქონოდა რომელშიც ტყავს მოხარშავდა. ამიტომ სხვა რამ სცადა. აიღო ადამიანის თავისოდენა ქვა, რომელიც ჩონჩხის გვერდით ეგდო და მარცხენა ხელით, უხერხული მოძრაობით ცხოველს ნეკნებში ჩაარტყა. ნეკნმა გაიტკაცუნა. გლასმა ნამტვრევი ხელში აიღო. ძვლის ტვინი, რომლის იმედი ჰქონდა, მასში არ აღმოჩნდა. მაშასადამე, უფრო სქელი ძვალი იყო საჭირო.

ცოტა მოშორებით, განცალკევებით წინა ფეხი იდო მთლად ჩლიქამდე გამოღრღნილი. დაჭრილმა ის ბრტყელ ქვაზე დადო და მეორე ქვით დაბეგვა დაუწყო. ძვალი ჯერ გაიბზარა და შემდეგ გატყდა.

შუაში, როგორც ელოდა, ძვლის მწვანე ტვინი ისევ იყო დარჩენილი. მოგვიანებით გაახსენდა, რომ სუნი თავიდანვე უცნაურად მოეჩვენა, მაგრამ იმ წამს შიმშილმა გონება დაუბინდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ემწარა, ძვლიდან სითხე გამოწოვა, შემდეგ ნეკნის ნატეხით შუაგული გადაჩხრიკა და რაც დარჩა ისიც შეხვრიპა. ჯობია გავრისკო, ვიდრე შიმშილისგან მოვკვდეო, გაიფიქრა. ძვლის ტვინი ადვილი გადასაყლაპი იყო და გლასი თვით მისი შთანთქმის პროცესითაც ტკბებოდა. თითქმის ერთი საათი გაატარა ასე. ძვალს ტეხდა და მის შიგთავსს იღებდა.

სწორედ ამ დროს დაემართა პირველად კრუნჩხვა. სადღაც, ნაწლავების სიღრმიდან ყრუ ტკივილი წამოვიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთბაშად იგრძნო, რომ საკუთარი წონა ძლევდა და გვერდზე გადაბრუნდა. თავი უსკდებოდა, ოფლი ღვარად სდიოდა. უცებ ტკივილმა, როგორც ლინზაში ფოკუსირებულმა შუქმა, მუცელში მოიყარა თავი. ნაწლავები საშინლად უხურდა. რაღაც შიგნიდან დაიძრა, ყელში მოაწვა და ღებინება დააწყებინა. მთელი სხეული უკანკალებდა. კუჭიდან წამოსული ნაღველი დაჭრილ ყელში მტანჯველ ტკივილს იწვევდა.

ორი საათი იწვა ასე. მუცელი გამოუცარიელდა, მაგრამ კრუნჩხვები მაინც არ ეშვებოდა. შუალედებში ცდილობდა არ განძრეულიყო, ეშინოდა ზედმეტი მოძრაობით გულისრევა და ტკივილი არ გამოეწვია.

როცა პირველმა ტალღამ გადაიარა, შეეცადა ჩონჩხიდან შორს გახოხებულიყო რომ მოტკბო სიმყრალის სუნს გარიდებოდა, მაგრამ ოდნავ ამოძრავებამაც კი თავის ტკივილიც განუახლა და გულისრევაც. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ცოტა გაიარა და ხშირ ტირიფნარამდე მიაღწია, გვერდზე გადაბრუნდა, მოიკუნტა და გაითიშა თუ ბურანში წავიდა.

ორგანიზმი ამძაღებული ძვლის ტვინიდან მთელი დღე და მთელი ღამე იწმინდებოდა. წინა ჭრილობებისგან ტკივილს დაქანცულობა და უკიდურესი სისუსტე დაემატა. ძალები ისე ელეოდა, როგორც ქვიშა იცლება ქვიშის საათში. ადრე თუ გვიან რომელიღაც მარცვალი უკანასკნელი აღმოჩნდება და მოძრაობა ჩერდება. თვალწინ, ბურანში ყოფნის დროსაც კი, ამაყი ცხოველის – ბიზონის ჩონჩხი ედგა, გამოღრღნილი ხორცით, პრერიის შუაში რომ ლპებოდა.

როცა მესამე დღეს, დილით გამოეღვიძა, გლასს მგელივით შიოდა. კუჭი საჭმელს თხოვდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ორგანიზმი შხამისაგან გათავისუფლდა. წინა დღით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისევ შეეცადა მდინარეს ხოხვით ქვემოთ დაჰყოლოდა, ნაწილობრივ საჭმლის შოვნის იმედით, უფრო კი იმიტომ, რომ დრო არ დაეკარგა. ორი დღის განმავლობაში მეოთხედ მილზე მეტის გავლა ვერ შეძლო. მოწამვლამ მხოლოდ შეფერხება კი არ გამოიწვია, არამედ წაართვა ის უკანასკნელი სასიცოცხლო ძალა, რომელიც ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი.

თუ უახლოეს დღეებში ხორცს ვერ მოიპოვებდა, სიკვდილი გარდაუვალი იყო.

ბიზონის ჩონჩხთან დაკავშირებულმა მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ როგორც არ უნდა შიებოდა, ძველ ხორცს არ უნდა გაკარებოდა. ჯერ იფიქრა შუბი გაეკეთებინა, ან ბოცვერი ქვით მოეკლა, მაგრამ შემდეგ ეს აზრი უარყო. მარჯვენა მკლავი ისე სტკიოდა, ხელის აწევაც კი უჭირდა და მას მით უმეტეს ისე მაგრად ვერ მოიქნევდა, რომ ცხოველისთვის სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა. მარცხენა ხელს კი კარგად ვერ ხმარობდა და არც ძალა ეყოფოდა და არც სიზუსტე.

ასე რომ, ნადირობაზე ფიქრი თავიდან უნდა ამოეგდო. რჩებოდა მახის დაგება. თოკი და დანა რომ ჰქონოდა საკეტელას გამოჭრიდა. პატარა ცხოველებისთვის მახის დაყენების ბევრი გზა იცოდა, მაგრამ რადგან სულ უბრალო სამუშაო ინსტრუმენტებიც კი არ ჰქონდა, იძულებული გახდა უმარტივესი მოწყობილობით დაკმაყოფილებულიყო: ჯოხზე მიამაგრა დიდი ქვა, რომელიც მას დაეცემოდა, ვინც საყრდენს შეეხებოდა.

მიწა მდინარისპირა ტირიფებისა და ქვიშიანი ნაპირის ქვეშ ცხოველების ნაკვალევით იყო დაფარული. მაღალ ბალახებში დროდადრო დაჯეგილი უბნები ხვდებოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სადაც ალბათ ირმებს ჰქონდათ ღამე გათეული. გლასს ირმის მოკვლის იმედი არ ჰქონდა. დიდ ქვას ან ჯოხს ასე მაღლა ვერ ასწევდა. ისევ ბოცვრებს თუ დაიჭერდა, რომლებიც მდინარის გაყოლებაზე მრავლად იყვნენ.

ბოცვრების ნაკვალევი გლასმა თახვების მიერ ცოტა ხნის წინ წაქცეული სქელი ალვის ხის ქვეშ ნახა. მისი ხშირფოთლიანი ტოტები ცხოველებს სამალავ ადგილად ექციათ. მისკენ მიმავალი კვალი ბოცვრების ბარდის ოდენა ცურცლით იყო სავსე.

მდინარესთან გლასმა სამი სათანადო წონის ქვა მოძებნა, ბრტყელი, ფართო ზედაპირით, საკმაოდ მძიმე საიმისოდ, რომ ბოცვერი მოეკლა. თითოეული დაახ-ლოებით თოფისწამლის კასრის ზომის იყო და ოცდაათ ფუნტამდე წონის იქნებოდა. იმის გამო, რომ მხოლოდ ერთ ხელს და ერთ ფეხს იყენებდა, ნაპირიდან ხემდე მათ გადატანას თითქმის ერთ საათს მოუნდა.

ახლა ჯოხები სჭირდებოდა საყრდენად. ამისთვის წაქცეული ალვის ხის ტოტები გამოდგებოდა. სამი ცალი შეარჩია, დუიმის სისქის და ხელის სიგრძის და თითოეული მათგანი შუაზე გადატეხა. პირველი ხელით გადაამტვრია, რის გამოც მხარსა და ზურგში ძლიერი ტკივილი იგრძნო, ამიტომ დანარჩენი ორი ალვის ხის ღეროზე ჩამოდო ცალი კიდით და ქვით ორად გააპო.

ახლა გლასს სამი მახისთვის შუაზე გაყოფილი სამი ჯოხი ჰქონდა. ისღა რჩებოდა ჯოხი გადატეხვის ადგილას შეეერთებინა და მასზე ქვა დაემაგრებინა – არა მყარად, სწორედ ეს იყო საჭირო, რომ მახეს ემუშავა. სადაც საყრდენი ჯოხის ორი ნაწილი ერთმანეთს ხვდებოდა, იქ კიდევ ერთი ტოტი უნდა ჩაესვა მისატყუარით. როცა მას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეეხებოდნენ, ჯოხი ორად გაიყოფოდა და ქვა მსხვერპლს დაეცემოდა.

მისატყუარისთვის გლასმა თექვსმეტი დუიმის სიგრძის ტირიფის ტოტი აიღო და თითოეულს მდინარესთან შეგროვებული თითო მუჭა ბაბუაწვერას ფოთლები მიამაგრა.

ბოცვრის ცურცლებით მოფარული ვიწრო კვალი წაქცეული ალვის ხის ყველაზე სქელი ადგილისკენ მიდიოდა. პირველი მახის დაგება გლასმა სწორედ იქ გადაწყვიტა.

აწყობისას მთავარი იყო საჭირო თანაფარდობის პოვნა მერყეობასა და საიმედოობას შორის. ერთი მხრივ კონსტრუქცია თავისი წონით არ უნდა ჩამორღვეულიყო, მეორე მხრივ კი, თუ ის მეტისმეტად მყარი იქნებოდა, ცხოველის შეხებისას ქვა აღარ ჩამოვარდებოდა და ის უვნებელი გადარჩებოდა. ჩანაფიქრის აღსრულებას ძალაც სჭირდებოდა და მოძრაობის სიზუსტეც, გლასს კი ჭრილობებისგან არაქათი ჰქონდა გაცლილი. მარჯვენა ხელით ქვის აწევა უჭირდა. მარჯვენა ფეხზე მისი დაყრდნობა მოუწია, მარცხენათი კი საყრდენის ორი ნახევარი და მათ შორის ჩადგმული ტოტი მისატყუარით ჩაიჭირა. მაგრამ კვლავ და კვლავ მთელი სტრუქტურა ინგრეოდა. ორჯერ გადაწყვიტა მოწყობილობა მეტისმეტად მყარი გამოვიდაო და თვითონვე დაანგრია.

თითქმის ერთი საათის შემდეგ, როგორც იქნა, სასურველ ბალანსს მიაღწია. შემდეგ ალვის ხესთან, ნაკვალევზე, ორი შესაფერისი ადგილი შეარჩია და კიდევ ორი მახე დააყენა. ახლა მხოლოდ ისღა დარჩენოდა დალოდებოდა, გლასი მდინარისკენ გახოხდა.

ფლატეებიან ნაპირზე დაცულ ადგილზე მოეწყო. დიდხანს ებრძოდა შიმშილს და როცა უკვე მოთმენა აღარ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეეძლო ბაბუაწვერას მწარე ფესვები შეჭამა, რომლებიც მახეებისთვის შეაგროვა. პირში სიმწარე ჩაეღვარა და მდინარის წყლის დალევა მოუწია. ბოცვრები ღამით ძალიან აქტიურდებოდნენ. მახეებს დილით შეამოწმებდა.

კისერში ძლიერმა ტკივილმა გლასი ალიონამდე გამოაღვიძა. ჯერ კიდევ ბნელოდა. დამდეგი დღის პირველი ნათება აღმოსავლეთ ჰორიზონტზე ცას წითლად ღებავდა. პოზა შეიცვალა, იმის იმედად, რომ მხარში ტკივილი შესუსტდებოდა. ცოტა უკეთ იგრძნო თავი, მაგრამ ახლა მთელ სხეულში ჟრჟოლამ დაუარა. დაგლეჯილი საბანი შემოიხურა და კისერზე კარგად შემოიფუთნა. ასე იწვა ერთი საათი, სანამ წყვდიადი არ გაიფანტა. უკვე შეიძ-ლებოდა მახეების შემოწმება.

ტუჩებზე ისევ მწარე გემო ჰქონდა, როცა წაქცეული ალვის ხისკენ მიხოხავდა. თავის გარშემო კუნსის მყრალ სუნს თითქმის ვერ გრძნობდა. თუმცა ორივე შეგრძნება მის წარმოსახვაში დაჩრდილა შამფურზე წამოგებულმა ბოცვერმა, ტკაცუნა ცეცხლზე რომ იწვებოდა.

სამივე მახე დაახლოებით ორმოცდაათ იარდში იყო. ერთს ეტყობოდა არაფერი შეხებოდა, დანარჩენი ორი კი დანგრეული ჩანდა. ქვები და საყრდენი ჯოხები მიწაზე ეყარა. გლასი სწრაფად გახოხდა წინ.

პირველი მახიდან ათ ფუტში ცხოველების ბილიკზე ბევრი ახალი კვალი შეამჩნია. ახლომახლო მიწა ახალი ცურცლებით იყო მოფენილი. სუნთქვა შეუჩერდა, როცა ქვის გარშემო ადგილი მოათვალიერა. არაფერი. ქვა ასწია, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა. მახე ცარიელი იყო. სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ნუთუ საყრდენი მეტისმეტად სუსტად დაამაგრა და ქვა თავისით ჩამოვარდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეორე მახესთან მიხოხდა, ქვის წინ არაფერი ჩანდა. გადაიწია და მეორე მხარეს დახედა. რაღაც თეთრი და შავი გაკრთა მის თვალწინ, იმავდროულად ძლივს გასაგონი სისინი შემოესმა და ტკივილი უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე მომხდარის გაცნობიერებას მოასწრებდა. მახეში სკუნსი მოხვედრილიყო. წინა ფეხები ქვით ჰქონდა მომტვრეული, თუმცა მწარე სითხის გამოფრქვევის უნარი არ დაკარგვოდა. გლასს ახლა თვალები ისე ეწვოდა, თითქოს ადუღებული ზეთი შეასხესო. უკან გადაგორდა, რომ მწარე სითხის მორიგი ულუფა აერიდებინა და მთლად დაბრმავებული ნახევრად ხოხვით და ნახევრად გორვით მდინარისკენ წავიდა.

ნაპირზე შედარებით ღრმა წყალი მოძებნა და თავი ჩაჰყო. სასოწარკვეთილი ცდილობდა მწველი სითხე ჩამოერეცხა. წყალში თავჩარგული შეეცადა თვალები გაეხილა, მაგრამ მეტისმეტად აეწვა. მხედველობა მხოლოდ ოცი წუთის შემდეგ დაუბრუნდა და ისიც ნაწილობრივ. სულ თვალების დაფახულება უწევდა, ქუთუთოები დაუსივდა და სტკიოდა. მთელი სხეული და ტანსაცმელი გულისამრევი სუნით ჰქონდა გაჟღენთილი. გაახსენდა, რომ ოდესღაც აკვირდებოდა ქუჩის ძაღლს, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში ტალახში გორაობდა, რათა სკუნსის სიმყრალე მოეშორებინა. იმ ძაღლის მსგავსად მანაც იცოდა, რომ სუნი დიდხანს არ გაიფანტებოდა.

თვალების წვა ოდნავ შეუნელდა და გადაწყვიტა ჭრილობები სასწრაფოდ შეემოწმებინა. კისერზე ხელი მოისვა და თითებს დახედა. სისხლი არ მოსდიოდა, მაგრამ სუნთქვა და ნერწყვის გადაყლაპვა უჭირდა. გაახსენდა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ხმის ამოღება არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცდია. პირი გააღო და ხმის იოგები დაძაბა, მაგრამ მწვავე ტკივილი იგრძნო და მხოლოდ უბადრუკი, ხრინწიანი წრიპინი გამოსცა. ნეტავ ოდესმე თუ მაინც შევძლებ ნორმალურად დალაპარაკებასო, – გაიფიქრა.

კისერი წაიგრძელა და ყელიდან მხარისკენ მიმავალი პარალელური ჭრილობები დაათვალიერა. ბრიჯერის მიერ წასმული ფიჭვის ფისი ჯერ კიდევ შერჩენოდა და აშკარა იყო, რომ იარა შუშდებოდა, თუმცა მხარი ისევ სტკიოდა. ბარძაყის ჭრილობაც შედარებით უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ფეხს სხეულის სიმძიმის ზიდვა უჭირდა. სკალპს შეეხო და წარმოიდგინა რა საშინელი სანახავი იქნებოდა. ასე იყო თუ ისე სისხლი არ სდიოდა და არ სტკიოდა.

ყელის შემდეგ ყველაზე მეტად ზურგის მდგომარეობა აწუხებდა. ჭრილობების ვერც დანახვას ახერხებდა და ვერც ხელით შეხებას, გონება კი ყველაზე საშინელ სურათს უხატავდა. უცნაური შეგრძნებები ჰქონდა და იფიქრა ალბათ ჭრილობებზე ფუფხები დროდადრო ისევ სკდებაო. იცოდა, რომ კაპიტანმა ჰენრიმ ნაკერები დაადო და ხანდახან გრძნობდა ძაფის ბოლოები კანზე როგორ ეხახუნებოდა.

მაგრამ ყველაზე მეტად შიმშილი ასუსტებდა.

ბოლოს მომხდარმა მოვლენებმა გლასი გატეხა. უძრავად იწვა ქვიშიან ნაპირზე და წვრილ, მწვანე ღეროებზე ყვითელ ყვავილებს უყურებდა. ღერო ველური ხახვივით გამოიყურებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს შხამიანი შროშანები იყო და იეჭვა, ისინი განგებამ ხომ არ გამომიგზავნაო. აინტერესებდა შხამი როგორ იმოქმედებდა – მარადიულ ძილს მიეცემოდა მშვიდად, თუ სხეულს აგონიის კრუნჩხვები შეიპყრობდა. და რომელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უფრო უარესი იყო – აგონიის გახანგრძლივება სიკვდილის მოლოდინში თუ მყისიერი სიკვდილი.

უცებ გლასმა მოპირდაპირე ნაპირზე რაღაც მოძრაობა შენიშნა. ტირიფნარიდან წყლის დასალევად დიდი ძუ ირემი გამოვიდა, ფრთხილად მიმოიხედა და ნაპირს გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა. ოცდაათიოდე იარდში იყო. ადვილი ნადავლი იქნებოდა ახლა რომ თავისი ანშტატდი ჰქონოდა.

მთელი ამ დროის განმავლობაში პირველად იყო, რომ მათზე ფიქრობდა, ვინც ასეთ დღეში მიატოვა. ირემს უყურებდა და მრისხანება სულ უფრო და უფრო იპყრობდა. მიტოვება მეტისმეტად რბილი სიტყვა იყო მათი საქციელის შესაფასებლად. მიტოვება მთლად ღალატიც არ არის – უბრალოდ გარბიხარ და არ ზრუნავ მასზე, ვისაც ტოვებ. ის რომ მხოლოდ მიეტოვებინათ, ახლა თავისი შაშხანით ირემი მიზანში ეყოლებოდა ამოღებული და გვერდით ექნებოდა დანა, რომლითაც მას გამოშიგნავდა და კვესი, რომლითაც ცეცხლს დაანთებდა და ხორცს მოხარშავდა. ახლა კი ამის ნაცვლად მიწაზე ეგდო თავიდან ფეხებამდე სველი, დაჭრილი, სკუნსის სუნით აყროლებული, ბაბუაწვერას ფესვების მწარე გემოთი პირში.

რაც ფიტცჯერალდმა და ბრიჯერმა გააკეთეს უბრალოდ მიტოვებაზე ბევრად უარესი იყო. ისინი იერუსალიმიდან იერიქონისკენ მიმავალი გამვლელები კი არ იყვნენ, რომლებმაც ყაჩაღების მიერ დაჭრილ უცნობს თვალი აარიდეს: კეთილი სამარიტანელების მსგავსი თავგანწირვა თუ არა, ის მაინც ხომ შეეძლოთ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო არ დაემძიმებინათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათ შეგნებულად წაიღეს ის მცირედიც კი, რაც გლასს გადარჩენის შანსს მისცემდა და ამით ის სასიკვდილოდ გასწირეს. ეს მკვლელობის ტოლფასი იყო – მას გულში დანა ჩაარტყეს, შუბლში ტყვია დააჭედეს. მოკლეს, მაგრამ არ მოკვდა. და არც მოკვდება. მან საკუთარ თავს შეჰფიცა: „იცოცხლებს იმისთვის, რომ მკვლელები მოკლას“.

ჰიუ გლასი იდაყვებზე წამოიწია და წინ მდინარის დინების მიმართულებით დაიწყო ხოხვა.

გარშემო მიმოიხედა. შორიახლო დამრეცი დაბლობი შენიშნა, რომელიც სამი მხრიდან ფართო, მშრალ ფერდობში გადადიოდა. მიწა არცთუ მაღალი ბალახით და აბზინდის ბუჩქებით იყო დაფარული. გლასს უცებ არკანზასის გასწვრივ ბორცვები გაახსენდა და მახე, რომელიც ერთხელ მის თვალწინ პაუნის ტომის ბავშვებმა დააგეს. ის, რითაც ინდიელი ბავშვები ერთობოდნენ მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

ფრთხილად გაფორთხდა დაბლობში და დაახლოებით ცენტრში შეჩერდა, წვეტიანი ქვა იპოვა და ქვიშიანი, მაგარი ნიადაგის თხრა დაიწყო.

ოთხი დუიმი დიამეტრის ორმო ამოთხარა იმ სიღრმის, რომ ხელი იღლიამდე ჩადიოდა და მისი ქვედა ნაწილის გაფართოება დაიწყო. განიერი ბოთლის მსგავსი რაღაც გამოვიდა, ყელით ზემოთ. ორმოდან ამოღებული გრუნტი გლასმა ახლომახლო თანაბრად მიმოფანტა, რომ ახალამოთხრილ მიწას ყურადღება არ მიექცია. დაღლილობისგან ძლივს სუნთქავდა. ცოტა ხნით შეისვენა, რომ სული მოეთქვა.

ახლა ერთი დიდი ბრტყელი ქვა სჭირდებოდა და სამი – შედარებით მცირე ზომის. ისინი ორმოდან დაახლოებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორმოც ფუტში იპოვა. სამი პატარა ქვა ორმოს გარშემო სამკუთხედის ფორმით განალაგა, დიდი, ბრტყელი ქვა კი მათ ზემოდან დაადო სახურავად, რომლის ქვეშ სივრცე სამალავი ადგილის ილუზიას ქმნიდა.

გლასმა მახე ტოტით შენიღბა და ორმოს ნელ-ნელა ხოხვით გაშორდა. გზადაგზა ცხოველის სკორე ხვდებოდა. კარგი ნიშანი იყო. ორმოდან ორმოცდაათ იარდში შეჩერდა. მუხლები და ხელისგულები გადაყვლეფილი ჰქონდა. ბარძაყი ასტკივდა. ზურგზე, დამსკდარი ფუფხებიდან სისხლი სდიოდა. შესვენებამ დროებით შვება მოჰგვარა და მით უფრო ნათლად გააცნობიერა შინაგანად როგორი დაღლილი იყო – ყრუ ტკივილი სადღაც მისი სიღრმიდან იწყებოდა და გარეთ აღწევდა. საშინლად მოუნდა თვალები დაეხუჭა და ძილს მინებებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ძალების აღსადგენად ჭამა იყო აუცილებელი.

ისევ იდაყვზე წამოიწია და გახოხდა. მახეს ერთი წამითაც არ აცილებდა თვალს და მის გარშემო ფართო წრეზე გადაადგილდებოდა. ერთი წრის შემოვლას ნახევარი საათი დასჭირდა. მთელი სხეული დასვენებას თხოვდა, მაგრამ ახლა შეჩერება საქმეს ხელს შეუშლიდა. ხოხვას განაგრძობდა, წრეს მახის გარშემო თანდათან ავიწროებდა. გზად დროდადრო ბუჩქები ხვდებოდა და ის შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან ტოტები შეერხია, წრის შიგნით მოხვედრილი ცხოველი შეეშინებინა და ის ნელ-ნელა მახისკენ მიერეკა.

ერთი საათის შემდეგ გლასმა ორმომდე მიაღწია, ბრტყელი ქვა-სახურავი ახადა და მიაყურადა. ერთხელ თავისი თვალით ნახა, რომ ინდიელმა ბიჭმა, მსგავს მახეში ხელი ჩაჰყო და ის მაშინვე წივილით ამოიღო უკან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზედ მიკრული ჩხრიალა გველით. გლასმა, რომელსაც ის შემთხვევა სამუდამოდ დაამახსოვრდა, ახლომახლო შესაფერისი ჯოხი იპოვა ბრტყელი ბოლოთი და ის რამდენჯერმე ორმოში ჩაუშვა.

როცა დარწმუნდა, რომ მახეში არაფერი ცოცხალი არ ჭაჭანებდა მასში ხელი ჩაჰყო და ერთიმეორის მიყოლებით ამოიღო ოთხი მკვდარი თაგვი და ორი ციყვი. ნადირობის ეს მეთოდი რა თქმა უნდა დიდი ბედენა იყო, მაგრამ გლასი შედეგით მაინც კმაყოფილი დარჩა.

დაბლობი ერთგვარი საფარი მაინც იყო და გლასმა გადაწყვიტა გაერისკა და ცეცხლი დაენთო. ბედს იწყევ-ლიდა, რომ კაჟი და კვესი არ ჰქონდა. იცოდა ცეცხლი ორი ჯოხის ერთმანეთთან ხახუნითაც შეიძლებოდა მიეღო, მაგრამ ამის გაკეთება არასოდეს უცდია. ფიქრობდა ამ მეთოდით ცეცხლის დანთება კიდეც რომ შევძლო, ამას ძალიან დიდი ხანი დასჭირდებაო.

უფრო ადვილი იქნებოდა ცეცხლის დასანთები სპეცია-ლური მშვილდი გამოეყენებინა – მოღუნული ტარი, რომლის ბოლოები თოკით იქნებოდა შეკრული. გარდა ამისა საჭირო იქნებოდა ხის ბრტყელი ნაჭერი პატარა ხვრელით და დაახლოებით სამი მეოთხედი დუიმის სისქისა და რვა დუიმი სიგრძის მრგვალი ჯოხი, რომელიც ჯოხით უნდა დაეტრიალებინა ვიოლონჩელისტის მსგავსი მოძრაობით.

გლასმა ოთხიდან სამი აუცილებელი ნაწილი დაბ-ლობში მოიძია – ტარი, ჯოხი ცეცხლის ასანთებად და ხის ბრტყელი ნაჭერი, ოდესღაც ნაპირზე ტალღის გამოტანილი. ახლა მხოლოდ თოკი რჩებოდა. ის ჩაფიქრდა, ჩანთას სამართებლით გრძელი ნაჭერი ჩამოაჭრა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტყავით მშვილდის ბოლოები ერთმანეთს გადააბა. შემდეგ იმავე სამართებლით სქელ ფიცარში ღერძისათვის ჯოხის სისქეზე ოდნავ უფრო განიერი ხვრელი გამოჩიჩქნა.

ახლა, როცა მშვილდი გაამზადა, საჭირო იყო აბედი და საწვავი ცეცხლის დასანთებად. ჩანთაში შემორჩენილი თოფის ჩვრები გლასმა გრძივად დახია, შემდეგ ბამბასავით ფაფუკი და რბილი ლაქაშის თავები ამოიღო. აბედი პატარა ორმოში ჩადო და ზემოდან გამხმარი ბალახი, მშრალი ტოტები და რამდენიმე კვირის განმავლობაში მზეზე გამომშრალი ბიზონის სკორე დააყარა.

ახლა მშვილდზე უნდა გადასულიყო. ბრტყელი ფიცრის მრგვალ ნახვრეტში აბედი ჩაყარა, შიგ ღერძი ჩადგა და ფითილი შემოახვია. მარჯვენა ხელით, რომელზეც ჯერ კიდევ საბნის ზოლი ჰქონდა შემოხვეული, ღერძი დაიკავა, მარცხენათი კი მშვილდის აქეთ-იქით გადაწევა დაიწყო. ღერძი ნახვრეტში დატრიალდა და წარმოიქმნა ხახუნი, რომლისგანაც ცეცხლი უნდა გაჩენილიყო.

შეცდომას გლასი მაშინვე მიხვდა: ღერძის ერთი ბოლო ბრუნავდა ფიცრის ნახვრეტში, სადაც ნაპერწკალი უნდა წარმოქმნილიყო, მაგრამ მეორე ბოლო მის ხელზე ხახუნობდა. გაახსენდა, რომ პაუნის ტომის ინდიელები ღერძს ზემოდან იჭერდნენ ხელისგულისოდენა მეორე ფიცრით. შესაფერისი ხის ნაჭრის მოძებნა მოუწია, შემდეგ კი მასში სამართებლით ხვრელი ამოჩორკნა ღერძის ჩასადებად.

მარცხენა ხელით მოუხერხებლად მუშაობდა. ბრუნვის საჭირო რიტმისთვის რომ მიეგნო რამდენიმე ცდა დასჭირდა. თავიდან ღერძის დაჭერასაც ვერ ახერხებდა ისე, რომ ხვრელიდან არ ამოვარდნილიყო. მაგრამ წვა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლება ამაო არ გამოდგა: რამდენიმე წუთის შემდეგ ნახვრეტიდან კვამლის ამოსვლა დაიწყო. უცებ აბედს ალი მოედო. მან ლაქაშის ბამბა აიღო, ალთან მიიტანა და ახლად დანთებული ცეცხლი ნახევრად მოღუნული ხელისგულით დაიფარა. ბამბას ცეცხლი მოეკიდა და გლასმა ის ორმოში გამზადებულ კვართან მიიტანა. უკნიდან ქარმა დაჰბერა და შეეშინდა ცეცხლი არ ჩაქრობოდა, მაგრამ ბალახს და ნაფოტებს ალი ადვილად მოედო და მალე გლასი მასში ბიზონის მშრალ სკორეს ყრიდა.

პატარა მღრღნელების გატყავების და გამოშიგვნის შემდეგ ხორცი ცოტა დარჩა. და მაინც გლასი ახალი საკვებით ტკბებოდა. უხაროდა, რომ ხორცის მოპოვების ძველი მეთოდი თუნდაც ნელი, მაგრამ სამაგიეროდ უბრალო და ეფექტური აღმოჩნდა.

როცა უკანასკნელ მღრღნელს ჭამდა გლასმა გადაწყვიტა, რომ მეორე დღეს უფრო ადრე შეჩერებულიყო და ორმო ორ სხვადასხვა ადგილას ამოეთხარა. თუმცა შეყოვნებაზე ფიქრიც აღიზიანებდა. რამდენ ხანს იხოხებდა ისე, რომ არიკარას ტომთან შეხვედრას არიდებოდა. გრანდის ნაპირები ხომ უკაცრიელი ადგილები არ იყო. „არ გინდა, – შეუძახა მან საკუთარ თავს. – არ არის საჭირო წინასწარ თვალების დათხრა. დღეს მთავარია ხვალამდე მივაღწიო. ხვალემ იზრუნოს ხვალისა“.

შესაწვავი აღარაფერი ჰქონდა. გარისკვა აღარ ღირდა. ცეცხლს ქვიშა მიაყარა და დაიძინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 10

15 სექტემბერი, 1823

გლასის წინ განცალკევებით მდგარი ორი ბორცვი იყო აღმართული, რომელთა შორის ვიწრო არხში მდინარე გრანდი მიედინებოდა. ბორცვები იქედან ახსოვდა, კაპიტანთან ერთად რომ იმოგზაურა მდინარის ზედა ნაწილისკენ. ახლა როცა გრანდის გასწვრივ აღმოსავლეთის მიმართულებით მიხოხავდა, ლანდშაფტი სულ უფრო და უფრო ერთგვაროვანი ხდებოდა. ალვის ხეებიც კი ადგილს პრერიების ბალახებს უთმობდნენ.

მან გადაწყვიტა იმავე ბანაკში დარჩენილიყო, რომელშიც კაპიტანმა ჰენრიმ და მისმა რაზმმა გაატარა ღამე. იმედი ჰქონდა იქნებ რაღაც ისეთი დარჩათ, რაც ჩემთვის გამოსადეგი იქნებაო. მაგრამ ესეც რომ არა, ციცაბო ნაპირი ბორცვის ქვეშ კარგ თავშესაფარს წარმოადგენდა, მით უმეტეს ახლა, როცა დასავლეთისკენ ჰორიზონტზე შავი ღრუბლები იკრიბებოდა და რამდენიმე საათში ჭექა-ქუხილი იყო მოსალოდნელი. ასე რომ, რაც მალე მიაღწევდა იქამდე, მით უკეთესი იქნებოდა.

ნაპირს ხოხვით მიუყვებოდა ბანაკისაკენ. გაშავებული ქვების წრე დაინახა – ეტყობოდა ცეცხლი ახლახან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაენთოთ. გაახსენდა, რომ რაზმს მაშინ ცეცხლი არ დაუნთია და დაასკვნა, აქ ვიღაც ჩვენს შემდეგ ყოფილაო. შეჩერდა, ზურგიდან საბანი და ჩანთა ჩამოიღო და მდინარიდან წყალი დალია. უკნიდან ციცაბო ნაპირი იცავდა. მდინარეს ზემოთ და ქვემოთ გახედა სადმე ინდიელების კვალი ხომ არ ჩანსო. ხეები ცოტა იყო, ვერსად დაიმალებოდა. შიმშილის ნაცნობი შეგრძნება დაეუფლა და იფიქრა იქნებ საკმაოდ დაცული ადგილი ვიპოვო, რომ თაგვებისთვის ორმო გავაკეთოო. ღირდა თუ არა გარჯად? თავშესაფრის და საკვების სიკეთეები შეადარა ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც მღრღნელებით ივახშმა, ორი კვირა გავიდა და იცოდა, რომ ერთ ადგილას ფართხალებდა – არც იხრჩობოდა, მაგრამ ვერც უსაფრთხო ნაპირს უახლოვდებოდა.

გახურებულ ზურგზე ქარიშხლის მომასწავებელმა ცივმა ქარმა დაჰბერა. გლასი მდინარისგან შებრუნდა და მაღალი ნაპირის წვეროსკენ გასცურა – აინტერესებდა ქარიშხალი რამდენ ხანში მოაღწევდა.

სცენამ, რომელიც თვალწინ გადაეშალა, სუნთქვა შეუკრა. ბორცვის ქვემოთ, დაბლობში მთელი ერთი მილის მანძილზე გაშლილი ათასობით ბიზონი ბალახს ძოვდა. ერთი მათგანი, ძუ, მის წინ სულ რაღაც ორმოცდაათ იარდში იდგა. შვიდი ფუტი სიმაღლის მაინც იქნებოდა. ბანჯგვლიანი, ყავისფერი ნაყარი მის შავ სხეულზე ხაზს უსვამდა მის თავს და მხრებს, იმდენად მძლავრს, რომ რქები თითქოს ზედმეტი ხდებოდა.

ქარმა ძლიერად დაუბერა. უკმაყოფილო ბიზონმა დაიფრუტუნა და ჰაერი დაყნოსა. მის უკან ხვადი ბიზონი ზურგზე კოტრიალობდა და მტვრის ბუღს აყენებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შორიახლო კიდევ ათეულობით ხვადი ძოვდა ბალახს თავის ნაშიერებთან ერთად.

ბიზონებს პირველად ტეხასში გადაეყარა და მას შემდეგ ბევრჯერ უნახავს პატარაც და დიდი ჯოგიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ყოველი დანახვისას მოკრძალებული შიში იპყრობდა ისე დიდებულად ეჩვენებოდა ურიცხვი ბიზონის ფარა და პრერიები, რომლებმაც ისინი შვა.

ახლა მათ არა მხოლოდ გლასი უყურებდა. ვეებერთელა ძუს, რომელიც ფარის განაპირას იდგა და მასთან ახლო მდგარ ხვადებს, თავდასხმისთვის მზადმყოფი რვა მგელი ადევნებდა თვალს. აბზინდის ბუჩქთან ჩასაფრებული მგლის ხროვის წინამძღოლი დიდი ხანია ელოდა, რომ ფარას რომელიმე ჯგუფი გამოეყოფოდა და მაშინ მათი წრეში მოქცევა შესაძლებელი გახდებოდა.

უცებ წინამძღოლი წამოდგა. მისი მაღალი, გამხდარი სხეული შეუსაბამო, კოპებიან ფეხებზე მოუქნელად გამოიყურებოდა. ორი ლეკვი მდინარესთან თამაშობდა, უფროს მგლებს კი ეძინათ – მშვიდად, ოჯახის ძაღლებივით. ხროვა შინაურ ცხოველებს უფრო ჰგავდა ვიდრე მტაცებლებს, მაგრამ წინამძღოლის ამოძრავებამ ყველაფერი უცებ შეცვალა: მგლების სწრაფმა სირბილმა მათი მომაკვდინებელი ძალა აშკარა გახადა – ეს გახლდათ არა მხოლოდ ძალა და მოქნილობა სხეულისა, არამედ ერთმანეთთან შერწყმული მიზანსწრაფულობა, შეუბრალებლობა ხროვისა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმისა.

წინამძღოლი პირდაპირ ფარასა და მასზე მოწყვეტილ ჯგუფს შორის გარბოდა. ხროვა ისე აკურატულად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაწყობილი მისდევდა უკან, რომ გლასს სამხედრო მწყობრი მოაგონდა. თითქოს ჯარისკაცები ებმებოდნენ ბრძოლაში. პატარა ლეკვებიც კი, როგორც ეტყობოდა, აცნობიერებდნენ მომენტის მნიშვნელობას. ბიზონებმა უკან დაიხიეს, თავიანთი ნაშიერი უკან მოიქციეს და მგლების წინ გვერდიგვერდ თანაბრად, მწყობრად დადგ-ნენ. მთავარ ფარას საკმაოდ დაშორებული იყვნენ და მათ შორის მანძილი სულ უფრო იზრდებოდა.

დიდი ხვადი ბიზონი ხროვას თავს დაესხა, ერთ-ერთი მგელი რქებზე წამოაგო და ათიოდე ნაბიჯში გადააგდო. მგლები მას მრისხანე ბრდღვინვით და ღრენით დაუცველ გვერდებზე ჩააფრინდნენ კბილებით და სხვა ბიზონები, რომლებმაც ინსტინქტით იგრძნეს, რომ ხსნა შეიძლებოდა მხოლოდ სიმრავლეში ყოფილიყო, ფარას მივარდნენ.

წინამძღოლმა მგელმა მოასწრო ერთ-ერთი ნაშიე-რისთვის უკანა ფეხებში კბილები ჩაესო. თავგზადაბ-ნეული მსხვერპლი ფარას მოსწყდა და მდინარის ცი-ცაბო ნაპირისკენ გაიქცა. ხროვამ მაშინვე იგრძნო მსხვერპლის შეცდომა და უკან დაედევნა. ნაშიერი წინ ველური ღრიალით გარბოდა. ნაპირთან წაფორხილდა და კბოდესთან ჩაიჩოქა. შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ მუხლი მოეკეცა. როცა მოახერხა ფეხი მაგრად დაედგა, მან წონას ვერ გაუძლო და გადატყდა. ის მიწაზე დავარდა და ხროვა მსხვერპლს ეცა. წინამძღოლმა რბილ ყელში ჩაავლო კბილები და დაგლიჯა.

გლასი ამას ასიოდე ნაბიჯიდან ადევნებდა თვალს შიშის და აღტაცების შერეული გრძნობით და უხაროდა, რომ ქარი მისი მიმართულებით უბერავდა – მგლები მის სუნს ვერ იგრძნობდნენ. ახლა ხროვის მთელი ყურადღება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსხვერპლზე იყო ფოკუსირებული. ჭამა წინამძღოლმა და მისმა მეწყვილემ დაიწყეს. რბილ მუცელში დინგები ჩაფლეს. ლეკვებს აძლევდნენ ჭამის უფლებას, დანარჩენ მგლებს კი არა. თუ უფროსი მგელი შეეცდებოდა ნადავლს მიახლოებოდა, წინამძღოლი ხან ულრენდა და ხან კბილს გაჰკრავდა, რომ იქიდან მოეშორებინა.

გლასი მგლებსა და მათ მსხვერპლს მისჩერებოდა და გამალებული ფიქრობდა. ბიზონი გაზაფხულზე დაიბადა, მთელი ზაფხული პრერიების წვნიანი ბალახი ძოვა და ახლა ასორმოცდაათი ფუნტი მაინც იქნებოდა. ასორმოცდაათი ფუნტი ახალი ხორცი! ორკვირიანი მწირი მცენარეული ულუფის შემდეგ სუნთქვა შეეკრა. თავიდან იმედი ჰქონდა, რომ მგლები ამდენს არ შეჭამდნენ და მას რაღაც დარჩებოდა, მაგრამ ხორცი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. დანაყრებული წინამძღოლი და მისი მეწყვილე მსხვერპლს როგორც იქნა მოშორდნენ და თან მისი უკანა ნაწილი წაათრიეს. ნადავლს ახლა დანარჩენი ოთხი მგელი დააცხრა.

სასოწარკვეთილ გლასს ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო. თუ ასე გულხელდაკრეფილი განაგრძობდა ყურებას, მგლები ხორცისგან მალე აღარაფერს დატოვებდნენ და მას ისევ თაგვებით და ფესვებით მოუწევდა კვება. მაშინაც კი თუ მათი საკმარისი რაოდენობით მოპოვებას შეძლებდა, ამას იმდენი დრო დასჭირდებოდა, რომ მის წინსვლას ძალიან შეაფერხებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ოცდაათიოდე მილი თუ ექნებოდა გავლილი. ასეთი ტემპით აცივებამდე ფორტ ბრაზომდე მიღწევა თითქმის აუხდენელი ოცნება იყო, გრანდის ღია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაპირზე გატარებული ყოველი დღე კი ზრდიდა საფრთხეს რომ ადრე თუ გვიან ინდიელები შეამჩნევდნენ.

ორგანიზმს ძალა სჭირდებოდა, ხორცის ჭამა კი ამისთვის აუცილებელი იყო. ბიზონის ხორცი განგების ნამდვილი წყალობა იყო და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა.

გარემოს თვალი მოავლო. რა შეიძლებოდა იარაღად გამოდგომოდა? ქვები, მდინარის გამორიყული ხეები, აბზინდა. კომბალი ხომ არ გაეკეთებინა? მგლებთან კომ-ბლით ვერაფერს გააწყობდა. საკმარისად ძლიერად ვერ მოიქნევდა, თანაც მუხლებზე მდგარი. დარტყმა ძალიან სუსტი გამოვიდოდა. აბზინდა? გლასს გაახსენდა მის მშრალ ტოტებზე თუმც კი ცოტა ხნით, ცეცხლი როგორ ბრიალებდა. ჩირაღდანი რომ ეცადა?

სხვა არაფერი რჩებოდა. გაზაფხულის წყალდიდობისას გამორიყული ალვის ხის ტანი ბუნებრივ საფარს ქმნიდა. მან ქვიშაში პატარა ორმო ამოთხარა და ცეცხლის მოპო-ვების პროცედურა დაიწყო.

ბედს მადლობა შესწირა იმისათვის, რომ ცეცხლის მოსაკიდებელი მშვილდი და ღერძი ჰქონდა. ჩანთიდან თოფის ჩვრის უკანასკნელი ნაგლეჯები და ლაქაშის ბუმბული ამოიღო, ხროვას კიდევ ერთხელ გახედა და გადაწყვიტა დაე, რაც მოსახდენია მოხდესო.

მაგრამ რა უნდა გამოეყენებინა საწვავად? მდინარემ ალვის ხიდან მისი ტანის გარდა ბევრი არაფერი დატოვა. გამხმარი აბზინდის ბუჩქი იპოვა, ხუთი ტოტი შეატეხა და საცეცხლე ორმოს გვერდით დადო.

გლასმა მშვილდი და ღერძი ორმოში ჩადო, იქვე აბედი ფაქიზად მოათავსა და მშვილდის დაბრუნება დაიწყო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯერ ნელა, შემდეგ კი, როცა საჭირო რიტმს მიაგნო, სულ უფრო სწრაფად. რამდენიმე წუთის შემდეგ წაქცეული ალვის ხის გვერდით ორმოში პატარა ცეცხლი ენთო.

მდინარის ქვედა მიმართულებით გაიხედა. წინამძღოლი, მისი მეწყვილე და ლეკვები მსხვერპლისგან ოც მეტრში იყვნენ წამოწოლილი. საუკეთესო ნაჭრებით დანაყრებულები ახლა უკანა ნაწილის ძვლის გემრიელ ტვინს შეექცეოდნენ ზანტად, დაგემოვნებით. გლასს იმედი ჰქონდა, რომ ხორცისთვის ბრძოლაში ისინი ალბათ აღარ ჩაერთვებოდნენ. რჩებოდა ოთხი მგელი, რომლებიც ახლა ნადავლს გლეჯდნენ.

პაუნის ტომის ინდიელები მგელს პატივს სცემდნენ მისი ძალისათვის და, კიდევ უფრო მეტად, ცბიერებისათვის. მგლის ტყავი ინდიელთა მრავალი ცერემონიის ატრიბუტი იყო. გლასი ბევრჯერ გაჰყოლია ინდიელთა რაზმს მგელზე სანადიროდ, მაგრამ იმის მსგავსი არაფერი გაუკეთებია, რასაც ახლა აპირებდა: უიარაღოდ, მხოლოდ ჩირაღდნით, მგლის ხროვაში უნდა შევარდნილიყო და მათთვის ნადავლი წაერთმია.

აბზინდის ბუჩქის ხუთი ტოტი ხუთი გიგანტური მოკრუნჩხული თითივით იყო გამოშვერილი. მათ პატარა გამონაზარდები ჰქონდათ, ქერქით დაფარული და მტვრევადი ლურჯ-მწვანე ფოთლებით. გლასმა ერთ-ერთი ბუჩქი აიღო და ცეცხლში ჩააგდო. ტოტებს მაშინვე ცეცხლი მოედო და მალე ერთი ფუტის სიმაღლის კოცონი გიზგიზებდა. მეტისმეტად სწრაფად იწვოდა. ტოტს ცეცხლი მანამ შთანთქავდა, სანამ ის მგლებამდე მანძილს დაფარავდა. მით უმეტეს საბრძოლო იარაღად მას ვერ გამოიყენებდა. გადაწყვიტა ეკონომია გაეკეთებინა. მთე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი აბზინდისთვის ცეცხლი ერთად არ წაეკიდებინა, მაგრამ თან წაელო და გზადაგზა, საჭიროების მიხედვით, ჩირაღდნისთვის შეეკეთებინა.

გლასმა ისევ მგლებს გახედა. ისინი ახლა უფრო დიდებად მოეჩვენა. წამიერად შეყოყმანდა, მაგრამ უკან დახევა არ შეიძლებოდა. ეს მისი შანსი იყო და უნდა გამოეყენებინა. ცალ ხელში ცეცხლმოკიდებული აბზინდის ერთი ტოტი ეჭირა და მეორეში კიდევ ოთხი მარაგისთვის, ის ნაპირისკენ მგლების მიმართულებით გახოხდა. მისგან ორმოცდაათ იარდში წინამძღოლმა და მისმა მეწყვილემ ხორცში ჩარგული თავი ზევით ასწიეს და უცნაურ ცხოველს მიაჩერდნენ, რომელიც ბიზონის ნაშიერის ნარჩენებს უახლოვდებოდა. მათ თვალებში ცნობისმოყვარეობა იკითხებოდა და არა გამოწვევა. ხორცის თავისი წილი უკვე მიღებული ჰქონდათ და დანარჩენი დიდად არ ანაღვლებდათ.

როცა ოციოდე იარდი რჩებოდა, ქარმა მიმართულება შეიცვალა და ოთხ მგლამდე, რომლებიც ბიზონის ხორცს შეექცეოდნენ, კვამლის სუნი მიიტანა. ისინი მაშინვე შემობრუნდნენ. გლასი მოულოდნელობისგან გაირინდა. მგლები, რომლებიც შორიდან თითქმის ძაღლებად ეჩვენებოდა, ახლოდან თავიანთი მოშინაურებული ბიძაშვილებისგან სრულიად განსხვავებული აღმოჩნდნენ. თეთრმა მგელმა თავისი სისხლიანი კბილები გამოაჩინა და გლასისკენ ნახევარი ნაბიჯი წადგა. ყელიდან ღრენის ყრუ ხმა ამოსდიოდა. მხარი ჩამოუშვა. გაუგებარი იყო რისთვის – თავდაცვისა თუ თავდასხმისთვის.

თეთრ მგელში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინსტინქტი ებრძოდა ერთმანეთს – ნადავლი არავისთვის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაეთმო და ცეცხლის შიში. მეორე მგელი, რომელსაც ერთ-ერთი ყურის უმეტესი ნაწილი ახეული ჰქონდა, პირველის გვერდით დადგა. დანარჩენმა ორმა შემთხვევით ისარგებლა და ხორცის დაგლეჯა კიდევ უფრო მეტი მონდომებით განაგრძო. გლასის მარჯვენა ხელში ცეცხლ-მოდებული ტოტი აციმციმდა. თეთრმა მგელმა კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია გლასისკენ, რომელსაც უცებ იმდროინდელი საშინელი შეგრძნება ამოუტივტივდა, როცა დათვს მისთვის კბილები ჰქონდა ჩასობილი და სხეულს უგლეჯდა.

უცებ კაშკაშა სინათლემ იელვა, ხანმოკლე პაუზა და შემდეგ დაბლობს მეხის ყრუ გრგვინვამ გადაუარა. გლასს სახეზე წვიმის წვეთი დაეცა, ჩირაღდნის ალს ქარმა დაქროლა. ის მოიკუნტა, „ღმერთო, არა, ოღონდ წვიმა არა“, – გაიფიქრა მან. სწრაფად უნდა ემოქმედა. თეთრი მგელი თავდასხმას აპირებდა. „ნუთუ შიშს მართლა სუნით გრძნობენ?“ რაღაც მოულოდნელი უნდა გაეკეთებინა. თვითონ უნდა გადასულიყო შეტევაზე.

გლასმა აბზინდის ტოტები მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, რომელშიც ღეროზე ცეცხლი უკვე ინავლებოდა. ის ახალი ძალით აბრიალდა, ხარბად ნთქავდა მშრალ საწვავს. ახლა ორივე ხელი სჭირდებოდა, რომ ტოტების ერთად დაჭერა შეძლებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მარცხენა ხელს წონასწორობის დაცვისთვის ვეღარ გამოიყენებდა. მტანჯველი ტკივილი მარჯვენა ბარძაყის ჭრილობიდან ზემოთ აუყვა, რადგან სიმძიმის ძალამ ფეხზე გადაინაცვლა და ის კინაღამ წაიქცა. ბარბაცით, რის ვაივაგლახით, მუხლებზე ხოხვით გლასმა მგლებამდე მიაღწია. ჩირაღდანს ცეცხლოვანი მახვილივით იქნევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეეცადა რაც შეიძლებოდა ხმამაღლა დაეყვირა, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ სუსტი კვნესა აღმოხდა.

მან ჩირაღდანი ცალყურა მგელს მოუქნია. ალმა ცხოველს დინგი შეუტრუსა და ის წკმუტუნით გვერდზე გახტა. თეთრი მგელი გლასს გვერდიდან დაახტა და მხარში კბილებით ჩააფრინდა. ის შებრუნდა და კისერი მოღუნა, რომ მგელი ყელში არ სცემოდა. ცხოველის სუნთქვა სულ ახლოდან ესმოდა. მისგან სისხლის სუნი მოდიოდა. მან მთელი ძალა მოიკრიბა, რომ წონასწორობა არ დაეკარგა და ალი თეთრი მგლის სხეულთან მიიტანა – ცხოველს მუცელი და საზარდული გამოეწვა, მხარს კბილები მოაშორა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

გლასმა უკნიდან ბრდღვინვა გაიგონა, ინსტინქტურად დაიხარა და ცალყურა, რომელიც აპირებდა კისერში სცემოდა, თავზე გამოედო და ძირს დავარდა. ჰიუმ დაიკვნესა და წონასწორობადაკარგული გვერდულად წაიქცა. ყელში და მხარში მწვავე ტკივილი იგრძნო. ჩირაღდანი ქვიშიან ნიადაგს დაენარცხა და ირგვლივ ნაპერწკლები მიმოიფანტა. მან ტოტი სწრაფად აიღო, რომ ცეცხლს ჩაქრობა არ მოესწრო და შეეცადა მუხლებზე დამდგარიყო.

ორი მგელი ნელა უვლიდა წრეს მის გარშემო და ხელსაყრელ მომენტს ელოდა. მას შემდეგ, რაც ცეცხლის მცხუნვარება იგრძნეს უფრო ფრთხილობდნენ. უკნიდან თავდასხმის საშუალება არ უნდა მივცე – გაიფიქრა გლასმა. უცებ იელვა და მეხი ამჯერად ახლოს დაეცა. ქარიშხალმა თითქმის მოაღწია, წვიმა ყოველ წუთს შეიძლებოდა დაწყებულიყო, ჩირაღდანი კი წვიმის გარეშეც უკვე თითქმის ბუუტავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თეთრი და ცალყურა მსხვერპლისკენ დაიძრნენ. მათაც იგრძნეს, რომ ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი დადგა. გლასმა ჩირაღდანი შემართა. მგლებმა ნაბიჯი შეანელეს, მაგრამ არ შეჩერებულან. დანარჩენი ორი ხორცის ძიძგნას განაგრძობდა და ბრძოლისა და ჩირაღდნიანი უცნობის მიმართ არავითარ ინტერესს არ ავლენდა. გლასმა უცებ ბუჩქებში, ხორცის ახლოს მშრალი აბზინდა შენიშნა. მოეკიდება ვითომ? – გაუელვა მას.

ისე, რომ მასზე თავდასასხმელად მზადმყოფი მგლებისთვის თვალი არ მოუშორებია, ჩირაღდანი აბზინდის ტოტთან მიიტანა. უკვე რამდენიმე კვირა იყო არ ეწვიმა და აბედივით მშრალ ბუჩქს ცეცხლი ადვილად მოედო. კიდევ ორ ბუჩქს მოუკიდა ცეცხლი და მალე ხორცის გარშემო კოცონი გიზგიზებდა, თვითონ გლასი კი მუხლებით ბიზონის ნარჩენებში იდგა და ჩირაღდანს თავს ზემოთ იქნევდა. ისევ იელვა და დაიქუხა. ქარმა ალი გვერდით ბუჩქებზე გადაიტანა და ის ერთბაშად ახლად დაწყებულმა წვიმამაც ვერ ჩააქრო.

მგლები დაბნეული ჩანდნენ. თეთრმა და ცალყურამ გარშემო მიმოიხედეს. წინამძღოლი, მისი მეწყვილე და ლეკვები უკვე პრერიებში მიჰქროდნენ. მუცლები ბოლომდე ჰქონდათ ამოვსებული და წვიმაში ყოფნას ერჩიათ თავი ბუნაგებისთვის შეეფარებინათ. ის ორიც, რომელიც ხორცზე იყო მიმდგარი, მათ გაეკიდა. თან ბიზონის ფეხს მიათრევდნენ.

თეთრი მგელი თათებით მიწას დაეყრდნო და გაირინდა, თითქოს თავდასხმისთვის ემზადებოდა, მაგრამ ცალყურა უცებ შებრუნდა და ხროვას დაედევნა. თეთრი შეჩერდა, რომ შეცვლილი სიტუაცია და ძალთა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თანაფარდობა შეეფასებინა. მან ხროვაში თავისი ადგილი კარგად იცოდა. სხვები მიდიოდნენ და ისიც უნდა გაჰყოლოდა. ის მსხვერპლს არ ირჩევდა, მხოლოდ მის კუთხეში მომწყვდევაში მონაწილეობდა. ნადავლს ჯერ სხვები ჭამდნენ და ის ნარჩენებით კმაყოფილდებოდა. ისეთი ცხოველი, როგორსაც დღეს გადაეყარა ადრე არასოდეს ენახა, მაგრამ ხვდებოდა ძალთა იერარქიაში მას რა ადგილი ეჭირა. როცა კიდევ ერთხელ დაიქუხა, თეთრმა მგელმა უკანასკნელად შეავლო თვალი ბიზონის ხორცს, ადამიანს, აბზინდის აბოლებულ ბუჩქებს, შებრუნდა და ხროვას გაეკიდა.

გლასმა მგლებს თვალი გაადევნა, სანამ ისინი ფლატეებიან ნაპირთან თვალს არ მიეფარნენ. წვიმა ცეცხლს უკვე აქრობდა და ბუჩქებიდან კვამლი ადიოდა. კიდევ ერთი წუთი და ის დაუცველი აღმოჩნდებოდა. მხარზე დაიხედა და გაუკვირდა როგორ გამიმართლაო. ორი ნაკბილარიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ ჭრილობები ღრმა არ იყო.

ბიზონის ხორცის ნარჩენები მიწაზე ეყარა როგორც სახსოვარი სისხლმოწყურებული მგლების ხროვიდან თავის დაღწევის ამაო მცდელობისა. ბასრ ეშვებს მთელი სხეული დაეფლითათ. გამოღრღნილ ყელთან სისხლის გუბე იდგა. გლასმა ლეში გვერდიდან ზურგზე გადააბრუნა. კაშკაშა ალისფერი მკრთალ მოწითალო ქვიშაზე. შიგნეული, რომელზეც ის ოცნებობდა, ბიზონში თითქმის აღარ დარჩენილიყო. მგლებს ღვიძლი, გული და თირკმლები გამოეჭამათ. გვერდზე ნაწლავის პატარა ნაგლეჯი ეკიდა. გლასმა ჩანთიდან სამართებელი ამოიღო, მარცხენა ხელი ხორცში ღრმად ჩაჰყო და მუცლიდან ორი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფუტის სიგრძის ნაწლავი ამოჭრა. იმდენად შიოდა, რომ თავს ველარ აკონტროლებდა. უმი ხორცი მაშინვე პირში იტაცა და ხარბად დაიწყო ღეჭვა.

მართალია მგლებს ყველაზე ნოყიერი ნაწილების შეჭმა უკვე მოესწროთ, მაგრამ მეორე მხრივ გლასისთვის საქმე გაეიოლებინათ. ნადავლი თითქმის გატყავებული იყო. ჰიუ ყელთან მიჩოჩდა და სამართებლით რბილი კანი ჩამოჭრა. პატარა ბიზონი კარგად ნაკვები იყო. მსუქან კისერზე ქონის თეთრი ფენა ჰქონდა შემოყოლებული. მონადირეები ასეთ ხორცს დელიკატესად თვლიდნენ. ის ქონს დიდ ნაჭრებად ჭრიდა და თითქმის დაუღეჭავად ყლაპავდა. თითოეული ლუკმა ყელის ძლიერ ტკივილს იწვევდა, მაგრამ შიმშილი უფრო ძლიერი იყო და გლასი ველარც ტკივილს ამჩნევდა და ველარც თავსხმა წვიმას. მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილის გრძნობა ასე თუ ისე მოიკლა, გაიფიქრა, რომ სიფრთხილის ზომების დაცვა იყო საჭირო.

მაღალ ნაპირზე აცოცდა და მიმოიხედა. დაშორიშორებული ფარა უშფოთველად ძოვდა ბალახს, თუმცა არც მგლები და არც ინდიელები არსად ჩანდნენ. წვიმა და ჭექა-ქუხილი ისევე ერთბაშად შეწყდა, როგორც დაიწყო. ღრუბლებიდან ნაშუადღევის მზის ალმაცერი სხივები აღწევდა და დედამიწას ნაირფერად ნაკადად ეღვრებოდა.

გლასმა შვებით ამოისუნთქა და ბედს მადლობა კიდევ ერთხელ შესწირა. მართალია მგლებმა ნადავლის დიდი ნაწილი შეჭამეს, მაგრამ მის წინ ხორცის ულევი მარაგი იყო. მისი მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა და ილუზიებით თავი არ უნდა მოეტყუებინა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში შიმშილით სიკვდილი აღარ ემუქრებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

.....

ფლატეებიან ნაპირზე ბიზონის ხორცთან გლასმა სამი დღე გაატარა. პირველი რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლიც კი არ დაუნთია და უგემრიელესი, ახალი ხორცის პატარა ნაჭრებს განუსაზღვრელი რაოდენობით ყლაპავდა. ბოლოს, როცა შიმშილი მეტ-ნაკლებად მოიკლა მყუდრო ადგილას, უშუალოდ ფლატესთან, პატარა ცეცხლი დაანთო. ხორცის გამოშრობასა და შეწვას საკმაო დრო დასჭირდებოდა და ცეცხლი რაც შეიძლებოდა შეუმჩნეველი უნდა ყოფილიყო.

ხორცის გამოსაშრობი ცხაურები მან შორიახლო, ტირიფნარში მოტეხილი ტოტებით შეაკოწიწა და შემდეგ ერთი საათის განმავლობაში ხორცს დაბლაგვებული სამართებლით ჭრიდა, ზოლებს ცხაურზე კიდებდა და კოცონში საწვავს უმატებდა. მესამე დღის ბოლოსთვის თხუთმეტი ფუტი გამომშრალი ხორცი დაგროვდა, სულ ცოტა ორი კვირის სამყოფი, მაშინაც კი თუ ამ დროის განმავლობაში საკვების მოპოვებას საერთოდ ვერ შეძლებდა.

მგლებმა მას ერთადერთი დელიკატესი დაუტოვეს – ენა, და გლასი ამ მეფის საკადრისი საკვების ყოველი ლუკმით ტკბებოდა, შემდეგ კი ნეკნებს და გადარჩენილ ფეხის ძვლებს წვავდა და ახალ, კალორიებით მდიდარ ძვლის ტვინს წოვდა.

ბიზონს ბლაგვი სამართებლით ტყავი გააძრო. საქმეს, რომელიც რამდენიმე წუთში უნდა დაემთავრებინა, საათები დასჭირდა. ამ დროის განმავლობაში ნაღვლიანად ფიქრობდა იმ ორ კაცზე, რომლებმაც იარაღი მოპარეს. ბეწვის კარგად დამუშავებისათვის მას არც დრო ჰქონდა

და არც ინსტრუმენტები, მაგრამ ჯერ კიდევ მანამ, სანამ ტყავი საბოლოოდ გაშეშდებოდა, მან ნაჭრის ამოჭრა და ხორცისთვის უხეში ჩანთის დამზადება მოასწრო.

მესამე დღეს გლასი გრძელი ტოტის საძებნელად წავიდა, რომ ყავარჯენი გაეკეთებინა. მგლებთან ბრძოლისას შეამჩნია, რომ დაჭრილი ფეხი საგრძნობლად მომაგრებოდა და უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მას გულმოდგინედ ავარჯიშებდა და ამოწმებდა. იმედი ჰქონდა, რომ ყავარჯნის საშუალებით ახლა სიარულს გამართულად შეძლებდა. სამი კვირა ფეხებმომტვრეული ძალლივით ხოხვის შემდეგ ეს მისთვის დიდი ნუგეში იქნებოდა. მალე მოძებნა ალვის ხის შესაფერისი ტოტი, რომლის ზედა მხარეს შალის საბნის ჩამონაჭერი ზოლი დაახვია, რომ ჩამოყრდნობისას რბილი ყოფილიყო.

გზის მანძილზე საბანი ერთი ფუტის სიგანემდე და ორი ფუტის სიგრძემდე დაპატარავდა და ახლა გლასმა შუაში საკმარისად დიდი ხვრელი ამოჭრა იმისათვის, რომ თავის გაყოფა შეძლებოდა. სამოსს, რომელიც შედეგად მიიღო, ლაბადა არ ერქვა, მაგრამ ასე თუ ისე მხრებს მაინც დაუფარავდა და ჩანთა კანს აღარ გაულიზიანებდა.

ღამე ნაპირზე, ბორცვებს შორის, ცივი გამოდგა ისევე, როგორც წინა ღამეები. გახურებულ ნაკვერჩხლებზე ცხაურებზე გადაკიდებული ხორცის უკანასკნელი ნაგლეჯები იწვებოდა. ცეცხლით განათებული ბანაკი სიმყუდროვის კუნძულად ჩანდა უმთვარო წყვდიადში. გლასი სითბოს ყოველი წუთით ტკბებოდა. საწვავი აღარ ჰქონდა და ახლო მომავალში ალბათ არც ექნებოდა.

სამი დღის ხორცით კვების შედეგად დაჭრილ სხეულს ძალა დაუბრუნდა. მარჯვენა ფეხი ძნელად იღუნებოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ კუნთები თანდათან ცოცხლდებოდა. დაჭრილი მხარის მდგომარეობაც გაუუმჯობესდა. ხელს თუმცა ჯერ კიდევ სუსტად, მაგრამ თავისუფლად ამოძრავებდა. თუმცა ყელზე შეხების ისევ ეშინოდა. კანიდან, რომელიც შუშდებოდა, ნაკერები ისევ გამოშვერილი იყო და გლასი ფიქრობდა ისინი სამართებლით ხომ არ გადავჭრაო, მაგრამ ეშინოდა. გარდა იმ ერთი მცდელობისა მგლებისთვის დაეყვირა, მას თავისი ხმის შემოწმება არც უცდია. ახლა ამის აუცილებლობას ვერ ხედავდა. უახლოესი დღეების ამოცანა გადარჩენა იყო, ამას კი ხმასთან არავითარი კავშირი ჰქონდა. საჭმლის გადაყლაპვისას ყელი ახლა ნაკლებად სტკიოდა და ამას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა.

გლასმა იცოდა, რომ ბიზონის ხორცმა მისი გადარჩენის შანსები გაზარდა, მაგრამ ოცნების კოშკების აგებას არ ჩქარობდა. ყოველდღე გადარჩენისთვის ბრძოლა მოუწევდა, ის კი მარტო იყო და თანაც იარაღი არ ჰქონდა. მასსა და ფორტ ბრაზოს შორის სამასი მილი სიგრძის ღია დაბლობები იყო. მდინარის გასწვრივ მოუწევდა სიარული, რაც სარისკო იყო – შეიძლებოდა არიკარას მტრულად განწყობილ ტომს გადაჰყროდა, ან კიდევ სიუს ინდიელებს, რომლებიც ასევე არ იყვნენ საიმედო. გარდა ამისა, საფრთხეს არა მხოლოდ ინდიელები წარმოადგენდნენ.

გლასს იმედი ჰქონდა, რომ მომდევნო დღეს ახალი ყავარჯნით ათი, ან იქნებ თხუთმეტი მილის გავლასაც კი შეძლებდა. ახლა კი აჯობებდა დაეძინა, მაგრამ აყოვნებდა. დანაყრებულს, დასვენებულსა და გამთბარს სურდა ეს ნეტარი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელებულიყო.

ძველ ჩანთაში მოაფათურა ხელი, დათვის ბრჭყალი ამოიღო და კოცონის მკრთალ შუქზე ნელა დაატრიალა. კიდევ ერთხელ გააოცა ბოლოში მიმხმარი სისხლის დანახვამ – საკუთარი სისხლის, როგორც ახლა უკვე იცოდა. სამართებლით ბრჭყალის განიერ ბოლოზე ღარი ამოკვეთა და თანდათან გააფართოვა. ჩანთიდან არწივის ფეხის ყელსაბამიც ამოიღო, მის მიერ ამოკვეთილ ღარზე დაახვია და მაგრად გამონასკვა. ბოლოს ყელსაბამი კისერზე ჩამოიკიდა.

სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ ბრჭყალი, რომელმაც ამდენი ჭრილობა მიაყენა, ახლა უსიცოცხლო იყო და ყელზე სამშვენისად ეკიდა. იღბლის ავგაროზიაო, ფიქრობდა ჩაძინებისას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 11

16 სექტემბერი, 1823

ფიტცჯერალდმა მდინარეს გახედა, უფრო ზუსტად მდინარის საქცევს და წყნარად შეიკურთხა.

ჯიმ ბრიჯერი მივიდა და მის გვერდით დადგა.

– აღმოსავლეთისკენ უხვევს? – ჰკითხა მან.

ფიტცჯერალდმა ბიჭს ტუჩებში ხელუკულმა გაარტყა. ბრიჯერი ზურგზე დავარდა და თანამგზავრს გაკვირვებით შეხედა.

– რისთვის? რით დავიმსახურე?

– თვითონაც ვხედავ, რომ უხვევს. როცა შენი ძვირფასი აზრი დამჭირდება გკითხავ. ჯერჯერობით კი მოკეტე და თვალები კარგად გაახილე.

ბრიჯერი, რა თქმა უნდა, მართალი იყო. უკვე ასზე მეტი მილი ჰქონდათ გავლილი. მდინარე, რომელსაც ისინი მიჰყვებოდნენ ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა. ფიტცჯერალდმა მისი სახელიც კი არ იცოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ აქ ყველა დინება ადრე თუ გვიან მისურიში ჩაედინებოდა. იმის იმედიც კი ჰქონდა, ჩვენს წინ იელოუსტოუნი მიედინებაო. თუ მართლა ასე იყო, ფორტ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იუნიონამდე თითქმის აღარაფერი ჰქონდათ დარჩენილი. ბრიჯერი კი ფიქრობდა, რომ ისინი მეტისმეტად შორს იყვნენ აღმოსავლეთით.

თუმცა ფიტცჯერალდი ყველა შემთხვევაში აპირებდა მდინარის ნაპირებს მისურის გადაკვეთამდე გაჰყოლოდა. ორიენტირების უნარი არ ჰქონდა და აქაურ ადგილებს საერთოდ არ იცნობდა, თანაც გრანდის ზემო ნაწილის ლანდშაფტი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. ჰორიზონტამდე უფერული ბალახებით დაფარული დაბლობები ჩანდა მხოლოდ აქა-იქ გაბნეული დამრეც ფერდობებიანი ბორცვებით, ტყუპებივით რომ ჰგავდნენ ერთმანეთს.

მდინარის ნაპირებს მიყოლა ნიშნავდა, რომ მიმართულებაზე არ გეზრუნა და თანაც არც წყალი გქონოდა საძებარი. და მაინც ფიტცჯერალდი არ აპირებდა აღმოსავლეთის მიმართულებით ევლო, მდინარე კი, რამდენადაც თვალი წვდებოდა, სწორედ იქით მიემართებოდა, არსად არ უხვევდა. დრო არ იცდიდა. რაც უფრო დიდხანს იხეტიალებდნენ რაზმისგან მოწყვეტილები, მით მეტი შანსი იყო, რომ მტერს გადაჰყროდნენ.

სანამ ჯონი აქეთ-იქით იყურებოდა და ფიქრობდა, ბრიჯერმა ჰაერი ღრმად შეისუნთქა და თქვა:

– ჩვენ ჩრდილო-დასავლეთით უნდა წავიდეთ.

ფიტცჯერალდი მზად იყო ლანძღვა-გინების კორიანტელი დაეყენებინა, მაგრამ შეჩერდა, რადგან თვითონაც არ იცოდა საით წასულიყვნენ.

– შენ ალბათ ისიც გეცოდინება აქ წყალი სად ავიღოთ – მან ხელი მშრალი ბალახით დაფარული ველებისკენ გაიშვირა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არა, მაგრამ ასეთ ამინდში მაინცდამაინც ბევრი არც დაგვჭირდება.

ბრიჯერი თანამგზავრის გაუბედაობამ საკუთარ სიმართლეში კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა. ფიტცჯერალდისგან განსხვავებით მას ღია სივრცეში ორიენტაციის უნარი ბავშვობიდან ჰქონდა. თითქოს რაღაც შინაგანი კომპასი ედგა, რომელიც უცხო მხარეში გადაადგილებისას საჭირო მიმართულებას უშეცდომოდ მიანიშნებდა.

– მე ვფიქრობ მისურიდან ორი დღის სავალზე ვიმყოფებით. და ალბათ არც ფორტი იქნება უფრო შორს – დასძინა მან.

ფიტცჯერალდმა ძლივს შეიკავა თავი, რომ ჯიმისთვის კიდევ ერთხელ არ გაერტყა და საკუთარ თავს ისევ ჰკითხა მისი მოკვლის დრო ხომ არ დადგაო. ამის გაკეთებას ჯერ კიდევ გრანდის ნაპირას აპირებდა, მაგრამ მაშინ ამჯობინა ცოცხალი დაეტოვებინა. ორი მსროლელი დიდ ძალას არ წარმოადგენდა, მაგრამ თუ მარტო დარჩებოდა, საჭიროების შემთხვევაში ბრძოლა კიდევ უფრო გაუჭირდებოდა.

– მისმინე, შენ ჭკუისკოლოფო. სანამ სხვებს შევუერთდებოდეთ, ჩვენ რაღაც შეთანხმებას უნდა მივაღწიოთ.

იმ წუთიდან, რაც მან და ფიტცჯერალდმა გლასი მიატოვეს, ბრიჯერი გრძნობდა, რომ მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართებოდა. თვალები ძირს დახარა. სირცხვილისგან იწვოდა იმის გამო, რაც ახლა უნდა მომხდარიყო.

– ჩვენ იმ ტიპისთვის, გლასისთვის ყველაფერი გავაკეთეთ რაც შეგვეძლო. უფრო დიდხანს ვათრიეთ, ვიდრე ამას სხვა გააკეთებდა. სამოცდაათი დოლარი იმად არ ღირს არიკარას ინდიელებს თავი შეაკლა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრიჯერი არ გამოეპასუხა და ფიტცჯერალდმა განაგრძო: – გლასი უკვე მკვდარი იყო მას შემდეგ, რაც დათვმა დატორა. ერთადერთი რაც არ გავაკეთეთ, ის იყო, რომ არ დავასაფლავეთ. – ბიჭი გვერდით იყურებოდა. ფიტცჯერალდს ისევ სიბრაზე მოერია.

– იცი რას გეტყვი, ბრიჯერ? მე ფეხებზე მკიდია შენ რას ფიქრობ იმის შესახებ, რაც გავაკეთეთ. ერთი რამ კარგად დაიმახსოვრე. ვინმეს ეტყვი რაც მოხდა და ყელში გადაგჭრი ყურიდან ყურამდე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 12

17 სექტემბერი, 1823

კაპიტანი ენდრიუ ჰენრი შეჩერდა, თუმცა იმისთვის არა, რომ მისურის და იელოუსტოუნის შერწყმის ადგილს ზემოთ, მაღალი ფლატედან შესანიშნავი ხედით დამტკბარიყო აქედან მას და მის შვიდ თანამგზავრს თვალწინ ბრტყელი პლატოთი შემოზღუდული ფართო ჰორიზონტი გადაეშალა. დაბლობზე, პლატოსა და მისურის შორის ტალღებივით წამომართული დამრეც ფერდობებიანი ბორცვები იდგა. შორეული ნაპირი ახლო, უტყეო ნაპირისგან განსხვავებით ალვის ჯერ კიდევ მწვანე ხეებით იყო გაბარდნილი. შემოდგომა ახლოვდებოდა.

ჰენრი არც იმისთვის შეჩერებულა, რომ ორი მდინარის შერწყმის ხილვამ ფილოსოფიური განსჯის სურვილი აღუძრა და არც იმისთვის, რომ მაღალი მთის ველებზე ეფიქრა, სადაც კრისტალივით სუფთა მდინარის წყლები იღებდნენ სათავეს. ფორტი სავაჭრო გზების ორივე მხარეს აკონტროლებდა, თუმცა ახლა კაპიტანი არც იმ სარგებელზე ფიქრობდა, რაც ამას შეეძლო მოეტანა.

მას ის უფრო აინტერესებდა რასაც ვერ ხედავდა, ვიდრე ის, რასაც მისი მზერა ვერ პოულობდა – ცხენები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბანაკში, რომელშიც სიცოცხლე დულდა, დიდ კოცონთან ერთი ცხენიც კი არ იყო. ერთი დავარდნილი ჯორიც კი. ჰენრიმ ჰაერში გაისროლა, რაც თანამებრძოლებისადმი ერთდროულად მისალმებაც იყო და იმედგაცრუების გამოხატვაც. ბანაკში მყოფებმა საქმიანობა შეწყვიტეს და თვალებით მსროლელი მოძებნეს. ორი თოფისგან საპასუხო სროლა გაისმა. ჰენრი და მისი შვიდი თანამგზავრი ველისკენ, ფორტ უნიონისკენ, დაეშვნენ.

რვა კვირის წინ, როცა ჰენრი ეშლის დასახმარებლად არიკარას დასახლებისკენ დაიძრა, მან ორი ინსტრუქცია დატოვა – ახლომახლო ნაკადულებთან მახეები დაეგოთ და მეორე – რადაც არ უნდა დასჯდომოდათ ცხენები დაეცვათ. როგორც აღმოჩნდა კაპიტანს ამჯერადაც არ გაუმართლა.

ღორუკამ მარჯვენა მხრიდან ჩამოიხსნა შაშხანა, რომელიც მის ტანს ლამის შეეზარდა და მისი მეორე მხარეს გადატანა დაიწყო, მაგრამ ჩანთის ქამრისგან ისიც გადაყვლეფილი ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა იარაღი თავის წინ ეტარებინა, მაგრამ ახლა ხელების ტკივილმა შეახსენა თავი.

ნაღვლიანად გაიხსენა ჩალის ლეიბი სენტ-ლუისის კასრების სახელოსნოში და კიდევ ერთხელ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კაპიტან ჰენრის რაზმთან მისი შეერთება საშინელი შეცდომა იყო.

ცხოვრების პირველი ოცი წლის განმავლობაში ღორუკას ერთ ჯერზე ორ მილზე მეტი არასოდეს გაევლო, უკანასკნელი თვენახევარი კი დღეში სულ ცოტა ოცი მილის გავლა უწევდა, ხანდახან კი ოცდაათის და მეტისაც. ორი დღის წინ მესამე წყვილი მოკასინის ძირები გაცვითა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ახლა დილის თრთვილისგან ფეხები ეყინებოდა, კანი ქვებისგან გადაყვლეფილი ჰქონდა. რაც ყველაზე უარესი იყო, კაქტუსის ეკალი შეესო ფეხში და როგორ არ ეცადა, მაგრამ ვერ ამოიღო. დაჩირქებული თითი ისე სტკიოდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სიმწრისაგან იმანჭებოდა.

შიმშილი არასოდეს გამოუცდია. ახლა კი სულ უბრალო რამეებზე ოცნებობდა – პურის ჩაწობა ხორცის საწებელში, წვნიანი ქათმის ფეხის კბილებით დაღრღნა. დიდი სითბოთი იხსენებდა საჭმლით პირთამდე სავსე თეფშებს, რომელიც მისთვის მეკასრის ცოლს დღეში სამჯერ მიჰქონდა. ახლა კი საუზმედ მხოლოდ დამარილებული, გამომშრალი ხორცის ცივი ნაჭერი ჰქონდა, რომლითაც კარგად ვერ დანაყრდებოდი. სადილადაც იმასვე ჭამდნენ, თანაც ისე, რომ სიარულს თითქმის არ ანელებდნენ. მას შემდეგ კი, რაც კაპიტანმა სიფრთხილის გამო თოფის სროლა აკრძალა, ვახშამიც კი დამარილებული ხორცისგან შედგებოდა. იმ იშვიათ დღეებში, როცა ცხოველის მოკვლას ახერხებდნენ, ღორუკას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, რომ მაგარი ხორცი დაეღეჭა ან ძვალი გაეტეხა მისგან ტვინის გამოსაწურად. დასავლეთის მიწებზე საკვები ძნელი მოსაპოვებელი იყო და დიდ ენერგიას მოითხოვდა. ძალა მეტი უნდა დაგეხარჯა, ვიდრე სარგებელს მიიღებდი. ღორუკას მუდამ შიმშილის გრძნობა აწუხებდა.

მუცელი გამუდმებით უბუყბუყებდა, ფეხი ყოველი ნაბიჯის გადადგმისას სტკიოდა და ღორუკა გამუდმებით იმ დღეს წყევლიდა, როცა დასავლეთისკენ წასვლა გადაწყვიტა. აქაური მიწების სიმდიდრეები კვლავაც მიუწვდომელი რჩებოდა. უკვე ექვსი თვე იყო, რაც მას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თახვებისთვის მახე არ დაეგო. ბანაკში შესვლისას ნათელი გახდა, რომ არა მხოლოდ ცხენები არ ჰყავდათ: ფორტის ხის კედლებთან, ტირიფის ჩარჩოზე ბიზონის, ცხენირემის და მგლის ტყავთან ერთად თახვის რამდენიმე ტყავიც ეკიდა, მაგრამ ძალიან ცოტა, იმასთან შედარებით, რისი იმედიც ტრაპერებს დაბრუნებისას ჰქონდათ.

კაცმა, სახელად „ჩასკვნილი ბილი" ნაბიჯი წინ წადგა და მისასალმებლად ხელი გაიწვდინა, მაგრამ კაპიტანმა ჰენრიმ მას არც კი გახედა.

– ცხენები სად ჯანდაბაშია?

ჩასკვნილი ბილის ხელი ცოტა ხნით ჰაერში უხერხულად დაეკიდა, შემდეგ უკან წაიღო.

– შავფეხიანებმა წაიყვანეს, კაპიტანო.

– შენ ისეთი რამ თუ გაგიგია, როგორიც გუშაგების დაყენებაა?

– გუშაგები დავაყენეთ, კაპიტანო. მაგრამ რა აზრი აქვს. ინდიელები ეშმაკმა იცის საიდან გაჩნდნენ. თავს დაგვესხნენ და რემა გაირეკეს.

– მერე დაედევნეთ?

– ჩასკვნილმა ბილიმ თავი ნელა გააქნია. – შავფეხიანებთან დიდ ბრძოლას ვერ გააჩაღებ, კაპიტანო.

შეხსენება, თუმცა ფრთხილი, ქმედითი გამოდგა. კაპიტანმა ჰენრიმ ამოიოხრა.

– რამდენი ცხენი დარჩა?

– შვიდი. ანუ ხუთი ცხენი და ორი ჯორი. ახლა ყველა მათგანი თახვების ნაკადულთანაა. მერფიმ ტრაპერები იქ წაიყვანა.

– აქ დიდი არაფერი ნანადირევი ჩანს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რაც შეგვეძლო იმას ვაკეთებდით, კაპიტანო. ფორ-ტის გარშემო მხეცები არ არის, შორს სანადიროდ კი მეტი ცხენია საჭირო.

ჯიმ ბრიჯერი გაცვეთილ საბანქვეშ მოკუნტული იწვა. ისევ ცეცხლის დანთების გარეშე მოუწიათ დაძინება, არადა დილაობით მიწა სქელი ყინვით იფარებოდა და ახლაც ნესტიანი სიცივე ძვლებში ატანდა. ბოლოს და ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა და ჩაეძინა.

სიზმარში ღრმა უფსკრულის პირას იდგა. გვიანი საღამო, მეწამული-შავი ცა. სიბნელე ჭარბობდა, მაგრამ საკმარისი სინათლე იყო საიმისოდ, რომ საგნების კონტურები მკრთალად გამოკვეთილიყო. ვიღაცის ჩრდილი გამოჩნდა – ბუნდოვანი ფორმის. თავიდან სადღაც შორს კიაფობდა, მერე თანდათან მოახლოება დაიწყო, ნელა, მაგრამ შეუჩერებლად. კონტურები სულ უფრო მკაფიო ხდებოდა და მალე ბრიჯერმა დამახინჯებული ფიგურა გაარჩია, რომელიც ცალი ფეხით კოჭლობდა. უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ ზურგს უკან უფსკრული უღობავდა გზას.

ფიგურა ათიოდე ნაბიჯში მიუახლოვდა. უკვე მისი საშინელი სახის გარჩევაც შეიძლებოდა – არაბუნებრივი, ნიღაბივით დამახინჯებული ნაკვთები ჰქონდა. შუბლზე და ლოყებზე ნაიარევი აჩნდა. ცხვირი და ყურები გაბნეულად, აქა-იქ ეკიდა ყოველგვარი სიმეტრიის გარეშე. მთელ სახეზე თმების და წვერის მასა ერთმანეთში ჰქონდა აბურდული. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მის წინ მდგომი არსება ადამიანი აღარც იყო.

მოჩვენება კიდევ უფრო მოუახლოვდა. მოელვარე თვალები ბრიჯერს ისეთი ზიზღით უცქერდნენ, რომ ის შიშისგან მზერის არიდებასაც ვერ ახერხებდა.

საშინელმა არსებამ მკლავი ასწია და ჯიმს მკერდში დანა ღრმად ჩასცა. ძლიერი დარტყმისგან ბიჭი წაფორ-ხილდა, უკანასკნელი მზერა შეავლო მოელვარე თვალებს დაჟინებით რომ მისჩერებოდნენ და უკან გადავარდა.

მის მკერდში ჩასობილ დანის ტარს უყურებდა. რაღაც ბუნდოვნად ნაცნობი ჩანდა. დაჟინებით დააკვირდა და იცნო – ვერცხლისფერი სახელური – გლასის დანა.

ბრიჯერს სიკვდილი არ აშინებდა, ერთგვარი შვებაც კი იყო მისთვის. ერჩივნა მომკვდარიყო, ვიდრე დანაშაულის ასეთი გრძნობით ეცხოვრა.

ნეკნებში მწვავე ტკივილი იგრძნო. თვალი გაახილა და დაინახა, რომ თავზე ფიტცჯერალდი წამოდგომოდა. – გაინძერი ბიჭო, მივდივართ, – უთხრა მან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 13

5 ოქტომბერი, 1823

არიკარას გადამწვარი დასახლება გლასს ჩონჩხს მოაგონებდა. საზარელი შეგრძნება ჰქონდა, როცა მათ შორის დადიოდა. სოფელი, რომელშიც ხუთასი ოჯახი ცხოვრობდა და ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ სიცოცხლე ჩქეფდა, ახლა სასაფლაოდ, მდინარე მისურის ციცაბო ნაპირზე დაკიდებულ თავისივე თავის შავ ძეგლად იყო გადაქცეული.

იმ ადგილიდან, სადაც გრანდი მისურიში ჩაედინებოდა, დასახლებამდე, ჩრდილოეთის მიმართულებით, რვა მილი იყო, ბრაზოს ფორტამდე კი, სამხრეთისაკენ – სამოცდათხუთმეტი. ბიზონის ხორცი გამოელია და იძულებული გახდა ისევ ფესვებსა და კენკრაზე გადასულიყო. აქ კი იმედი ჰქონდა სიმინდს იშოვიდა. არიკარას ყველა სოფელს ხომ სიმინდის მინდვრები ერტყა გარს.

გარდა ამისა, იცოდა, რომ სოფელში შეიძლებოდა ტივის მასალა ეშოვა. ტივით კი მისურის დაუყვებოდა და ფორტ ბრაზოსკენ გზა იოლი გასეირნება იქნებოდა მხოლოდ. როცა სოფელში ნელა გაიარა, მიხვდა, რომ აქ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მორების პოვნა არ გაუძნელდებოდა. ქოხებსა და ღობეებს შორის უამრავი შესაფერისი ზომის ბოძი ეყარა.

სოფლის ცენტრში დიდ შენობასთან შეჩერდა, რომელიც ეტყობოდა ადგილობრივი მაცხოვრებლების შეკრების ადგილი იყო. მის შიგნით, სიბნელეში რაღაცამ გაიელვა. გლასი შეკრთა და უკან დაიხია. ფრთხილად შეიხედა და ყავარჯენი მოიმარჯვა. რამდენიმე დღის წინ, როცა საყრდენი უკვე აღარ სჭირდებოდა, ტოტს ბოლო წაუმახვილა და შუბად იყენებდა.

პატარა ძაღლი, ჯერ კიდევ ლეკვი, სადღაც, შენობაში წკმუტუნებდა. გლასმა შვებით ამოისუნთქა. ახალი ხორცის მოპოვების იმედი გაუჩნდა. ნაბიჯი ნელა წადგა წინ და შუბი ბლაგვი ბოლოთი წინ დაიჭირა. თუ ძაღლს ახლოს მიიტყუებდა, ძლიერი დარტყმით თავის ქალას ჩაუმტვრევდა. ხორცი არ უნდა დავაზიანოო, გაიფიქრა. მაგრამ ძაღლმა თითქოს საფრთხე იგრძნო და მთავარი ოთახის ბნელ კუთხეში მიიკუნჭა.

გლასი მაშინვე გამოედევნა და გაოგნებული შეჩერდა: ლეკვი მიხრწნილ მოხუც ინდიელ ქალს ჩაუხტა ხელებში. მოხუცი ჩალის ლეიბზე იწვა მოკუნტული და ძაღლს ბავშვივით მკერდზე იკრავდა. სახე ლეკვის ბალანში ჰქონდა ჩაფლული და გლასმა, ნახევრად სიბნელეში, მხოლოდ მისი ჭაღარა თმა გაარჩია. ქალმა წამოიყვირა და მერე ისტერიკული კივილი ატეხა. ცოტა ხნის შემდეგ მისმა ღრიალმა გარკვეული რიტმი შეიძინა და გლასმა რაღაც საშიში და ავისმომასწავებელი იგრძნო. სასიკვდილო შელოცვას ჰგავდა.

ხელი და მხრები, რომელზეც ლეკვი იყო მიკრული, გამხდარი, დაძაბუნებული ჰქონდა – ცარიელი ძვალი და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტყავი. როცა თვალი სიბნელეს მიეჩვია, გლასმა გარშემო ნაგავი და ტალახი გაარჩია. ქალის გვერდით თიხის წყლიანი ქოთანი იდგა, მაგრამ საჭმელი არსად ჩანდა. სოფლისაკენ მიმავალ გზაზე გლასმა სიმინდის მინდვრები დაინახა. მოსავალი ძირითადად ირმებს დარჩათ და სიუს ტომის ინდიელებს, რომლებიც სოფელს თავს დაესხნენ. თუმცა ამ ქალის გამოსაკვებად მათი მონარჩენიც საკმარისი იქნებოდა. შეიძლება მოხუცი კოჭლი იყო და მინდორში გასვლა არ შეეძლო.

გლასმა ჩანთიდან სიმინდის ტარო ამოიღო, ფუჩეჩი მოაშორა და მოხუცს გაუწოდა. დიდხანს ჰქონდა ხელი გაწვდილი. ქალი არ იძვროდა და მოთქმა-გოდებას განაგრძობდა. ცოტა ხნის შემდეგ ძალლმა სუნი იგრძნო და ტაროს ალოკვა დაიწყო. გლასმა ქალს თეთრ თმაზე ხელი გადაუსვა, ნაზად, ნელა. მან როგორც იქნა ტირილი შეწყვიტა და სახით შებრუნდა სინათლისკენ, რომელიც კარიდან აღწევდა.

გლასმა ძლივს ამოისუნთქა. ქალს თვალები სრულიად თეთრი ჰქონდა და ბრმა იყო. ახლა მიხვდა რატომ მიატოვებდა მოხუცს არიკარას ტომი იმ ღამით, როცა ხანძრისგან თავდასაღწევად გარბოდნენ.

გლასმა ქალის ხელი ფრთხილად აიღო და ხელისგულში სიმინდის ტარო ჩაუდო. მან გლასისთვის გაუგებარი რაღაც სიტყვები წაიბუტბუტა, ტარო პირთან მიიტანა და უკბილო ნუნებზე მიიჭირა. ტკბილმა წვენმა კიდევ უფრო გაუმძაფრა შიმშილის გრძნობა, რომლის მოკვლას ვერ შეძლებდა, რადგან სიმინდის ტაროს ვერ გაღრღნიდა.

გლასმა გაიფიქრა მოხუცს რაღაც წვნიანი სჭირდებაო და ქოხს თვალი მოავლო. კერასთან დაჟანგული ჩაიდანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იდგა. თიხის ქვაბში წყალს პკე გაეკეთებინა და ყარდა. მან ქვაბი გარეთ გაიტანა, სითხე გადაღვარა და სუფთა წყალი აიღო ნაკადულიდან, რომელიც სოფელს ჩაუდიოდა.

ნაკადულთან ძაღლს გადააწყდა და ამჯერად არ შეყოყმანებულა. მალე კერაზე უკვე ცეცხლი ენთო, შამფურზე ძაღლის ხორცის ნაწილი იწვებოდა, დანარჩენი ჩაიდანში იხარშებოდა. ხორცის ბულიონში სიმინდის მარცვლები ჩაყარა და სოფლის კიდევ ერთხელ გამოსაკვლევად წავიდა. ხანძარს გადარჩენილ თიხატკეპნილ ქოხებში ტივისთვის რამდენიმე გორგალი თოკი იპოვა. გარდა ამისა თუნუქის ჯამი და ბიზონის რქისგან დამზადებული ჩამჩა წამოიღო თან.

როცა მთავარ შენობაში დაბრუნდა მოხუცი ისევ იმ ადგილას დახვდა, სადაც დატოვა. შალის საბანი ჰქონდა წამოხურული და ტაროს წუწნიდა. გლასი ჩაიდანთან მივიდა, თუნუქის ჯამი ბულიონით აავსო და ქალს გვერდით დაუდო. ლეკვი მოხუცის ფეხებთან იწვა მოკუნტული და შიშით ყნოსავდა თანამოძმის სუნს შამფურზე შემწვარი ხორცისგან რომ მოდიოდა. ხორცის სუნი ქალმაც იგრძნო. ჯამს ხელი დასტაცა და როგორც კი ცხელი ბულიონი ოდნავ განელდა საიმისოდ, რომ მისი დალევა შეიძლებოდა, სწრაფად შეხვრიპა. გლასმა ჯამი კვლავ შეავსო და მასში ამჯერად სამართებლით დაჭრილი ხორცის პატარა ნაჭრებიც ჩაამატა. ქალმა კიდევ სამი ჯამი მიირთვა და ჩაეძინა. გლასმა მხრებზე საბანი შეუსწორა, თვითონ კი კერას მიუჯდა და შემწვარი ხორცის ჭამა დაიწყო. პაუნის ტომის ინდიელები ძაღლის ხორცს დელიკატესად მიიჩნევდნენ და მისი დაკვლა მათთვის ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც თეთრკანიანები გოჭს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კლავენ გაზაფხულზე. გლასი, რა თქმა უნდა, საქონლის ხორცს ამჯობინებდა, მაგრამ მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის ძაღლსაც არაფერი ჰქონდა დასაწუნი. ქვაბიდან სიმინდის მარცვლები ამოიღო და ისიც შეჭამა, ბულიონი და მოხარშული ხორცი კი მოხუცს დაუტოვა.

უცებ ქალმა წამოიყვირა და გლასი მასთან მივარდა. მოხუცი ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა: „ჰე ტუვე ჰე... ჰე ტუვე ჰე...“ არა იმ შიშისმომგვრელი ტონით, რომლითაც რიტმულ სასიკვდილო შელოცვას ამღერებდა, არამედ წყნარად, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანის შეტყობინებას ლამობსო. გლასს მისი სიტყვები არაფერს ეუბნებოდა. რა ექნა არ იცოდა და ქალის ხელი აიღო. მან სუსტი ხელისმოჭერით უპასუხა და გლასის ხელისგული ლოყასთან მიიტანა. ცოტა ხანს ასე იჯდა, შემდეგ თვალები დახუჭა და ჩაეძინა.

დილით, როცა გლასი ქალთან მივიდა, ის უკვე მკვდარი იყო.

შუადღემდე მოუნდა შეშის ხორას შეკოწიწებას. სამგლოვიარო კოცონი ყველაზე მაღალ ადგილას დაანთო, რომელიც მისურს გადაჰყურებდა. როცა დაამთავრა ქოხში დაბრუნდა, ქალი საბანში გაახვია, ხელში აიყვანა და შეშის ხორასკენ წაიღო. ლეკვი საცოდავი წკავწკავით მისდევდა უკან და სულ ეს იყო უცნაური სამგლოვიარო პროცესია. გლასს მხარი და ბარძაყი, ერთ კვირაში, მგლებთან გადატანილი ბრძოლის შემდეგ თითქმის მთლიანად მოურჩა და მაინც, როცა მკვდრის სხეული შეშისკენ მიჰქონდა, დაღლილობისგან სახე ელმიჭებოდა. ზურგში მწვავე ტკივილებს გრძნობდა, რაც ძალიან ადარდებდა. მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუ გაუმართლებდა რამდენიმე დღეში ფორტ ბრაზოში იქნებოდა. იმედი ჰქონდა, რომ იქ მოარჩენდნენ.

ცოტა ხანს შეშის ხორასთან შეჩერდა. შორეული წარსულის ადათ-წესებს იხსენებდა. იმ სიტყვებზე ფიქრობდა, რომელიც დედამისის დაკრძალვისას წარმოთქვეს და კიდევ იმ სიტყვებზე, რომლითაც ელიზაბეტი ამ ქვეყნიდან გააცილეს. ახალამოთხრილი მიწის ბორცვი წარმოიდგინა საფლავის გვერდით. დაკრძალვაზე ფიქრისას ყოველთვის სულის ხუთვის და სიცივის შეგრძნება ეუფლებოდა. მას უფრო ინდიელების ადათ-წესები მოსწონდა, როცა გარდაცვლილის სხეულს მიწის ზემოთ მაღლა სწევდნენ, თითქოს ზეცას მიაახლებენო.

უცებ ძაღლმა ღრენა დაიწყო და გლასი შებრუნდა. სოფლის მხრიდან ცხენზე ამხედრებული ოთხი ინდიელი ნელა უახლოვდებოდა. ჩაცმულობისა და ვარცხნილობის მიხედვით აშკარად სიუს ტომს ეკუთვნოდნენ. მათ შორის მანძილი უკვე სამოცდაათი იარდი თუ იქნებოდა. წამიერად შიშმა მოიცვა. გონებაში მანძილი გამოიანგარიშა: მოასწრებდა კი მწვერვალზე ხშირ ხეებში შელწევას? მაგრამ შემდეგ პაუნის ტომთან შეხვედრა გაახსენდა და გადაწყვიტა ადგილზე დარჩენილიყო.

ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის წინათ ტრაპერები და სიუ ჯერ კიდევ ერთად იბრძოდნენ არიკარას წინააღმდეგ ალყის დროს. სიუმ მაშინ უარი თქვა ბრძოლაზე პოლკოვნიკ ლივენვორტის ტაქტიკით უკმაყოფილების გამო და მის პოზიციას იმ დროს კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის რაზმიც იზიარებდა. შეინარჩუნა თუ არა სიუმ იგივე დამოკიდებულება ტრაპერების მიმართ? გლასმა ეს არ იცოდა და ახლა მოახლოებულ ინდიელებს უყურებდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ცდილობდა მოეკრიბა ძალა, რაც ამდენი გაჭირვების გადატანის შემდეგ კიდევ შერჩენოდა.

ისინი ახალგაზრდები იყვნენ. სამი მათგანი ოცი წლისაც არ იქნებოდა. მეოთხე ცოტა უფროსი ჩანდა – ალბათ ოცდახუთიოდე წლის. უმცროსები ნელა უახლოვდებოდნენ, შემართული თოფებით. თითქოს უცნაურ ცხოველს წრეში იქცევენო. უფროსი სიუ ცხენის ნახევარი კორპუსით წინ მოდიოდა. ლონდონის მსუბუქი მუშკეტი ეჭირა ხელში, როგორღაც სასხვათაშორისოდ. ლულა უზარმაზარი ლაქებიანი ულაყის კისერზე დაესვენებინა. ცხენი ლივენვორტის რემას ეკუთვნოდა და ბარძაყზე US ჰქონდა ამოკვეთილი. ასეთ სახიფათო სიტუაციაში რომ არ ყოფილიყო, გლასს ლივენვორტის უბედურებისთვის შეიძლებოდა იუმორისტული კუთხით შეეხედა.

უფროსმა სიუმ ცხენს აღვირი მაშინ ამოსდო, როცა გლასს ხუთ ფუტში მიუახლოვდა. თავიდან ფეხებამდე ახედ-ჩახედა და მზერა შეშაზე გადაიტანა – ცდილობდა გაეგო რა კავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო დასახიჩრებულ, ჭუჭყიან თეთრკანიანსა და არიკარას ტომის მოხუც ქალს შორის. შორიდან ხედავდნენ როგორ ჯახირობდა კაცი, მაგრამ რა ხდებოდა ვერ მიხვდნენ.

ინდიელმა ფეხი უნაგირს გადმოავლო, მსუბუქად ჩამოხტა და თეთკანიანს მიუახლოვდა. შავი თვალების გამომცდელი მზერისაგან გლასი კინაღამ მოიბუზა, მაგრამ მზერას ბოლომდე გაუძლო.

ინდიელი კი თვით თავდაჯერებულობის განსახიერება იყო და გლასივით თავის მოჩვენება არ სჭირდებოდა. სახელად ყვითელ ცხენს ეძახდნენ. მაღალს და ფართომხრებიანს, ძლიერი კისრით და მკერდით, თავი ამაყად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და გამართულად ეჭირა. მჭიდროდ დაწნული თმიდან გამოჩრილი ჰქონდა არწივის სამი ფრთა – იმდენი, რამდენი მტერიც ჰყავდა ბრძოლაში მოკლული. მკერდზე, ირმის ტყავის ტუნიკზე, ორი მოხატული ლენტა ჰქონდა გადმოშვებული – ერთმანეთში ოსტატურად ჩაწნული ღია წითლად და მუქ-ლურჯად შეღებილი მაჩვზღარბას ასეულობით ეკლით.

ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუცილებია, ინდიელმა ხელი ნელა გაიწვდინა და გლასის კისერზე ყელსაბამს შეეხო. დათვის ბრჭყალი თითებით დაიჭირა, შეათვალიერა და ხელი შეუშვა. მზერა თავის და ყელის გარშემო ჭრილობებზე გადაიტანა. შემდეგ გლასს მხარზე შეეხო და ანიშნა შებრუნებულიყო. ნახევრად დაგლეჯილ პერანგს ზემოთ ნაიარევს დააკვირდა და დანარჩენ სამს რაღაც გასძახა. გლასმა გაიგონა, რომ ისინი ცხენებიდან ჩამოვიდნენ და მიუახლოვდნენ. რაღაცაზე აღგზნებულად ლაპარაკობდნენ და ზურგს უსინჯავდნენ. „რა ხდება?"

ინდიელებს მრავალი ჭრილობა ენახათ, მაგრამ ასეთი – არასოდეს. ღრმა, პარალელური იარებში, რომელიც მთელ ზურგზე ჩამოსდევდა, მატლები ფუთფუთებდნენ. უმცროსთაგან ერთ-ერთმა ერთი მატლი თითებში ჩაიჭირა და დაჭრილს აჩვენა. შეძრწუნებულმა გლასმა წამოიყვირა, ხალათის ნარჩენები შემოიხია და შეეცადა ჭრილობებს მიწვდომოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სასოწარკვეთილი ოთხზე დავარდა და ზიზღისა და უმწეობის შეგრძნებისგან ღებინება აუტყდა.

გლასი ერთ-ერთ უმცროს მხედარს შემოუსვეს უკან და გზას გაუდგნენ. ძაღლი აედევნათ და ერთ-ერთი სიუ შეჩერდა, ჩამოქვეითდა, ის ახლოში მიიტყუა და თავში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბლაგვი ბოლოთი, ტომაჰავკა ჩაარტყა. შემდეგ ის უკანა თათებით აიყვანა, ცხენზე შეჯდა და დანარჩენებს გაუსწორდა.

სიუს ბანაკი გრანდის სამხრეთით იყო განლაგებული. ოთხ მებრძოლთან ერთად თეთრკანიანის გამოჩენამ დიდი აურზაური გამოიწვია. მხედრებს, თითქოს აღლუმიაო, ათეულობით ინდიელი აედევნა უკან.

ყვითელი ცხენი პროცესიას დაბალი ქოხისკენ გაუძღვა, რომელიც ბანაკისგან განცალკევებით იდგა და უცნაურად იყო მოხატული: შავ ღრუბლებს ელვა ჰკვეთდა, ბიზონები მზის დისკოს გარშემო გეომეტრიულად იყვნენ განლაგებული, ადამიანების სტილიზებული ფიგურები კოცონთან ცეკვავდნენ. ყვითელმა ცხენმა მისალმების სიტყვები თქვა და ცოტა ხნის შემდეგ ქოხის ფარდის უკნიდან გამოჩნდა მოხუცი, წელში მოხრილი ინდიელი ღრმად ჩავარდნილი თვალებით, რომელიც ნაოჭებით თითქმის დაფარვოდა. მზის კაშკაშა შუქზე თვალები კიდევ უფრო მოეჭუტა. სახის ზედა ნაწილი შავი საღებავით ჰქონდა დაფარული. მარჯვენა ყურზე მკვდარი ყვავი ეკიდა. მიუხედავად ოქტომბრის ცივი ამინდისა, წელს ზემოთ შიშველი იყო, ქვემოთ კი სამოსი მხოლოდ სასირცხვო ადგილებს უფარავდა. მის მომჩვარულ მკერდზე შავი და წითელი საღებავის ზოლები ერთმანეთს ენაცვლებოდა.

ყვითელი ცხენი ჩამოქვეითდა და თეთრ კაცს ანიშნა იგივე გაეკეთებინა. გლასმა მოუხერხებლად წინ წადგა ნაბიჯი. ჭენებას მიუჩვეველი იყო და ჭრილობებიც ასტკივდა. ამასობაში ყვითელი ცხენი შამანს უყვებოდა უცხოელი თეთრკანიანის შესახებ, რომელიც გადამწვარ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სოფელში ნახეს: როგორ გამოათავისუფლა მან სული მოხუცი ინდიელი ქალისგან, როგორ არ შეუშინდა ოთხ მებრძოლს, მიუხედავად, იმისა, რომ თვითონ ხელში მხოლოდ წვერწამახული ჯოხი ეჭირა. დაბოლოს, მან დათვის ბრჭყალების ყელსაბამსა და უცხოს ყელისა და ზურგის ჭრილობებზეც ილაპარაკა.

შამანი უსმენდა. ერთხელაც არ შეუწყვეტინებია მისთვის. მოღუშული სახით წარბებს ქვემოდან დაჟინებით მიჩერებოდა. გარშემო ინდიელები შეიკრიბნენ მოსასმენად. ზურგის ჭრილობებში მოფუთფუთე მატლების ხსენებაზე ბრბოს ჩურჩულმა გადაურბინა.

როცა ყვითელმა ცხენმა ლაპარაკი დაამთავრა შამანი თეთრ კაცთან მივიდა. გლასს ნიკაპამდე ძლივს წვდებოდა. სამაგიეროდ დათვის ბრჭყალი პირდაპირ მის თვალებთან აღმოჩნდა. მოხუცმა სიუმ მას ცერა თითი ჰკრა, თითქოს ამოწმებს ნამდვილია თუ არაო და გლასის მარჯვენა მხრიდან ყელისკენ ამავალ ვარდისფერ ჭრილობას აკანკალებული ხელით შეეხო. დაჭრილი ზურგით თავისკენ შეაბრუნა, ძველი ხალათის ნარჩენები დახია. ქსოვილი ადვილად დაჰყვა. ბრბო წინ მიაწყდა იმ ჭრილობების ახლოდან სანახავად, რომელიც ის-ის იყო ყვითელმა ცხენმა აღწერა. უცნობ ენაზე აღელვებული ხმები გაისმა. გლასს, რომელმაც ისევ წარმოიდგინა როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო სანახაობა ასეთ გაკვირვებას რომ იწვევდა, კვლავ გულისრევის შეგრძნება გაუჩნდა.

შამანმა რაღაც თქვა და ყაყანი მაშინვე შეწყდა. ის შებრუნდა და ქოხში ფარდის მიღმა გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა. ხელები სხვადასხვაგვარი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დოქებით და მძივებჩაკერებული ჩანთებით ჰქონდა სავსე. გლასს ჟესტით უბრძანა მიწაზე პირქვე დაწოლილიყო, მის გვერდით ლამაზი, თეთრი ტყავი გაფინა და ზედ წამლები დააწყო. გლასს წარმოდგენა არ ჰქონდა რა შეიძლებოდა ისინი ყოფილიყო, მაგრამ არც დაეძებდა. მთავარი ჭრილობების გაწმენდა და მატლებისგან გათავისუფლება იყო. შამანმა უმცროს მებრძოლს რაღაც უთხრა. ის მაშინვე ადგილს მოსწყდა და მალე წყლით სავსე შავი ქვაბით დაბრუნდა. მოხუცს ამასობაში ჩანთიდან წამლები ამოჰქონდა, ყნოსავდა მათ და ყველაზე დიდ ქვაბში ჰყრიდა. ბრბო მოწიწებით გაირინდა. სიჩუმეში მხოლოდ შამანის წყნარი, თანაბარი ხმა ისმოდა.

მთავარი წამალი ბიზონის შარდი იყო, რომელიც გასულ ზაფხულს მოკლული დიდი ხვადის საშარდე ბუშტიდან ამოიღეს. მოხუცმა მას თხმელას ფესვები და თოფისწამალი დაუმატა. რაღაც მწარე სითხე გამოვიდა, სკიპიდარს ჰგავდა.

შამანმა გლასს მოკლე, დაახლოებით ექვსი დუიმის სიგრძის ჯოხი გაუწოდა. ის უცებ ვერ მიხვდა რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ შემდეგ გაიაზრა, ღრმად ამოისუნთქა და ჯოხი კბილებს შორის გაიჩარა.

შამანმა ჭრილობაზე სითხე დაასხა. ასეთი ძლიერი ტკივილი გლასს არასოდეს უგრძნია. სხეულში თითქოს გალმღვალ რკინას ასხამდნენ. თავიდან კანი ადგილ-ადგილ ეწვოდა, როცა სითხე ხუთიდან თითოეულ ჭრილობაში ხვდებოდა, მაგრამ შემდეგ ტკივილის ტალღამ მთელი სხეული მოიცვა. გული ისე სწრაფად უცემდა, ლამის საგულედან ამოვარდნოდა. გლასს კბილები რბილ ჯოხში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰქონდა ჩასობილი და ცდილობდა წარმოედგინა როგორ გაეწმინდებოდა სხეული პროცედურის შემდეგ, მაგრამ მძაფრი ტკივილი ფიქრის საშუალებას არ აძლევდა.

მწარე სითხემ მატლებზე სწორედ ისე იმოქმედა, როგორც მოსალოდნელი იყო. ათობით თეთრი ფორმა ზედაპირისკენ მიიკლაკნებოდა. შამანმა ჩამჩიდან ჭრილობებზე წყალი დაასხა და მატლები და წამალი გადარეცხა. ტკივილი თანდათან უცხრებოდა და გლასმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ შამანმა ჭრილობაში ისევ მწარე სითხის ჩასხმა დაიწყო, ამჯერად დიდი დოქიდან.

პროცედურა კიდევ სამჯერ გამეორდა. იმის შემდეგ, რაც წყლით წამლის უკანასკნელი ნაკვალევი ჩარეცხა, შამანმა ჭრილობაზე ფიჭვის და წიწვიანას ქერქის ცხელი საფენები დაადო. ყვითელი ცხენი გლასს შამანის ქოხში შესვლაში დაეხმარა. ინდიელმა ქალმა დაჭრილს შემწვარი ირმის ხორცი მიუტანა. გლასმა საკუთარ თავს უბრძანა ტკივილი უგულებელეყო, სანამ არ დანაყრდებოდა, შემდეგ კი ბიზონის ტყავზე დაწვა და ღრმა ძილს მიეცა.

თითქმის ორი დღე ეძინა. იღვიძებდა და ისევ ეძინებოდა. შეფხიზლებულს გვერდით ყოველთვის საჭმელი და წყალი ხვდებოდა. შამანი უვლიდა. ზურგზე საფენები უკვე ორჯერ გამოუცვალა. მტკივნეული მწარე სითხის შემდეგ საფენების ნოტიო სითბო დედის ხელის დამამშვიდებელ შეხებას ჰგავდა.

მესამე დღეს, გლასს დილით ადრე გაეღვიძა. ის-ის იყო თენდებოდა. სიჩუმეს დროდადრო ცხენების ხვიხვინი და მტრედების ღუღუნი არღვევდა. შამანს ეძინა. ბიზონის ტყავი გამხდარ მკერდზე ჰქონდა შემოხვეული. დაჭრილის გვერდით აკურატულად დაწყობილი მისი ტანსაცმელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იდო – ირმის ტყავის შარვალი, იქვე მძივეჩაკერებული მოკასინები და ძუ ირმის ტყავის უბრალო ქურთუკი. ის ნელა ადგა და ჩაიცვა.

პაუნის ტომის ინდიელები სიუს მოსისხლე მტრებად მიიჩნევდნენ. გლასი სიუს წინააღმდეგ იბრძოდა კიდეც კანზასის დაბლობზე ერთ-ერთი შეტაკებისას. ახლა ეს უცნაურად ჩანდა. ყვითელი ცხენისა და შამანის, ამ მართლაცდა კეთილი სამარიტიანელების მიმართ სხვა რა შეიძლებოდა ჰქონოდა თუ არა უღრმესი მადლიერების გრძნობა.

შამანი შეინძრა და როცა გლასი დაინახა წამოჯდა. რაღაც თქვა, მაგრამ გლასმა ვერ გაიგო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყვითელი ცხენი შემოვიდა. აშკარად შეეტყო გაუხარდა, გლასი ფეხზე წამომდგარი რომ დაინახა. ორმა ინდიელმა მისი ზურგი შეამოწმა და როგორც ჩანდა მოეწონათ, რაც ნახეს. ჰიუმ თავის ზურგზე მიანიშნა და შეკითხვის ნიშნად წარბი ასწია, აქაოდა საქმე როგორ მიდისო. ყვითელმა ცხენმა პირი მოკუმა და თავი დაუქნია.

მოგვიანებით, იმავე დღეს, ისინი ყვითელი ცხენის ქოხში შეიკრიბნენ. მინიშნებებით, ჟესტებით და ქვიშაზე ნახატებით გლასი შეეცადა გაეგებინებინა მათთვის საიდან მოდიოდა და საით სურდა წასულიყო. ყვითელმა ცხენმა სიტყვები „ფორტი ბრაზო“ თითქოს გაიგო და როცა ინდიელმა დახატა რუკა, რომელიც ზუსტად აჩვენებდა ფორტის ადგილმდებარეობას მისურის და მდინარე უაიტის შერწყმის ადგილას, გლასმა ენერგიულად დაუქნია თავი. ყვითელმა ცხენმა მის ქოხში შეკრებილ მებრძოლებს რაღაც უთხრა, მაგრამ ჰიუმ ვერ გაიგო და დაძინებამდე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმას ფიქრობდა ხომ არ აჯობებდა ბანაკიდან მარტო წასულიყო.

დილით ცხენების ხვიხვინმა გააღვიძა, რომელიც შამანის ქოხის კედლის მიღმიდან მოდიოდა. ყვითელი ცხენი და გლასისთვის არიკარადან ნაცნობი სამი მეომარი ცხენებზე ისხდნენ. უმცროსთაგან ერთ-ერთს აღვირით ეჭირა ამლაკი ცხენი, რომელზეც არავინ იჯდა.

ყვითელმა ცხენმა რაღაც თქვა და ამლაკზე მიანიშნა. როცა მზის კიდე ჰორიზონტს აშორდა, მხედრები სამხრეთისკენ, ფორტ ბრაზოსკენ დაიძრნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 14

5 ოქტომბერი, 1823

ჯიმ ბრიჯერს ალღომ არ უღალატა. ის მართალი იყო, როცა ფიტცჯერალდს ურჩევდა პატარა მისურისთან აღმოსავლეთისაკენ არ გადაეხვია. დასავლეთით მზის უკანასკნელი სხივები ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო, ორმა კაცმა შაშხანიდან სასიგნალო გასროლით თავისიანები გააფრთხილა, რომ ფორტ უნიონს უახლოვდებოდნენ. კაპიტანმა ჰენრიმ მათ შესახვედრად ცხენოსანი გაგზავნა.

კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის მონადირეები მოსულებს პირქუში მოწიწებით მისჩერებოდნენ. გლასის შაშხანა ფიტცჯერალდს ამაყად ეჭირა თითქოსდა დალუპული მეგობრისადმი პატივისცემის ნიშნად. ანშტადტის დანახვისას ჟან პუტრენმა პირჯვარი გადაიწერა. ზოგიერთებმა ქუდი მოიხადეს. თუმცა გლასის გადარჩენის იმედი არავის ჰქონდა, ცნობას მისი გარდაცვალების შესახებ მწუხარებით შეხვდნენ.

ფიტცჯერალდის მოსასმენად მონადირეებისთვის საძინებლად გამოყოფილ ბარაკში შეიკრიბნენ. ბრიჯერი გააოგნა ფიტცჯერალდის ურცხვობამ და თავხედობამ. ის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარბშეუხრელად, ოსტატურად თხზავდა ამბებს, რომლის მსგავსი არაფერი მომხდარა.

– ბევრი არაფერია მოსაყოლი, – თქვა ფიტცჯერალდმა. – ჩვენ ყველამ ვიცოდით რაც მოხდებოდა. არ დაგიმალავთ, მისი მეგობარი არ ვიყავი, მაგრამ ის ისეთი მებრძოლი იყო, არ შეიძლებოდა არ დაგეფასებინა. გარდაცვლილი ღრმად ჩავმარხეთ და ზემოდან ქვები დავაყარეთ მეტი საიმედოობისათვის. სიმართლე ის გახლავთ, კაპიტანო, რომ მე ვჩქარობდი, მინდოდა მალე დაგწეოდით, ბრიჯერი კი მეუბნებოდა საფლავზე ჯვარი უნდა დავდგათო.

ბრიჯერმა ზემოთ აიხედა. ამ საშინელმა ტყუილმა შეაძრწუნა. ყველა მისკენ შებრუნდა. ზოგიერთმა თავი დააქნია. საქციელს უწონებდნენ. „ღმერთო, ოღონდ ეს არა“ – გაუელვა მას. ყოველთვის ოცნებობდა პატივისცემა დაემსახურებინა, მაგრამ არა ასეთი. მეტის ატანა აღარ შეეძლო. რაც არ უნდა მოჰყოლოდა ამას, ტყუილების ამ საშინელი ტვირთისგან უნდა გათავისუფლებულიყო.

ფიტცჯერალდის გამყინავი მზერა იგრძნო. – „სულ არ დავეძებ როგორ მიყურებ“ – გაიფიქრა და პირი გააღო, რომ ლაპარაკი დაეწყო, მაგრამ სანამ საჭირო სიტყვებს მოძებნიდა კაპიტანმა ჰენრიმ თქვა:

– ყოჩაღ ბრიჯერ. შენში ეჭვი არც მეპარებოდა.

კაცებმა მოწონების ნიშნად ისევ თავი დააქნიეს. „ღმერთო, როგორ ვიქცევი“ – გაიფიქრა ბრიჯერმა. სიტ-ყვები უთქმელი დარჩა. თავი ჩაღუნა და მზერა მიწას გაუშტერა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 15

9 ოქტომბერი, 1823

ფორტ ბრაზოს პრეტენზიები „ფორტი“ რქმეოდა, მეტი რომ არ ვთქვათ დაუმსახურებელი იყო. შეიძლება ამ სახელის მინიჭების მოტივაცია პატივმოყვარეობა გახლდათ – სურვილი საგვარეულო სახელის უკვდავყოფისა, ან კიდევ იმედი, რომ მტრებს თვით სტატუსი „ფორტი“ შიშს მოგვრიდა. ასე იყო თუ ისე, დასახელება არსს არ შეესაბამებოდა.

მთელი ფორტი ბრაზო მორებით ნაგები სახლის, უხეში ნავმისადგომისა და ცხენების მისაბმელი ბოძისგან შედგებოდა. სახლის სამხედრო დანიშნულებაზე მხოლოდ ფანჯრების ნაცვლად გამოჭრილი ვიწრო ხვრელები მეტყველებდა, თუმცა ფანჯრების არქონა იმდენად ისრე-ბისგან კი არ იცავდა, რამდენადაც მზის სხივებს უშლიდა ხელს შენობაში შემოღწევაში.

მდელოზე, რომელიც ფორტს ერტყა გარს, ინდიელთა ქოხები იყო მიმოფანტული. მათგან ზოგიერთი დროებითი იყო და იქ ფორტში სტუმრად მისული ინდიელები ცხოვრობდნენ, მუდმივი ქოხები კი იანკტონ სიუს ტო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის ლოთებს ეკუთვნოდა. ყველას, ვისაც მდინარეზე შემოაღამდებოდა, შეეძლო აქ ღამე გაეთია. ჩვეულებრივ – უბრალოდ, ღია ცის ქვეშ, ნახევარ დოლარად კი – სახლში, ჩალის ლეიბზე.

შენობა შიგნით წვრილმანი ნივთების ფარდულად და სალუნად იყო გაყოფილი. მკრთალად განათებულ ოთახში მუდამ სიგარეტის ჩამყაყებული კვამლის, ახალი ტყავის და დამარილებული ვირთევზას სუნი იდგა და ბუზების ზუზუნისა და დროდადრო სხვენიდან მომავალი ხვრინვის ფონზე მთვრალების ღრიანცელი ისმოდა.

ფორტის სეხნიამ, კაიოვა ბრაზომ ხუთ მოახლოებულ მხედარს გახედა სქელი სათვალეებიდან, მის თვალებს უზარმაზარს რომ აჩენდა და როცა ყვითელი ცხენი დაინახა შვებით ამოისუნთქა. არ იცოდა რა განწყობით მოდიოდნენ ისინი და ინდიელის მშვიდმა სახემ დააწყნარა.

უილიამ ეშლი ფორტ ბრაზოში თითქმის მთელი თვე იმყოფებოდა და კლდოვანი მთის ბეწვეულის კომპანიის მომავალს არიკარასთან უკანასკნელ ბრძოლაში დამარცხების გათვალისწინებით გეგმავდა. იმ შეტაკებისას სიუს ტომი თეთრებთან ერთად იბრძოდა, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ მათ მოკავშირეებად რჩებოდა, სანამ პოლკოვნიკ ლივენვორტის უმოქმედობა ყელში არ ამოუვიდათ და ბრძოლის ველი უშუალოდ ალყის დროს არ მიატოვა. (მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცხენები ეშლისაც და ამერიკის ჯარსაც მოპარეს). ეშლი სიუს ტომის უკან დახევას ღალატად მიიჩნევდა. კაიოვა ინდიელების გადაწყვეტილებას გაგებით ეკიდებოდა, მაგრამ არ ჩქარობდა კლდოვანი მთის ბეწვეულის კომპანიის დამაარსებელს შეწინააღმდეგებოდა. ეშლი და მისი ტრა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პერები კაიოვას მუდმივი კლიენტები იყვნენ და ლამის მთელ მის ასორტიმენტს ისინი ყიდულობდნენ.

თუმცა ფორტ ბრაზოს მწირი შემოსავალი ძირითადად მაინც ადგილობრივ ტომებთან ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული და არიკარასთან გაუცხოების შემდეგ კაიოვას იმედი ჰქონდა, რომ სიუსთან მაინც მოახერხებდა ურთიერთობის შენარჩუნებას. შიშობდა სიუს სიძულვილი პოლკოვნიკ ლივენვორტის მიმართ ბრაზოზე და მის მფლობელზეც არ გადასულიყო. ამიტომ ყვითელი ცხენისა და სამი მხედრის გამოჩენა კარგ ნიშნად ჩათვალა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათთან ერთად დაინახა თეთრკანიანი, რომელსაც ისინი აშკარად კეთილგანწყობით ექცეოდნენ.

სტუმრების შესახვედრად ფორტში მცხოვრებმა ინდიელებმა და გავლით მყოფმა სტუმრებმა მოიყარეს თავი. მათი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თეთრკანიანმა, რომელსაც სახეზე და თავის ქალაზე საშინელი ჭრილობები ჰქონდა. ბრაზომ ყვითელ ცხენს სიუს ენაზე რაღაც ჰკითხა და ინდიელმა მოყვა რაც თეთრკანიანის შესახებ იცოდა. ყველა, ვისაც სიუს ენის გაგება შეეძლო, გაოგნებული უსმენდა ამბავს იმის შესახებ თუ როგორ იპოვა ყვითელმა ცხენმა გლასი მარტო მყოფი, უიარაღო, დათვის ბრჭყალებით დატორილი. სხვებს ისღა დარჩენოდათ გაკვირვება გამოეხატათ. სიტყვების გარეშეც ნათელი იყო, რომ თეთრ კაცს მოსაყოლი მართლაც ჰქონდა.

კაიოვამ ყვითელ ცხენს მოუსმინა და გლასს მიუბრუნდა:

– თქვენ ვინ ხართ?

თეთრი კაცი შეყოვნდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა. კაიოვამ იფიქრა შეკითხვა ვერ გაიგოო და ფრანგულზე გადავიდა:

– Qui etes vous?[1]

გლასმა ნერწყვი გადაყლაპა და ფრთხილად ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა. მას კაიოვა იმ დროიდან ახსოვდა, რაც კლდოვანი მთის ბეწვეულის კომპანიის ტრაპერები ფორტში ჩერდებოდნენ, როცა მდინარის ზემო ნაწილისკენ მიემართებოდნენ. მაგრამ კაიოვა მას უცხოსავით ექცეოდა და გლასმა, რომელსაც საკუთარი თავი სარკეში ნანახი არ ჰყავდა, გადაწყვიტა ალბათ იმდენად შევიცვალე ვეღარ მცნობსო.

– ჰიუ გლასი – ყელი ეტკინა როცა ეს სიტყვები ამოთქვა. ხმის მაგივრად საცოდავი ღმუილი ამოუვიდა პირიდან. – ეშლის რაზმიდან.

– მუსიე ეშლიმ ერთი ფეხით გაგასწროთ. ჯედ სტიუარტი და თხუთმეტი მონადირე დასავლეთით გაგზავნა, თვითონ კი სენტ-ლუისში წავიდა, რომ ახალი რაზმი შეკრიბოს.

კაიოვამ პაუზა გააკეთა. იმედი ჰქონდა უცნაური სტუმარი რაღაცას აუხსნიდა, მაგრამ ის, როგორც ჩანდა, ხმის ამოღებას არ აპირებდა და გარშემომყოფთა მოუთმენლობა ცალთვალა შოტლანდიელმა გამოხატა, რომელმაც გლასს უხეში ხმით ჰკითხა:

– ვინ დაგამშვენა ასე?

– გრიზლიმ. გრანდის ზემო ნაწილში. – ჰიუ ნელა ლაპარაკობდა, სიტყვებს მომჭირნედ ხარჯავდა. – სძულ-

---

[1] (ფრანგ.) – ვინ ხართ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და პათეტიკური ტონი თავის ღმუილისმაგვარ ხმაში. – კაპიტანმა ჰენრიმ ორ კაცს ჩამაბარა. მათ ჩემი იარაღი წაიღეს და მიმატოვეს. – მან ისევ პაუზა გააკეთა, ყელის ჭრილობასთან ხელისგული მიიტანა.

– და მთელი ეს გზა სიუს ბიჭებს მოჰყავდი? – არ ეშვებოდა შოტლანდიელი.

კაიოვამ შეამჩნია დაჭრილს ტკივილისგან სახე როგორ დაელმიჭა და მის ნაცვლად უპასუხა:

– ის ყვითელმა ცხენმა იპოვა არიკარას სოფელში. შემისწორეთ, თუ ვცდები მუსიე გლასს, მაგრამ რამდენადაც მე გავიგე გრანდს ქვემოთ თქვენ მარტო დაუყევით.

გლასმა თავი დაუქნია.

ცალთვალა შოტლანდიელმა მორიგი შეკითხვის დასასმელად პირი დააღო, მაგრამ კაიოვამ მკვეთრად შეაწყვეტინა:

– მუსიე გლასის ამბის მოსმენა აჯობებს მომავლისთვის გადავდოთ, ახლა კი ის ნამდვილად იმსახურებს, რომ კარგად ჭამოს და დაიძინოს.

სათვალე კაიოვას სახეს ინტელიგენტის, კეთილი ბიძის იერს სძენდა. მან გლასს მხარში ხელი ჩასჭიდა და სახლში შეიყვანა. გრძელ მაგიდასთან დასვა, სიუს ენაზე რაღაც უთხრა ცოლს, რომელმაც თუჯის უზარმაზარი ქვაბიდან ხორცი გადმოიღო, დიდი თეფში გაავსო და დაჭრილის წინ მაგიდაზე დადო. პირველ ულუფას მეორე და მესამე მოჰყვა.

კაიოვა გლასის წინ იჯდა, მოთმინებით მისჩერებოდა მას მკრთალ სინათლეზე და დროდადრო სალაზღანდაროდ შემოსულ უსაქმურებს თავიდან იცილებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კარგად დანაყრებული გლასი უცებ კაიოვასკენ შებრუნდა. გაახსენდა, რომ საფასური უნდა გადაეხადა.

– ფული არა მაქვს, – თქვა მან.

– გასაკვირიც იქნებოდა ხელზე ფული რომ გქონდეთ. ჩემს ფორტში ეშლის ხალხისთვის კრედიტია გახსნილი. – გლასმა თავი დაუქნია, გავიგეო. – მე შენ აღჭურვილობას მოგცემ და პირველივე გემით სენტ-ლუისში გაგგზავნი – დასძინა კაიოვამ.

გლასმა უარის ნიშნად თავი ენერგიულად გააქნია.

– სენტ-ლუისში წასვლას არ ვაპირებ, – თქვა მან.

კაიოვა გაოგნებული ჩანდა. – აბა რა გეგმები გაქვთ? – ჰკითხა მან.

– ფორტ უნიონში უნდა წავიდე.

– ფორტ უნიონში? ახლა ხომ ოქტომბერია. და თანაც არიკარას ტერიტორიის გავლა მოგიწევთ. მანდანების მიწას მხოლოდ დეკემბერში მიაღწევთ, იქიდან კი ფორტ უნიონამდე კიდევ სამასი მილი გექნებათ გასავლელი. შუა ზამთარში აპირებთ მისურის ზემოთ აუყვეთ?

გლასმა არ უპასუხა. ყელი სტკიოდა. და თანაც ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. კაიოვას ნებართვა არაფერში სჭირდებოდა. თუნუქის დიდი ტოლჩიდან წყალი მოსვა, მასპინძელს საჭმლისთვის მადლობა გადაუხადა და სხვენის საძინებლის კიბეს აუყვა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, ქვემოთ ჩამოვიდა და შენობიდან გავიდა.

ყვითელი ცხენი ფორტს იქით, თეთრი მდინარის პირას იპოვა. ინდიელებს მათი ტომისთვის საჭირო მარაგი უკვე შეეძინათ და ახლა ცხენებს უვლიდნენ – დილით ხომ უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ. თუმცა კაიოვა და მისი ცოლი ყვითელ ცხენს ყოველთვის გულითადად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხვდებოდნენ, ის მაინც ამჯობინებდა ფორტთან საქმე ნაკლებად ჰქონოდა. მთელი აქაური გარემო მასზე დამთრგუნველად მოქმედებდა. სირცხვილით იწვოდა იმ ბინძური ინდიელების გამო, რომლებიც ფორტის გარშემო იყვნენ დაბანაკებული და თავიანთ ცოლებს და ქალიშვილებს ყლუპი ვისკისთვის ნებისმიერ მსურველს ლოგინში უწვენდნენ. იგი გრძნობდა, რომ უნდა შინებოდა იმ ბოროტი ძალისა, რომელიც ინდიელებს აიძულებდა ცხოვრების ძველი წესი მიეტოვებინათ და ასეთ სირცხვილში ეცხოვრათ.

გარდა ახლომახლო მცხოვრებ ინდიელებზე ფორტის გავლენისა, მას სხვა რამეც არ აძლევდა მოსვენებას. ის განცვიფრებული და აღტაცებული იყო თეთრკანიანების გამომგონებლობის უნარით და ოსტატობით – მათ ხომ ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ – შაშხანებით და ნაჯახებით დაწყებული, ფაქიზი ქსოვილებით და საკერავი ნემსებით დამთავრებული. მაგრამ ამასთან ერთად შიშნარევი კრძალვა ჰქონდა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც უზარმაზარი, მისთვის გაუგებარი ძალების დამორჩილება შეძლეს. ამბობდნენ, რომ აღმოსავლეთში არსებობდა დიდი დასახლებები, სადაც უამრავი თეთრკანიანი ცხოვრობდა – იმდენი, რამდენი ბიზონიცაა ამქვეყნად. მას არ სჯეროდა, რომ ეს შეიძლებოდა სიმართლე ყოფილიყო, თუმცა ცხადი იყო, რომ მის გარშემო თეთრკანიანების რაოდენობა მატულობდა. ახლა ამ ყველაფერს თეთრებისა და არიკარას ბრძოლა დაემატა. ის ხვდებოდა, რომ თეთრკანიანებს უნდოდათ დაესაჯათ არიკარა – ტომი, რომლის მიმართ თვითონაც მტრულად იყო განწყობილი. ისიც კარგად დაინახა, რომ თეთრი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მებრძოლები მხდლები და სულელები აღმოჩნდნენ. ცდილობდა თავისი შფოთვის და წუხილის მიზეზს ჩაწვდომოდა. ცალ-ცალკე აღებული, უბედურებას თითქოს არაფერი მოასწავებდა, და მაინც ყვითელი ცხენი გრძნობდა, რომ დაშორიშორებული ძაფები სადღაც ერთ წერტილში იყრიდა თავს, იხლართებოდა გაფრთხილებად, რომლის აზრი მას ჯერ კარგად არ ესმოდა.

როცა გლასი სიუს ბანაკში შევიდა, ყვითელი ცხენი წამოდგა. ახლა ორივეს სახეზე კოცონის მკრთალი სინათლე სცემდა. გლასმა ბევრი იფიქრა სიუს ტომისთვის მადლობა რით გადაეხადა მის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისთვის. ფული რომ შეეთავაზებინა, ყვითელ ცხენს აწყენინებდა. ერთი შეკვრა თუთუნი ან დანა მეტისმეტად მცირე საჩუქარი იქნებოდა მადლიერების გამოსახატავად, რომელსაც ის თავისი მხსნელის მიმართ გრძნობდა. ამიტომ უბრალოდ მივიდა ყვითელ ცხენთან, დათვის ბრჭყალებიანი ყელსაბამი მოიხსნა და ინდიელს კისერზე ჩამოჰკიდა.

ყვითელი ცხენი მას ცოტა ხანს დაჟინებით უყურებდა, გლასმა თვალებში ჩახედა, თავი დაუქნია და უკან, შენობისკენ წავიდა.

სხვენში ჩალის დიდ ლეიბზე უკვე ორ მგზავრს ეძინა, მაგრამ კუთხეში, კარნიზების ქვეშ დარჩენილი იყო პატარა თავისუფალი ადგილი, ძირს მოგებული გაცვეთილი ტყავით. გლასი იატაკზე დაეშვა და თითქმის მაშინვე ჩაეძინა.

დილით ხმამაღალმა ლაპარაკმა გამოაღვიძა – ქვემოთ, საერთო დარბაზში, ფრანგულად საუბრობდნენ და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დროდადრო იცინოდნენ. სხვენიდან უკვე ყველა წასულიყო. ცოტა ხანს კიდევ იწვა, სითბოთი და თავს ზემოთ ჭერის შეგრძნებით ტკბებოდა.

მუცლიდან ზურგზე გადაბრუნდა და კიდევ ერთხელ შენიშნა, რომ შამანის მიერ ჩატარებული მკურნალობა შედეგიანი აღმოჩნდა. ზურგი ჯერ კიდევ მთლად მორჩენილი არ ჰქონდა, მაგრამ ჭრილობა ინფექციის წყაროსგან გაწმენდილი იყო. ხელები და ფეხები რიგრიგობით მოღუნა და გაშალა, თითქოს ახლად შეძენილი მექანიზმის მუშაობას ამოწმებსო. ფეხები უკვე სხეულის წონას უძლებდა, თუმცა ოდნავ ისევ კოჭლობდა. ძალები მთლად ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღდგენილი, მაგრამ ხელებს და მხრებს ნორმალურად ამოძრავებდა. თოფის უკუცემა ისევ ტკივილს მიაყენებდა, თუმცა შაშხანის ხელში დაჭერა უკვე შეეძლო.

შაშხანა. რა თქმა უნდა კაიოვას მადლობელი იყო იარაღის და აღჭურვილობის შეპირებისათვის, მაგრამ მას სურდა თავისი ანშტადტი უკან დაებრუნებინა და ანგარიში გაესწორებინა მათთვის, ვინც გაძარცვა. ამიტომ ფორტ ბრაზოში ჩასვლას, როგორი მნიშვნელოვანი ეტაპიც არ უნდა ყოფილიყო ის, გლასი ფინიშის ხაზის გადაკვეთად კი არ აღიქვამდა, არამედ ათვლის წერტილად ახალი გზისაკენ. ახალი აღჭურვილობა, თითქმის გამოჯანმრთელებული სხეული, რომელიც ყოველდღე იკრებდა ძალებს, იმედს უსახავდა. უკანასკნელი ექვსი კვირა წარსულს ჩაბარდა. და მაინც, მიზანი ჯერ კიდევ შორს იყო.

ქვემოთ კარი გაიღო და კედელზე დაკიდებულ გატეხილ სარკეში დილის მზის შუქი აირეკლა. გლასი წამოდგა და სარკესთან ნელა მივიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავისი ანარეკლის დანახვას დიდად არ გაუკვირვებია. იცოდა, რომ ჭრილობები მის გარეგნობას შეცვლიდა. და მაინც, უცნაური იყო ხილვა იმ იარებისა, რომლისაც აქამდე მხოლოდ შეხება და წარმოდგენა შეეძლო. ლოყაზე ხშირ წვერს სამი პარალელური ხაზი ჰკვეთდა, რამაც გლასს ინდიელების საბრძოლო შეღებვა მოაგონა. გასაკვირი არ იყო, რომ სიუს ტომი მის მიმართ პატივისცემით განიმსჭვალა. შუბლს ზემოთ, თმის დასაწყისთან, მოვარდისფრო იარა ჩანდა. კინკრიხოდან ქვემოთ რამდენიმე ღრმა ჭრილობა ჩამოსდევდა. ჯერ კიდევ შერჩენილი თმა შეჭაღარავებოდა, წაბლისფერი წვერი კი განაცრისფრებოდა. განსაკუთრებით ყელს მიაქცია ყურადღება. იქაც ბრჭყალების პარალელური ნაკვალევი აჩნდა აქა-იქ, ძაფებით ამოკერვის ადგილებში, ამობურცული.

გლასმა ტყავის თხელი ქურთუკი აიწია ზურგის ჭრილობების დასათვალიერებლად, მაგრამ მკრთალ სინათლეზე იარების მხოლოდ გრძელი ზოლები დაინახა და გააჟრჟოლა, როცა მასში მოფუთფუთე მატლები წარმოიდგინა. ბოლოს შებრუნდა და ქვემოთ, საერთო დარბაზში ჩავიდა.

გრძელ მაგიდასთან თორმეტ კაცს მოეყარა თავი. გლასის გამოჩენისთანავე საუბარი შეწყდა.

კაიოვამ მაშინვე ინგლისურად განაგრძო. დასავლეთში, სადაც ენები ლამის ბაბილონის მსგავსად იყო ერთმანეთში აღრეული, სხვა ენის ცოდნა მომგებიანად ითვლებოდა.

– დილა მშვიდობის, მუსიე გლას. ახლა სწორედ თქვენს შესახებ ვლაპარაკობდით.

გლასმა თავი დაუქნია, მაგრამ არაფერი თქვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– თქვენ გაგიმართლათ. მე მგონი თანამგზავრები გიპოვეთ მდინარის ზემოთ. – გლასს მაშინვე შეეტყო, რომ დაინტერესდა და კაიოვამ განაგრძო: – გაიცანით: ანტუან ლანჟევენი.

მაგიდასთან მჯდარი მაღალი, გრძელულვაშებიანი კაცი წამოდგა და გლასს ხელი ისე ენერგიულად ჩამოართვა და მოუჭირა, რომ ცოტა არ იყოს გააკვირვა კიდეც.

– ლანჟევენი მდინარის სათავიდან წუხელ ღამით ჩამოვიდა. მასაც, ისევე, როგორც თქვენ, მუსიე გლას რაღაც აქვს მოსაყოლი. მანდანას სოფლები გამოუვლია და ამბობს, რომ ჩვენმა მომთაბარე არიკარამ მანდანას სამხრეთით, სულ რაღაც ერთ მილში ახალი სოფელი დააარსა.

ლანჟევენმა ფრანგულად რაღაც თქვა, მაგრამ გლასმა ვერ გაიგო.

– სწორედ ეს მინდოდა მეთქვა, – განაგრძო კაიოვამ, გაღიზიანებულმა იმით, რომ შეაწყვეტინეს. – მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი ჩვენი მეგობრისთვის ზედმეტი არ იქნება. – ის კვლავ გლასს მიუბრუნდა: – ჩვენი მანდანა მეგობრები წუხან იმის გამო, რომ მათი ახალი მეზობლების გამოჩენას მრავალი უსიამოვნება მოჰყვა. ამიტომ მათ პირობა წამოაყენეს – არიკარა მანდანას ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იცხოვრებს, თუ თეთკანიანებზე თავდასხმას შეწყვეტს.

კაიოვამ სათვალე მოიხსნა, თავისი ხალათის გრძელი კალთით მინები გაწმინდა და ისევ თავის ღაჟღაჟა ცხვირ-ზე წამოიცვა.

– ახლა რაც შეეხება იმას, თუ რამდენად უკავშირდება ეს უშუალოდ ჩემს საქმეს. ჩემი პატარა ფორტი მდინარეზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სატრანსპორტო გადაზიდვებზეა დამოკიდებული. ჩემთვის მომგებიანია, როცა მდინარეს აღმა-დაღმა ტრაპერები და ვაჭრები დასერავენ. მუსიე ეშლის ხანგრძლივმა ვიზიტმა გამახარა, მაგრამ არიკარასთან ბრძოლა ადრე იქნება თუ გვიან გამაკოტრებს. ლანჟევენს ვთხოვე დელეგაციასთან ერთად წასულიყო მდინარის სათავისკენ, საჩუქრები წაეღო და არიკარასთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება აღედგინა. თუ ეს მისია წარმატებული გამოდგება, სენტ-ლუისს შევატყობინებთ, რომ მისური თავისუფალია მოგზაურობისთვის. ლანჟევენის კანოე ექვს კაცს და სურსათ-სანოვაგეს იტევს. ეს ტუსენ შარბონოა, – კაიოვამ მაგიდასთან მსხდართაგან ერთ-ერთზე მიანიშნა. გლასს ეს სახელი გაგონილი ჰქონდა და ინტერესით შეხედა ქმარს სახელგანთქმული საქაგავეასი – ინდიელი ქალისა, რომელმაც ლუისის და კლარკის ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. – ტუსენი მანდანას, არიკარას და სხვა ტომების ენაზეც ლაპარაკობს, რაც შეიძლება მგზავრობისას დაგჭირდეთ. ის ლუისის და კლარკის თარჯიმნად მუშაობდა.

– და ინგლისურადაც ვლაპარაკობ, – თქვა შარბონომ, რაც გაისმა როგორც „ენდ აჰ სპიკ ეეგლიშ“ კაიოვა უაქცენტოდ ლაპარაკობდა და ამ ფონზე უფრო აშკარად იგრძნობოდა, რომ შარბონო ფრანგულად უქცევდა. გლასი მაგიდაზე გადაიხარა და მას ხელი ჩამოართვა. კაიოვამ გლასისთვის იქ მყოფთა წარდგენა განაგრძო:

– ეს ენდრიუ მაკდონალდია, – მან იმ ცალთვალა შოტლანდიელზე მიანიშნა, წინა დღით რომ აქტიურობდა. გლასმა შენიშნა, რომ მას თვალის გარდა ცხვირის საკმაოდ დიდი ნაწილიც აკლდა. – ის, მე მგონი, ყველაზე გონე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბაჩლუნგი ადამიანია, რომელსაც კი ოდესმე შევხვედ-რივარ. სამაგიეროდ შეუძლია მთელი დღის განმავლობაში ნიჩბები უსვას შეუსვენებლად და არ დაიღალოს. ჩვენ მას პროფესორს ვეძახით.

პროფესორმა თავი დახარა და ერთადერთი თვალი მოწკურა თავისი სახელის გაგონებისას, მაგრამ აშკარად ეტყობოდა ირონია ვერ იგრძნო.

– დაბოლოს, ეს დომინიკ კატუარია. – კაიოვამ თითი გაიშვირა მოგზაურისკენ, რომელიც თიხის თხელ ჩიბუხს ეწეოდა.

დომინიკი წამოდგა, გლასს ხელი ჩამოართვა და თქვა: „Enchante“.[1]

ლუის კატუარი, დომინიკის ძმა. ისიც მოდის თქვე-ნთან ერთად, თუ მოვახერხეთ და მეძავის ქოხიდან გამოვათრიეთ. ჩვენ მას „ლა ვიერჟს“ – ქალწულს – ვეძა-ხით.

მაგიდასთან მსხდომმა კაცებმა გადაიხარხარეს.

– ახლა კი თქვენზე უნდა გადავიდეთ. დელეგაცია მდინარეს ზემოთ უნდა აუყვეს. ასე რომ, ნავი მსუბუქი უნდა იყოს. მისი სურსათ-სანოვაგით დატვირთვა არ შეიძლება. ამიტომ საჭიროა მონადირე, რომელიც რაზმს ხორცით მოამარაგებს. მე ვფიქრობ თქვენ საკვების მოპოვებაში გამოცდილება არ გაკლიათ. მით უმეტეს ახლა, როცა იარაღი და აღჭურვილობა გექნებათ, ამის გაკეთება არ გაგიჭირდებათ.

გლასმა პასუხად თავი დაუქნია.

---

[1] (ფრანგ.) მოხარული ვარ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რაზმს ზედმეტი თოფი სხვა მიზეზის გამოც სჭირდება, – განაგრძობდა კაიოვა, – დომინიკმა ყური მოჰკრა მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, რომ არიკარას ბელადი სახელად ცხენირმის ენა თავის ტომს ჩამოშორდა და მებრძოლების ერთი ნაწილი და მათი ოჯახები სადღაც მანდანასა და გრანდს შორის წაიყვანა. ზუსტად არ ვიცით რა ჩანაფიქრი აქვს, მაგრამ ფიცი დადო, რომ არიკარას სოფელზე თავდასხმისთვის შურს იძიებს.

გლასს არიკარას დასახლების ჩაშავებული ნარჩენები წარმოუდგა თვალწინ და ისევ თავი დააქნია.

– წახვალთ დელეგაციასთან ერთად?

გლასს თანამგზავრებთან ერთად წასვლის პერსპექტივა მაინცდამაინც არ ხიბლავდა. ის აპირებდა მისურის სათავისკენ ფეხით აჰყოლოდა. იმავე დღეს აპირებდა წასვლას და არ უნდოდა შეყოვნებულიყო. და მაინც, კაიოვას შემოთავაზებულ ვარიანტს თავისი დადებითი მხარე ჰქონდა. რაზმთან ერთად მოგზაურობა უფრო უსაფრთხო იყო, მით უმეტეს, რომ კაიოვას რაზმის წევრებს გამოცდილება არ აკლდათ. ფრანგი ტრაპერები, რომელთაც აქ ვოიაჟერებს ეძახდნენ, სამართლიანად მიიჩნეოდნენ საუკეთესო მენავეებად. გარდა ამისა მისი ჭრილობები ბოლომდე მორჩენილი ჯერ კიდევ არ იყო და თუ ფეხით წავიდოდა, ნელა მოუწევდა სიარული. ნიჩბებიანი ნავით მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლასაც დიდი დრო დასჭირდებოდა, სამაგიეროდ მთელი თვის განმავლობაში დაისვენებდა, რაც მისი განკურნებისა და ძალთა აღდგენისათვის კარგი იქნებოდა.

გლასმა ხელისგული ყელზე მიიდო.

– წავალ, – თქვა მან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლანჟევენ კაიოვას ფრანგულად დაელაპარაკა. კაიოვამ მოუსმინა და შემდეგ გლასს მიუბრუნდა:

– ლანჟევენი ამბობს, რომ ერთი დღე სჭირდება ნავის შესაკეთებლად. გახვალთ ხვალ, განთიადისას. ახლა კი ისაუზმეთ და თქვენს აღჭურვილობას მივხედოთ.

კაიოვა სხვადასხვა საქონელს სახლის შორეულ ბოლოში, კედელთან ინახავდა. ორ ცარიელ კასრზე გადებული ფიცარი დახლის ფუნქციას ასრულებდა. გლასს უპირველესად იარაღი აინტერესებდა. იქ ხუთი თოფი აღმოჩნდა. ძველი გამოშვების სამი დაჟანგული მუშკეტი აშკარად ინდიელებთან სავაჭროდ იყო განკუთვნილი. და კიდევ ორი შაშხანა. ერთი შეხედვით თითქოს ნათელი იყო მათ შორის, არჩევანი რომელზე უნდა შეეჩერებინა. ერთი კენტუკის კლასიკური სტილის გრძელი შაშხანა გახლდათ, მშვენიერი, ოსტატური ნაკეთობა კაკლის ხის გაპრიალებული კონდახით. მეორე კი მრავალ ჭირვა-რამგამოვლილი ქვეითი ჯარის შაშხანა, 1803 წლის მოდელი, გადატეხილი კონდახით, რომელიც შემდეგ მოქ-ნილი ტყავით იყო ერთმანეთზე გადაბმული. გლასმა ორივე მათგანი აიღო და კაიოვასთან ერთად გარეთ გავიდა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჰქონდა მისაღები და უნდოდა იარაღები დღის სინათლეზე შეემოწმებინა.

– შესანიშნავი შაშხანაა, – თქვა კაიოვამ, – კენტუკის გრძელ შაშხანას, რომელსაც გლასი ათვალიერებდა, თვალს არ აშორებდა. – გერმანულ საჭმელებს პირს ვერ დააკარებ ისეთი ნაგავია, იარაღს კი მართლა კარგს აკეთებენ, ვერ დაუკარგავ.

გლასი დაეთანხმა. კენტუკის შაშხანა ყოველთვის მის განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა, მაგრამ ის,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც ხელში ეჭირა ორი მიზეზის გამო არ მოსწონდა. ჯერ ერთი მცირე კალიბრის აღმოჩნდა, სულ რაღაც 32-იანი. მეორეც, მეტისმეტად გრძელი იყო და მისი ტარებაც და დატენვაც ძნელი იქნებოდა. ვირჯინიაში მცხოვრები ჯენტლმენი ფერმერისათვის ის იდეალური იარაღი იქნებოდა ციყვებზე სანადიროდ, გლასს კი სხვა რამ სჭირდებოდა.

მან კენტუკის შაშხანა კაიოვას გაუწოდა და 1803 წლის მოდელი აიღო. ეს ის იარაღი იყო, რომელსაც ლუისის და კლარკის ექსპედიციის ჯარისკაცები ატარებდნენ. გლასმა ჯერ ის შეამოწმა კონდახი როგორ იყო შეკეთებული. გადანატეხის ადგილას მჭიდროდ შემოეჭირათ სველი, მოქნილი ტყავი და გამოეშროთ – შედეგად ის შეიკუმშა, გამაგრდა და ხე მყარად შეკრა. და თუმცა იარაღი სილამაზით არ ბრწყინავდა, საიმედო და სოლიდური ჩანდა. ჩამკეტი და სასხლეტი შესანიშნავად მუშაობდა. ეტყობოდა ახალი შეზეთილი იყო. ჟანგის ნასახიც არ ჩანდა. გლასმა კონდახს ხელი გადაუსვა, შემდეგ მოკლე ლულაში თითი ჩადო. 53 კალიბრის აღმოჩნდა.

– დიდი უფრო მოგეწონათ, ხომ? – ჰკითხა კაიოვამ.

გლასმა პასუხად თავი დაუქნია.

– კარგი შაშხანაა, – ფორტის მეპატრონემ პირქუშად ჩაიცინა. – ასეთი იარაღით დათვის მოკვლაც შეიძლება.

კაიოვამ თოფისწამლის რქა და საწყავი გაუწოდა. გლასმა მთელი მუხტი – ორასი გრანი მოზომა და ლულაში ჩაყარა. ტყვია გაზეთილ ჩვრის ნაჭერში გაახვია და ისიც ლულაში ჩადო, შემდეგ ზუმბით მიაწვა და უფრო ღრმად ჩატენა. თოფისწამალი სათავსში ჩაყარა, ჩახმახი შეაყენა და სამიზნის ძიებაში მიიხედ-მოიხედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორმოცდაათ იარდში ალვის ხის ძირას ციყვი იყო განაბული. გლასმა დაუმიზნა და სასხლეტს თითი გამოჰკრა. თოფისწამალი სათავსზე აბრიალდა, რამაც ლულაში ჩადებული თოფისწამლის აფეთქება გამოიწვია. ჰაერი კვამლით დაიბინდა. გლასი შეიჭმუხნა. ძლიერმა უკუცემამ მხარი ატკინა.

როცა კვამლი გაიფანტა კაიოვა ნელა მივიდა ალვის ხესთან. ბეწვიანი კუდის გარდა ციყვისგან თითქმის აღარაფერი იყო დარჩენილი. ის უკან დაბრუნდა და კუდი გლასის ფეხებთან დააგდო.

– მე ვფიქრობ ეს შაშხანა ციყვებისთვის მეტისმეტია, – თქვა მან.

ამჯერად გლასმა პასუხად გაუღიმა.

– ამას ავიღებ.

სახლში შებრუნდნენ და გლასმა მისთვის საჭირო სხვა ნივთების შერჩევა დაიწყო: 53 კალიბრის პისტოლეტი შაშხანის შესაბამისი ტყვიის ჩამოსასხმელი ფორმა, ტყვიები, თოფისწამალი, კაჟი, ტომაჰავკა და დიდი დანა ტყავის გასაძრობად. სქელი ტყავის ღვედი იარაღისათვის. ბამბის ორი წითელი ხალათი ტყავის ქურთუკის ქვეშ ჩასაცმელად, საგზაო ლაბადა კაპიუშონით, შალის ქუდი და ხელთათმანები, ხუთი ფუტი მარილი და სამი შეკვრა თუთუნი. ნემსი და ძაფი. თოკები. ახალშეძენილი ნივთებისთვის ჩანთა – ტყავის, ფოჩებიანი და მძივებჩაკერებული. დაბოლოს, ქამარზე ჩამოსაკიდებელი პატარა ჩანთა, რომელშიც ტრაპერები ჩიბუხსა და თუთუნს ინახავდნენ, ჰიუმ კი გადაწყვიტა, რომ მას ახალი კვესის ჩასადებად გამოიყენებდა.

ახლა გლასი მეფური სიმდიდრის პატრონად გრძნობდა თავს. თვენახევრიანი სიღატაკის შემდეგ, როცა

მთელი მისი ქონება ნახევრად დაგლეჯილი ხალათი იყო, ის ბოლოს და ბოლოს მზად გახლდათ ყველა იმ ბრძოლისთვის, რომელიც გადასატანი ჰქონდა. კაიოვამ თანხა შეაჯამა. სულ ას ოცდახუთი დოლარი გამოვიდა. გლასმა უილიამ ეშლის წერილი მისწერა:

1823 წლის 10 ოქტომბერი.

ძვირფასო მისტერ ეშლი,

იარაღი და საბრძოლო აღჭურვილობა მომპარა ჩვენი რაზმის ორმა წევრმა, რომლებთანაც ანგარიშის გასწორება მომიწევს. მისტერ ბრაზომ აუცილებელი ნივთები მომყიდა კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის კრედიტით. მე თავს უფლება მივეცი, ზემოთ აღნიშნული ნივთები, ჩემი ხელფასის ანგარიშიდან ავანსად ამეღო. განზრახული მაქვს ჩემი ქონება დავიბრუნო და გპირდებით, რომ ვალს გადაგიხდით.

თქვენი მონა მორჩილი,

ჰიუ გლასი

– თქვენს წერილს ანგარიშს მივაკრავ, – თქვა კაიოვამ.

იმ საღამოს ჰიუ გლასმა მადიანად ივახშმა კაიოვასთან და მისი მომავალი ხუთი თანამგზავრიდან ოთხთან ერთად. მეხუთე, ლუი ლა ვერჟ კატუარი, მეძავების კარვიდან ჯერ კიდევ არ იყო გამომძვრალი. მისმა ძმამ, დომინიკმა, განაცხადა მას შემდეგ, რაც ფორტ ბრაზოში ჩამოვედით, ლა ვიერჟი ხან მთვრალია და ხან გარყვნილებაშია ჩაფლულიო. ფრანგულად საუბრობდნენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გლასს მიმართავდნენ. ჰიუს კამპეჩეში გაგონილი ცალკეული სიტყვები და ფრაზები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახსოვდა, მაგრამ იმდენი არა, რომ საუბრის შინაარსს ჩაწვდომოდა.

– უნდა მოახერხო, რომ შენი ძმა ხვალ დილისთვის მზად იყოს, – თქვა ლანჟევენმა. – მისი ნიჩაბი აუცილებლად დაგვჭირდება.

– მზად იქნება.

– და არ დაგავიწყდეთ რისთვის მიდიხართ, – შეახსენა კაიოვამ. – მანდანებთან ნუ გამოიზამთრებთ. მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ არიკარა მდინარით მიმავალ ვაჭრებს თავს არ დაესხმება. თუ თქვენ ახალ წლამდე არაფერს შემატყობინებთ, სენტ-ლუისის დროულად გაფრთხილებას ვერ მოვასწრებ და საგაზაფხულო გეგმა ჩაგვივარდება.

– მე ჩემი საქმე ვიცი, – დაარწმუნა ის ლანჟევენმა, – მოვახერხებ იმ ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც თქვენ გჭირდებათ.

– ჰო მართლა, რაც შეეხება ინფორმაციას – კაიოვა ფრანგულიდან ინგლისურზე ძალდაუტანებლად გადავიდა. – ჩვენ ყველას გვსურს ზუსტად ვიცოდეთ რა გადაგხდათ თავს.

ამ სიტყვებზე პროფესორის ულიმლამო თვალებშიც კი რაღაც ინტერესის მსგავსმა იელვა.

გლასმა მაგიდასთან მსხდომებს მოავლო თვალი.

– მოსაყოლი თითქმის არაფერია, – უპასუხა გლასმა, და ფრანგებმა, რომლებსაც კაიოვამ ნათქვამი გადაუთარგმნა, გაიცინეს.

კაიოვამაც გაიცინა და თქვა:

– დიდი პატივისცემით თქვენს მიმართ, მონ ამი, თქვენი სახე ისედაც მრავლისმეტყველია, მაგრამ მაინც გვინდოდა დეტალებიც კი უშუალოდ თქვენგან მოგვესმინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანგებმა, როგორც ისინი ელოდნენ, გასართობი ამ-ბის მოლოდინში თავიანთი გრძელი ჩიბუხები დატენეს. კაიოვამ ჟილეტის ჯიბიდან ვერცხლის მოხატული სათუ-თუნე ამოიღო და ერთი მწიკვი ბურნუთი ცხვირში ჩაი-ყარა.

გლასმა ხელი ყელთან მიიტანა. თავისი ღმუილისე-ბური ხმა ისევ ერცხვინებოდა.

– მდინარე გრანდის ნაპირებზე დიდი გრიზლი და-მესხა თავს. კაპიტანმა ჰენრიმ ჯონ ფიტცჯერალდი და ჯიმ ბრიჯერი დატოვა ჩემთან, რომ დავემარხე, რო-ცა მოვკვდებოდი. მათ კი გამძარცვეს და გაიქცნენ. მე განზრახული მაქვს დავიბრუნო რაც მეკუთვნის და სა-მართლიანობა აღვადგინო.

კაიოვამ გლასის ნათქვამი გადათარგმნა. მაგიდასთან ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მსმენელები იცდიდნენ.

– და სულ ეს არის? – როყიო ხმით ჰკითხა ბოლოს პროფესორმა.

– საწყენად ნუ მიიღებთ, მუსიე, მაგრამ მაინცდამაინც ენაწყლიანი მთხრობელი არ ბრძანდებით. – შენიშნა ტუსენ შარბონომ.

გლასმა მისკენ გაიხედა, მაგრამ აღარაფერი დაუმატა.

– თუ არ გსურთ დათვთან ბრძოლის დეტალების შესახებ მოგვიყვეთ, თქვენი ნებაა – ჩაერთო საუბარში კაიოვა, – მაგრამ გრანდის შესახებ კი აუცილებლად გვინ-და თქვენგან მოვისმინოთ.

ჯერ კიდევ თავისი კარიერის ადრეულ წლებში კაიო-ვამ გააცნობიერა, რომ ვაჭრობაში ინფორმაციის ქონა საქონელზე არანაკლებ ფასობდა. ადამიანები მასთან არა მხოლოდ საყიდლებისთვის მოდიოდნენ, არამედ ახალი ამბებისთვისაც. კაიოვას ფორტი მისურის და უაიტის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შერწყმის ადგილას იდგა, ასე რომ, უაიტს ის საკმაოდ კარგად იცნობდა, ისევე, როგორც მდინარე შეიენს, რომელიც მოშორებით, ჩრდილოეთით მდებარეობდა. გრანდის შესახებ ინდიელებისგან რაღაც-რაღაცები გაეგონა, თუმცა დეტალები არ იცოდა.

კაიოვამ ცოლს სიუს ენაზე რაღაც უთხრა და ქალმა დაფლეთილი წიგნი მოიტანა, რომელსაც ცოლ-ქმარი ისე ეპყრობოდა, როგორც ბიბლიას. გადაქერცლილ ყდაზე გრძელი სათაური იკითხებოდა. კაიოვამ სათვალე შეისწორა და ხმამაღლა კითხვა დაიწყო:

– „ექსპედიციის ისტორია ...

– კაპიტან ლუისის და კლარკის მეთაურობით", – დაასრულა მის ნაცვლად გლასმა. კაიოვამ მას ახედა. სახეზე გამოცოცხლება ეტყობოდა.

– Ah, bon! ჩვენი დაჭრილი მოგზაური განათლებული კაცი ყოფილა.

გლასიც გამოცოცხლდა და დროებით თავისი მტკივანი ყელიც კი დაავიწყდა.

„გამომცემელი პოლ ალენი. დაბეჭდილია ფილადელფიაში 1814 წელს".

– ე. ი. კაპიტან კლარკის რუკას თქვენც იცნობთ?

გლასმა თავი დაუქნია. მას ახსოვდა ის მღელვარება, რომელიც დიდი ხნის ნანატრი მემუარების და რუკების გამოსვლას მოჰყვა. ისევე, როგორც ის რუკები, რომლებიც მის ყმაწვილურ ოცნებებს ფრთებს ასხამდნენ, „ექსპედიციის ისტორიაც" გლასმა „როსტორნის და ვაჟიშვილების" ოფისში ნახა.

კაიოვამ წიგნი მაგიდაზე ყდით დადო და ის გადაიშალა კლარკის რუკაზე, რომელიც დასათაურებული იყო, როგორც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ლუისის და კლარკის მოგზაურობის რუკა ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილის გავლით მისისიპიდან წყნარ ოკეანემდე“. ექსპედიციისთვის მოსამზადებლად კლარკმა ზედმიწევნით შეისწავლა კარტოგრაფია და მის მიერ შედგენილი რუკა, იმ დროისთვის უჩვეულოდ ზუსტი და დეტალური, ერთგვარ მოვლენად იქცა. მისურის მთავარ შენაკადებს, სენტ-ლუისიდან სამ განშტოებამდე, ის ნათლად და დაწვრილმანებით აჩვენებდა.

შერწყმის ადგილას რუკა უფრო სქემატური ხდებოდა. იქ შენაკადების წყარო და მიმართულება თითქმის აღარ ჩანდა. თუმცა იყო გამონაკლისებიც. 1814 წლისათვის რუკა იელოუსტოუნის აუზში დრუილარდის და კოლტერის აღმოჩენების შედეგებს მოიცავდა და ზებულონ პაიკიდან კლდოვანი მთების გავლით მარშრუტს აჩვენებდა. კაიოვას იქ პლატე მიეხატა ჩრდილოეთ და სამხრეთ განშტოებების დაახლოებით მდებარეობასთან ერთად. იელოუსტოუნზე მანუელ ლიზის ფორტი დატანილი იყო მდინარე ბიგ-ჰორნის შესართავთან.

გლასი გამოსახულებას ხარბად დასჩერებოდა. არა თვითონ კლარკის რუკას, რომელიც მან „როსტორნი და ვაჟიშვილების“ ოფისში ხანგრძლივი ყოფნისას და მოგვიანებით სენტ-ლუისში შეისწავლა. გლასს კაიოვას მიერ დამატებული დეტალები აინტერესებდა – ფანქრით გაკეთებული შენიშვნები, ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნის გამოხატულება.

ყველაფერი წყლის გარშემო ტრიალებდა და ადგილების დასახელებები რაღაც ამბებს უკავშირდებოდა: ომის ნაკადული, შუბის ნაკადული, დათვი ინდიელთა კარვის ნაკადულთან. ზოგი სახელი ადგილობრივ ფლო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რას და ფაუნას აღწერდა: ანტილოპას ნაკადული, თახვის ნაკადული, ფიჭვის ნაკადული, ვარდის კოკორი. ზოგი თვით წყლის შესახებ ამბობდა რაღაცას: ღრმა ნაკადული, ჩქარი ნაკადული, პლატე, გოგირდის ნაკადული, ტკბილი წყალი. რამდენიმე თითქოს რაღაც მისტიკურზე მიანიშ-ნებდა ქარაგმულად: ინდიელთა სამკურნალო კარავის ნა-კადული, სასახლის ნაკადული.

კაიოვამ გლასს შეკითხვები დააყარა: რამდენი ხნის განმავლობაში მიუყვებოდნენ გრანდს ზემოთ სანამ ზედა განშტოებასთან მივიდოდნენ? რა ადგილას ჩაედინება მდინარეში ნაკადულები? რა ორიენტირებია გზაზე? არის თუ არა თახვები და სხვა ცხოველები ახლომახლო? ტყეები ბევრია გარშემო? ინდიელთა იქ ყოფნის რაიმე ნიშანი ხომ არ არის? რომელი ტომის? კაიოვას წვერწამახულ ფანქარი რუკაზე სულ ახალ და ახალ დეტალებს აღნიშნავდა.

გლასი, თავის მხრივ, არანაკლებ ინფორმაციას იღებდა, ვიდრე გასცემდა. მიუხედავად იმისა, რომ მიახლოებითი რუკა მას თავში ჰქონდა, დეტალები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ახლა, როცა ის მოგზაურობას მარტო აპირებდა. რამდენი მილია მანდანადან ფორტ უნიონამდე? რომელი მთავარი შენაკადებია მანდანას ზემოთ და რა მანძილია მათ შორის? როგორია ლანდშაფტი? როდის იყინება მისური? სად შეიძლება გზის მოჭრა დროის მოგების მიზნით მდინარის საქცევებს შორის? გლასმა კლარკის რუკის მთავარი უბნების ასლი გააკეთა, ფორტ უნიონსა და მანდანას დასახლებებს შორის მონაკვეთზე გაამახვილა ყურადღება და იელოუსტოუნისა და მისურის კალაპოტი მონიშნა ასობით მილის მანძილზე ფორტ უნიონს ზემოთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანგები დიდი ხანი იყო რაც დასაძინებლად წავიდნენ, კაიოვა და გლასი კი შუაღამემდე ისხდნენ და საუბრობდნენ. ნავთის ლამპის მკრთალი შუქი ხის კედელზე უცნაურად მბორგავ ჩრდილებს ქმნიდა. კაიოვას გონიერ და განათლებულ კაცთან საუბრის ბედნიერება არცთუ ხშირად ჰქონდა და ამიტომ სტუმრის გაშვებას არ ჩქარობდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მექსიკის ყურედან სენტ-ლუისამდე გლასის მოგზაურობის შესახებ შეიტყო და თანამესაუბრეს მანამ არ მოეშვა, სანამ მან სუფთა ფურცელზე ტეხასის და კანზასის დაბლობების მიახლოებითი რუკა არ დაუხატა.

– თქვენ ძალიან საჭირო ადამიანი იქნებოდით ფორტში. მოგზაურებს ასეთი ინფორმაცია ჰაერივით სჭირდებათ.

გლასმა თავი გადააქნია.

– მართლაც, მონ ამი, აქ ხომ არ დარჩებოდით ზამთარში. ხელფასს დაგინიშნავდით.

გლასმა ისევ თავი გადააქნია, ამჯერად უფრო მტკიცედ:

– ჩემი საქმეები მაქვს მისახედი.

– სჭირდება კი ასეთი რისკის გაწევა თქვენი შესაძლებლობების ადამიანს? ლუიზიანაში ხეტიალი გაგანია ზამთარში. გაზაფხულზე დაედევნეთ იმ თქვენს მოღალატეებს, თუ ამის სურვილი ისევ გექნებათ.

გულითადი საუბრის სითბო თითქოს ერთბაშად გაიფანტა, თითქოს ზამთრის სუსხიან დღეს კარი გააღესო. გლასმა მრისხანედ შეხედა და კაიოვამ თავისი ნათქვამი მაშინვე ინანა.

– მე თქვენთვის რჩევა არ მითხოვია.

– არა, მუსიე, რა თქმა უნდა, არა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გათენებამდე ორიოდე საათი რჩებოდა, როცა ქანცგაცლილი გლასი სხვენში ავიდა და დაწვა. მისი ფიქრები მომავალ მგზავრობას უტრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა ჩაეძინა.

აყალმაყალმა გამოაღვიძა. გარედან ლანძღვა გინება ისმოდა. ვიღაც ფრანგი ღრიალებდა და თუმცა გლასს სიტყვები არ ესმოდა, საერთო აზრის გამოტანა მაინც შეძლო.

მთვრალი ლა ვიერჟ კატუარი ყვიროდა, რომელიც მის ძმას, დომინიკს ის-ის იყო გამოეღვიძებინა. ლუის მკვდარივით ძილის ამბავი იცოდა და როცა მისი გამოღვიძება ნეკნებში დარტყმითაც ვერ შეძლო, დომინიკმა სხვა ტაქტიკა სცადა: უბრალოდ ადგა და ძმას სახეზე გადააფსა. ლა ვიერჟის მძვინვარება უპატივცემულობის სწორედ ამ აქტმა გამოიწვია. გაბრაზებული იყო ინდიელი ქალიც, რომელთანაც ლა ვიერჟმა ღამე გაატარა. ის თავის ქოხში ბევრ უხამსობას ითმენდა, ზოგს წაახალისებდა კიდეც, მაგრამ დომინიკმა თავისი გამოხდომით მისი საუკეთესო საბანი წაბილწა და ეს აგიჟებდა. შეურაცხყოფილი კაჭკაჭის გამყინავი ხმით კიოდა.

როცა გლასი გარეთ გამოვიდა ლა ვიერჟი უკვე თავისი ძმის პირისპირ იდგა, სრულიად შიშველი, ძველი ბერძენი მოჭიდავის მსგავსად. მართალია სიმაღლით და ძალით დომინიკს აშკარად აღემატებოდა, მაგრამ სამი დღის გადაბმულმა ლოთობამ მოულოდნელ და დამამცირებელ გაღვიძებასთან ერთად თავისი ქნა – თვალებში ძლივს იხედებოდა და ბარბაცებდა, თუმცა ამის გამო ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმის სურვილი არ დაუკარგავს. დომინიკი, რომელიც ძმის ჩხუბის სტილს

კარგად იცნობდა, მის თავდასხმას ელოდა და მზად იყო. ლა ვიერჟმა დაიღრიალა, თავი დახარა, წინ წაიწია და მთელი ძალა ხელის მოქნევაში ჩადო – სამიზნე მისი ძმის თავი გახლდათ. საკმარისი იყო მოეხვედრებინა და ქალას ცხვირიდან კეფამდე ჩაუმტვრევდა, მაგრამ დომინიკი, ვითომც არაფერიო, უბრალოდ გვერდზე გაიწია, ძმამ კი გვერდით ჩაუფრინა და წონასწორობა საბოლოოდ დაკარგა. დომინიკმა უკნიდან, მუხლის ქვეშ წიხლი ამოარტყა. ლა ვიერჟი ზურგზე დავარდა და მოიკრუნჩხა, ცდილობდა ამოესუნთქა, ბოლოს, როგორც იქნა მოახერხა და ისევ ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა. ფეხზე წამოდგომა მოინდომა, მაგრამ დომინიკმა კვლავ წიხლი ამოარტყა, ამჯერად მზისწნულში და ლა ვიერჟს ჰაერი ისევ საძებარი გაუხდა.

– ხომ გითხარი დილით მზად იყავი-მეთქი, შე ხისთავიანო. ნახევარი საათის შემდეგ გავდივართ. – საკუთარი სიტყვებისთვის მეტი მნიშვნელობა რომ შეეძინა, ძმას ყბაში ფეხი ამოარტყა და ზედა და ქვედა ტუჩი გაუტეხა.

ჩხუბი დამთავრდა. მაყურებლებმა დაშლა დაიწყეს. გლასი მდინარესთან ჩავიდა. ლანჟევენის ნავი ნავსადგურთან ირწეოდა. სწრაფი დინებისგან ბაგირი დროდადრო იჭიმებოდა. ასეთი ტიპის ნავებს ფრანგები ბატარდ-ს ეძახდნენ და ის მართლაც რაღაც საშუალოს წარმოადგენდა სატვირთო კანოეს ტრადიციულ სახეობებს შორის. მართალია ნაკლები ზომის იყო, ვიდრე ჩანოტს დე მაიტრე, მაგრამ საკმაოდ ტევადი გახლდათ და სიგრძით თითქმის ოცდაათ ფუტს აღწევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისურის ქვემო დინებაში ნავით ცურვა ძნელი არ იყო და ამ საქმეს ორი კაცი – ლანჟევენი და პროფესორი ართმევდა თავს სანამ ფორტ ბრაზოში მანდანებთან გარდაცვლილ ბეწვეულს ეზიდებოდნენ. ბოლომდე დატვირთული კანოეს მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით წაყვანას ათი მენიჩბე დასჭირდებოდა და თუმცა ლანჟევენს ამჯერად მსუბუქი ტვირთი ჰქონდა – მხოლოდ საჩუქრები მანდანასა და არიკარასათვის – ოთხი მენიჩბისთვის ეს მაინც საკმაოდ მძიმე დატვირთვა იყო.

ტუსენ შარბონო ნავმისადგომში კასრზე იჯდა, ვაშლს ღეჭავდა და უყურებდა პროფესორი ლანჟევენის მეთვალყურეობის ქვეშ კანოეს როგორ ტვირთავდა. ნავის ფსკერზე – მთელ სიგრძეზე ცხვირიდან კიჩომდე ორი გრძელი ჭოკი იდო. მასზე, ისე, რომ წონა მთელ კანოეზე თანაბრად გადანაწილებულიყო, პროფესორი პატარა ფუთებში აკურატულად ჩალაგებულ ტვირთს აწყობდა. იგი ფრანგულად ვერ ლაპარაკობდა (ზოგიერთმა შოტლანდიელმა ინგლისურიც არ იცოდა) და ლანჟევენმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ ხმამაღლა ელაპარაკა, თითქოს ასე უფრო გააგებინებდა. თუმცა ყვირილმა არ უშველა და პროფესორს ისღა დარჩენოდა ჟესტების მნიშვნელობა გამოეცნო.

პროფესორის ბრმა თვალს მის უცნაურ გარეგნობაში თავისი წვლილი შეჰქონდა. თვალი მან მონრეალის სალუნში დაკარგა, როცა განთქმულმა ჩხუბისთავმა მეტსახელად „ხამანწკა ჯომ“ ის ბუდიდან კინაღამ ამოგლიჯა. პროფესორმა მოახერხა მისი უკან ჩაბრუნება, მაგრამ ის უკვე ვეღარ იხედებოდა. თვალის კაკალი სამუდამოდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაშეშებული დარჩა, როგორღაც ალმაცერად, თითქოს გვერდიდან თავდასხმას მოელისო. პროფესორმა მისი შეხვევისთვის ვერასოდეს მოიცალა.

ნავის გამგზავრება საყვირებით და დაფდაფებით არ მომხდარა. დომინიკი და ლა ვერჟი ნავმისადგომში მივიდნენ. თითოეულს თოფი და პატარა ჩანთა ჰქონდა თან. ლა ვერჟს მდინარიდან არეკლილმა მზის სხივების ელვარებამ თვალი მოსჭრა. გრძელ თმაში ტალახი ჰქონდა აზელილი. დამსკდარი ტუჩებიდან ჩამოღვრილ სისხლს ნიკაპი და ბლუზის წინა მხარე წითლად შეეღება. და მაინც, ნავის ცხვირში ცქვიტად ჩახტა. თვალები გაუბრწყინდა, რასაც მზის სხივების დაცემის კუთხესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. დომინიკმა შტურვალის ადგილი დაიკავა. ლა ვერჟმა რაღაც თქვა და ორივე ძმამ გაიცინა.

ლანჟევენი და პროფესორი გვერდიგვერდ დასხდნენ კანოეს განიერ შუაგულში. ორივე ერთ მხარეს უსვამდა ნიჩაბს. ერთი ფუთა მათ წინ იდო, ერთი – უკან. შარბონო და გლასი ტვირთის გარშემო მოეწყვნენ, შარბონო ნავის ცხვირის მხარეს, გლასი კი კიჩოსკენ. ოთხმა მგზავრმა ნიჩბებს მოჰკიდა ხელი და ნავი სწრაფ დინებაში შეიყვანა. Batard-ი დინებას მაღლა აუყვა.

ლა ვერჟმა სიმღერა წამოიწყო და დანარჩენებიც აჰყვნენ:

Le laboureur aime sa charrue,
Le chasseur son fusil, son chien,
Le musicien aime sa musique,
Moi, mon canot – c'est mon bien!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხვნელს უყვარს თავის გუთანი,
მონადირეს – მწევარი და თოფი,
მუსიკოსს თავისი მუსიკა,
მე კი ჩემს ნავს ვერაფერში გავცვლი.

– „Bon voyage Mes amis“[1] – დაიყვირა კაიოვამ. მანდანასთან დიდხანს ნუ შეყოვნდებით. – გლასი შებრუნდა და გახედა ფორტის პატრონს რომელიც ნავმისადგომიდან მგზავრებს უქნევდა ხელს, შემდეგ მზერა მდინარის ზემო ნაწილისკენ გადაიტანა და უკან აღარ მოუხედავს.

1823 წლის 11 ოქტომბერი იდგა. გლასი ახალ გზას გაუდგა ხანგრძლივი, ერთ თვეზე მეტი ხნის შესვენების და ძალების აღდგენის შემდეგ. დასვენება ზედმეტი არც ახლა იქნებოდა, მაგრამ ასეთი ფუფუნების უფლებას საკუთარ თავს ვეღარ მისცემდა. უკვე მოქმედების და წინსვლის დრო იყო.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

[1] (ფრანგ.) გზა მშვიდობისა, მეგობრებო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაწილი
მეორე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 16

29 ნოემბერი, 1823

ოთხი ნიჩაბი ერთდროულად შეეხო მდინარის წყალს. თხელმა ლაპოტებმა ტალღები გაკვეთეს, თვრამეტი დუიმის სიღრმეზე ჩავიდნენ, ფსკერს მკვეთრად შეეხნენ. ბიძგით კანოემ შემხვედრი დინება გადალახა, წინ გაიჭრა და მერე, უცებ, წამიერად შეყოვნდა. ნიჩბები წყლიდან ამოვიდა და ნავი დინებამ კინაღამ უკან გაიტაცა, მაგრამ ისევ წყალში ჩაეშვა და კანოე კვლავ წინ გაცურდა.

განთიადისას, როცა გზას დაადგნენ, წყალს ქაღალდივით თხელი ყინულის ფენა ჯერ კიდევ ფარავდა. ახლა, რამდენიმე საათის შემდეგ, მდინარე წყნარად, მდოვრედ მიედინებოდა. გლასი საზურგეზე გადაიწია და ზანტად ტკბებოდა მზის სხივებით და დიდ წყალში ცურვის თითქმის მივიწყებული სასიამოვნო შეგრძნებით.

ფორტ ბრაზოდან გასვლის პირველ დღეს გლასმა გადაწყვიტა, რომ ნიჩბებს თვითონაც მოუსვამდა – ის ხომ პროფესიონალი მეზღვაური გახლდათ. დანარჩენმა მგზავრებმა გაიცინეს, როცა მან ნიჩაბს ხელი მოჰკიდა, მაგრამ ამან გლასს სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერა. თუმცა ამ საქმისთვის რომ არ გამოდგებოდა მაშინვე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნათელი გახდა. მგზავრები ნიჩაბს წუთში სამოცჯერ უსვამდნენ, თანაბრად და ზუსტად, შვეიცარული საათივით, ის კი ამას ვერ შეძლებდა, თუნდაც მხარი სავსებით ჯანსაღი ჰქონოდა. რამდენიმე წუთის ტანჯვის და წარუმატებლობის შემდეგ მას თავში რაღაც რბილი და სველი მოხვდა. უკან შებრუნდა და დომინიკი დაინახა, რომელიც დამცინავად იღრიჭებოდა:

– აი, თქვენ, მისტერ ღორის მჭამელო! – საშინელი აქცენტით უთხრა მან.

გიგანტური ღრუბელი გლასის ინსტრუმენტად იქცა. ახლა იმის ნაცვლად, რომ ნიჩაბი მოესვა, ის კანოეს ფსკერზე დაგროვილ წყალს ხაპავდა.

სამუშაო არ ელეოდა, რადგან ნავში წყალი ჟონავდა. ის გლასს მცურავ საბანს მოაგონებდა. მისი არყის ხის ქერქის გადასაფარებელი კანი ფიჭვის თხელი ფესვებით იყო ჩაკერილი. ფიჭვის ფისით დაფარულ ნაკერებს ფისს უმატებდნენ ყოველ ჯერზე, როცა წყალი ჟონავდა. როცა არყის ქერქი არ ჰქონდათ, სხვა მასალებს იყენებდნენ. რამდენიმე ადგილას გლასს თვალში მოხვდა მოქნილი ტყავისგან დამზადებული ნაფლეთები, ნაკერებზე ასევე ფისით დაფარული. გლასს აკვირვებდა, რომ მთელი კონსტრუქცია ასეთი მყიფე იყო. მისი დანგრევა ერთ მაგარ დარტყმასაც კი შეეძლო. ამიტომ, ლა ვერჟს, როგორც მესაჭეს ევალებოდა მათკენ მომცურავი ნამსხვრევებისათვის ედევნებინა თვალი და ნავისთვის დარტყმა აერიდებინა. შედარებით წყნარი შემოდგომის დინება მოგზაურებს უპირატესობას აძლევდა. გაზაფხულზე, წყალდიდობების პიკისას, როცა დინებას ხანდახან მთელი ხეებიც კი მოჰქონდა, კიდევ უფრო მეტად გაუჭირდებოდათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა ნავის ნაკლს თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა. სუსტი იმასაც ნიშნავდა, რომ კანოე მსუბუქი იყო, მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილებისას კი ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. გლასმა ძალიან სწრაფად დაინახა მოგზაურების უცნაურად ნაზი დამოკიდებულება თავიანთი ნავის მიმართ. მათთვის ეს რაღაც სასიყვარულო ურთიერთობის მსგავსი იყო – პარტნიორული ურთიერთობა ადამიანებსა, რომელთაც ნავი მიჰყავდათ, და ნავს შორის, რომელსაც ადამიანები მიჰყავდა. თითოეული მათგანი სხვაზე იყო მინდობილი. მგზავრები დროის ნახევარს კანოეს მრავალრიცხოვან ხარვეზებზე წუწუნში ატარებდნენ, დანარჩენ დროს კი – მის სათუთად მოვლაში. თავიანთი კანოე ძალიან ეამაყებოდათ, მოსართავებით ამკობდნენ მას და კაშკაშა საღებავებით ხატავდნენ. ნავის ცხვირზე, მაგალითად თავს იწონებდა ირმის რქებიანი თავი, წყლისკენ დახრილი და საბრძოლოდ შემართული (კიჩოზე კი ლა ვერჟმა ირმის უკანალი დახატა).

– წინ გასაჩერებელი ადგილია, – გამოაცხადა ნავის ცხვირთან მყოფმა ლა ვერჟმა.

ლანჟევენმა ჯერ წინ მიაპყრო მზერა, სადაც წყნარი ნაკადი ქვიშიან ნაპირს ელამუნებოდა, შემდეგ კი მზეს ახედა:

– მშვენიერია, მე ვიტყოდი ერთ ჩიბუხზეა. Allumez.[1]

ჩიბუხი ფრანგულენოვანი მოგზაურების ისეთი განუყოფელი ატრიბუტი გახლდათ, რომ მას სიგრძის საზომად იყენებდნენ. „ჩიბუხი“ სტანდარტულ დროს აღნიშ-

---

[1] (ფრანგ.) გაანათეთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნავდა მოწევას შორის შუალედში. მდინარის დინების მიმართულებით მოძრაობისას ეს შეიძლებოდა ათი მილი ყოფილიყო, წყნარ წყალზე – ხუთი, მისურზე აღმა გადაადგილებისას კი, უკეთეს შემთხვევაში – ორი.

განრიგი ყოველდღე ერთიდაიგივე ჰქონდათ. განთიადის წინ, მოლურჯო-მეწამულ ბინდბუნდში საუზმობდნენ. წინა დღის ნარჩენებს და შემწვარ პურს მიირთმევდნენ და თუნუქის ტოლჩებით ცხელ ჩაის აყოლებდნენ. როგორც კი ოდნავ ინათებდა და წყლის ზედაპირი გამოჩნდებოდა, მაშინვე ნიჩბების მოსმას იწყებდნენ. ერთი წუთის დაკარგვაც არ უნდოდათ. დღეში 4-5 „ჩიბუხს“ გადიოდნენ. დაახლოებით შუადღისას ჩერდებოდნენ, რომ აპოხტი და თითო მუჭა ვაშლის ჩირი შეეჭამათ. ახალ საჭმელს მხოლოდ საღამოსთვის იმზადებდნენ, მზის ჩასვლისას, თორმეტი საათის მოძრაობის შემდეგ, როცა ნაპირთან მივიდოდნენ. გლასს დაღამებამდე ერთი საათი რჩებოდა ნადირობისათვის და ყოველ ჯერზე ფრანგები მოუთმენლად ელოდნენ იმ ერთადერთ გასროლას, რომელიც მათთვის კარგ ვახშამს ნიშნავდა. ნანადირევის გარეშე გლასი ნავზე ძალიან იშვიათად ბრუნდებოდა.

ახლა ლა ვერჟი ნაპირთან ახლოს მუხლამდე წყალში ჩახტა, ფრთხილად, ისე, რომ ნავის სუსტი ფსკერი ქვიშას არ გახახუნებოდა და კანოე იქვე, წაქცეული ხეს მიაბა. შემდეგ დომინიკი და ლანჟევენიც ჩახტნენ ნავიდან შაშხანებით ხელში და ნაპირთან ახლოს ტყე გულდასმით დაათვალიერეს. გლასი და პროფესორი მათ ჯერ ნავიდან იცავდნენ შემართული იარაღით, შემდეგ კი უკან მიჰყვნენ. წინა დღით გლასმა მიტოვებული ბანაკი აღმოაჩინა ინდიელთა ათეულობით ქოხით და ადგილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შესაძლოა ირმის ენას და მის ტომს არც ეკუთვნოდა, ამიტომ ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ.

ფრანგებმა ქამარზე მიბმული პატარა ჩანთებიდან ჩიბუხი და თუთუნი ამოიღეს და ცეცხლი დომინიკის მიერ დანთებული პატარა კოცონიდან ერთმანეთს გადააწოდეს. ორივე ძმა ქვიშაზე ჩამოჯდა. როგორც გვერდით მენიჩბეს და მესაჭეს, მათ ნავზე ფეხზე დგომა უწევდათ და ახლა კუნთების დასვენება ამჯობინეს, სხვები კი, ჯდომისაგან დაღლილები, ფეხზე იდგნენ.

მოახლოებული სიცივეები გლასის ჭრილობებისკენ ისე მიიწევდნენ, როგორც საავდრო ღრუბლები მთებს შორის ხეობისკენ. ყოველ დილით ტკივილისგან გახევებული იღვიძებდა. მთელი დღეების განმავლობაში ნავში უძრავი ჯდომა მის მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა. ახლა შესვენებით ისარგებლა და ქვიშაზე აქეთ-იქით დადიოდა რომ მტკივან კიდურებში სისხლის მიმოქცევა გაუმჯობესებოდა.

როცა თანამგზავრებთან დაბრუნდა, კიდევ ერთხელ მიაქცია ყურადღება იმას, რომ მათ თითქმის ერთნაირად ეცვათ. შალის წითელი, ყურებიანი ქუდი, რომელსაც ზემოდან ფოჩი ჩამოსთრევდა, (ლა ვერჟმა თავისი ქუდი სირაქლემის ნატიფი ფრთით მორთო), თეთრი, წითელი ან მუქი-ლურჯი ბამბის გრძელი ხალათი, შარვალში ჰქონდათ ჩატანებული. თითოეულ მათგანს წელზე შემორტყმული ზოლიანი სარტყელის ბოლო ფეხზე ჰქონდა გადმოშვებული. ქამარზე პატარა ჩანთა ეკიდათ ჩიბუხისა და სხვა წვრილმანებისათვის. ირმის რბილი ტყავისგან შეკერილი შარვლები ეცვათ, რაც ვიწრო ნავში ფეხმოკეცილი ჯდომისას მოსახერხებელი იყო. მუხლებს ქვემოთ შარვალზე ფერადი ლენტა ჰქონდათ მიკრული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაც მათ სამოსს დამატებით პეწს სძენდა. ფეხზე ფრანგებს მოკასინები ეცვათ, წინდების გარეშე.

შარბონოს გარდა, რომელიც მუდამ პირქუშად გამოიყურებოდა, სხვა მგზავრები ყოველ ცისმარე დილას ულრუბლო ოპტიმიზმით ხვდებოდნენ. სულ მცირე საბაბი საკმარისი იყო, რომ გულიანად ეცინათ. ჩუმად ყოფნა არ შეეძლოთ. მთელი დღეები ქალებზე დაუსრულებელ ხუმრობებში, მდინარის დინებასა და ველურ ინდიელებზე საუბარში გადიოდა. გამუდმებით ერთმანეთს აშაყირებდნენ. კარგად გახუმრების შესაძლებლობის ხელიდან გაშვება სისუსტის ნიშნად ითვლებოდა. გლასი ნანობდა, რომ ფრანგული ცუდად იცოდა. აინტერესებდა რაზე ხუმრობდნენ მისი მხიარული თანამგზავრები.

იმ იშვიათ წუთებში, როცა დუმილი ჩამოვარდებოდა, ვილაც აუცილებლად უხამს სიმღერას წამოიწყებდა და სხვები მაშინვე აჰყვებოდნენ. მუსიკალური სმენის არქონას უსაზღვრო ენთუზიაზმით ანაზღაურებდნენ.

ამჯერად, ტრადიციული ყბედობა, უჩვეულოდ სერიოზულმა ლანჟევენმა, შეაწყვეტინა:

– დროა, ღამით გუშაგები დავაყენოთ, – ფიქრიანად თქვა მან, – ორი ყოველ ღამით. ერთი მზის ჩასვლის შემდეგ, მეორე ალიონამდე.

შარბონომ პირიდან კვამლის გრძელი ნაკადი ამოუშვა:

– ჯერ კიდევ ფორტ ბრაზოში გაგაფრთხილეთ. მე მთარგმნელი ვარ და საგუშაგოდ არ დავდგები.

– მე არ ვაპირებ დამატებით დავდგე საგუშაგოდ, მაგან კი იძინოს, – მკვეთრი ტონით თქვა ლა ვერჟმა.

– არც მე, – მხარი აუბა ძმას დომინიკმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პროფესორმაც კი გაკვირვებით ასწია წარბები.

ყველამ ლანჟევენისკენ გაიხედა მოლოდინით, მაგრამ ის არ აპირებდა ჩიბუხით მოგვრილი სიამოვნება კამათით გაექარწყლებინა. ფრანგი უბრალოდ ადგა და თქვა:

– Allons-y.[1] უაზროდ ვფლანგავთ დროს.

ხუთი დღის შემდეგ ისინი მდინარისა და პატარა ნაკადულის შერწყმის ადგილს მიადგნენ. კრისტალურად სუფთა ნაკადი მისურის მღვრიე წყალს ერეოდა და გამჭვირვალობას მაშინვე კარგავდა. ლანჟევენი ნაკადულს მიშტერებოდა და არ იცოდა რა ექნა.

– უბრძანე ბანაკი გაშალონ, ლანჟევენ. – თქვა შარბონომ. – ყელში მაქვს ამოსული ეს ტალახიანი წყალი.

– ვწუხვარ, რომ მასთან დათანხმება მიწევს, – თქვა ლა ვიერჟმა, – მაგრამ შარბონო მართალს ამბობს. ამდენი ჭუჭყის სმისგან ფაღარათი მაქვს.

ლანჟევენს სუფთა სასმელი წყალი თვითონაც არანაკლებ უნდოდა, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ნაკადული მისურიში დასავლეთიდან ჩაედინებოდა, სადაც შეიძლებოდა ირმის ენას და მის რაზმს გადაჰყროდნენ. მას შემდეგ, რაც გლასმა ინდიელებისგან მიტოვებული ბანაკი იპოვა, მგზავრებს ზედმიწევნით აღმოსავლეთ ნაპირისკენ ეჭირათ გეზი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ღამის გასათევ ადგილს არჩევდნენ. ლანჟევენმა აღმოსავლეთით გაიხედა. მეწამული მზე უკვე ჰორიზონტს ქვემოთ ეშვებოდა, მდინარის მომდევნო მოსახვევამდე კი ნავის მისაყენებელი ადგილი არსად ჩანდა.

---

[1] (ფრანგ.) წავიდეთ.

– კარგი, სხვა არჩევანი მაინც არ გვაქვს.

ნავი ნაპირთან მიიყვანეს. პროფესორმა და ლა ვიერჟმა ფუთები გადმოტვირთეს, ცარიელი კანოე ხმელეთზე გადაათრიეს და გვერდზე გადააბრუნეს. იმპროვიზირებული საფარველი გამოვიდა, წყლის მხრიდან ღია.

გლასმა ნაპირზე ფრთხილად დააბიჯა. გარემოს ნერვიულად ათვალიერებდა. ქვიშის პლაჟი მდინარის დინების მიმართულებით დაახლოებით ას ნაბიჯზე გრძელდებოდა და ბუნებრივი ჯებირით მთავრდებოდა – რიყის ქვების გროვით, გაბარდნილი ტირიფნარით და ბუჩქნარით. მათში გაჩხერილი მორები და სხვა ნაგავი მდინარეს ხერგავდა და წყალს მიმართულებას უცვლიდა. იქ, სადაც ქვიშიანი ნაპირი მთავრდებოდა, ტირიფნარს არყის ხეები ცვლიდა. ჩრდილოეთის მიმართულებით კი ისინი სულ უფრო იშვიათი ხდებოდა.

– მშია, თქვა შარბონომ მისთვის დამახასიათებელი აქცენტით. – იქნებ რაღაც კარგი ვახშამი გაგვიხერხო, მისტერ მონადირევ.

– ამ საღამოს ნადირობა არ შედგება, – უპასუხა გლასმა. შარბონო შედავებას აპირებდა, მაგრამ გლასმა შეაწყვეტინა:

– აპოხტი თავზესაყრელად გვაქვს. ახალი ხორცის გარეშე ერთ ღამეს როგორმე უნდა გაძლო, შარბონო.

– მართალს ამბობს, – დაეთანხმა ლანჟევენი.

ხორცის მარაგით და კოცონზე ტარიან ქვაბში მოხარშული სიმინდის ფაფით ივახშმეს. ყველა ცდილობდა ცეცხლთან ახლოს ყოფილიყო. მზის ჩასვლის შემდეგ ცივი ქარი ისე ძლიერ აღარ უბერავდა, მაგრამ პირიდან ორთქლი ისევ ამოსდიოდათ. მოწმენდილი ცა ცივ ღამეს და დილით ყინვას ნიშნავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლანჟევენმა, დომინიკმა და ლა ვიერჟმა თავიანთ თიხის ჩიბუხებს მოუკიდეს და უფრო მოხერხებულად ჩამოჯდნენ. (გლასი დათვთან შეტაკების შემდეგ აღარ ეწეოდა. კვამლი მტკივან ყელს უღიზიანებდა). პროფესორმა ქვაბიდან ფაფის ნარჩენები ამოფხიკა. შარბონო უკვე ნახევარი საათი იყო სადღაც დახეტიალობდა.

დომინიკი თავისთვის, წყნარად, რაღაცას მღეროდა. თითქოს ხმამაღლა ოცნებობსო:

მშვენიერი ვარდის კოკორი მოვწყვიტე,
მშვენიერი ვარდის კოკორი მოვწყვიტე,
ყვავილის ფურცლები დავკრიფე
და ხელისგული მათი სურნელით ამევსო.

– კარგი სიმღერა შეგირჩევია, ძმაო, – შენიშნა ლა ვიერჟმა. – შენ თვითონ ნიძლავს ჩამოვალ, ალბათ წელიწადია რაც ვარდის კოკორი არ მოგიწყვეტია. ქალწულს მე კი არა შენ უნდა გეძახდნენ.

– ჯობია გწყუროდეს, ვიდრე მისურის ყოველი ჭუჭყიანი ნახვრეტიდან სვამდე წყალს.

– შენ როგორი წუნია ყოფილხარ და რა დახვეწილი გემოვნება გქონია.

– ვერაფერს სამარცხვინოს ვერ ვხედავ იმაში, რომ კარგი გემოვნება მაქვს. მე მაგალითად, შენგან განსხვავებით, ვამჯობინებ ქალებს, რომელთაც კბილები აქვთ.

– მე მათ ჩემი საჭმელის დაღეჭვას არ ვთხოვ.

– შენ ხომ ნებისმიერ ღორთან დასაწოლად ხარ მზად, ოღონდ კი ჩითის კაბა ეცვას.

– აჰ, აი თურმე რატომ თვლი თავს ოჯახის სიამაყედ. ალბათ როგორ იამაყებდა დედაშენი, რომ იცოდეს მხოლოდ სენტ-ლუისის მოდურ მეძავებთან რომ წვები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– დედა არა და, მამა – შეიძლება. – ძმებმა ხმამაღლა გაიცინეს და პირჯვარი ცერემონიულად გადაიწერეს.

– ეი, თქვენ, ჩუმად, – წაისისინა ლანჟევენმა. – ხომ იცით წყალს ხმა რა შორს მიაქვს.

– შენ დღეს რაღაც ხასიათზე არა ხარ, ლანჟევენ, – გამოეხმაურა ლა ვიერჟი. – ჩვენ ერთი შარბონოც გვყოფნის. გასვენებაზეც კი მეტი მხიარულებაა, ვიდრე მაგასთან ურთიერთობისას.

– თუ ასე ღრიალს გააგრძელებ, გასვენებას ვერ ავცდებით.

მაგრამ ლა ვიერჟი არ აპირებდა შეეწყვიტა კინკლაობა, რომელიც ეტყობოდა სიამოვნებას ანიჭებდა:

– შენ ის თუ იცი იმ ინდიელ ქალს ფორტ ბრაზოში სამი მკერდი რომ ჰქონდა?

– და სამი რაში სჭირდებოდა? – გამოეხმაურა დომინიკი.

– შენი უბედურება ის არის, რომ წარმოსახვის უნარი არა გაქვს.

– წარმოსახვის უნარი? შენ ცოტა ნაკლებად რომ გრიხავდე ჰაერში რაღაცებს, მოფსმა ასე არ გაგიჭირდებოდა.

ლა ვიერჟე დუმდა, ცდილობდა პასუხი მოეფიქრებინა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თავისი ძმისაგან უკვე დაიღალა. ლანჟევენი დღეს აშკარად არ იყო ლაპარაკის ხასიათზე. შარბონო სადღაც, ტყეში დახეტიალობდა. პროფესორს გახედა, არა, მასთან ლაპარაკი შეუძლებელი იყო.

ბოლოს ლა ვიერჟმა მზერა გადაიტანა გლასზე, რომელსაც ფორტ ბრაზოდან მოყოლებული თითქმის ხმა არ ამოუღია. მას იშვიათად თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, ძირითადად იმასთან დაკავშირებით თუ რა მოინადირა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და როგორი ვახშამი ექნებოდათ, სხვანაირ საუბარში კი, განსაკუთრებით სიტყვიერ პაექრობაში, ლა ვიერჟს ასე რომ მოსწონდა, მასთან არავინ ებმებოდა.

ლა ვიერჟმა უცებ სინანული იგრძნო იმის გამო, რომ სალონურ საუბრებში გამობრძმედილი არ იყო. გლასის შესახებ არაფერი იცოდა, დათვთან შეჯახების ფაქტის გარდა. უფრო მნიშვნელოვანი კი ის გახლდათ, რომ არც გლასმა უწყოდა რაიმე მასზე, არადა ალბათ ძალიან უნდოდა სცოდნოდა. არა, ამის ასე დატოვება არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, ინგლისურშიც გაიტეხავდა ენას. პრაქტიკა სჭირდებოდა თორემ ენას კარგად ფლობდა.

– ეი, შენ, ღორიჭამიავ, – თქვა მან და როცა გლასმა თავი ასწია, განაგრძო, – შენ საიდან ხარ?

ინგლისურად მოულოდნელმა მიმართვამ და შეკითხ-ვამ გლასი შეაცბუნა:

მან ყელი ჩაიწმინდა:

– ფილადელფიიდან.

ლა ვიერჟმა თავი დაუქნია და საპასუხო შეკითხვას დაელოდა.

გლასი ხმას არ იღებდა და ცოტა ხნის შემდეგ ლა ვიერჟმა თქვა:

– მე და ჩემი ძმა კი კონტრეკერიდან ვართ.

გლასმა თავი დაუქნია, მაგრამ არაფერი თქვა. ეტყობა ამ ამერიკელის ალაპარაკება ადვილი არ იქნება, – გაიფიქრა ლა ვიერჟმა და თქვა:

– იცი, ჩვენ ვოიაჟერები როგორ გავხდით?

გლასმა უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია. დომინიკმა თვალები ცისკენ აღაპყრო, ღმერთო, რა შეგცოდეო. თავისი ძმის მოსაწყენი ამბის პრელუდია ეცნო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– კონტრეკერი მდინარე წმინდა ლოურენსზე მდებარეობს. ოდესღაც, ასი წლის წინ, ჩვენს სოფელში მხოლოდ ღარიბი გლეხები ცხოვრობდნენ. მთელ დღეს მინდორზე მუშაობაში ატარებდნენ, მაგრამ მიწა მწირი იყო, ამინდი – ცივი და ძალიან ცოტა მოსავალი მოდიოდა. ერთხელ მინდორში, მდინარესთან ახლოს ულამაზესი ქალიშვილი, იზაბელა მუშაობდა. უცებ წყალში ულაყი გამოჩნდა – დიდი და ძლიერი, ნახშირივით შავი. ის ნაპირთან შეჩერდა და გოგონას მიაჩერდა. იზაბელას ძალიან შეეშინდა. ულაყმა დაინახა, რომ გოგონა გაქცევას აპირებდა და წყალში ჩლიქი ჩაარტყა. მდინარიდან კალმახი ამოხტა და პირდაპირ გოგონასთან, პირდაპირ მის ფეხებთან, ტალახში ... – ლა ვიერჟმა შესაფერისი ინგლისური სიტყვა ვერ გაიხსენა და ხელებით ძირს დავარდნა გამოხატა.

იზაბელამ დაინახა ეს petit cadeau[1] და ძალიან გაუხარდა. თევზი აიღო და სახლში სადილისთვის წაიღო. მამას და ძმებს ცხენის შესახებ მოუყვა, მაგრამ მათ იფიქრეს გოგონა ხუმრობსო და გაიცინეს. წადი და ის შენი ახალი მეგობარი კიდევ მოგცემს თევზსო, უთხრეს. იზაბელა კვლავ მინდორში წავიდა და ამის შემდეგ შავ ულაყს ყოველდღე ხედავდა. ცხენი მას ყოველ ჯერზე რაღაცას ჩუქნიდა – დღეს ვაშლს, ხვალ ყვავილებს. გოგონა ყოველდღე უყვებოდა თავისი ოჯახის წევრებს ულაყის შესახებ, რომელიც მდინარიდან ამოდიოდა და ისინი ყოველდღე იცინოდნენ. შემდეგ, ერთ დღეს, ცხენი წყლიდან ამოვიდა და იზაბელასთან მივიდა. გოგონა მასზე შეჯდა, ცხენმა მდინარისკენ აიღო გეზი, ისინი მდინარის

---

[1] (ფრანგ.) პატარა საჩუქარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დინებას შეერივნენ და მას შემდეგ არც ულაყი და არც გოგონა აღარავის უნახავს.

იმ ღამით, როცა იზაბელა სახლში არ დაბრუნდა, გოგონას მოსაძებნად მამა და ძმები მინდორში გავიდნენ. მისსა და ცხენის კვალს მიაგნეს. მიხვდნენ, რომ იზაბელა ცხენზე შეჯდა და მან ის მდინარისკენ წაიყვანა. მდინარის ზედა და ქვედა ნაწილი გადაჩხრიკეს, მაგრამ გოგონა ვერ იპოვეს.

მეორე დღეს იმ სოფლის ყველა კაცი თავის კანოეში ჩაჯდა და ძებნას შეუერთდა. დაიფიცეს მდინარეში მანამ ვიქნებით, სანამ საცოდავ იზაბელას არ მივაგნებთო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. და აი, მუსიე გლას, ასე გავხდით ჩვენ ვოიაჟერები და დღემდე დაკარგულ იზაბელას ვეძებთ.

– შარბონო სად არის? – იკითხა უცებ ლანჟევენმა.

– რას ნიშნავს „შარბონო სად არის" – აღშფოთდა ლა ვიერჟი. – მე აქ დაკარგულ ქალიშვილზე გელაპარაკები, შენ კი – დაკარგულ მოხუცზე?

ლანჟევენმა არ უპასუხა და ლა ვიერჟმა ჩაიცინა. – Malade comme un chien, დავუძახებ, ვნახოთ ერთი ხომ კარგადაა. – ის ტირიფნარისკენ მიბრუნდა, პირთან ხელისგული მოღუნა და დაიღრიალა:

– შარბონო, პროფესორს გიგზავნით, რომ უკანალის გამოხოცვაში დაგეხმაროს.

ტუსენ შარბონო ჩაცუცქული იჯდა. უკანალი ბუჩქებისთვის ჰქონდა მიშვერილი. უკვე იმდენ ხანს იყო ასეთ პოზაში, რომ ბარძაყები დაუბუჟდა. ფორტიდან მოყოლებული თავს შეუძლოდ გრძნობდა. რა თქმა უნდა ის ნათითხნი მოწამლავდა, რომლის ჭამა ნავზე უწევდა. ესმოდა ბანაკიდან ლა ვიერჟი როგორ დასცინოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შარბონოს თანდათან ზიზღის გრძნობა ეუფლებოდა მის მიმართ. საიდანღაც ტოტის მოტეხვის ხმა მოესმა.

შარბონო წამოხტა, ერთი ხელით პისტოლეტს დასწვდა, მეორით ირმის შარვლის აწევა დაიწყო. არც ერთი გამოუვიდა და არც მეორე. პისტოლეტი მიწაზე დავარდა, შარვალი კი კოჭებამდე ჩამოუცურდა. როცა კიდევ ერთხელ შეეცადა პისტოლეტი აეღო, შარვალმა არ გაუშვა, მიწაზე გაიშხლართა და მუხლი რიყის ქვას დაარტყა. ძლიერი ტკივილისგან აკვნესდა და ამ დროს ცხენირემს მოჰკრა თვალი, რომელმაც ნაპირთან გაინავარდა.

შარბონომ შეიკურთხა და შეწყვეტილი საქმიანობა განაგრძო. ფეხში ძლიერი ტკივილისგან სახე ემანჭებოდა.

ბანაკში დაბრუნებისას შარბონოსთვის ჩვეული სიბრაზე უკვე მრისხანებაში იყო გადაზრდილი და როცა მორზე გადაწოლილი პროფესორი დაინახა წვერებში ფაფა რომ ჰქონდა ჩარჩენილი, მან ველარ მოითმინა:

– ასე ღორივით როგორ შეიძლება ადამიანი ჭამდეს.

ლა ვიერჟმა პროფესორს ჩიბუხს ზემოდან გახედა.

– არ ვიცი, შარბონო. წვერებში ჩარჩენილი ფაფა ცეცხლის შუქზე ისე კარგად კიაფობს, რომ ჩრდილოეთის ნათებას მაგონებს.

ლანჟევენმა და დომინიკმა გადაიხარხარეს, რამაც შარბონო კიდევ უფრო გააცოფა. პროფესორი ღეჭვას განაგრძობდა. ხუმრობას, რომლის ობიექტი თვითონ იყო ყურადღებას არ აქცევდა.

შარბონომ ისევ ფრანგულად განაგრძო:

– ეი, შენ, შოტლანდიელო იდიოტო. თუ გესმის მაინც რას ამბობენ შენ შესახებ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პროფესორი ღეჭვას განაგრძობდა. ძროხასავით იცოხ-ნებოდა.

შარბონომ იქედნურად ჩაიცინა. ასეთი შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებდა.

– და თვალზე რა სჭირს ამ უბედურს?

შარბონოსთან საუბარში ჩაბმას არავინ ჩქარობდა. ყველანი დუმდნენ. ბოლოს ლანჟევენი გამოეპასუხა:

– ჩხუბში ამოთხარეს, მონრეალში.

– რა საშინელებაა გული მერევა რომ ვუყურებ. არადა ის დაწყევლილი თვალი მთელი დღე მე მიმზერს.

– ბრმა თვალს არ შეუძლია ვინმეს უმზიროს, – თქვა ლა ვიერჟმა. მას პროფესორი მოსწონდა, ყოველ შემთხვევაში ნიჩბის კარგად მოსმის უნარს უფასებდა. მაგრამ რა აზრისაც არ უნდა ყოფილიყო პროფესორზე, შარბონოს მიმართ ეს არაფერს ცვლიდა. მოხუცი მთარგმნელის ბუზ-ღუნი ჯერ კიდევ მანამდე ამოუვიდა ყელში, სანამ ნავი მდინარის პირველ მოსახვევს გაივლიდა.

– არა, ის ნამდვილად მიმზერს, – უკან არ იხევდა შარბონო. – თითქოს სადღაც კუთხიდან მომჩერებოდეს. – და არასოდეს თვალს არ ახამხამებს. არ მესმის როგორ არ გამოშრა.

– კიდეც რომ იხედებოდეს, – თქვა ლა ვიერჟმა, – შენ ხომ დიდი ვერაფერი საყურებელი ხარ, შარბონო.

– რაღაც სახვევი მაინც აიკრას თვალზე. ხანდახან სურვილი მიჩნდება მე თვითონ შევუხვიო.

– ჰოდა შეუხვიე. ერთი სასარგებლო რაღაც მაინც გააკეთე.

– მე შენი ხელის ბიჭი არ ვარ, – წამოენთო შარბონო. – ჩემს ფასს მაშინ გაიგებ, როცა არიკარა მოვა შენი თავის

ქალის ასახდელად. – მთარგმნელს ტუჩებზე დორბლი მოადგა, – მე ლუისთან და კლარკთან ერთად დავდიოდი ექსპედიციაში, როცა შენ შარვალში იფსამდი.

– მოკეტე, შე ბებერო. მაგ შენი ლუისის და კლარკის ამბები აღარ გავიგონო, თორემ შუბლში ტყვიას დავიხლი. თუმცა არა, ჯობია შენ დაგანთხევინო ტვინი. ეს ხომ ყველას გაახარებს.

– Ca suffit![1] – ვეღარ მოითმინა ლანჟევენმა. – შეწყვიტეთ ახლავე. ორივეს დაგხვრეტდით, რომ არ მჭირდებოდეთ.

შარბონომ, გამარჯვებულის იერით გესლიანად ჩაიცინა.

– მისმინე შარბონო, – თქვა ლანჟევენმა. – ჩვენ აქ მეტისმეტად ცოტანი ვართ საიმისოდ, რომ იმის ფუფუნება გვქონდეს ვარჩიოთ რა მოგვწონს და რა – არა. ბევრი, არცთუ სასიამოვნო საქმე შენც ისევე უნდა გააკეთო, როგორც სხვებმა. შეგიძლია დღეიდანვე დაიწყო. შუაღამიდან დილამდე დადგები გუშაგად.

ამჯერად ლა ვიერჟმა ჩაიცინა. შარბონო ცეცხლს მოსცილდა. რაღაცას ბურტყუნებდა ექსპედიციებსა და ლაშქრობებზე. შემდეგ კი კანოეს ქვეშ საწოლის დაგება დაიწყო.

– და რატომ იძინებს ამაღამ ნავის ქვეშ? – აღშფოთდა ლა ვიერჟი. ლანჟევენი პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ დომინიკმა შეაჩერა:

– კარგი, რაც არის, არის.

---

[1] (ფრანგ.) კმარა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 17

5 დეკემბერი, 1823

მეორე დილით პროფესორი ორმა გადაუდებელმა მოთხოვნილებამ გააღვიძა: სციოდა და ეფსმებოდა. შალის სქელი საბანი მხოლოდ კოჭებამდე სწვდებოდა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ გვერდზე, მოკუნტული დაწვებოდა. მან თავი ასწია, ჯანმრთელი თვალით მიმოიხედა და აღმოაჩინა, რომ ღამით საბნის ზედა ნაწილი დათრთვილულიყო.

თუმცა ახალი დღის პირველი სხივები აღმოსავლეთ ჰორიზონტზე უკვე ციალებდა, ცაზე ნახევარმთვარე ჯერ კიდევ კაშკაშებდა. შარბონოს გარდა ყველას მბოლავი კოცონის გარშემო ეძინა.

პროფესორი ნელა წამოდგა. ფეხები სიცივისაგან გახევებული ჰქონდა. ერთი კარგი ამბავი მაინც იყო – ქარი აღარ უბერავდა. ცეცხლში მორი შეაგდო და ტირიფნარისკენ წავიდა. ათიოდე ნაბიჯი თუ ექნებოდა გავლილი, როცა კინაღამ სხეულს წამოედო. შარბონო აღმოჩნდა.

პირველი, რაც პროფესორმა გაიფიქრა, ის იყო, რომ მთარგმნელი საგუშაგოზე დგომისას მოკლეს და ყვირილი ატეხა, მაგრამ უცებ შარბონო წამოიწია, შაშხანაზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელი მოაფათურა და დაფეთებული სახით მიიხედ-მოიხედა, ცდილობდა გაერკვია მის თავს რა ხდებოდა. მორიგეობისას ჩასძინებია, – გაიფიქრა პროფესორმა, – ლანჟევენს ეს არ მოეწონება. პროფესორს მოთხოვნილების შეკავება სულ უფრო უჭირდა. შარბონოს გვერდი აუარა და ტირიფნარისკენ დაადო თავი.

პროფესორს ბევრი რამ აბნევდა, მაგრამ რაც ამის შემდეგ მოხდა მაინც განსაკუთრებული რამ იყო. უცებ რაღაც უცნაური იგრძნო, ქვემოთ დაიხედა და თავისი მკერდიდან გამოჩრილი ისრის წვერი დაინახა. ერთი კი გაიფიქრა ლა ვიერჟის ოინი ხომ არ არისო, მაგრამ ერთ ისარს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე. პროფესორი შეძრწუნებულ და მოჯადოებულ მზერას არ აცილებდა ბუმბულს ისრის წვრილ ტარზე, მაგრამ უცებ, ერთბაშად ფეხებში გრძნობა დაკარგა და მიხვდა, რომ უკან ვარ-დებოდა. მერე თავისი სხეულის მიწაზე დაცემის ხმა მოესმა. სანამ მოკვდებოდა იმის გაფიქრებაღა მოასწრო რატომ არ მტკივაო.

შარბონო პროფესორის მიწაზე დავარდნის ხმაზე შებრუნდა. გოლიათი შოტლანდიელი ზურგზე იწვა. მკერდიდან სამი ისარი ჰქონდა გამოჩრილი. სტვენის ხმა გაისმა და მას მხარში მწველმა ტკივილმა დაუარა. შარბონომ შეიგინა, ინსტინქტურად მიწაზე გაწვა და ტირიფნარს გახედა, იმის გასარკვევად, თუ საიდან ესროლეს. ამ მოძრაობამ სიკვდილს გადაარჩინა. ორმოც ნაბიჯში, ალიონის მელნისფერ ბინდბუნდში თოფებიდან ცეცხლმა იელვა.

წამიერმა სროლებმა თავდამსხმელების ადგილსამყოფელი გამოაჩინა. შარბონომ რვა თოფი მაინც დაინახა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიდევ რამდენიმე ინდიელი მშვილდისრებით. მან ჩახმახი შეაყენა, უახლოეს მტერს დაუმიზნა და ესროლა. შავი ჩრდილი მიწაზე მოსხლეტით დავარდა. ტირიფნარიდან ისევ ისრების ნაკადი წამოვიდა. შარბონო ადგილზე შეტრიალდა და ფორთხვით წავიდა ბანაკისკენ, რომელიც ოც იარდში იყო მის უკან.

შარბონოს ლანძღვა-გინებას ბანაკი უკვე გაელვიძებინა. არიკარას მიერ ატეხილი ბათქაბუთქის შემდეგ ქაოსი იყო გამეფებული. ისრები და მუშკეტების ტყვიები ნახევრადმძინარე მგზავრებს რკინის სეტყვად აცვიოდათ. ლანჟევენმა წამოიყვირა, როცა ტყვია თირკმელში მოხვდა და აირეკლა. დომინიკს ტყვიამ წვივის კუნთი გაუგლიჯა. გლასმა როგორც კი თვალი გაახილა დაინახა, რომ ისარი ზედ მის სახესთან, სულ რაღაც ხუთიოდე დუიმში, ქვიშაში წვერით ჩავარდა.

სანამ მგზავრები გვერდით მდგარი ნავის უკან ინაცვლებდნენ, რაც მათთვის მცირეოდენი დაცვა მაინც იქნებოდა, ტირიფებიდან არიკარას ორი მეომარი გამოვიდა და ბანაკისკენ გულისგამგმირავი საბრძოლო შეძახილებით დაიძრა. გლასმა და ლა ვიერჟმა დამიზნებისთვის საჭირო პაუზა გააკეთეს და თორმეტიოდე ნაბიჯში მოახლოებულ ინდიელებს თითქმის ერთდროულად ესროლეს. შეთანხმების კი არა, ფიქრის დროც არ ჰქონდათ და შედეგად აღმოჩნდა, რომ მიზანში ორივემ ამოილო ზორბა ინდიელი, რომელსაც ბიზონის რქებიანი ჩაფხუტი ეხურა. ის ორი ტყვიისგან მკერდგანგმირული მალე მიწაზე მოცელილივით დავარდა. მისი ამხანაგი კი მაინც წინ მიიწევდა, ლა ვიერჟს უახლოვდებოდა ტომაჰავკის ქნევით. ფრანგმა შაშხანა ორივე ხელით დაიჭირა და თავს ზემოთ ასწია, რომ დარტყმისგან თავი დაეცვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინდიელთა ნაჯახი შაშხანის ლულას გადაეჯვარედინა. დარტყმის ძალამ ორივე მოწინააღმდეგე მიწაზე დასცა. არიკარა პირველი წამოხტა და გლასისაგან ზურგშექცევით მდგარმა ნაჯახი ისევ ლა ვიერჟის თავს ზემოთ აღმართა. გლასმა შაშხანა ორივე ხელით მოიქნია და კეფაში ჩაარტყა. თავის ქალა გასკდა. შეძრწუნებული ინდიელი გვერდით დავარდა. გლასი და ლა ვიერჟი კანოეს ამოეფარნენ.

ლანჟევენმა გლასს თავისი შაშხანა გაუწოდა. მეორე ხელი ჭრილობაზე ჰქონდა მიჭერილი.

– მე დავტენი და შენ ისროლე, – თქვა მან.

გლასმა იარაღი შემართა, სამიზნე მშვიდად, აუღელვებლად შეარჩია და გაისროლა.

– მძიმე ჭრილობაა? – ჰკითხა მან ლანჟევენს.

– არც ისე. Ou se trouve professeur?[1]

– ტირიფნარშია. მოკლეს. – თქვა შარბონომ მშრალად და წამოიწია რომ დაემიზნებინა.

ტირიფნარის მხრიდან სროლა არ წყდებოდა. გასროლების ხმა კანოეს თხელ ზედაპირზე მოხვედრილი ტყვიების და ისრების რაკარუკს ერწყმოდა.

– შე ძაღლიშვილო შარბონო, – დაუყვირა ლა ვიერჟმა, – ჩაგეძინა ხომ, საგუშაგოზე?

შარბონომ ყურადღება არ მიაქცია. შაშხანის ლულაში თოფისწამალს გულმოდგინედ ყრიდა.

– ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს, – თქვა დომინიკმა. – ჩავუშვათ კანოე წყალში და გავასწროთ აქედან.

---

[1] (ფრანგ.) სადა რის პროფესორი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მისმინეთ, – ბრძანება გასცა ლანჟევენმა, – შარბონო, ლა ვიერჟ, დომინიკ, თქვენ უნდა შეათრიოთ ნავი წყალში. მაგრამ ჯერ გაისროლეთ, შაშხანა ხელახლა დატენეთ და აქ დადეთ. – მასსა და გლასს შორის მიწაზე მიანიშნა – მე და გლასი დავრჩებით და თქვენს ზურგს დავიცავთ, უკანასკნელად გავისვრით და მოგყვებით. თქვენ ამ დროს პისტოლეტებით ნავიდან დაგვიცავთ.

გლასი ლანჟევენის ნათქვამის ძირითად აზრს კონტექსტის მიხედვით ჩაწვდა. გვერდით მდგომთა დაძაბულ სახეებს გადახედა. უკეთეს გამოსავალს ვერავინ ხედავდა. ნაპირიდან უნდა წასულიყვნენ. ლა ვიერჟმა კანოეს ბორტიდან თავი გადმოჰყო და უკანასკნელად გაისროლა. მას შარბონო და დომინიკიც შეუერთდნენ. სანამ შაშხანებს ხელახლა ტენიდნენ, გლასმა ისროლა. ამას არიკარას მხრიდან ტყვიების წვიმა მოჰყვა, მაგრამ ვოიაჟერებმა მოახერხეს, ყოველ შემთხვევაში ამ ჯერზე მაინც, რომ შეტევა მოეგერიებინათ.

მიწაზე, იარაღთან დომინიკმა ორი ნიჩაბი ისროლა:

– წამოღება არ დაგავიწყდეთ.

ლა ვიერჟმა შაშხანა გლასსა და ლანჟევენს შორის ჩადო და კანოეს დაახლოებით შუაში ჩაეჭიდა. – წავედით!

შარბონო ნავის ცხვირთან მიხოხდა, დომინიკი – კიჩოსთან.

– აბა, ვითვლი, – დაიყვირა ლანჟევენმა, – Un, deux, trois.[1]

ერთი მოძრაობით ნავი თავს ზემოთ შეიგდეს და წყლისკენ წაიღეს, რომელიც ათ ნაბიჯში იყო. ინდიელები

---

[1] (ფრანგ.) ერთი, ორი, სამი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აყვირდნენ და კიდევ უფრო ინტენსიური სროლა ატეხეს. საფარიდან ახალი მებრძოლები გამოჩნდნენ.

გლასმა და დომინიკმა იარაღი შემართეს. კანოეს გარეშე მხოლოდ ერთი დაცვა რჩებოდა: მიწას უფრო მაგრად უნდა მიკვროდნენ. ტირიფნარამდე ორმოცდაათიოდე ნაბიჯი იყო და ჰიუმ არიკარას მებრძოლის ბავშვური სახე მკაფიოდ დაინახა. ნახევრად მოჭუტული თვალებით ბიჭი მშვილდს ეზიდებოდა. გლასმა ესროლა და მოწინააღმდეგე უკან გადავარდა. გლასი დომინიკის იარაღს დასწვდა. ლანჟევენმა გაისროლა და მისი შაშხანიდან ცეცხლი ავარდა. გლასი უკვე დომინიკის იარაღის სასხლეტს სწევდა. სამიზნე აირჩია და გაისროლა. ნაპერწკალი ავარდა, მაგრამ მთავარ მუხტს ცეცხლი არ მოეკიდა. შეიგინა და ისევ თოფისწამლის ჩაყრა დაიწყო სათავსში. ლანჟევენმა ამასობაში შარბონოს იარაღი მოიმარჯვა და ის-ის იყო დამიზნებას აპირებდა, როცა გლასის ხელი მხარზე შეეხო:

– ერთი ტყვია დაიტოვე.

შაშხანას და ნიჩაბს ხელი დაავლეს და მდინარეში შევარდნენ. მათზე ადრე სამმა ტრაპერმა უკვე მიირბინა ნაპირთან და კანოე სასწრაფოდ წყალში შეუშვეს. შარბონო მდინარეში ნავის უკანა მხარესთან შედგაფუნდა და ბორტზე გადაძვრომა დაიწყო.

– გადაატრიალებ, – იღრიალა ლა ვიერჟმა.

შარბონო ნავის კიდეს ჩამოეკიდა, მთელი ძალით ეჯაჯგურებოდა, მაგრამ კანოემ გაუძლო. მოხუცმა ფეხები ბორტს ზემოდან გადაატარა და ფსკერზე ჩაეშვა, სადაც ნატყვიარებიდან უკვე წყალი შედიოდა. შარბონოს ბღლარძუნმა ნავი ნაპირს მოწყვიტა, შემდეგ დინებამ წაიღო და დაატრიალა. გრძელი ბაგირი დაიჭიმა, გველს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაემსგავსა. ძმებმა, რომელთა გარშემო ტყვიების შადრევანი იფრქვეოდა, შარბონოს გადმოკარკლული თვალები დაინახეს.

– თოკს ჩაეჭიდე! – დაიღრიალა დომინიკმა. ძმებმა ჩაყვინთეს. შეეცადნენ ბოლო დაეჭირათ და კანოე შეეჩერებინათ, რათა ის დინებას შორს არ გაეტაცა. ლა ვიერჟი ბაგირს ორივე ხელით ჩააფრინდა, ფეხებით წყალში მყარად დადგა და მთელი ძალით გამოსწია. დომინიკი უკვე მუხლამდე წყალს მიაპობდა, მის საშველად მიიჩქაროდა. უცებ წყალქვეშა ქვას წამოედო და დაიკვნესა. ფეხი გადაუბრუნდა და მთლიანად წყალმა დაფარა. ლა ვიერჟიდან ორ ნაბიჯში ამოყვინთა.

– მე ამის დაკავებას ვერ შევძლებ, – იღრიალა ლა ვიერჟმა. დომინიკი დაჭიმული ბაგირისაკენ წაიწია. უცებ ლა ვიერჟმა ხელი გაშალა და ბაგირი ნავის უკან წყალს გაჰყვა. გაიფიქრა ცურვით დასწეოდა მას, მაგრამ ძმის გაოგნებული სახე დაინახა და შეჩერდა.

– დომინიკ, – ენის ბორძიკით ჩაიბურტყუნა ლა ვიერჟმა, – მე მგონი მომახვედრეს. – დომინიკი მისკენ გადახტა. ზურგის ჭრილობიდან წამოსულ სისხლს ახლო-მახლო წყლის შეღებვა უკვე მოესწრო.

გლასი და ლანჟევენი, რომლებიც წყალში მაშინ ჩახტნენ, როცა ტყვია ლა ვიერჟს მოხვდა, შეძრწუნებული უყურებდნენ როგორ შეხტა ის და კანოეს ხელი მაშინვე გაუშვა. წამიერად გაიფიქრეს დომინიკი ბაგირს დაედევნებაო, მაგრამ ის ამის ნაცვლად თავის ძმას მიუბრუნდა.

– ნავი დაიჭირე! – დაიღრიალა ლანჟევენმა, მაგრამ დომინიკმა ყურადღება არ მიაქცია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– შარბონო! – აკივლდა სასოწარკვეთილი ლანჟევენი.

– ვერ ვაჩერებ! – დაიყვირა მან. ნავი უკვე ორმოცდაათი ნაბიჯით იყო ნაპირს დაცილებული, ნიჩბის გარეშე შარბონოს მისი შენელება მართლაც არ შეეძლო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ცდილობდა.

გლასი ლენჟევენს მიუბრუნდა, რომელმაც რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს კეფაში მუშკეტის ტყვია მოხვდა. უკვე მკვდარი იყო, როცა მისი სხეული წყალში ჩაიმალა. გლასმა ტირიფნარისკენ გაიხედა. სულ ცოტა თორმეტი ინდიელი უკვე მდინარეს მოდგომოდა. თითოეულს ხელში შაშხანა ეჭირა. გლასი დომინიკისა და ლა ვიერჟისაკენ წავიდა ყვინთვით. ახლა მხოლოდ ცურვით თუ გადაირჩენდნენ თავს.

დომინიკმა ძმას შემოაჭდო ხელები. ცდილობდა მისი თავი წყალს ზემოთ დაეჭირა. როცა ლა ვიერჟს შეხედა, გლასი ვერც კი მიხვდა ის ცოცხალი იყო თუ მკვდარი. მწუხარებისგან თითქმის ისტერიკაში ჩავარდნილი დომინიკი ფრანგულად რაღაცას ღრიალებდა.

– გაცურე, – დაუღრიალა გლასმა. ერთ შაშხანას ხელი გაუშვა, დომინიკს სახელოში ჩაებღაუჭა და სიღრმისკენ უბიძგა. დინებამ სამივე ქვემოთ წაიღო. ტყვიები პანტაპუნტით ცვიოდა მათ გარშემო. არიკარას მებრძოლები ნაპირზე იყვნენ განლაგებული.

გლასი როგორც შეეძლო ცალი ხელით ლა ვიერჟს იჭერდა, მეორეთი შაშხანა ჰქონდა ჩაბღუჭული და ფეხებს გაშმაგებული იქნევდა, რომ არ ჩაძირულიყო. ფეხებს დომინიკიც იქნევდა და მალე მდინარის ყურის კიდეს მიაღწიეს. ლა ვიერჟის თავი წყალს ქვემოთ ქანაობდა, თუმცა ორივე მისი თანმხლები ცდილობდა ის ზედაპირზე ჰყოლოდათ. დომინიკმა ყვირილი დაიწყო, მაგრამ ტალღამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეაწყვეტინა. იგივე ტალღამ გლასს ხელიდან კინაღამ შაშხანა გამოსტაცა. დომინიკმა ნაპირისაკენ აიღო გეზი და გლასმა დაუღრიალა:

– ჯერ ადრეა, დინებას გაჰყევი.

დომინიკი მას ყურადღებას არ აქცევდა. უკვე ფსკერზე ფეხებით იდგა. წყალი მკერდამდე სწვდებოდა დ ახლა კიდევ უფრო მეჩხერი წყლისკენ მიიწევდა. გლასმა უკან მოიხედა. ქვის ნაყარი ხმელეთზე სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა. მის ქვეშ ციცაბო, მაღალი ნაპირი იყო, მაგრამ ინდიელები მას ალბათ რამდენიმე წუთში შემოურბენდნენ.

– მეტისმეტად ახლოს ვართ, – დაიყვირა გლასმა. დომინიკმა მას ისევ არ მიაქცია ყურადღება. გლასს წამიერად მაცდურმა ფიქრმა გაუელვა ხომ არ მოვცილდე ამათ და მარტომ გავცურაო, მაგრამ ამის ნაცვლად ლა ვიერჟს ჩასჭიდა ხელი და დომინიკს მის ნაპირზე გადაყვანაში და ზურგზე დაწვენაში მიეხმარა. დაჭრილმა თვალი გაახილა, მაშინვე ჩაახველა და პირიდან სისხლი წამოუვიდა. გლასმა ის გვერდზე გადააბრუნა და ჭრილობას დახედა.

ტყვიას ლა ვიერჟის მარცხენა მხარში გაევლო და შემდეგ ალბათ გულში ჰქონდა მოხვედრილი. დომინიკიც იმავე დასკვნამდე მივიდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. გლასმა შაშხანა შეამოწმა. თოფის წამალი დასველებულიყო. სროლას ვერ შეძლებდა. ნაჯახი ისევ თავის ადგილზე ეკიდა, პისტოლეტი კი დაკარგვოდა. გლასმა დომინიკს შეხედა. რას ფიქრობ, როგორ უნდა მოვიქცეთ, იკითხებოდა მის მზერაში.

ლა ვიერჟი შეირხა, მისი პირის კუთხეებში ღიმილმა გაიელვა. ტუჩები აამოძრავა. დომინიკმა მისი ხელი აიღო და ძმისკენ გადაიხარა, რომ გაეგონა. ლა ვიერჟი ძლივს გასაგონი ჩურჩულით მღეროდა:

Tu es mon compagnon de voyage ...

დომინიკმა სიტყვები მაშინვე იცნო. თუმცა ეს სიმღერა ასეთი მწუხარე არასოდეს მოჩვენებია. ცრემლები მოერია და ძმასთან ერთად ამღერდა:

Tu es mon compagnon de voyage.
Je veux mourir dans mon canot
Sur le tombeau, pres du ravage,
Vous renverserez mon canot.

შენ ჩემი თანამგზავრი ხარ,
მე მინდა ჩემს კანოეში მოვკვდე,
და საფლავზე, კანიონის გვერდით,
გადააბრუნეთ ჩემი კანოე.

გლასმა მიიხედა. სამოცდაათ იარდში, დინების ზემო მიმართულებით ორი არიკარა გამოჩნდა. თოფები დაუმიზნეს და რაღაც დაიყვირეს.

გლასმა დომინიკს მხარზე ხელი დაადო და მაშინვე ორი შაშხანიდან გაისროლეს. ტყვიები ნაპირს მოხვდა.

– დომინიკ, ჩვენი აქ დარჩენა არ შეიძლება.

– მე მას ვერ მივატოვებ, – უპასუხა მან მკვეთრი აქცენტით.

– მაშინ ისევ მდინარით უნდა ვცადოთ.

– არა, – დომინიკმა თავი ენერგიულად გადააქნია. – მასთან ერთად ვერ ვიცურებთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გლასმა ისევ გაიხედა. ქვის ნაყართან ინდიელების რაოდენობა იზრდებოდა. დრო აღარ ითმენდა.

– დომინიკ, – მტკიცედ თქვა გლასმა – თუ აქ დავრჩებით ყველანი მოვკვდებით. – ისევ ტყვიები აზუზუნდა.

დომინიკი დუმდა, ხელისგულს ძმას განაცრისფერებული ლოყაზე უსვამდა. ლა ვიერჟი სადღაც წინ იყურებოდა მშვიდად. თვალებში მკრთალი ანაშუქი უკრთოდა. ბოლოს დომინიკი გლასს მიუბრუნდა:

– მე მას ვერ მივატოვებ.

ისევ სროლის ხმა.

გლასი საკუთარ თავს ებრძოდა. მას დრო სჭირდებოდა მოსაფიქრებლად, ყველაფრის ასაწონ-დასაწონად. თან სასწრაფოდ მოქმედება იყო საჭირო. მან შაშხანით ხელში მდინარეში ჩაყვინთა.

დომინიკმა სტვენა გაიგონა და მხარში ტკივილი იგრძნო. გაახსენდა საშინელი ამბები იმის შესახებ ინდიელები გვამებს როგორ ასახიჩრებდნენ. ლა ვიერჟს შეხედა. – არა, ჩვენი ნაკუწებად დაჭრის უფლებას არ მივცემ. – ძმას იღლიებში ამოსდო ხელები და მდინარისკენ წაათრია. მომდევნო ტყვია ზურგში მოხვდა.

– არ ინერვიულო ჩემო ძმაო, – წაიჩურჩულა მან და მდინარის რბილ ტალღებში ჩაყვინთა – აქედან გზა მხოლოდ დინების მიმართულებითაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 18

6 დეკემბერი, 1823

გლასი ცეცხლთან შიშველი იჯდა იმდენად ახლოს, რამდენი მხურვალების ატანაც შეეძლო. კოცონს ზემოთ თითები მოხრილი ჰქონდა, რომ ხელისგულებში მეტი სითბო დაეგროვებინა. შემდეგ გახურებულ ხელისგულებს მხრებსა და ბარძაყებზე იდებდა. ასე მხოლოდ კანის გათბობას ახერხებდა და ისიც ცოტა ხნით. მისურის ყინულივით ცივი წყლისგან სხეული გალიგვებული ჰქონდა.

მისი ტანსაცმელი კოცონთან ახლოს მიწაში ჩასობილ წნელებზე ეკიდა. წყლით გაჟღენთლილი ირმის ტყავის შარვალი კიდევ კარგა ხანს არ გაშრებოდა, სამაგიეროდ ბამბის ხალათის ჩაცმა უკვე შეიძლებოდა.

თავდასხმის ადგილიდან გლასმა თითქმის ერთი მილი გაცურა და ყველაზე ხშირ ბუჩქნართან შეჩერდა. ბოცვრის ბილიკებით მაყვლის ბარდებში მიიკვლევდა გზას და იმედი ჰქონდა, რომ უფრო დიდი მხეცი ამ ადგილას ვერ შემოაღწევდა. აქ, ერთმანეთზე გადახლართულ ტირიფებსა და მდინარის ტალღებისგან გამორიყულ მორებს შორის,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან თავისი ჭრილობების და დანაკარგების ანგარიში დაიწყო.

თუ თავის ახლანდელ მდგომარეობას ახლო წარსულთან შეადარებდა, შეეძლო შვებით ამოესუნთქა. რამდენიმე ჩალურჯებული და დაბეჟილი ადგილი – ნაპირზე ბრძოლისა და მდინარეზე გაცურვის შედეგი. და კიდევ, მკლავზე ტყვიისგან განაკაწრი აღმოაჩინა. ძველი ჭრილობები სიცივემ აატკივა, მაგრამ სხვა მხრივ რაიმე განხვავებას ვერ გრძნობდა. ესე იგი არიკარას თავდასხმას გადაურჩა. თუმცა გაყინვის საფრთხე რჩებოდა და ის სავსებით რეალური იყო. დროდადრო თვალწინ ნაპირზე ერთად მწოლიარე დომინიკის და ლა ვიერჟის სახე გაუელვებდა და ცდილობდა ამაზე ფიქრი თავიდან მოეშორებინა.

ნივთებიდან მთავარი დანაკარგი პისტოლეტი იყო. დასველებულ შაშხანას მხოლოდ გამოშრობა სჭირდებოდა. დანა თან ჰქონდა, ასევე ჩანთაც, რომელშიც კვესი ედო. გადაურჩა ნაჯახიც, რომლითაც ტოტებს ჭრიდა ცეცხლის დასანთებად. იმის იმედით, რომ თოფისწამალი დასველებული არ იქნებოდა, გლასმა რქა გააღო, ცოტაოდენი ფხვნილი მიწაზე დაყარა და ცეცხლი წაუკიდა. თოფისწამალი აბრიალდა და გარშემო ლაყე კვერცხის სუნი დააყენა.

დიდი ჩანთა ბანაკში დარჩა. მასში მეორე ხალათი, საბანი და ხელთათმანები ედო. და კიდევ ხელით დახატული რუკა ზედა მისურისა, შენაკადებით და ორიენტირებით. თუმცა ამას დიდად არ ნაღვლობდა, რუკა ისედაც ზეპირად ახსოვდა. ასე რომ, წინანდელთან შედარებით გლასს რაღაც აუცილებელი მაინც ჰქონდა.

ხალათი ჩაიცვა. მთლად მშრალი არ იყო, მაგრამ მის მტკივან მხარს სიცივისგან მაინც იცავდა. ცეცხლი მთელი დღე ენთო, თუმცა ეს სარისკო იყო, შეიძლებოდა კვამლი შეემჩნიათ, მაგრამ მან მაინც, თუნდაც რისკის ფასად, სითბო ამჯობინა. ცდილობდა სიცივეზე არ ეფიქრა. შაშხანა გააშრო, გაწმინდა და შეზეთა. (საპოხი მასალა პატარა ჩანთაში აღმოჩნდა). ღამისთვის ტანსაცმელიც და მასალაც მზად ჰქონდა.

ერთი პირობა იფიქრა, რომ აჯობებდა მხოლოდ ღამით ევლო. შესაძლოა, სადღაც ახლომახლო არიკარას ტომი ბანაკს რომ თავს დაესხა, ისევ დაძრწოდა. ერთ ადგილას გაჩერება, თუნდაც შედარებით უსაფრთხო ადგილას, არ შეიძლებოდა. მაგრამ უმთვარო ღამეში, მდინარის უსწორმასწორო ნაპირზე სიარულიც სახიფათო იქნებოდა. არჩევანი არ ჰქონდა. გათენებას უნდა დალოდებოდა.

შებინდებისას მშრალი ტანსაცმელი ჩაიცვა. შემდეგ ცეცხლთან ახლოს მცირე ზომის სწორკუთხა ორმო ამოთხარა, ჯოხებით ცეცხლიდან ორი გავარვარებული ქვა აილო, მასში ჩადო და ზემოდან მიწის თხელი ფენა დააფარა. ცეცხლს შეშა შეუკეთა და თბილ მიწაზე, ქვებს ზემოთ დაწვა. მშრალმა ტანსაცმელმა, სითბომ, ცეცხლმა და გადაღლილობამ თავისი გაიტანა – მაშინვე ჩაეძინა.

ორი დღის განმავლობაში გლასი მისურის ზემოთ მიუყვებოდა და თავს იმაზე ფიქრით იმტვრევდა ლანჟევენის მისია ახლა მე ხომ არ მეკისრება და როგორ უნდა მოვიქცეო. ბოლოს დაასკვნა, რომ ლანჟევენის ამ საქმის მემკვიდრე ის არ იყო, ბრაზოს მხოლოდ იმაზე შეუთანხმდა, რომ რაზმში მონადირე იქნებოდა და თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა. მას წარმოდგენა არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰქონდა შეიძლებოდა თუ არა ცხენირმის ენის რაზმი მთელი არიკარას ნების გამომხატველად ჩათვლილიყო, თუმცა ამას მისთვის მნიშვნელობა არც ჰქონდა. არიკარასგან პირობაც რომ მიეღო, ფორტ ბრაზოში დაბრუნებას მაინც ალარ აპირებდა. მისი პირადი საქმე უფრო საჩქარო იყო.

გლასმა იცოდა, რომ სადღაც, ახლომახლო მანდანები სახლობდნენ და თუმცა ეს მშვიდობისმოყვარე ტომი იყო, მაინც შიშობდა არიკარასთან ალიანსის შემდეგ რაიმე ხომ არ შეიცვალაო. ცხოვრობდნენ თუ არა არიკარელები მანდანას სოფლებში? და თუ ცხოვრობდნენ როგორ უყურებდნენ ისინი ფრანგების ნავზე თავდასხმას? მაგრამ გლასი ვერ ხედავდა მიზეზს რატომ უნდა დაინტერესებულიყო ამით. მან იცოდა, რომ მანდანას მიწებიდან ათ მილში, მისურის ზემო ნაწილში, ტალბოტის პატარა სავაჭრო ცენტრი იყო. გადაწყვიტა, პირდაპირ იქ წასულიყო, ისე, რომ მანდანასთან არ შეევლო. ცოტა რამ სჭირდებოდა. საბანს და ერთ წყვილ ხელთათმანს ფორტშიც იშოვიდა როგორმე.

თავდასხმიდან მეორე დღეს, საღამოს, გლასმა ჩათვალა, რომ უნდა ენადირა, თუმცა ეს გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. ძალიან შიოდა და გარდა ამისა, ტყავი ფორტში გამოადგებოდა რაიმეზე გადასაცვლელად. ნაპირთან ცხენირმის ახალ ნაკვალევს წააწყდა და მას მიჰყვა ალვის ხეების ჭალამდე, სადაც მდელო მდინარის გასწვრივ ნახევარ მილზე იყო გადაჭიმული. მდელოს ნაკადული კვეთდა და იქვე მამალი ცხენირემი ორ დედალთან და სამ პატარა, მსუქან ცხენირემთან ერთად ბალახს ძოვდა. გლასი მათ ნელა მიუახლოვდა, თითქმის სასროლ მანძილზე მივიდა, როცა მოულოდნელად ცხოვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლები რაღაცამ დააფრთხო. ძოვა მიატოვეს და მისკენ გაიხედეს. გლასმა სროლა დაიწყო, როცა მიხვდა, რომ ცხენირმები მას კი არ უყურებდნენ, არამედ რაღაცას მის უკან.

უკან მიიხედა და დაინახა ცხენზე ამხედრებული სამი ინდიელი, რომლებიც ალვის ხეების ჭალიდან გამოვიდნენ. დაახლოებით მეოთხედ მილშიც კი მამლის ბიბილოს მსგავსი ვარცხნილობა გაარჩია – არიკარას მებრძოლებისთვის დამახასიათებელი. ინდიელებმა მასზე ერთმანეთს მიანიშნეს, ცხენს დეზი ჰკრეს და მისკენ გააჭენეს.

სასოწარკვეთილმა გლასმა სწრაფად მიმოიხედა თავს რაიმეს ხომ ვერ შევაფარებო. უახლოეს ხეებამდე, მის წინ, ორასი იარდი მაინც იქნებოდა. იქამდე მირბენას ვერ მოასწრებდა. უკნიდან მდინარე უჭრიდა გზას. შეეძლო ადგილზე დარჩენილიყო და ინდიელების მოგერიება სროლით ეცადა, მაგრამ ერთი კიდეც რომ მოეკლა თოფის მეორედ დატენვას, მესამეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ველარ მოასწრებდა. ბოლოს მაინც წინ გაიქცა. ფეხის ტკივილს აღარ დაეძებდა.

სულ ოცდაათიოდე იარდი ექნებოდა გავლილი, როცა შიშისაგან ადგილზე გაირინდა. ალვის ხეების მილმიდან კიდევ ერთი ცხენოსანი ინდიელი გამოვიდა. გლასმა უკან გაიხედა. არიკარას მებრძოლებს მათ შორის მანძილი გაენახევრებინათ. ახალმა ამასობაში თოფი მხართან მიიტანა, ის მიზანში ამოიღო და გაისროლა. გლასი ტკივილის მოლოდინში დაიღმიჭა, მაგრამ ტყვია ასცდა და სადღაც თავს ზემოთ გადაუქროლა. ისევ მის მდევარ არიკარელებს გახედა უკან. ერთ-ერთი ცხენი წაქცეულიყო! ახალგამოჩენილმა ინდიელმა არიკარას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ესროლა! მსროლელმა ახლა მისკენ გააჭენა და გლასი მიხვდა, რომ ის მანდანა იყო, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა აქ რატომ გამოჩნდა და თეთრკანიანს რატომ ეხმარებოდა.

გლასი შებრუნდა. არიკარელებსა და მას შორის ასორმოცდაათი-იარდი რჩებოდა. ჩახმახი შემართა და დაუმიზნა, მაგრამ ისინი ცხენის კისერს ისე იყვნენ გაკრული, რომ ამჯობინა ნიშანში ერთ-ერთი ცხოველი ამოეღო.

სასხლეტს თითი გამოჰკრა. ცხენი გულისგამგმირავად აჭიხვინდა. წინა ფეხები მოეკეცა, ძირს დაენარცხა და მტვრის ღრუბელი დააყენა. მხედარი მკვდარ ცხოველს თავზე გადაევლო და თვითონაც მიწას დაასკდა.

გლასმა ჩლიქების რაკარუკი გაიგონა და ახედა მანდანას, რომელმაც ანიშნა ჩემს ცხენზე შემოხტიო. ასეც მოიქცა და უკან კიდევ ერთხელ გაიხედა. უკანასკნელმა არიკარამ ცხენს აღვირი გამოსდო და გაისროლა. ტყვია მიზანს აცდა. მანდანამ ცხენი გააჭენა და როცა ხეებთან მივიდა აღვირი მოზიდა. მხედრები ჩქარობდნენ. იარაღი ხელახლა უნდა დაეტენათ.

– რი, – მოკლე სახელით მოიხსენია მან არიკარა და მათ მხარეს მიანიშნა, – ცუდები.

გლასმა თავი დაუქნია და თოფის ლულაში ახალი ტყვია ჩადო.

– მანდანა – საკუთარ თავზე მიუთითა ინდიელმა, – კარგები, მეგობრულები.

გლასმა არიკარას დაუმიზნა, მაგრამ ერთადერთი თავდამსხმელი ცხენოსანი უკვე შორს იყო და ტყვია აღარ მიწვდებოდა. დანარჩენი ორი მას აქეთ-იქიდან ფეხით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისდევდა. ორი ცხენის დაკარგვამ მათ დევნის ინტერესი აშკარად დაუკარგა.

მანდანამ საკუთარი თავი მანდე-პაჩუდ წარუდგინა. გლასს და არიკარას ის ცხენირემზე ნადირობისას გადაეყარა და მაშინვე მიხვდა ვინ იყო ეს ნაიარევებიანი კაცი. წინა დღით მანდანას სოფელში გამოჩნდა თარჯიმანი შარბონო, მანდანასთვის კარგად ცნობილი ჯერ კიდევ ლუისის და კლარკის ექსპედიციის დროიდან მოყოლებული. შარბონომ მასპინძლებს ვოიაჟერებზე არიკარას თავდასხმის ამბავს მოუყვა. მატო-ტოპეს, მანდანას ბელადს, ცხენირმის ენაზე და მის დამქაშებზე განრისხებულს, კაიოვა ბრაზოს მსგავსად მისურიზე თავისუფალი ვაჭრობა სურდა. და თუმცა მას ესმოდა ცხენირემს თეთრკანიანები რატომ არ მოსწონდა, ვოიაჟერები არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, მით უმეტეს, როგორც შარბონომ თქვა, ისინი საჩუქრებით და სამშვიდობო წინადადებებით მოდიოდნენ.

ამ ტიპის გაფრთხილებებს მატო-ტოპე მაშ შემდეგ უფრთხოდა, რაც არიკარამ მანდანას სთხოვა თქვენს მიწაზე თავი შეგვაფარებინეთო. მანდანას ცხოვრება თეთკანიანებთან ვაჭრობაზე სულ უფრო და უფრო მეტად ხდებოდა დამოკიდებული. ლივენვორტის არიკარაზე თავდასხმის დღიდან მოყოლებული სამხრეთიდან მოძრაობა შეწყდა. ახლა, ამ ახალი ინციდენტის შემდეგ კი მდინარე საერთოდ გადაიკეტებოდა.

ცნობა იმის შესახებ, რომ მატო-ტოპე ცხენირმის ენაზე გაბრაზებული იყო, მანდანას სოფელს სწრაფად მოედო. ჭაბუკმა მანდე-პაჩუმ როგორც კი გლასი დაინახა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშინვე გადაწყვიტა, რომ თეთრკანიანის გადარჩენას ბელადი ძალიან დაუფასებდა. ის მატო-ტოპეს მშვენიერი ქალიშვილის გულის დაპყრობას ცდილობდა და თავის გამოჩენის ასეთ შესაძლებლობას ხელიდან ვერ გაუშვებდა. ტკბებოდა იმის წარმოდგენით როგორ შევიდოდა სოფელში მის მიერ გადარჩენილ თეთრკანიანთან ერთად და მას მატო-ტოპეს გადასცემდა, მერე კი მთელი სოფლის თვალწინ მოყვებოდა თავისი სიმამაცის ამბავს. თუმცა თეთრკანიანი ეტყობოდა გზის გამრუდებას არ აპირებდა. ის დაჟინებით იმეორებდა ორ სიტყვას: ფორტი ტალბოტი.

ცხენზე ინდიელის უკან მჯდარი გლასი მანდე-პანჩუს დიდი ინტერესით ათვალიერებდა. მანდანა არასოდეს ენახა, თუმცა მათ შესახებ ბევრი გაეგონა. ახალგაზრდა მებრძოლი აშკარად ამაყობდა თავისი ვარცხნილობით და ჩანდა თმის მოვლას დიდ ყურადღებას უთმობდა. ზურგზე ბოცვრის კანის ზოლებით შემოჭერილი გრძელი კუდი ჰქონდა გადმოშვებული, გაქონილი თმა კი, სახის კიდეებზე რომ ჩამოუდიოდა და ლოყებს უფარავდა, ნიკაპის დონეზე თანაბრად შეჭრილი. შუბლის შუაში გრძელი თმის კულული ეშვებოდა, ასევე გაქონილი და გულმოდგინედ დავარცხნილი. მორთულობა ამით არ მთავრდებოდა: მარჯვენა ყურზე კალის სამი დიდი საყურე ეკიდა. კისერს უმშვენებდა ქათქათა მძივებიანი ყელსაბამი, რომელიც სპილენძისფერ კანთან კონტრასტს ქმნიდა.

მანდე-პაჩუ უხალისოდ დათანხმდა თეთრი კაცი ფორტ ტალბოტში წაეყვანა. ის ცხენით სულ რაღაც სამი საათის სავალზე თუ იქნებოდა. ინდიელი იმედოვნებდა, რომ მოგზაურობა საინტერესო გამოდგებოდა. ჯერ ერთი ფორტში ახალი ამბების გაგება შეიძლებოდა. ამ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბობდნენ, რომ არიკარას თავდასხმას ვერც იქაურობა გადაურჩა. მეორეც, იქ მყოფ თეთრკანიანებს შეიძლებოდა მატო-ტოპესთვის წერილის გაგზავნა მოესურვებინათ, გზავნილების მიტან-მოტანა კი დიდი პასუხისმგებლობა და პატივი იყო. თუ მატო-ტოპეს თეთრკანიანის გადარჩენის ამბავს მოუყვებოდა და თან წერილს მიუტანდა, ბელადი კმაყოფილი დარჩებოდა და მის ქალიშვილზეც ეს დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

თითქმის შუაღამე იყო, როცა უსახურ ღამეში მათ თვალწინ მოულოდნელად ვეება ფორტი ტალბოტი წამოიმართა. შენობიდან ოდნავი შუქიც არ გამოდიოდა და გლასს გაუკვირდა, როცა ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ძელური სიმაგრიდან ასიოდე იარდში იმყოფებოდა.

უცებ სინათლემ იელვა და იმავ წამს ფორტიდან თოფის სროლის ხმა გაისმა. მუშკეტის ტყვიამ მათ თავს ზემოთ რამდენიმე დუიმში გადაიფრინა.

ცხენი მოულოდნელობისგან ყალყზე შედგა და მანდანა მის დაწყნარებას შეეცადა. გლასმა მთელი ძალა მოიკრიბა და გაბრაზებულმა რაც შეეძლო ხმამაღლა დაიყვირა:

– ნუ გვესვრით! თქვენიანები ვართ!

– ვინ ხართ? – იკითხა დაეჭვებულმა ხმამ სამალავიდან.

გლასმა თოფის ლულაზე აციალებული შუქი და მოსაუბრის თავის და მხრების ჩაბნელებული ფორმა გაარჩია.

– მე ჰიუ გლასი ვარ, კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიიდან. – რას არ მისცემდა ახლა, რომ მის ხმაში მეტი სიმტკიცე ყოფილიყო. როგორ არ ცდილობდა, მაგრამ ყელიდან ისეთი სუსტი ხმა ამოდიოდა, ახლოში მყოფსაც კი სიტყვების გარჩევა გაუჭირდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– და ეს ველური ვინღაა?

– ის მანდანაა. არიკარას სამი მებრძოლი დამესხა თავს და მან გადამარჩინა.

კოშკზე მყოფმა კაცმა რაღაც დაიყვირა და გლასმა საუბრის ნაწყვეტი გაიგონა. კედლებს უკნიდან კიდევ სამი კაცი' გამოჩნდა შაშხანებით შეიარაღებული. მძიმე კარის უკანა მხრიდან ხმაური ისმოდა. სათვალთვალო სარკმელი გააღეს და მათ ყურადღებით აკვირდებოდნენ. გაბრაზებულმა უცნობმა ხმამ ბრძანება გასცა:

– უფრო ახლოს მოდით, რომ უკეთესად დაგინახოთ.

მანდე-პაჩუმ ცხენი წინ მიუშვა და სადავე ზედ ჭიშკართან ამოსდო.

– რისი გეშინიათ ასე ძალიან? – ჰკითხა გლასმა და ცხენიდან ჩამოხტა.

– არიკარამ ჩემი პარტნიორი მოკლა ამ ჭიშკრის წინ წინა კვირაში – თქვა იგივე გაბრაზებულმა ხმამ.

– არც ერთი ჩვენგანი არიკარა არ არის.

– შორიდაან ვერ გაიგებ. დაძვრებიან ხოლმე ღამით.

ფორტი ბრაზოსგან განსხვავებით ტალბოტი ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეს ჰგავდა. მას გარს ერტყა დაახლოებით თორმეტი ფუტი სიმაღლის მორის კედლების მართკუთხედი, რომელიც სიგრძეში ასი და სიგანეში სამოცდაათი ფუტი იქნებოდა. საპირისპირო კუთხეებში, ერთმანეთისაგან დიაგონალურად, განლაგებული იყო ორი გარე კოშკი, რომელთაგან მთელი ფორტი ჩანდა. კოშკს, რომლის ქვეშ ახალჩამოსულები იდგნენ, უხეში სახურავი ჰქონდა, რათა მსხვილკალიბრიანი იარაღი დაეფარა. მეორეს სახურავის გაკეთება დაეწყოთ, მაგრამ აღარ დაემ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავრებინათ. ფორტს უკანა მხრიდან ცხოველების ცარიელი ბაკი ემიჯნებოდა.

გლასი იცდიდა. სათვალთვალო სარკმლიდან მის დათვალიერებას განაგრძობდნენ.

– და აქ რამ მოგიყვანათ? – იკითხა ისევ გაბრაზებულმა ხმამ.

– ფორტ უნიონისკენ ვადგავართ გზას. რაღაც-რაღაცები გვჭირდება.

– ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს, რომ გიწილადოთ.

– მე თქვენი არც საჭმელი მინდა და არც თოფისწამალი. საბანი და ხელთათმანები მჭირდება მხოლოდ და გზას გავაგრძელებ.

– რაღაც არ გეტყობა, რომ გადახდა შეგეძლოს.

– მე თქვენ ხელწერილს მოგცემთ კარგ ანაზღაურებაზე უილიამ ეშლის თავდებობით. კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანია ტრაპერების კიდევ ერთ პარტიას გამოაგზავნის გაზაფხულზე დინების მიმართულებით და ისინი გადაგიხდიან, არ იძუნწებენ. – ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა და გლასმა დასძინა: – კომპანია დაუფასებს სამსახურს იმ ფორტს, რომელიც მის ხალხს გაჭირვებაში დახმარების ხელს გაუწვდის.

კიდევ ერთი პაუზა და შემდეგ სათვალთვალო სარკმელი დაიხურა. მალე ანჯამაზე ხის მძიმე ჭიშკარი აჭრიალდა. გაბრაზებული ხმა, როგორც აღმოჩნდა ეკუთვნოდა ტანდაბალ კაცს, რომელსაც იქაურობის ბატონ პატრონის იერი ჰქონდა. ის ჭიშკართან იდგა, ხელში შაშხანა ეჭირა, ორი პისტოლეტი კი ქამარში ჰქონდა გაჩრილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მხოლოდ შენ შემოდი. წითელკანიანები ამ ფორტში არ მჭირდება. – გლასმა მანდე-პაჩუს გახედა შეურაცხმყოფელი სიტყვების შინაარსს თუ ჩაწვდაო. პირი გააღო, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხელი ჩაიქნია და შიგნით შეაბიჯა. ჭიშკარი მის უკან მიჯახუნდა.

ფორტის შიგნით ორი ძველი შენობა იდგა. ერთ-ერთი მათგანიდან სინათლე გამოდიოდა გაქონილი ტყავის გავლით, რომელიც ფანჯრებში მინებს ცვლიდა, მეორე კი საერთოდ ჩაბნელებული იყო. გლასმა დაასკვნა იქ საწყობი ექნებათო. ორივე შენობის უკანა კედელი იმავდროულად ფორტის უკანა კედლის ფუნქციასაც ასრულებდა. ფასადები უკანა ეზოში გადიოდა, რომელიც ნაკელის სუნით ყარდა. სუნის მიზეზი – ორი ქეციანი ჯორი – ბოძზე იყო მიბმული. ყველა დანარჩენი ცხოველი არიკარას გაეტაცა თავდასხმისას. იქვე დიდი ზომის წნეხი იდგა ტყავისათვის. ალვის ხის კუნძზე გრდემლი იდო, ცოტა მოშორებით კი შეშის პატარა გროვა ეყარა. ჭიშკრის შიგნით ხუთი კაცი იდგა, რომელთაც მალე შეუერთდა ის დაბალიც, გაბრაზებული ხმა რომ ჰქონდა. მკრთალი სინათლე გლასის ნაიარევ სახეს დაჰნათოდა და ის კაცების ცნობისმოყვარე მზერას გრძნობდა.

– თუ გინდა, შემოდი.

გლასი განათებულ შენობაში შეიყვანეს, ვიწრო ოთახში, რომელსაც ეტყობოდა საძინებლად იყენებდნენ. შორეულ კედელთან უხეში თიხის ბუხარი ენთო და იქაურობა კვამლით იყო სავსე. ოთახი სიმჟავის სუნით ყარდა, სამაგიეროდ თბილოდა, რადგან ცეცხლი ენთო და თან ბევრნი ერთად შეჯგუფულიყვნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაბალი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უცებ ხველება აუტყდა და მოიკრუნჩხა. ასეთივე ხრინწიანი ხველება ყველა მხრიდან გაისმა და გლასს შეეშინდა, როცა გაიაზრა მიზეზი რა შეიძლებოდა ყოფილიყო.

დაბალმა ხველება ბოლოს და ბოლოს შეწყვიტა და გლასს შეახსენა:

– ჩვენ ზედმეტი საკვები არა გვაქვს.

– მე გითხარი, რომ შენი საჭმელი არ მჭირდება. მოდი საბნის და ხელთათმანის ფასზე შევთანხმდეთ და მე წავალ. იმ დანის ფასიც მიათვალე – გლასმა ტყავის გასაძრობ დანაზე მიანიშნა, კუთხეში მდგარ მაგიდაზე რომ იდო.

დაბალმა მკერდი გამობერა, თითქოს ნათქვამი ეწყინაო.

– ჩვენ ძუნწები არ ვართ, მისტერ, მაგრამ ჩათვალეთ, რომ არიკარას აქ ალყაში ვყავართ. მთელი ჩვენი საქონელი წაიყვანეს. წინა კვირაში ხუთი მებრძოლი მოადგა ცხენებით ჭიშკარს, თითქოსდა სავაჭროდ. შემოვუშვით და სროლა აგვიტეხეს. ჩემი პარტნიორი მოკლეს, ისე რომ თვალიც არ დაუხამხამებიათ.

გლასი დუმდა, დაბალმა განაგრძო:

– და ვსხედვართ ასე, ვერც სანადიროდ გავდივართ, ვერც შეშის მოსატანად. ასე რომ ნუ დაგვძრახავ, იძულებული ვართ ხელმოჭერილი ვიყოთ. – თანამოსაუბრეს უყურებდა, თითქოს გაგებას ელოდა მისგან, მაგრამ გლასი ხმას არ იღებდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

– თუ თეთრკანიანს და მანდანას ესვრით, ეს არიკარასთან პრობლემებს ვერ მოგიგვარებთ, – თქვა ბოლოს გლასმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსროლელი, ჭუჭყიანი კაცი, რომელსაც წინა კბილები არ ჰქონდა, ალაპარაკდა:

– მე მხოლოდ ინდიელი დავინახე, სიბნელეში, ფორტთან ახლოს. როგორ უნდა მივმხვდარიყავი, რომ ორნი იყავით?

– კარგი იქნება, თუ წესად დაიდებ, რომ ჯერ სამიზნე დაინახო და მერე ესროლო.

– ჩემს ხალხს სროლას ნუ ასწავლით, მისტერ, – ჩაერია დაბალი. – არიკარა და მანდანა ჩემთვის ერთია და მუდამ ასე იყო. თანაც ისინი ახლა ერთად ცხოვრობენ. მძარცველებისა და ქურდებისაგან შემდგარი ერთი დიდი ტომია. ჯობია შეცდომით მოკლა ვიდრე შეცდომით დაუმეგობრდე.

დაბალი სულ უფრო მგზნებარედ ლაპარაკობდა, სიტყვები ისე იღვრებოდა მისგან, თითქოს წყალი ჯებირს გადმოსკდაო.

– ეს ფორტი საკუთარი ხელებით ავაშენე, – გაძვალტყავებული თითი მკერდზე მიიდო – და ვაჭრობის უფლება თვით მისურის გუბერნატორისაგან მაქვს მიღებული. ჩვენ ვერავინ გვაიძულებს აქედან წასვლას და ვესვრით ყველა წითელკანიანს, ვისაც კი წავაწყდებით. თუ საჭირო იქნება თითო-თითოდ გავანადგურებთ ამ მკვლელ, ქურდ ძაღლიშვილებს.

– და მერე ვისთან აპირებ ვაჭრობას? – ჰკითხა გლასმა.

– რაღაცას მოვახერხებთ, მისტერ. ფორტი სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილია. მალე აქ ჯარი მოვა და ამ ველურებს გაუსწორდება. ახლო მომავალში თეთრკანიანებით გაივსება აქაურობა. შენ თვითონ არ თქვი ტრაპერები მოდიანო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გლასი სიბნელეში გავიდა და ჭიშკარი მის უკან მიჯახუნდა. ღრმად ამოისუნთქა. გაყინულ ღამის ჰაერში ორთქლი ღრუბელივით დაეკიდა და სიოს დაბერვაზე გაიფანტა. მდინარესთან მანდე-პაჩუ იჯდა ცხენზე. ჭიშკრის დაკეტვის ხმაზე შებრუნდა და მისკენ გაემართა.

გლასმა თავისი ახალი დანა ამოიღო, საბანში ხვრელი ამოჭრა და მასში თავი გაჰყო. ხელზე ბეწვის ხელთათმანი წამოიცვა და მანდანას შეხედა. რა ეთქვა არ იცოდა. ან რა ჰქონდა სათქმელი კაცმა რომ თქვას. თავისი საქმეებისთვის უნდა მიეხედა. დრო კი არ ითმენდა. თავს უფლებას ვერ მისცემდა შეფერხებულიყო.

ბოლოს ახალი დანა მანდე-პაჩუს გაუწოდა და უბრალოდ თქვა:

– გმადლობთ.

მანდე-პაჩუმ დანას შეხედა, შემდეგ გლასს. ცდილობდა მისი მზერა დაეჭირა, მიუხედავად იმისა, რომ ბნელოდა. გლასი შებრუნდა და მისურის ზემოთ აუყვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 19

8 დეკემბერი, 1823

ჯონ ფიტცჯერალდი ფორტ-უნიონის ცოტა ქვემოთ – საგუშაგოსკენ მიაბიჯებდა. ღორუკა იქ იდგა, მკერდი აუდ-ჩამოუდიოდა და ყოველ ამოსუნთქვაზე თავის გარშემო ორთქლის ღრუბელს აფრქვევდა, რომელიც ღამის სუსხიან ჰაერში დნებოდა.

– ჩემი რიგია, – თქვა ფიტცჯერალდმა თითქმის მხიარული ტონით.

– კი მაგრამ რა გიხარია. როდის იყო საგუშაგოზე დგომა გსიამოვნებდა? – ჩაიბურტყუნა ღორუკამ და ბანაკისკენ გაემართა. ახლა შეეძლო საუზმემდე ოთხი საათი ეძინა.

ფიტცჯერალდმა თამბაქოს სქელი ნაჭერი ჩაიდო პირში. მძაფრმა არომატმა ნერვები დაუწყნარა. კარგა ხანს მისი გემოთი ტკბებოდა, ბოლოს გადმოაფურთხა და მთელი მკერდით შეისუნთქა. ღამის ჰაერი ფილტვებს უსიამოდ ხვდებოდა, მაგრამ ახლა სიცივეს არაფრად აგდებდა. სიცივე ულრუბლო ცის სასურველი თანამგზავრი გახლდათ, ფიტცჯერალდს კი სწორედ ეს სჭირდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამ მეოთხედზე ამოზრდილი მთვარე საკმაო სინათლეს ჰფენდა გარემოს და ჩანაფიქრის განხორციელებაში დახმარებას ჰპირდებოდა.

საგუშაგოზე დადგომიდან ნახევარი საათის შემდეგ ჯონი ფრთხილად მიუახლოვდა სქელ ტირიფნარს, სადაც წინასწარ ჰქონდა გადამალული: თახვის ტყავი გადასაცვლელად, ოცი ფუტი აპოხტი, სამი რქა თოფისწამალი, ასი ტყვია, ქვაბი, შალის ორი საბანი და რა თქმა უნდა ანშტადტი. მან ყველაფერი წყლის ნაპირთან მიზიდა და კანოეს მოსატანად წავიდა.

ნაპირს ფრთხილად მიუყვებოდა. ეშინოდა კაპიტან ჰენრის მის სათვალთვალოდ ვინმე არ ჰყოლოდა გამოგზავნილი. ვის გადავეყარე ამ სულელ ძაღლიშვილსო, გაიფიქრა. უიღბლობის გამო, რომელიც ჰენრის მუდამ თან სდევდა, მის რაზმსაც სულ რაღაც უბედურება ატყდებოდა თავს. ხანდახან ფიტცჯერალდს უკვირდა კიდეც ყველანი რომ არ დაიხოცნენ. სამი ცხენი შემორჩათ მხოლოდ და ამის გამო სანადიროდ შორს ვეღარ გადიოდნენ, ახლომახლო კი უკვე დიდი ხანი იყო, რაც ყველა ცხოველი დახოცეს. ჰენრი არაერთხელ შეეცადა ცხენები ადგილობრივი ტომებისაგან შეესყიდა, (უფრო სწორად უკან დაებრუნებინა ის, რაც მის რაზმს მოპარეს) მაგრამ მცდელობა ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. უკვე რამდენიმე კვირა იყო ბიზონისთვის თვალიც არ მოუკრავთ. მთელი რაზმი ანტილოპას ძარღვიანი ხორცით იკვებებოდა.

ფიტცჯერალდისთვის უკანასკნელ წვეთად ის სიტყვები იქცა, რომელიც მას ყურში ჩასკვნილმა ბილიმ წასჩურჩულა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– კაპიტანი ფიქრობს იელოუსტოუნს ზემოთ აუყვეს და მანუელ ლიზას ფორტის ნარჩენებში დაბანაკდეს.

1807 წელს ვაჭარმა მანუელ ლიზამ იელოუსტოუნის და მდინარე ბიგ ჰორნის შეერთების ადგილას სავაჭრო პუნქტი დააარსა, „ფორტი მანუელი“ დაარქვა და მას იყენებდა როგორც ბაზას ვაჭრობისათვის და ორივე მდინარის კვლევისათვის. ლიზას განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქროუს და ბრტყელთავიანების ტომებთან, რომლებიც მისგან თოფებს ყიდულობდნენ შავფეხიანებთან საბრძოლველად. შავფეხიანები თავის მხრივ თეთრკანიანების მოსისხლე მტრებად იქცნენ.

თავისი მოკრძალებული კომერციული წარმატებით გამხნევებულმა ლიზამ 1809 წელს წმ. ლუის მისურის ბეწვეულის კომპანია დააარსა. ახალი წამოწყების ერთ-ერთი ინვესტორი ანდრეუ ჰენრი იყო. ის ას კაცს მე-თაურობდა სამი განშტოების ცუდად დამთავრებულ კამპანიაში. იელოუსტოუნისკენ მიმავალი ჰენრი ფორტ მანუელში შეჩერდა. გაახსენდა მისი სტრატეგიული მდე-ბარეობა, ცხოველების სიმრავლე და ტყეები. ჰენრიმ იცო-და, რომ ფორტი მანუელი უკვე თორმეტ წელზე მეტია მიტოვებული იყო, მაგრამ იმედი ჰქონდა იქ რაღაც მაინც იქნებოდა დარჩენილი, საიმისოდ, რომ დაბანაკებულიყვნენ.

ფიტცჯერალდს წარმოდგენა არ ჰქონდა ბიგჰორნამდე რა მანძილი იყო, მაგრამ ის კი კარგად იცოდა, რომ თვითონ მას იქ არაფერი ესაქმებოდა. თუმცა დასავლეთში ცხოვრება არც ისე საშინელი აღმოჩნდა, როგორც წარმოედგინა სენტ-ლუისიდან გამგზავრებისას, მას ყელ-ში ამოუვიდა ცუდი საკვები, მუდმივი სიცივე, ღამის გათევა რამდენიმე ათეულ სუნიან კაცთან ერთად, ყოველ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაბიჯზე ჩასაფრებულ სიკვდილზე რომ აღარაფერი ვთქვათ. იაფფასიანი ვისკის გემო და იაფფასიანი სუნამოს სუნი მოენატრა. სამოცდაათი დოლარი ოქროთი, თანხა გლასის მოვლისათვის, აზარტული თამაშების მაგიდისკენ უხმობდნენ. იმედი ჰქონდა, რომ წელიწადნახევრის შემდეგ სენტ-ლუისშიც და იქნებ უფრო სამხრეთითაც, ის მიავიწყდებოდათ. ამის დაზუსტებაც სურდა.

ორი კანოე, თითოეული მთელი მორისგან გამოჩორკნილი, ფიტცჯერალდმა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ შეამოწმა და გადაწყვიტა, რომ მომცრო ნავი უფრო საიმედო იყო და მისი მართვა დინების მიმართულებით უფრო ადვილი იქნებოდა, განსაკუთრებით ერთი ადამიანისათვის. მან ნავი ფრთხილად გადააბრუნა, ორივე ნიჩაბი შიგ ჩადო და კანოე წყლამდე მიათრია.

ახლა მეორესთვის უნდა მიეხედა. როცა გაქცევას გეგმავდა, ფიტცჯერალდი დიდხანს ფიქრობდა მეორე ნავის უვნებელყოფაზე. ერთი პირობა ფსკერში ნახვრეტის გაკეთებაც იფიქრა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა უბრალოდ ნიჩბები თან წაეღო. ნიჩბების გარეშე ხომ ვერ დაედევნებოდნენ.

კანოე წყალში შეაცურა, შიგ ჩახტა და რამდენჯერმე ნიჩაბი მოუსვა, რომ ჩქერობამდე მიეღწია. დინებამ ნავი წაიღო. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯონი სამალავს მიადგა მოპარული სანოვაგის წასაღებად, შემდეგ კი ნავი ისევ დინებაში შეიყვანა. ცოტა ხანში ფორტ უნიონი მის უკან გაუჩინარდა.

კაპიტანი ჰენრი ობის სუნით გაჟღენთილ ოთახში იჯდა, ფორტ უნიონის განცალკევებით მდგარ ერთადერთ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სათავსოში. თუმცა განმარტოების შესაძლებლობის გარდა (რაც აქ დიდი ფუფუნება იყო) ოთახი არაფრით გამოირჩეოდა. სითბო და სინათლე აქ მხოლოდ მიმდებარე სათავსოს ღია კარიდან შემოდიოდა. ასე რომ ჰენრი სიბნელესა და სიცივეში იჯდა.

რა ექნა არ იცოდა. თვითონ ფიტცჯერალდი დიდი არაფერი დანაკარგი იყო. ჰენრი მას სენტ-ლუისში გაცნობის დღიდან არ ენდობოდა. კანოეს გარეშე გაძლებდნენ. ეს ხომ იგივე არ იყო, რაც ვთქვათ დარჩენილი ცხენები რომ მოეპარათ. ერთი ტომარა თახვის ტყავის დაკარგვა ძალიან ეწყინათ, მაგრამ აუნაზღაურებელი დანაკლისი არც ეს გახლდათ.

უბედურება ის კი არ იყო, რომ რაზმის ერთ-ერთი წევრი წავიდა, არამედ ის, რომ მის წასვლას შეიძლებოდა დანარჩენებზე ცუდი ზეგავლენა მოეხდინა. ფიტცჯერალდმა თავისი დეზერტირობით ის თქვა, რის შესახებაც სხვები მხოლოდ ფიქრობდნენ. კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიამ კრახი განიცადა. ის, კაპიტანი ჰენრიც, ხელმოცარული კაცი იყო. წინ საიმედო არაფერი ჩანდა.

შორს მყოფი კარის საკეტმა გაიჟღრიალა და ჭუჭყიან იატაკზე ვიღაცის მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. ზღურბლთან ჩასკვნილი ბილი გამოჩნდა.

– მერფი ტრაპერებთან ერთად ბრუნდება. – მოახსენა მან ჰენრის.

– ტყავი მოაქვთ?

– არა, კაპიტანო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სულ არა?

– სულ არა, კაპიტანო. და იცით რა, კიდევ უფრო უარესი...

– თქვი.

– ცხენების გარეშე დაბრუნდნენ.

კაპიტან ჰენრის დრო დასჭირდა სანამ ახალ ამბავს გონებაში გადახარშავდა.

– კიდევ გაქვს რაიმე სათქმელი?

ჩასკვნილმა ერთი წუთი იფიქრა, სანამ უპასუხებდა:

– ანდერსონი დაიღუპა, კაპიტანო.

ჰენრის აღარაფერი უთქვამს. ჩასკვნილი ბილი პასუხის მოლოდინში შეჩერდა, ცოტა ხანს იცადა, შემდეგ უხერხულად შებრუნდა და წავიდა.

კაპიტანი ჰენრი სიცივეში, ნახევრად სიბნელეში იჯდა და რამდენიმე წუთს თავს იმტვრევდა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფორტი უნიონი უნდა დაეტოვებინათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 20

15 დეკემბერი, 1823

ბორცვებს შორის ღრმული თითქმის იდეალური ფორმის ფიალას მოგაგონებდათ. სამი მხრიდან წამომართული ბორცვები დაბლობს მძვინვარე ქარებისგან იცავდა. სინესტე ფერდობებიდან ცენტრისკენ მიემართებოდა, სადაც კუნელის ჭალა იყო. მათი ბარდები, თანაც ყველა მხრიდან ბორცვებით გარშემორტყმული, შესანიშნავ საფარს ქმნიდა.

პატარა ღრმული მისურიდან ორმოცდაათიოდე იარდში მდებარეობდა. ფეხებგადაჯვარედინებული ჰიუ გლასი კოცონთან იჯდა, რომლის ზემოთ, ტირიფის წნელზე ჩამოკიდებული ბოცვერი იწვებოდა.

უსაქმო მოლოდინისას მან უცებ გააცნობიერა, რომ წყლის ტლაშუნის ხმა მკაფიოდ ესმოდა და გაუკვირდა: ნაპირზე გატარებული ერთი კვირის შემდეგ მდინარის ხმაურს შეჩვეული იყო და ჩვეულებრივ მას ვერ ამჩნევდა. ცეცხლს ზურგი აქცია და მდინარეს გახედა. უცნაურად მოეჩვენა, რომ წყალი, რომელიც მშვიდად მიედინებოდა, საერთოდ რაიმე ხმას გამოსცემდა. ან კიდევ თვითონ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქარს რა ხმა უნდა ჰქონოდა. ხმაურს წყალი და ქარი კი არ იწვევს, არამედ იმ ობიექტებთან შეჯახება, რაც მათ გზაზე გადაელობებაო, გაიფიქრა და კვლავ უკან, ცეცხლისკენ შეტრიალდა. ფეხი ისევ სტკიოდა და შეეცადა უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო. ტკივილი მუდმივად შეახსენებდა, რომ სრულ გამოჯანმრთელებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. სიცივემ ორივე ფეხსა და მხარში ტკივილი კიდევ უფრო გაუძლიერა. უნდა შეგუებოდა იმას, რომ მისი ხმა ჩვეულებრივი არასოდეს გახდებოდა და რა თქმა უნდა სახეც მუდამ შეახსენებდა გრანდზე დათვთან შებრძოლების ამბავს. თუმცა ყველაფერი ცუდად არ იყო. მხარი თითქმის აღარ აწუხებდა და არც ყელი სტკიოდა ლუკმის გადაყლაპვისას, რაც ძალიან ახარებდა, განსაკუთრებით ახლა, როცა წინ შემწვარი ხორცი ედო.

ბოცვერი მან სულ ცოტა ხნის წინ, შებინდებისას მოკლა. ინდიელებს უკვე ერთი კვირა იყო არ გადაჰყროდა და როცა მსუქანმა, ბეწვიანმა ცხოველმა ბილიკზე მის თვალწინ ჩაირბინა, ეს მეტისმეტად დიდი ცდუნება გახლდათ საიმისოდ, რომ მის მოკვლაზე და გემრიელ სადილზე უარი ეთქვა.

ფიტცჯერალდი, რომელიც ამ დროს მდინარის ზემო ნაწილისკენ, გლასიდან დაახლოებით მეოთხედ მილში იმყოფებოდა, ღამის გასათევ ადგილს ეძებდა. როცა სროლის ხმა გაიგონა, შეიგინა და ნიჩბის მოსმა უფრო ენერგიულად განაგრძო და გეზი ნაპირისკენ აიღო, რომ დინებას გასროლის ადგილისკენ არ წაელო. ბინდბუნდში გასროლის მიმართულებით იყურებოდა, იქნებ წყაროს მივაგნოო. მაინც ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო? არიკარა გაცილებით შორს, სამხრეთით სახლობდა. ნუთუ ასინიბოინი? ინატრა ნეტავ უკეთ ვიხედებოდეო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა კოცონი, რომლის წინ ირმის ტყავში გამოწყობილი კაცი იჯდა. ფიტცჯერალდმა დეტალების გარჩევა ვერ შეძლო. ალბათ ინდიელი იქნებაო, გაიფიქრა. რა თქმა უნდა, არც ერთი თეთრკანიანი ჩრდილოეთით ასე შორს არ წავიდოდა, განსაკუთრებით დეკემბერში. მარტო იყო ვითომ? დღის სინათლე სწრაფად ინავლებოდა.

რაღაც უნდა გადაეწყვიტა. დრო არ ითმენდა. ნავში ღამეს ვერ გაათევდა. თუ ნაპირზე გადავიდოდა, მსროლელი მას დილით აღმოაჩენდა. შეიძლებოდა კოცონთან მიპარულიყო და ის მოეკლა, მაგრამ თუ ცეცხლთან მჯდომი მარტო არ იყო, მაშინ ბევრთან მოუწევდა დაპირისპირება. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჯობდა სრულ დაბნელებამდე დაეცადა და ნაპირთან შემდეგ მიცურებულიყო. მსროლელის და მისი შესაძლო მხლებლების ყურადღება ცეცხლისკენ იქნებოდა გადატანილი და ნავს ვერ შეამჩნევდნენ, ფიტცჯერალდისთვის კი სავსე მთვარის შუქი სრულიად საკმარისი იქნებოდა.

მან თითქმის ერთი საათი იცადა. დასავლეთის ცისკიდურზე მზის უკანასკნელი სხივები ჩაქრა და კოცონი უფრო მკაფიოდ გამოჩნდა. ცეცხლზე მსროლელის შავი ჩრდილი გადაწვა. „ეტყობა ვახშმისთვის მზადებითაა დაკავებულიო“, – გაიფიქრა ფიტცჯერალდმა. უკვე დრო იყო. მან თავისი ანშტადტი და ორი პისტოლეტი შეამოწმა და ნიჩბის ორი მოსმით ნავი ჩქერობში შეიყვანა და დინებას გაჰყვა. ნიჩბები მსუბუქად ეჭირა და კანოეს მხოლოდ მიმართულებას აძლევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰიუ გლასმა ბოცვრის ბარძაყს დახედა. სახსარი მოშვებული იყო. მან ფეხი გადაატრიალა, მთლიანად მოწყვიტა და წვნიან ხორცს კბილები ჩაასო.

ფიტცჯერალდი ცდილობდა ნავი ისე ემართა, რომ ნაპირისგან რაც შეიძლებოდა შორს ყოფილიყო, მაგრამ დინებას ხმელეთისკენ მიჰყავდა. კოცონი ახლა თავბრუდამხვევი სიჩქარით ახლოვდებოდა. ჯონი ხან მდინარეს გაჰყურებდა, ხან კაცს, რომელიც მისგან ზურგით იჯდა. მხოლოდ შალის საბნიდან გადაკეთებული ლაბადა ჩანდა და რაღაც ჩალის ქუდის მსგავსი. ინდიელები ასეთ ქუდს არ ატარებდნენ. თეთრკანიანი იყო ვითომ? ფიტცჯერალდის მზერა ისევ წყალს დაუბრუნდა. ბნელ ზედაპირზე მოულოდნელად უზარმაზარმა ქვამ გაიელვა, სულ რაღაც სამ იარდში მის წინ.

ნიჩაბი წყალში უფრო ღრმად ჩაჰყო და მთელი ძალით დააწვა. შემდეგ ამოიღო და ქვას მიაბჯინა. კანოემ მიმართულება შეიცვალა, მაგრამ არასაკმარისად – გვერდი ხმაურით შეასკდა ქვას და ფიტცჯერალდმა ნიჩაბი ღონივრად მოუსვა. დამალვას ახლა აზრი აღარ ჰქონდა.

გლასმა წყლის დგაფუნი გაიგონა, რასაც ღრჭიალის ხანგრძლივი ხმა მოჰყვა. მან თოფს ხელი სტაცა და ცეცხლის სინათლეს მაშინვე მოშორდა. მდინარის ნაპირისკენ გაიქცა. როგორც კი თვალი სიბნელეს შეაჩვია, ტალღებს გახედა. ნიჩბის მოსმის ხმა მოესმა და ასიოდ ნაბიჯში კანოემ გაიელვა. შაშხანა ასწია, ჩახმახი შემართა და ნავში მჯდომს ზურგში დაუმიზნა. თითი სასხლეტთან მიიტანა და გაჩერდა.

რა აზრი ჰქონდა სროლას? ვინც არ უნდა ყოფილიყო, აშკარად ჩანდა, რომ ცდილობდა იქაურობას გაშორებოდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და შეხვედრა თავიდან აერიდებინა. გლასმა ჩათვალა, რომ უცნობი მისთვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

ფიტცჯერალდი მთელი ძალით უსვამდა ნიჩბებს მდინარის მომდევნო მოსახვევამდე და შემდეგ დინებას კიდევ ერთ მილზე გაჰყვა. იქ მოპირდაპირე ნაპირისკენ მოუხვია და ღამის გასათევი ადგილის ძებნა დაიწყო. ბოლოს ნაპირზე ნავი გადააყირავა და საწოლი მის ქვეშ გაშალა. პირში აპოხტის ნაჭერი ჩაიდო. კოცონთან მჯდარ კაცზე ფიქრს თავიდან ვერ იცილებდა. უკვირდა თეთრკანიანი და ისიც დეკემბერში აქ რამ მოიყვანაო.

სანამ საბნის ქვეშ შეძვრებოდა შაშხანა და პისტოლეტები საგულდაგულოდ შეამოწმა და გვერდით დაიდო. მთვარის მკრთალ შუქზე, ნაპირს რომ ეღვრებოდა, ანშტადტის ლულა ვერცხლისფრად აელვარდა.

ბოლოს და ბოლოს კაპიტან ჰენრის ბედმა გაუღიმა. ერთმანეთზე უკეთესი ამბები ისეთი სისწრაფით იცვლებოდა, რომ დროდადრო არც კი იცოდა რა ექნა ამდენი ბედნიერებისათვის.

ჯერ ერთი ზღაპრული ამინდები დაიჭირა. მთელი ორი კვირის განმავლობაში უღრუბლო, კაშკაშა ლურჯი ცა დანათოდათ თავს. ასე რომ ორასი მილი იუნიონ ფორტიდან მდინარე ბიგჰორნთან მიტოვებულ ფორტამდე რაზმმა სულ რაღაც ექვს დღეში გაიარა.

ფორტი თითქმის ისეთივე დახვდათ, როგორიც ის ჰენრის წინა მონახულებიდან ახსოვდა. თუმცა წლების განმავლობაში შენობის კედლებს კიდევ უფრო გაცვეთა მოესწრო, მორები ძირითადად გადარჩენილიყო. ამდენად რაზმს კვირების განმავლობაში ხეების მოჭრა და თრევა აღარ დასჭირდებოდა თავშესაფრის შესაკოწიწებლად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადგილობრივ ტომებთან ურთიერთობაც, (ყოველ შემთხვევაში თავიდან) ასევე დიამეტრალურად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ჰენრი ფორტ უნიონში გადააწყდა. ალისტერ მერფის მეთაურობით მეზობელ ტომებთან – ბრტყელთავიანებთან და კროუსთან უხვი საჩუქრებით გაგზავნილი დელეგაციის მისია წარმატებული გამოდგა. ჰენრიმ იგრძნო, რომ ის თავისი წინამორბედების დიპლომატიის გამგრძელებლად ჩათვალეს. ორივე ტომმა სიხარული გამოხატა ფორტის აღდგენის გამო. სულ ცოტა, ვაჭრობისთვის მაინც, ისინი მზად იყვნენ.

კროუს განსაკუთრებით ბევრი ცხენი ჰყავდა. მერფი მათ სამოცდათორმეტი ცხენის ყიდვაზე მოელაპარაკა, კაპიტანმა ჰენრიმ გადაწყვიტა ტრაპერების ჯგუფი ბიგჰორნის მთების მდინარეებთან გაეგზავნა.

ორი კვირის განმავლობაში ჰენრი ეკლებზე იჯდა. ეჭვობდა, ნუთუ მართლა ასე კარგადაა ყველაფერი როგორც მე მესახებაო, ფიქრობდა. საკუთარ თავს ნება მისცა ცოტათი მაინც ოპტიმისტი ყოფილიყო. იქნებ ბედმა მისკენ მიიხედა.

მაგრამ იმედი ფუჭი გამოდგა.

ჰიუ გლასი ფორტი უნიონის ნარჩენების პირისპირ იდგა. ჭიშკარიც კი მიწაზე ეგდო, რადგან კაპიტანმა ჰენრიმ, როცა ფორტს ტოვებდა, ანჯამა და მეტალის ნაწილები თან წაიღო. სარებიც კი ამოგლეჯილი იყო მესრიდან. ალბათ შეშად იხმარეს მათ, ვინც კაპიტან ჰენრის უსახელო წასვლის შემდეგ შეჩერდნენ პორტში. ღამის გასათევი ერთ-ერთი ოთახის კედელი ცეცხლს გაეშავებინა. აშკარად ეტყობოდა, რომ ფორტს დაწვას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უპირებდნენ, თუმცა არც მაინცდამაინც დიდი მონდომებით. ეზოში, თოვლზე ათობით ცხენის ნაკვალევი ეტყობოდა.

ეს ქიმერების დევნაა, – გაუელვა თავში ჰიუ გლასს. რამდენი დღე იარა და იცოცა ამ წუთისაკენ? როდის იყო გრანდის ნაპირზე დათვს რომ გადაეყარა? აგვისტოში? და ახლა ხომ დეკემბერია?

უხეში კიბით კოშკზე აცოცდა და მის წინ გადაშლილ ველს თვალი მოავლო. ფორტიდან მეოთხედ მილში, რაღაც მოწითალო ლაქა გაარჩია – ათიოდე ანტილოპა თოვლს მიაპობდა და ბალახისკენ მიიწევდა. მდინარესთან ბატების გუნდი ეშვებოდა. გარშემო სხვა სულიერი არ ჭაჭანებდა.

ორი ღამე ფორტში გაათია. არ უნდოდა სწრაფად წასულიყო იმ ადგილიდან, რომლისკენაც ამდენი ხნის განმავლობაში ილტვოდა. და მაინც, ის აცნობიერებდა, რომ მიზანი ადგილი კი არ იყო, არამედ ორი კონკრეტული ადამიანი, რომლებზეც შური უნდა ეძია.

ფორტ უნიონიდან გლასი იელოუსტოუნს გაუყვა. რამდენადაც კაპიტან ჰენრის იცნობდა, საეჭვო იყო, რომ მას კვლავ გაერისკა და ზემო მისურიზე დაშვებული შეცდომა გაემეორებინა. ასე რომ, მხოლოდ იელოუსტოუნი რჩებოდა.

უკვე მეხუთე დღე იყო გზას ადგა, როცა მდინარის ნაპირის ბექზე შედგა და მიმოიხედა. თვალწინ ისეთი წარმტაცი სურათი გადაეშალა, რომ ლამის სუნთქვა შეეკრა – ბიგჰორნის მთები, ცად ატყორცნილი კლდოვანი პიკები, რომელთა მწვერვალები ღრუბლებში ინთქმებოდა და გვერდიდან გეჩვენებოდა, რომ კლდეები დაუსრულებლად ზემოთ მიიწევდნენ. თოვლის ელვარება თვალებს უცრემლებდა და მაინც მონუსხულივით მისჩერებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაბლობში ცხოვრების ოცი წლის განმავლობაში მსგავსი არაფერი უნახავს და წარმოდგენაც კი არ შეეძლო თუ ასეთი დიადი მშვენიერება არსებობდა.

როცა საღამოობით კოცონის გარშემო ისხდნენ კაპიტანი ჰენრი ყვებოდა ხოლმე უზარმაზარ კლდოვან მთებზე, მაგრამ გლასი ფიქრობდა, რომ ის აჭარბებდა, როგორც ხდება ხოლმე. გარდა ამისა, ჰენრი, პრაგმატული ადამიანი, მთებს ისე აღწერდა, როგორც დაბრკოლებას, რომელიც დასავლეთის მიწებისაკენ სავაჭრო გზების გაყვანას უშლიდა ხელს. აღმოჩნდა, რომ მისი მონაყოლი ვერ გადმოსცემდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც გლასს მასიური მწვერვალების ხილვისას დაეუფლა, თუმცა მისთვის კაპიტნის პრაქტიკული მოსაზრებებიც გასაგები იყო. ბეწვეულის გადატანა ასეთ მთებში და ღრანტეებში უბრალოდ შეუძლებელი გახლდათ.

იელოუსტოუნის ნაპირებს მიუყვებოდა და რაც უფრო უახლოვდებოდა მთებს, მით უფრო მეტი აღტაცება იპყრობდა. იმ ადამიანებისგან განსხვავებით, ვინც გოლიათი მთების სიახლოვეს თავს დამცირებულად გრძნობდა, გლასი მათი დიდებულებით ტკბებოდა. ისე აღიქვამდა მათ როგორც სიწმინდეს, როგორც უკვდავების სიმბოლოს, რომლის გვერდით ყოველდღიური ადამიანური ამაოება აზრს კარგავდა.

.....

ფიტცჯერალდი მორების უხეში მესრის გარეთ იდგა, დაბალი კაცი კი ჭიშკრის ზემოთ, მიწაყრილზე და ჯონის დაკითხვას უწყობდა.

– სენტ-ლუისში გზავნილი მიმაქვს კლდოვანი მთები ბეწვეულის კომპანიის წარმომადგენლის, კაპიტან ჰენრისგან, – დაზეპირებული პასუხი გასცა ფიტცჯერალდმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კანოეში ხანგრძლივი ყოფნისას ცდილობდა რაც შეიძლება დამაჯერებელი ტყუილები მოეგონებინა.

– კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანია? – ჩაიფ-რუტუნა დაბალმა. – ერთ-ერთი თქვენგანი ახლახან ვნახე საპირისპირო მიმართულებით მიდიოდა. კაცი რომ წითელკანიანს შემოუჯდება ცხენზე! თუ შენც მისი კომპანიიდან ხარ, გადაიხადე მისი დანახარჯი.

იმის გაფიქრებაზე, რომ თეთრკანიანი, რომელიც მან მდინარის ნაპირას დაინახა შეიძლებოდა ჰენრის რაზმიდან ყოფილიყო, ფიტცჯერალდს სუნთქვა შეეკრა.

– გზაში ავცდით ერთმანეთს ეტყობა, – სასხვათაშო-რისოდ თქვა მან. – რა ჰქვია, ხომ არ გახსოვს?

– არა, მის სახელს ვერ ვიგონებ. – თქვა დაბალმა – ერთი თუ ორი რაღაც წაილო ჩვენგან და წავიდა.

– როგორ გამოიყურებოდა?

– ჰო, ეს კი მახსოვს. მთელ სახეზე ჭრილობები ჰქონ-და, თითქოს რაღაც გარეულმა ცხოველმა დაღეჭაო.

გლასი! ცოცხალი! ეშმაკს წაუღია მაგის თავი.

ფიტცჯერალდმა ორი თახვის ტყავი აპოხტზე გადაცვალა და წყლისკენ აჩქარებით გაემართა. დინებაზე ადრინდებურად მიყოლა მას ახლა არასაკმარისად ეჩვენებოდა. ნიჩბები სწრაფად მოუსვა. ამ ადგილებს სასწრაფოდ უნდა გასცლოდა. საითკენაც არ უნდა წა-სულიყო გლასი, თუნდაც საპირისპირო მიმართულებით – „იმ ძაღლიშვილის“ ზრახვებში ფიტცჯერალდს ეჭვი არ ეპარებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 21

31 დეკემბერი, 1823

დაახლოებით შუადღე იქნებოდა, როცა თოვა დაიწყო. ღრუბლები შეუმჩნევლად იყრიდა თავს და მზეს თანდათან ფარავდა. ჰენრის და მის რაზმელებს ეს გამოეპარათ.

თუმცა სანერვიულო არაფერი ჰქონდათ. რემონტი უკვე დაამთავრეს და განახლებული ფორტი ბუნების ყველანაირი სიურპრიზისთვის მზად იყო. გარდა ამისა, კაპიტანმა ჰენრიმ დღე დღესასწაულად გამოაცხადა და რაზმს ალკოჰოლის დალევის ნება მისცა, რამაც არნახული ენთუზიაზმი გამოიწვია.

ჰენრი საქმეში ხშირად ხელმოცარული კაცი იყო, მაგრამ ესმოდა, რომ ადამიანს სტიმული სჭირდება. სასმელი მან საფუარისა და ცირცველის შინაური ლუდისგან დაამზადა და ერთი თვის განმავლობაში მისი არსებობის შესახებ არავინ იცოდა. ნაყენი მწარე გამოვიდა. დალევისას სახე ემანჭებოდათ, თუმცა ამის გამო მასზე უარი არავის უთქვამს. მალე მთელი რაზმი შეზარხოშებული იყო.

ჰენრიმ თავისიანებს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა. ის, ასე თუ ისე, ვიოლინოზე უკრავდა და პირველად, მრავალი თვის განმავლობაში სურვილი გაუჩნდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელში ხემი აეღო. ულერად მელოდიას შემთვრალი კაცეგის სიცილ ხარხარი ეხმიანებოდა. ვიწრო დარბაზში დიდი მხიარულება სუფევდა.

მხიარულების ერთგვარ ცენტრად იქცა ღორუკა, რომლის ვეებერთელა სხეული ბუხრის წინ იყო გაშოტილი. მიუხედავად დიდი წონისა, ალკოჰოლი მას ადვილად ეკიდებოდა.

– მოკვდა, თუ რა სჭირს, – თქვა შავმა ჰარისმა და მუცელში ფეხი ამოარტყა. ფეხსაცმელი თავის ქუსლიანად ქონის ნაკეცებში ჩაიკარგა, მაგრამ ამას ღორუკასგან არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია.

– ჰოდა თუ მოკვდა ... თქვა ალკოჰოლისგან შეთამამებულმა პატრიკ რობინსონმა, რომლის ხმა აქამდე არავის გაეგონა. – თუ მოკვდა ღირსეულად უნდა დავასაფლავოთ.

– ასეთ სიცივეში? – თქვა სხვა რაზმელმა – სუდარა არ ეყოფა, ვითომ?

ამ აზრს დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. მაშინვე საიდანღაც ორი საბანი, ნემსი და სქელი ძაფი გაჩნდა. რობინსონმა, რომელიც კარგად გაწაფული მკერავი გახლდათ, ღორუკას უზარმაზარ სხეულზე სუდარის შემოკერება დაიწყო. შავმა ჰარისმა გულისამაჩქროლებელი გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოთქვა. დანარჩენებმაც ქების სიტყვები არ დაიშურეს.

– ის კარგი კაცი იყო, ღვთისმოშიში, – თქვა ერთერთმა მათგანმა – გიბრუნებთ მას უფალო, როგორც უბიწოს, რომელსაც არასოდეს შეხებია... საპონი.

– თუ მის აწევას შეძლებ უფალო, – გამოეხმაურა მეორე, – გთხოვთ და გევედრებით სხვა სამყაროში გადაათრიო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დამკრძალავი ცერემონიიდან იქ მყოფთა ყურადღებამ ცხარე დავაზე გადაინაცვლა, რომელიც კუთხიდან ისმოდა. ალისტერ მერფი და ჩასკვნილი ბილი იმის შესახებ კამათობდნენ პისტოლეტიდან უკეთ რომელი ისროდა. მერფიმ ბილი დუელში გამოიწვია და თუმცა ჰენრიმ ამის გაკეთება კატეგორიულად აუკრძალა, ყველას მისცა ნება ნიშანში სროლაში შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

თავიდან ჩასკვნილმა ბილმა წინადადება წამოაყენა მოწინააღმდეგის თავზე დადგმულ თუნუქის ტოლჩას ვესროლოთო, მაგრამ შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მთვრალი იყო, მიხვდა მტრის წინ ცოცხალ სამიზნედ დგომა სახიფათო გახლდათ. შეიძლებოდა განგებ მოეხვედრებინათ მეტოქისათვის და შემთხვევისთვის დაებრალებინათ. ბოლოს გადაწყვიტეს ტოლჩა ღორუკას თავზე დაედოთ და ესროლათ. მერფიც და ჩასკვნილიც მას მეგობრად მიიჩნევდნენ და კარგი სტიმული ექნებოდათ, ნიშანში მოსახვედრად. უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი ღორუკა ტანზე შემოკერილი სუდარით კედელთან წამოაჯინეს და თავზე ტოლჩა დაადგეს.

როცა უძრავი სხეული დაინახა, სამიზნეში აქეთ-იქით რომ ირწეოდა, ჩასკვნილი ბილი შეყოყმანდა. მას ღორუკას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, პირიქით, მოსწონდა კიდეც ის. ვერ არის კარგი გართობაო, გაიფიქრა. მოკლე ზურგი ოფლის წვეთებმა დაუნამა. ორივე მხრიდან მაყურებლები მისჩერებოდნენ. სუნთქვა გაუძნელდა და ხელი, რომელშიც პისტოლეტი ეჭირა, დაუმძიმდა და ზევით-ქვევით აუდ-ჩამოუდიოდა. შეეცადა კანკალი შეეჩერებინა, ამოისუნთქა და სუნთქვა შეიკავა. მაშინვე თავბრუ დაეხვა. აცდენა არ შეიძლება, – უთხრა საკუთარ თავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს და ბოლოს ბედს მიენდო და სასხლეტი გამოსწია და ტყვიის გავარდნასთან ერთად თვალები დახუჭა. ტყვია მორს მოხვდა, ტოლჩის ზემოთ თორმეტ დუიმში. მაყურებლებმა სიცილი ატეხეს.

– შესანიშნავი გასროლაა, ჩასკვნილო.

მერფიმ ნაბიჯი წინ გადმოდგა. – მეტისმეტად ბევრს ფიქრობ, ძმობილო, თქვა მან, პისტოლეტი ერთი დახვეწილი მოძრაობით ასწია, დაუმიზნა და ესროლა. ტყვიამ ტოლჩის ძირი გახვრიტა, ჭურჭელი კედელს შეასკდა, აირეკლა და ღორუკას ფეხებთან ზრიალით დაიფშვნა.

თუმცა ორივე გასროლას გადაურჩა, მეორე ტყვიამ ღორუკა გამოაღვიძა. უზარმაზარი სუდარა უცნაურ ფორმებს იღებდა, მკვეთრი მოძრაობით ხან გამოიწეოდა, ხან შეიწეოდა, ხანაც ზემოთ ავარდებოდა. კაცებმა ჯერ გასროლაზე იცინეს, შემდეგ სუდარის კრუნჩხვებზე იხარხარეს. შიგნიდან გამოყოფილმა დანის პირმა ქსოვილი გაჭრა ჯერ ხელი გამოჩნდა, რომელიც სუდარას გლეჯდა, მალე კი მას ღორუკას ხორციანი სახე მოჰყვა. მზის სხივებისგან თვალები ეჭუტებოდა. კაცები კიდევ უფრო ხმამაღლა ახარხარდნენ. დამცინავი წამოძახილები ერთმანეთს ცვლიდა.

– კარგი სცენაა. თითქოს ხბო იბადებაო.

დღესასწაული თოფების სროლით გაგრძელდა. ახლა ჭერში ისროდნენ. თოფისწამლის შავმა კვამლმა ოთახი აავსო. „მრავალ ახალ წელს“ – გაისმა მხიარული შეძახილები.

– ჰეი, კაპიტანო, – დაიყვირა მერფიმ. – ზარბაზნებიდანაც ხომ არ გვესროლა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰენრი წინააღმდეგი არ წასულა, თუნდაც იმიტომ, რომ რაზმის გარეთ გამოძევება იყო საჭირო, სანამ შენობას საბოლოოდ არ მიანგრ-მოანგრევდნენ. სიცილ ხარხარით და ხუმრობებით კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის წევრები სიბნელეში გამოცვივდნენ და საკმაოდ მაღალ თოვლს გადააწყდნენ.

ძლიერმა შტორმმა ისინი გააკვირვა. დღის მსუბუქი ნიავი ქარბუქში გადაზრდილიყო. მიწაზე დაახლოებით ათი დუიმი თოვლი იდო. ჯანსაღი აზროვნების უნარი რომ ჰქონოდათ შერჩენილი, ღმერთს მადლობას შესწირავდნენ ამინდმა ფორტის რემონტი რომ აცალათ. თუმცა ახლა მთელი მათი ფიქრები ზარბაზანს უტრიალებდა.

ოთხფუნტიანი ჰაუბიცი, უზარმაზარი თოფი უფრო იყო, ვიდრე ზარბაზანი. ის ფორტის დაცვისთვის კი არ იყო გამიზნული, არამედ გემებისთვის, თუმცა ფუნქცია აქაც მოუძებნეს. ის კოშკის კიდეში იდგა, ბრუნავდა და შეეძლო ფორტის ოთხი კედლიდან ორი დაეცვა. დაახლოებით სამი ფუტის სიგრძის ლულა ჰქონდა სამი გამაძლიერებელი პოჭიჭიკით, (რომლებიც მოგვიანებით არასაკმარისი აღმოჩნდა).

ზორბა კაცი, სახელად პოლ ჰოკერი თავს აქაურ მეზარბაზნედ მიიჩნევდა და იმასაც კი ამტკიცებდა 1812 წლის ინგლის-ამერიკის ომში არტილერისტი ვიყავიო. უმეტესობას მისი არ სჯეროდა, თუმცა იმაში კი ეთან-ხმებოდნენ, რომ ზარბაზნის დატენვისას ბრძანებებს ომახიანად იძლეოდა. ახლა ის სხვა ორ კაცთან ერთად კოშკზე მიდგმულ კიბეზე მიცოცავდა. დანარჩენებმა ამჯობინეს ქვემოთ დარჩენილიყვნენ და თვალი შედა-რებით უხიფათო ადგილიდან ედევნებინათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მეზარბაზნეები ადგილზე! – დაიღრიალა ჰოკერმა. – სამხედრო წვრთნა ნამდვილად გავლილი ჰქონდა, რასაც მის ხელქვეითებზე ვერ იტყოდით. გამოშტერებული მისჩერებოდნენ მას შემდგომი განმარტების მოლოდინში. ჰოკერმა ერთ-ერთ მათგანზე მიანიშნა და თქვა:

– თოფისწამალი და ჩვრები აიღე!

– შენ კი ფითილისთვის წახვალ, – უთხრა მეორეს, – ცეცხლს ბუხრიდან მოუკიდებ.

ის გასწორდა, მეთაურის პოზა მიიღო და წამოიყვირა:

– აბა, სროლას ვიწყებთ! დატენეთ!

ჰოკერის მითითებით ერთ-ერთმა კაცმა აიღო საჭირო რაოდენობით თოფისწამალი, რომელიც კოშკში ინახებოდა იმ შემთხვევისთვის, თუ სროლას დააპირებდნენ. ჰოკერმა ზარბაზნის პირს თავი ცისკენ აუწია და ლულაში თოფისწამალი ორივემ ჩაყარა, ზემოდან კი ჩვრების მუშტისოდენა ნაჭრები დააყარეს და შემდეგ მუხტი ლულაში ზუმბით ჩატკეპნეს.

სანამ შნურს ელოდნენ. ჰოკერმა ზეთიანი მუშამბა გაშალა, რომელშიც ფისტონები იდო – ბატის ფრთების სამდუიმიანი მონაკვეთები, თოფისწამლით გატენილი და ორივე მხრიდან ცვილით დაწებებული. ერთ-ერთი ფისტონი ზარბაზნის სავაზნე კოლოფის ვიწრო ნახვრეტში ჩაარჭო: როცა ფისტონთან შნურს მიიტანდნენ, ცვილი გადნებოდა და თოფისწამალს ცეცხლი მოეკიდებოდა, რომელიც, თავის მხრივ, ლულაში ჩატკეპნილ მთავარ მუხტს გაუჩენდა ცეცხლს.

მეორე მეზარბაზნე უკვე კიბეზე მიძვრებოდა. ხელში ალმოდებული ფითილა ეჭირა – გრძელი ღერძი, ბოლოში ნახვრეტით, რომელშიც სელიტრით გაჟღენთილი სქელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თოკი იყო ჩაშვებული. ჰოკერმა ფითილის ბოლოს ცეცხლი მოუკიდა. მხურვალე ელვარება ავბედითად აკიაფდა მის სახეზე. ამაყი გამომეტყველებით, ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიის კადეტის პომპეზურობით, მან დაიღრიალა:

– მოემზადეთ!

კოშკის ქვეშ შეკრებილები პირდაღებულები ელოდნენ ძლიერ აფეთქებას.

– ცეცხლი – უბრძანა მან საკუთარ თავს და ფისტონს ცეცხლი მოუკიდა. ის აშიშინდა და შემდეგ გაიჩხაკუნა. მაყურებლების მოლოდინი არ გამართლდა. ზარბაზნის ჩახველებას ტაშის შემოკვრაზე მეტი ხმა არ ჰქონდა.

– ეს რა უბედურებაა, – გაისმა ეზოდან ვიღაცის ხმა დამცინავ ხარხარსა და შეურაცხმყოფელ წამოძახილებს შორის. მაგაზე მეტ ხმას ტაფა რომ დაგერტყა რაიმეზე ის გამოსცემდა.

შეძრწუნებული ჰოკერი ზარბაზანს მისჩერებოდა. ის მიხვდა, რომ ჩაფიქრებული ტრიუმფი არ შედგა, სრული კრახით დამთავრდა და ახლა აუცილებელი იყო რაღაც გაეკეთებინა.

– ზარბაზანს ვათბობთ! – ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. – დაიყვირა მან, და შემდეგ მომთხოვნი კილოთი თქვა: – მეზარბაზნეები ადგილებზე!

ორივე მეზარბაზნე მას ახლა აჭვით უყურებდა: წარუმატებელმა გასროლამ მის რეპუტაციას საგრძნობი ზიანი მიაყენა.

– გაინძერით, იდიოტებო, – წაისისინა ჰოკერმა. – გაასამმაგეთ მუხტი! – უბრალოდ მეტი თოფისწამალია საჭირო და ყველაფერი მოგვარდება. შეიძლება ცოტა ჩვრები ჩაყარეს. უფრო მეტად დატენა მეტ წინააღ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მდეგობას შექმნის და ხმაც უფრო დიდი იქნება. მიიღებენ ძლიერ აფეთქებას, რადგან ასე ძალიან უნდათ.

ლულაში სამმაგი მუხტი ჩადეს. ჩვრები სჭიდებოდათ. ჰოკერმა ტყავის ქურთუკი გაიხადა და ლულაში ჩატენა, მაგრამ ალმოჩნდა, რომ ის საკმარისი არ იყო.

– მომეცით თქვენი ქურთუკები – უბრძანა მან დამხმარეებს.

კაცებმა მას გაკვირვებით და შეშფოთებით შეხედეს.

– ჰოკერ, ძალიან ცივა.

– მომეცით-მეთქი ეგ თქვენი დაწყევლილი ქურთუკები.

ორივე უხალისოდ დაემორჩილა. ჰოკერმა ქურთუკები ზარბაზანში ჩატენა. გამალებით ავსებდა ზარბაზნის დიდ პირს ბრბოს ღრიანცელის აკომპანიმენტით და ბოლოს სიამოვნებით შენიშნა, რომ ლულა ბოლომდე იყო გატენილი.

– მოემზადეთ! – დაიღრიალა ჰოკერმა კიდევ ერთხელ და ზარბაზანთან ალმოდებული ფითილა მიიტანა.

– ცეცხლი!

ის ფითილით ფისტონს შეეხო და ზარბაზანი აფეთ-ქდა. კი არ გაისროლა, არამედ სწორედ რომ აფეთქდა. ქურთუკებმა მართლაც შექმნეს დამატებითი წინააღმდე-გობა, იმდენად ძლიერი, რომ ქვემეხი ათასობით პატარა ნამსხვრევად საზეიმოდ დაიშალა.

ერთ დიად წამს აფეთქების ალმა ღამის ცა გაანათა, შემდეგ კოშკი კვამლის ვეებერთელა ღრუბლებში გაეხვია. ტრაპერები მაშინვე მიწას განერთხნენ, რომ აეცდინათ ნამსხვრევები, რომელთა ნაწილი ფორტის კედლებში ერჭობოდა, ნაწილი კი თოვლში ეშვებოდა შიშინით. ჰოკერის ორივე დამხმარე კოშკიდან გადმოვარდა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიწას დაენარცხა. ერთმა ფეხი მოიტეხა, მეორეს ორი ნეკნი ჩაემტვრა. სიკვდილისგან ორივე ღრმა თოვლმა იხსნა.

როცა ქარმა კოშკის გარშემო კვამლი გაფანტა, ყველამ ზემოთ აღაპყრო მზერა, თვალებით მამაც არტილერისტს ეძებდნენ. კაპიტანმა ჰენრიმ დაიყვირა:

– ჰოკერ!

სიჩუმე ჩამოვარდა. ქარი კოშკს ზემოთ ჯერ კიდევ შემორჩენილ კვამლს ერეკებოდა. ბოლოს დაინახეს ხელი, რომელიც კოშკის სანგრის ზემოდან გამოჩნდა, მას მეორე ხელი მოჰყვა, მერე ჰოკერის თავი. აფეთქების ტალღამ ქუდი თავიდან გადახადა. სახე ნახშირივით შავი ჰქონდა, ყურებიდან სისხლი სდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელებით ბლოკჰაუზს იყო ჩაჭიდებული, აქეთ-იქით ირწეოდა და ძლივს ახერხებდა არ წაქცეულიყო. ელოდნენ, რომ ახლა ჰოკერი ნაბიჯს წინ წადგამდა და მოკვდებოდა, მაგრამ ამის ნაცვლად მან დაიღრიალა:

– მრავალ ახალ წელს დაესწარით, თქვე ძაღლიშ-ვილებო!

მას მოწონების გამომხატველი შეძახილებით გამოეხ-მაურნენ.

ჰიუ გლასი თოვლში წაფორხილდა და გაუკვირდა ამდენის დადება როდის მოასწროო. ხელთათმანი არ ეცვა და იგრძნო სიცივემ როგორ უსიამოდ დაუარა, როცა შიშველი ხელი დაუსველდა. ხელი მოსასხამს შიგნით შემალა და უკვე მერამდენეჯერ ინანა, ასეთ ამინდში გარეთ რომ გამოვიდა. თავიდან მსუბუქად თოვდა, ქარიც არ იყო ძლიერი და იფიქრა დროის დაკარგვა არ ღირსო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიიხედ-მოიხედა. ცდილობდა მიმხვდარიყო დაღამებამდე რა დრო რჩებოდა. ქარიშხალმა ჰორიზონტი მოაახლოვა. შორეული მთები საერთოდ აღარ ჩანდა. გლასი მხოლოდ კლდეების თხელ კონტურებს და აქა-იქ მდგარ ფიჭვის ხეებს არჩევდა. მთების ძირებიც კი თეთრ-ნაცრისფერ ღრუბლებს ერწყმოდა. ერთადერთ საიმედო ორიენტირად იელოუსტოუნის ნაპირები რჩებოდა.

ფორტ იუნიონიდან ხუთი დღის წინ გამოვიდა. ახლა მან იცოდა, რომ ჰენრიმ და მისმა რაზმმა სწორედ ეს გზა აირჩიეს. ოცდაათი კაცის კვალი ძნელი შესამჩნევი არ იყო. მდინარე ბიგ-ჰორნზე მანუელ ლიზის მიტოვებული სავაჭრო პუნქტი რუკა კარგად ახსოვდა და ეჭვი ჰქონდა, რომ კაპიტანი ჰენრი იქ გამოზამთრებას გადაწყვეტდა. თუმცა რა მანძილი გაიარა და რამდენი შეიძლებოდა ჰქონოდა დარჩენილი მას მხოლოდ ვარაუდი შეეძლო.

ტემპერატურა განსაკუთრებულად მას შემდეგ დაეცა, რაც გრიგალი ამოვარდა. ძლიერი ქარის გამო სიცივე მთელ სხეულში ატანდა. ყურები და ცხვირი გაეყინა, ხელებში თანდათან შეგრძნებას კარგავდა, თითები აღარ ემორჩილებოდა. ჭრილობებით დასუსტებული სხეული სტკიოდა. დრო იყო მოეძებნა თავშესაფარი, სადაც ცეცხლს დაანთებდა. უნდა ეჩქარა, სანამ მის თითებს ჯერ კიდევ შეეძლოთ კაჟის და კვესის დაჭერა.

საპირისპირო ნაპირი მკვეთრად მიემართებოდა ზემოთ და თუ მდინარეს გადაკვეთდა, იქ უფრო შეძლებდა უამინდობისგან თავის შეფარებას. მაგრამ მეორე მხარეს გადასვლა ახლა შეუძლებელი იყო, ნაპირზე, რომელსაც ახლა მიუყვებოდა, თავშესაფარს ვერ იპოვიდა – გაშლილ დაბლობზე ქარს ვერსად დაემალები. დაახლოებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაპირიდან ერთ მილში, თოვლის ფარდის მიღმა გლასმა ქარბუქსა და უკვე ჩამოწოლილ სიბნელეში ძლივს გაარჩია ალვის ხეების ჭალა და გადაწყვიტა მისკენ შეეხვია.

ოცი წუთი დასჭირდა იქამდე მისასვლელად. ზოგან გრიგალს თოვლი გადაეხვეტა და მიწა შავ, გაყინულ ქერქამდე მოეშიშვლებინა, სხვაგან კი ნამქერში გავლა უწევდა. მოკასინები თოვლით ამოევსო. საკუთარ თავს წყევლიდა, რომ გამაშები არ ეცვა. ტყავის შარვალი დასველდა და გაქვავდა. მუხლს ქვემოთ ფეხები დამზრალი ქერქით დაეფარა. იმ დროისთვის, როცა ჭალას მიაღწია ფეხის თითებს ვეღარ გრძნობდა.

ქარბუქი კიდევ უფრო ძლიერდებოდა. მან ჭალას მზერა მოავლო – თავშესაფრისთვის შედარებით მოსახერ-ხებელ ადგილს ეძებდა. ბოლოს დაინახა წაქცეული ალვის ხე, რომლის მიწიდან ამოგლეჯილი ფესვები ღეროს სწორი კუთხით ადგა და ორი მხრიდან იფარავდა.

შაშხანა ძირს დადო და მაშინვე ცეცხლის დანთების სამზადისს შეუდგა. პრობლემა კვარი იყო. მიწას რამდენიმე დუიმი თოვლი ფარავდა და მის ქვეშ ფოთლები, რა თქმა უნდა, სველი იქნებოდა. ალვის პატარა ტოტებიც მოსინჯა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ნედლი იყო. კიდევ ერთხელ მიმოიხედა და სულ უფრო მზარდი შეშფოთებით გააცნობიერა, რომ საღამო ახლოვდებოდა. იმ დროისთვის, როცა ყველაფერი შეაგროვა, რაც სჭირდებოდა, მუშაობა თითქმის სრულ სიბნელეში გააგრძელა.

ნაპოვნი ფიჩხი წაქცეულ ხესთან დაყარა, კოცონისთვის ორმო ამოთხარა და ცეცხლის დასანთებად ხელთათმანები გაიძრო. გაყინულ თითებს თითქმის ვერ ამოძრავებდა. პირთან მიიტანა, რომ სუნთქვით გაეთბო, მაგრამ სითბო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდხანს არ გაჰყვა – სუსხიანმა ქარმა ხელები მაშინვე გაუცივა. ქარმა მხრებსა და კისერზე დაუბერა და ძვალ-რბილში გაატანა. წამიერად შეყოვნდა, ფიქრობდა ხომ არ აჯობებს ხის მეორე მხარეს გადავინაცვლოო, მაგრამ გადაწყვიტა დარჩენილიყო. ცეცხლის დანთების მცდელობისას გაყინული თითები ვეღარ დაიმორჩილა და კაჟი ცერა თითის სახსარში მოხვდა. შეეცადა ტკივილი არაფრად ჩაეგდო და კვესზე ისევ ჩამოჰკრა. ბოლოს და ბოლოს კვარზე ნაპერწკალი გაჩნდა და ცეცხლი მოეკიდა. მთელი თავისი სხეულით გადაეფარა, რათა ჩაქრობისგან დაეცვა, მაგრამ ამ დროს ქარმა კიდევ ერთხელ მძლავრად დაუბერა, სახეში ქვიშა შეაყარა და სანამ თვალებს იწმენდდა ცეცხლი ჩაუქვრა.

მან კაჟი კვესს დაარტყა. ნაპერწკლები გაჩნდა მაგ-რამ ძალიან ცოტა კვარი იყო დარჩენილი და ცეცხლი არ ინთებოდა. სიცივისგან ხელები სტკიოდა, თითებს ვეღარ გრძნობდა და გლასმა გადაწყვიტა, რომ თოფისწამლის გარეშე კოცონის დანთებას ვერ შეძლებდა.

მან ტოტები დაუმატა, კვარს რქიდან თოფისწამალი დააყარა და კაჟი კვარზე ისევ გაჰკრა.

ორმოში ცეცხლი აინთო. გლასს ხელები შეეტრუსა და სახეზე მხურვალება იგრძნო. მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ცდილობდა არ ჩაქრობოდა ალი, რომელსაც ქარი ათამაშებდა. კიდევ ერთხელ დაუბერა და კოცონი მიინავლა, კინაღამ ჩაქრა. გლასი ცეცხლთან მოიხარა და თავისი გრძელი მოსასხამი გაშალა. დამპალი ხის დიდი ნაწილი დამწვარიყო, მაგრამ მან შვებით ამოისუნთქა, როცა დაინახა, რომ რამდენიმე დიდ ნაჭერს ცეცხლი კარგად ეკიდა. ტოტები შეამატა და ფიქრობდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ რამდენიმე წუთს კოცონს მისი ყურადღება აღარ დასჭირდებოდა.

ნახევარი საათი გავიდა. გლასი ისევ იჯდა და ლაბადით ცეცხლს იცავდა. უცებ გააცნობიერა, რომ ქარის მიმართულება შეიცვალა. ის ახლა ზურგიდან უბერავდა. ხე ქარისგან უკვე აღარ იცავდა. პირიქით, დანაქროლი ღეროდან აირეკლებოდა და პირდაპირ ცეცხლს ეცემოდა.

გლასი თანდათან პანიკამ მოიცვა. ერთი შიში მეორეს ებრძოდა. ერთი რამ ნათელი იყო: ცეცხლის გარეშე ვერ გაძლებდა, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლებოდა ასე, ლაბადით ხელში მდგარიყო მის დასაცავად – ცეცხლზე გადახრილი. გადაქანცული იყო, ქარიშხალი კი შეიძლებოდა დიდ-ხანს გაგრძელებულიყო – რამდენიმე დღესაც კი. რაღაც თავშესაფრის მსგავსი მაინც აუცილებლად სჭირდებოდა. ქარისგან, რომელიც ალვის ხეს ეხლებოდა, მის მეორე მხარეზე გადასვლით შეიძლებოდა თავის დაცვა, მაგრამ ეშინოდა ამასობაში კოცონი არ ჩამქრალიყო. ასე რომ მომხდარიყო შეძლებდა ხელახლა ცეცხლის გაჩაღებას? თანაც სიბნელეში! აბედის გარეშე! მაგრამ სხვა გამოსა-ვალი არ ჩანდა.

ლოდინს აზრი არ ჰქონდა. შაშხანა და იმდენი ტოტი აიღო, რამდენიც შეძლო და მეორე მხარეს გაიქცა. ქარმა თითქოს ახალი სამიზნე იგრძნოო, უფრო მძვინვარედ დაუბერა. მან თავი დახარა და უზარმაზარ ფესვებს გადააბიჯა. შეიკურთხა, როცა იგრძნო, რომ მოკასინებში ისევ თოვლი ჩაუვიდა.

იქ ნაკლებად უბერავდა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მეტი თოვლი იდო. შაშხანა და შეშა იქვე მიყარა, ცეცხლის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დასანთებად საკმარისი ადგილი ამოჩორკნა და უკან გაიქცა, იმის იმედით რომ კოცონი ისევ ენთო. მაგრამ სინათლე არ ჩანდა და სასოწარკვეთილმა გაიფიქრა ცეცხლიც ჩამქრალი იქნებაო.

ნაცეცხლარის ერთადერთი ნიშანი მიყრილ თოვლზე ოდნავი ჩაღრმავება იყო. გლასმა თოვლი გადაფხიკა, იმის გულუბრყვილო იმედით, ცეცხლი იქნებ მაინც ბჟუტავდესო. სიმხურვალეს თოვლი გაედნო და ტალახიან მასად ექცია. შავი ხელთათმანი დაუსველდა. ხელი ერთდროულად სიცივისგან და მხურვალებისგან აეწვა.

ისევ ხის, შედარებით დაცულ, მხარეს გაიქცა. სახე ეწვოდა და ხელები გაუხევდა. ფეხებს ყურადღებას არ აქცევდა, ეს ადვილი იყო, რადგან მუხლებს ქვემოთ ვეღარაფერს გრძნობდა. ქარის მიმართულება აღარ იცვლებოდა და მისი ადგილი ახლა რამდენადმე დაცული იყო, მაგრამ ტემპერატურა სულ უფრო დაბლა ეცემოდა და გლასი ფიქრობდა, რომ თუ ცეცხლის დანთებას ვერ შეძლებდა, მოკვდებოდა.

ახლა აბედის ძებნის დრო არ იყო, მაშინაც კი საკმარისი სინათლე რომ ყოფილიყო. მან გადაწყვიტა ნაჯახით ნაფოტი გაეთალა და შემდეგ თოფისწამალი დაემატებინა. იმედი ჰქონდა, რომ ეს ცეცხლის დასანთებად საკმარისი იქნებოდა. თოფისწამალი ენანებოდა, მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა. ხეში ნაჯახი ჩაასო და უცებ მისი ხმა სხვა, შორეული ჭექა-ქუხილის მსგავსმა ყრუ ხმამ გადაფარა. ვითომ შაშხანა გაისროლეს? არა, საამისოდ მეტისმეტად დიდი ხმა იყო. მეხი? ქარბუქის წინ გასაკვირი არ იქნებოდა, მაგრამ ასეთ სიცივეში?

გლასი შეჩერდა და რამდენიმე წუთით მიაყურადა. მხოლოდ ქარის წივილი ისმოდა. მან სიცივისგან ხელების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშინელი ტკივილი იგრძნო და გამოერკვა. ბოლოს და ბოლოს რაღაც გაუგებარი ხმების გამო სიბნელესა და თოვლში ხომ ვერ იხეტიალებდა. დაანთე ეს წყეული და ცეცხლი თუ შეგიძლია, შეუძახა საკუთარ თავს.

როცა ნაფოტები გამოჭრა, რქაში ჩახედა და შეეშინდა მასში იმდენად ცოტა თოფისწამალი აღმოჩნდა. როცა აყრიდა, გაიფიქრა ცოტა მომდევნო ცდისთვის ხომ არ შევინახოო. ხელები უკანკალებდა და მოზომვა უჭირდა. რქა მთლიანად დაცალა და კაჟი და კვესი მოიძებნა.

კაჟი ასწია, რომ კვესისთვის დაერტყა, მაგრამ სანამ ამას გააკეთებდა იელოუსტოუნის ღამის ველებს დამაყრუებელმა გრიალმა გადაურა. ამჯერად ჰიუმ ხმა იცნო. ზარბაზანი. კაპიტანი ჰენრი.

ის წამოიწია და შაშხანა აიღო. ქარმა ახალი ძალით დაუბერა და შეაბარბაცა, მაგრამ გლასს უკვე ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მან ღრმა თოვლში შეაბიჯა და გეზი იელოუსტოუნისკენ აიღო. იმედი ჰქონდა, რომ ჰენრის ბანაკი იმავე ნაპირზე აღმოჩნდებოდა, სადაც თვითონ იმყოფებოდა და მდინარის გადალახვა არ მოუწევდა.

ზარბაზნის დაკარგვამ კაპიტანი ჰენრი განარისხა. საბრძოლო დანიშნულების თვალსაზრისით იარაღი ფაქტობრივად უსარგებლო იყო, მაგრამ ის დაშინების ფუნქციას ასრულებდა და გარდა ამისა, თუ ყველა ნამდვილ ფორტს აქვს ზარბაზანი, ჰენრის ფორტს რატომ არ უნდა ჰქონოდა.

თუმცა კაპიტნის გარდა ეს დანაკარგი გულთან არავის მიუტანია. პირიქით, დიდმა აფეთქებამ საახალწლო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განწყობილება კიდევ უფრო გააძლიერა. გრიგალი მძვინვარებდა და ყველამ შენობას შეაფარა თავი. ზღვარგადასული ლრიანცელისა და ბრაგაბრუგისგან სახლი ზანზარებდა.

უცებ გარეთ გამავალი კარი ბოლომდე გაიღო, თითქოს რაღაც უცხო ძალამ მატერიალური ფორმა შეიძინა და სამყაროთა შორის საზღვარი დაარღვიაო. ზღურბლიდან სიცივე შემოიჭრა, კერის მყუდროება და კომფორტი ერთბაშად გაქრა, მოქეიფეებს თითქოს ყინულის თითების უსიამო მარწუხები შემოეჭდოთ.

– კარი დაკეტე, ვილაცა ხარ შე იდიოტო, – დაიღრიალა ჩასკვნილმა ბილმა ისე, რომ კარისკენ არც გაუხედავს. შემდეგ, ყველას მზერა ზღურბლისკენ გადავიდა. გარეთ ქარი წიოდა. კარში მდგარ ფიგურას თოვლში ხვევდა ქარბუქი, რომელიც თითქოს მან მოიტანა და რომლის ნაწილიც თითქოს თვითონაც იყო.

ჯიმ ბრიჯერი შეძრწუნებული მიაშტერდა მოჩვენებას, რომლის მთელი სხეული თოვლით იყო დაფარული. გაყინულ წვერსა და ქუდზე ყინვის ლოლუები ეკიდა. მოჩვენება თვით ზამთრის შემოქმედება ეგონებოდა, რომ არა მეწამული ნაიარევები სახეზე და გავარვარებული შანთივით მწველი მძვინვარე გამოხედვა. შემოსულის თვალები აშკარად ვილაცას ეძებდა.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. გაოგნებული ტრაპერები ცდილობდნენ გაეაზრებინათ რა ხდებოდა. დანარჩენებისგან განსხვავებით ბრიჯერი მაშინვე მიხვდა ყველაფერს. ასეთი ხილვა მისთვის უცხო არ იყო. დანაშაულის შეგრძნებისგან მოიკუნტა. საშინლად მოუნდა გაქცეულიყო, მაგრამ იცოდა, რომ საკუთარ თავს ვერსად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაექცეოდა და ისიც იცოდა, რომ გადარჩენილი მისთვის, ჯიმ ბრიჯერისთვის, დაბრუნდა.

სიჩუმე კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს შავმა ჰარისმა ამოისუნთქა:

– ღმერთო ჩემო, ეს ხომ ჰიუ გლასია!

გლასი გაოგნებულ სახეებს ათვალიერებდა. როცა ფიტცჯერალდი ვერ დაინახა, მოიღუშა. ჯიმ ბრიჯერის მოსაძებნად კი დიდი დრო არ დასჭირვებია. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდებოდა, ბრიჯერს გვერდით რომ არ გაეხედა. სწორედ ისე, როგორც იქ, მაშინ. როცა ბიჭის ქამარზე ჩამოკიდებული თავისი დანა დაინახა, გლასმა შაშხანა ასწია და ჩახმახი შემართა.

ველარ ითმენდა ისე უნდოდა ბრიჯერისთვის ესროლა. ასი დღე მოფორთხავდა ამ დღისკენ და აი, ბოლოს და ბოლოს შურისგების ჟამი დადგა. საკმარისი იყო იარაღის სასხლეტისთვის თითი რბილად გამოედო, მაგრამ ტყვია ვერ გამოხატავდა მძვინვარებას, რომლითაც ახლა ის იყო შეპყრობილი. თითქოს მშიერი მათხოვარი ნუგბარით სავსე მაგიდასთან დასვეს და სურდა წამიერი პაუზით დამტკბარიყო სანამ დიდი ხნის შიმშილს მოიკლავდა. გლასმა ლულა დაუშვა და შაშხანა კედელზე მიაყუდა.

ის ბრიჯერისკენ დაიძრა. კაცებმა მიიწ-მოიწიეს და გზა დაუთმეს.

– ჩემი დანა სად არის, ბრიჯერ?

გლასი პირდაპირ მის წინ იდგა. ბიჭმა თავი ასწია, რომ მისთვის შეეხედა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა. მისთვის ნაცნობი შეგრძნება იყო.

– ადექი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გლასმა მთელი ძალით გაარტყა სახეში. ბრიჯერი არ შეწინააღმდეგებია, თავის შებრუნებაც კი არ უცდია, როცა დაინახა, რომ ურტყამდნენ. ცხვირი გაუტყდა და სისხლი წამოუვიდა. წამი, რომელზეც ჰიუ ოცნებობდა დადგა. ეს სიტუაცია ათასჯერ მაინც ჰქონდა წარმოდგენილი. უხაროდა, რომ ბრიჯერს არ ესროლა და საკუთარ თავს ამ სისხლიანი ანგარიშსწორებით დატკბობის შესაძლებლობა არ წაართვა.

მეორე დარტყმამ, რომელიც ნიკაპქვეშ მოხვდა, ბიჭი უკან, მორებიანი კედლისკენ გადააგდო. გლასმა კვლავ მწველი სიამოვნება იგრძნო. ბრიჯერი კედელს შეასკდა, მაგრამ არ დაცემულა.

გლასი ისევ მიუახლოვდა და ცემა განაგრძო. როცა ბიჭის სახე იმდენად სქელი სისხლით დაიფარა, რომ მუშტი უსრიალებდა, გლასი მუცელში ცემაზე გადავიდა. ბრიჯერი წაიქცა და ჰიუ ახლა წიხლით შესდგა. ბიჭი დარტყმებზე არ პასუხობდა და თავსაც კი არ იცავდა. ისიც ელოდა ამ დღეს. მანაც იცოდა, რომ პასუხი უნდა ეგო და წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა.

ბოლოს ბრბოს ღორუკა გამოეყო. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მთვრალი იყო, მიხვდა ამ სისხლიანი სცენის მიზეზი რა შეიძლებოდა ყოფილიყო. აშკარად ჩანდა, რომ ფიტცჯერალდმა და ბრიჯერმა გლასის შესახებ იცრუეს. და მაინც, მას შეეცოდა ამხანაგი, რომელსაც ასეთი სისასტიკით კლავდნენ. ღორუკამ გლასს ზურგში ხელი ჩაავლო. მაგრამ ამ დროს მასაც უკნიდან ჩაეჭიდნენ და გვერდით გაათრიეს.

– თქვენ ნებას აძლევთ, რომ ბრიჯერი ასე მოკლან?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მე არ ვაპირებ ჩავერიო, – უპასუხა კაპიტანმა. ლორუკას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ჰენრიმ მაშინვე დასძინა:

– ეს გლასის გადასაწყვეტია.

ჰიუმ ბრიჯერს წიხლი კიდევ ერთხელ ამოარტყა და ბიჭმა, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა თავი შეეკავებინა, ამოიკვნესა. გლასი მიწაზე განრთხმულ სხეულზე იდგა და ხვნეშოდა. საფეთქლებში სისხლი ასხამდა. ისევ ქამარზე ჩამოკიდებული დანა მოხვდა თვალში. გაახსენდა იმ დღეს, მდელოს კიდესთან მდგარმა ბრიჯერმა ფიტცჯერალდისგან ნასროლი დანა როგორ დაიჭირა. მისი, გლასის დანა! ის ბიჭზე დაიხარა, ქარქაშიდან გრძელი დანა ამოიღო. ხელმა ნაჩვევი სახელური იგრძნო. გაახსენდა ეს დანა რამდენჯერ იყო მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მრავალთვიანი ტანჯვა-წამების განმავლობაში და კვლავ სიძულვილი მოუზღვავდა.

ეს იყო წამი, რომელზეც ასე დიდხანს ოცნებობდა.

და შურისძიების ეს ნანატრი წამი უფრო ტკბილიც კი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა.

დანა ხელში უფრო კარგად მოიმარჯვა. ისღა დარჩენოდა მოექნია.

მის ფეხებთან მწოლიარე ბრიჯერს შეხედა და უცებ ყველაფერი შეიცვალა. აღტაცების შეგრძნება გაუქრა. ბრიჯერის თვალებში ბოღმის ნატამალი ვერ დაინახა. მხოლოდ შიში! არავითარი პროტესტი – სრული მორჩილება და ბედს შეგუება.

დაიცავი თავი ბოლოს და ბოლოს – კინაღამ დაიყვირა გლასმა. წინააღმდეგობის თუნდაც მცირე გამოვლენა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სჭირდებოდა, დანის უკანასკნელი, სასიკვდილო მოქნევა რომ გაემართლებინა.

არაფერი მსგავსი.

გლასს ხელში ისევ დანა ეჭირა და ბიჭს თვალს არ აშორებდა. ბიჭს! ღალატის შესახებ მოგონებები მის წარმოსახვაში სხვა სურათებმა გადაფარა – როგორ უვლიდა ბრიჯერი მის ჭრილობებს, როგორ ედავებოდა ფიტცჯერალდს. თვალწინ წარმოუდგა მისურის ნაპირზე მწოლიარე ლა ვიერჟის განაცრისფრებული სახე.

გლასს სუნთქვა დაუწყნარდა. მისი საფეთქლები გულისცემის სინქრონულად აღარ პულსირებდნენ. მან ოთახი მოათვალიერა და ერთბაშად გააცნობიერა, რომ ათეულობით თვალი უყურებდა. დანას დახედა და ქამარში გაიკეთა. ბრიჯერს ზურგი აქცია. უცებ მიხვდა, რომ საშინლად ციოდა. ცეცხლთან მივიდა და გასისხლიანებული ხელები მიაფიცხა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 22

27 თებერვალი, 1823

ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც გემი „მედი-სონი“, რომელიც შაქრით, რომითა და სიგარებით იყო დატვირთული, კუბიდან სენტ-ლუისში ჩავიდა. მართალია, უილიამ ეშლის მოწევა ძალიან უყვარდა, მაგრამ ახლა ტუჩის კუთხეში გაჩრილი კუბის სიგარა მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ანიჭებდა. მიზეზი მან, რა თქმა უნდა, იცოდა. ყოველდღე, როცა ნაპირზე გამოდიოდა, კარიბის სუვენირებით დატვირთულ თბომავლებს კი არ ათვალიერებდა, არამედ პიროგებს, რომელთაც შორეული დასავლეთიდან ბეწვეული მოჰქონდათ. ენდრიუ ჰენრისა და ჯედიდაი სმიტისგან უკვე ხუთი თვე იყო არაფერი ისმოდა. მთელი ხუთი თვე!

ეშლი კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის გა-ნიერ კაბინეტში დააბიჯებდა. მთელი დღის განმავლობაში ერთხელაც არ ჩამომჯდარა. კედელზე ჩამოკიდებულ უზარმაზარ რუკასთან შეჩერდა. მკერავის მანეკენის მსგავსად ნემსებით დაჩხვლეტილ რუკაზე ფანქრით მდი-ნარეების, ნაკადულების, სავაჭრო პუნქტების და სხვა საჭირო ობიექტების ადგილმდებარეობა იყო მონიშნული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა ზემო მისურისკენ მიმავალ გზას უყურებდა, ცდილობდა მოსალოდნელ კრახზე ფიქრი თავიდან მოეშორებინა. სენტ-ლუისის დასავლეთით მდინარესთან ერთ წერტილს დააკვირდა. იქ მისი ნავი ჩაიძირა, რომელსაც ათი ათასი დოლარის ღირებულების ტვირთი გადაჰქონდა. ქინძისთავის გვერდით – არიკარას სოფლები, სადაც თექვსმეტი კაცი მოუკლეს და სადაც რეგულარულმა ჯარმაც კი ვერ შეძლო მისი რაზმისათვის გზა გაეწმინდა. აი, მისურის საქცევი მანდანას დასახლებებით სადაც ორი წლის წინ მისი სამოცდაათი ცხენი ასინიბოინის ტომს დარჩა. იმის იქით კი, ფორტ უნიონის მიღმა, მისურის ჩანჩქერებთან ის ადგილი იყო, სადაც ჰენრიმ ქვემოთ ჩაუხვია და შავფეხიანების თავდასხმის შემდეგ მდინარეს დაუყვა.

ეშლიმ დახედა წერილს, რომელიც ხელში ეჭირა. ერთ-ერთი ინვესტორი მოითხოვდა მისთვის „ანგარიშის წარდგენას მისურიზე გაგზავნილი რაზმის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ“. წარმოდგენა არ ჰქონდა რა ეპასუხა. მანაც ხომ ენდრიუ ჰენრის და ჯედიდაი სმიტის ექსპედიციაში მთელი თავისი ფული ჩადო.

ეშლი ცდილობდა ემოქმედა, რაღაც მაინც გაეკეთებინა. მაგრამ არაფერი შეეძლო. ისღა დარჩენოდა დაეცადა და მოვლენების განვითარებას დაკვირვებოდა. მან უკვე მოახერხა და ახალი ნავისა და მარაგებისათვის სესხი აეღო. ნავი მდინარეზე იცდიდა. ტვირთი შეფუთული იყო. რაზმში უფრო მეტი ხალხი ჩაეწერა ვიდრე საქმეს სჭირდებოდა. კვირები გაატარა სიების შესწავლაში, რომ განცხადების შემომტანი ასი კაციდან ორმოცი შეერჩია. აპრილში თვითონ წაუძღვებოდა მათ ზემო მისურისაკენ, თუმცა მანამდე ერთ თვეზე მეტი იყო დარჩენილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა რა მიმართულებით უნდა წასულიყო წარ-მოდგენა არ ჰქონდა. როცა წინა აგვისტოში ჰენრის და სმიტის ექსპედიციას ამზადებდა, მაშინ სამივემ ერთად გადაწყვიტა, რომ შიკრიკების მეშვეობით ადგილი დაეთ-ქვათ და სადმე გზაში შეხვედროდნენ ერთმანეთს.

უილიამ ეშლი ისევ რუკას მიუბრუნდა და მდინარე გრანდის აღმნიშვნელ ხაზს თითი გადაუსვა. მას ახსოვდა როგორ ავლებდა ამ ხაზს ფანქრით და მდინარის შესაძლო მიმართულებაზე ფიქრობდა. ხომ არ შეეშალა? იქნებ გრანდი უხვევდა და ფორტ უნიონისკენ პირდაპირ არ მიდიოდა. რამდენი ხანი დასჭირდა ჰენრის და მის რაზმს ფორტამდე მისასვლელად? როგორც ჩანდა უფრო მეტი, ვიდრე ეგონათ რადგან მათგან შემოდგომის ნანადირევის ბეწვეულს ეშლიმდე ჯერ კიდევ არ მიეღწია. ცოცხლები იყვნენ კი საერთოდ?

კაპიტანი ენდრიუ ჰენრი, ჰიუ გლასი და შავი ჰარისი მდინარე ბიგ-ჰორნის ნაპირზე, ფორტში, უკვე მინავლებულ კერასთან ისხდნენ. ჰენრი ერთი წუთით გავიდა, იღლია შეშით დაბრუნდა და ცეცხლში ერთი ღერი შეაგდო, რომელსაც ალი მაშინვე მოედო.

– სენტ-ლუისში შიკრიკი უნდა გავგზავნო, – თქვა ჰენრიმ, – ეს აქამდეც უნდა გამეკეთებინა, მაგრამ დავიცადე სანამ აქ დავფუძნდებოდით.

გლასმა მაშინვე გადაწყვიტა ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა:

– მე წავალ, კაპიტანო.

ფიტცჯერალდი ანშტადტის შაშხანით ახლა ალბათ მისურის ქვემო ნაწილში იმყოფებოდა. გარდა ამისა, ჰენრის კომპანიაში გატარებულმა ერთმა თვემ, მას კიდევ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთხელ შეახსენა, უილბლობის შესახებ, კაპიტანს მუდამ თან რომ სდევდა.

– ძალიან კარგი! სამ კაცს და ცხენებს გაგაყოლებ. ალბათ დამეთანხმები, რომ მისურისგან შორს უნდა დაიჭიროთ თავი.

გლასმა თავი დაუქნია: – ვფიქრობ აჯობებს მდინარე პაუდერი ვცადოთ პლატემდე. ასე უფრო ახლოა ფორტ ატკინსონამდე.

– რატომ გრანდით არა? – ჰკითხა ჰენრიმ.

– იმიტომ, რომ იქ მეტი შანსია არიკარას გადავეყაროთ. გარდა ამისა, თუ გაგვიმართლებს პაუდერზე შეიძლება ჯედ სმიტს შევუერთდეთ.

მომდევნო დღეს ღორუკამ, თავისი რაზმელისგან, სახელად რედ არჩიბალდისგან, შეიტყო, რომ ჰიუ სენტ-ლუისში ბრუნდებოდა და კაპიტნის გზავნილი მიჰქონდა უილიამ ეშლისათვის. ის მაშინვე ჰენრისთან მივიდა და სურვილი გამოთქვა გლასს გაჰყოლოდა. ფორტის ერთგვარი კომფორტის მიტოვება და სახიფათო გზაზე დადგომა არ უნდოდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ დარჩენა მისთვის კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. იცოდა, რომ ტრაპერობა მისი საქმე არ იყო. თავისი ძველი, უბრალო ცხოვრება ენატრებოდა. ოცნებობდა სახლში დაბრუნებულიყო და მეკასრეს ისევ შეგირდად დადგომოდა.

გლასთან ერთად წასვლის სურვილი რედმაც განაცხადა, თავის მეგობართან, მრუდეფეხებიან ინგლისელთან – უილიამ ჩაპმანთან ერთად. რედის და ჩაპმანს კარგა ხანია რაზმის მიტოვება ჰქონდათ ჩაფიქრებული და ცნობამ, რომ სენტ-ლუისში შიკრიკებს აგზავნიდნენ სულზე მიუსწროთ. კაპიტანი ჰენრი მოხალისეებს ანაზღაურების დამატებასაც კი დაჰპირდა, ასე რომ, გლასთან ერთად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წასვლა ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო მათთვის. დაჯერებაც კი უჭირდათ, რომ ბედმა ასე გაულიმათ.

– ფორტი ატკინსონის სალუნი თუ გახსოვს? – ჰკითხა რედმა.

ჩაპმანმა გაიცინა. რა თქმა უნდა ახსოვდა. სწორედ იქ დალია ბოლოს კარგი ვისკი, სანამ მისურის ზემო ნაწილს შეუყვებოდა.

ფიტცჯერალდს ფორტ ატკინსონის სალუნში გამეფებული ხმაური და ღრიანცელი არ ესმოდა. ის თვალს არ აცილებდა თავის კარტს, რომელიც ერთი-მეორის მიყოლებით ამოჰქონდა ჭუჭყიანი ფეტრიდან და მაგიდაზე დებდა. ტუზი. (იქნებ ბოლოს და ბოლოს გაუმართლოს) ხუთი, შვიდი, ოთხი, ტუზი! შესანიშნავია. მაგიდას თვალი მოავლო. მლიქვნელური გამომეტყველების ლეიტენანტმა, რომელსაც თავის წინ მონეტები ჰქონდა დახვავებული, მაგიდაზე სამი კარტი ისროლა და განაცხადა:

– ვიღებ სამს და ჩამოვდივარ ხუთ დოლარს.

მარკიტანტმა ყველა თავისი კარტი ძირს დააგდო:

– მე გავიარე.

ახოვანმა მენავემ ერთი კარტი ჩამოაგდო და ხუთი დოლარი მაგიდის ცენტრისკენ მისწია.

ფიტცჯერალდმა სამი კარტი დააგდო. გონებაში თავის შანსებს გამალებით ანგარიშობდა.

მენავე იდიოტია, ალბათ სტრიტს ან ფლეშს იყვანს. ლეიტენანტს ალბათ წყვილი უჭირავს, მაგრამ ტუზს ვერ გაჭრის.

– შენი ხუთი და ხუთი ზემოდან, – განაცხადა ჯონიმ.

– ჩემი ხუთი და შენი ხუთი ზემოდან რით? – ჰკითხა ლეიტენანტმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიტცჯერალდს სახეში სისხლი მოაწვა და საფეთქლებში ნაცნობი ფეთქვა იგრძნო. ასი დოლარი უკვე წააგო – მთელი ის თანხა, რომელიც მარკიტანტმა თახვის ტყავისთვის მისცა.

– კარგი, რაც არის არის, ძველო, – მიუბრუნდა ის მარკიტანტს. – თახვის ტყავის დარჩენილ ნახევარსაც მოგყიდი. ფასი იგივე იქნება. ხუთი დოლარი ერთი ტყავისათვის.

ვაჭრობაში მარკიტანტი გაცილებით უკეთ აზროვნებდა, ვიდრე პოკერში.

– ფასები საღამოსთვის დავარდა. სამ დოლარს გადაგიხდი.

– არამზადა ხარ, – წაისისინა ფიტცჯერალდმა.

– რაც გინდა ის დამიძახე, – გამოეპასუხა მარკიტანტი. – არაფერს არ დაგიმატებ.

ჯონიმ პომპეზურ ლეიტენანტს კიდევ ერთხელ შეხედა და მარკიტანტს თავი დაუქნია. მან ტყავის ქისიდან მონეტები ამოიღო, სამოცი დოლარი გადათვალა და წინ დაუდო ფიტცჯერალდს, რომელმაც ათი დოლარი მაგიდის ცენტრისკენ მისწია.

დამრიგებელმა ერთი კარტი მენავეს გადაუგდო, სამსამი ფიტცჯერალდს და ლეიტენანტს. ფიტცჯერალდმა თავისი აიღო. შვიდიანი, ვალეტი, სამი. ღმერთმა დასწყევლოს! ცდილობდა უშფოთველი გამომეტყველება ჰქონოდა. ზემოთ აიხედა და დაინახა, რომ ლეიტენანტი თვალს არ აშორებდა. ტუჩების კუთხეებში თითქოს ღიმილს მალავდა.

„უჰ, შე ძაღლის შვილო“ – გაიფიქრა ფიტცჯერალდმა და დანარჩენი თავისი ფული მაგიდის ცენტრისკენ მისწია.

– პლუს ორმოცდაათი დოლარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მენავემ დაუსტვინა და თავისი კარტი მაგიდაზე დაყარა.

ლეიტენანტმა კონში ჩადებულ ფულს შეხედა და მერე მზერა ფიტცჯერალდზე გადაიტანა.

– ეს ბევრი ფულია, მისტერ ... როგორ თქვით? ფიტცპატრიკი?

ჯონიმ თავი ძლივს შეიკავა: – ფიტცჯერალდი.

– ჰო, ფიტცჯერალდი. უკაცრავად.

მან მოწინააღმდეგე თვალით გაზომა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ლეიტენანტს ახლა ნერვები აღარ ეყოფოდა და ფარ-ხმალს დაყრიდა.

ლეიტენანტმა, რომელსაც კარტი ერთ ხელში ეჭირა, მეორე ხელის თითებით მაგიდაზე დააკაკუნა. ტუჩები მოკუმა, რის გამოც გრძელი ულვაშები კიდევ უფრო ქვემოთ ჩამოუვიდა. ფიტცჯერალდი ამან გააღიზიანა. განსაკუთრებით მისი გამოხედვა აცოფებდა.

– ვათანაბრებ. – განაცხადა ლეიტენანტმა.

ფიტცჯერალდმა მუხლებში სისუსტე იგრძნო. კბილები ერთმანეთზე დააჭირა და ორივე ტუზი ამოაბრუნა. ლეიტენანტმა ამოისუნთქა.

– წყვილი ტუზი, – თქვა მან. – ტუზები ჩემს წყვილს კი მოერეოდნენ, მაგრამ – მან მაგიდაზე ორი სამიანი დაყარა, მაგრამ საქმე ის არის, რომ კიდევ მაქვს ... – და მაგიდაზე ერთი სამიანიც დააგდო. – მე ვფიქრობ დღეს თქვენი თამაში დამთავრებულია, მისტერ ფიტც ... როგორც არის, თუ ჩვენი კეთილი მარკიტანტი თქვენი პატარა კანოეს ყიდვას არ მოისურვებს. – ლეიტენანტმა მაგიდის ცენტრში დაყრილი კონის ფულისკენ წაიღო ხელი. ფიტცჯერალდმა ქამრიდან დანა ამოიღო, ლეიტენანტს ხელის ზურგში ჩაარჭო და მაგიდაზე ჩააჭედა. შემდეგ ვისკის ბოთლი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აილო, უილბლო ლეიტენანტს თავზე დაამსხვრია და ის იყო მისთვის ყელის გამოჭრას აპირებდა, როცა ორმა ჯარისკაცმა ზურგში ჩაავლო ხელი და მიწაზე დააგდო.

ღამე ჰაუპტვახტში გაატარა, დილით კი ხელბორკილდადებული მიიყვანეს მაიორთან, რომელიც სასამართლო დარბაზივით მოწყობილ ლეგიონის სასადილოში იჯდა.

მაიორი დიდხანს ლაპარაკობდა მაღალფარდოვანი, ფიტცჯერალდისთვის არაფრისმთქმელი, სიტყვებით. დაზარალებული ლეიტენანტიც იქ იყო. ხელი სისხლიანი ბინტით ჰქონდა შეხვეული. მაიორი მის დაკითხვას ნახევარ საათს მოუნდა. ლეიტენანტის შემდეგ მარკიტანტი, მენავე და კიდევ სამი მოწმე დაჰკითხა ბარიდან. ფიტცჯერალდს მთელი ეს პროცედურა სასაცილოდ ეჩვენებოდა – ის ხომ არ უარყოფდა, რომ ლეიტენანტს დანა ჩაარტყა.

ერთი საათის შემდეგ მაიორმა ფიტცჯერალდი იხმო.

– ტრიბუნალი თქვენ დამნაშავედ გცნობთ, – განაცხადა მან. – ნება გეძლევათ აირჩიოთ: ხუთი წელი ციხე, ან ამერიკის შეერთებული შტატების რეგულარულ ჯარში სამსახური.

იმ წელს ატკინსონის ფორტი ჯარისკაცების მეოთხედმა ნაწილმა თვითნებურად დატოვა. მაიორს უნდოდა ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა და დანაკარგი ამ ჯერზე ერთი კაცით მაინც შეევსო.

ფიტცჯერალდს გადაწყვეტილების მიღება არ გასჭირვებია. ჰაუპტვახტი რაც იყო მან უკვე გამოსცადა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ადრე თუ გვიან გაქცევას მაინც შეძლებდა. ჯარიდან ამას უფრო ადვილად მოახერხებდა.

იმავე დღეს ჯონ ფიტცჯერალდმა მარჯვენა ხელი ასწია და ფიცი მიიღო როგორც ამერიკის შეერთებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შტატების მეექვსე ლეგიონის ახალმა რიგითმა. სანამ გაიქცეოდა ფორტი ატკინსონი მისი სახლი იქნებოდა.

ცხენის ზურგზე ფუთას ამაგრებდა, როცა ჰიუ გლასმა უცებ ჯიმ ბრიჯერი დაინახა. პირველი შეხვედრის შემდეგ ბიჭი აშკარად გაურბოდა, თუმცა ახლა ეზოდან პირდაპირ მისკენ მიემართებოდა. სიარულიც და მზერაც მტკიცე ჰქონდა. გლასმა ფუთას თავი მიანება და მოახლოებული ბიჭისკენ შებრუნდა.

ბრიჯერი შეჩერდა. – მინდა იცოდეთ, რომ ვწუხვარ იმის გამო, რაც ჩავიდინე. – წამიერად შეყოვნდა და დასძინა, – მინდოდა ამის თქმა მომესწრო სანამ წახვიდოდით.

გლასმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შეჩერდა. მისი ცემის შემდეგ ხშირად უფიქრია, ჩემთან მოვა თუ არაო. გრძელი, ჭკუისდამრიგებლური ლექციაც კი ჰქონდა მისთვის მომზადებული. მაგრამ ახლა, როცა ბრიჯერს შეხედა, სიტყვები ერთბაშად დაავიწყდა. რაღაც მოულოდნელი შეგრძნება გაუჩნდა ბიჭის მიმართ – შეცოდებისა და პატივისცემის უცნაური ნარევი.

– მისდიე შენს ვარსკვლავს, ბრიჯერ, – უბრალოდ თქვა ბოლოს ბრიჯერმა და ცხენისკენ შებრუნდა.

ერთი სათის შემდეგ ჰიუ გლასი სამ თანამგზავრთან ერთად ფორტიდან მდინარე პაუდერის მიმართულებით მიდიოდა, შემდეგ კი პლატესკენ ედოთ გზა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 23

6 მარტი, 1824

ჩამავალი მზის ანაშუქები, ჯერ კიდევ რომ ლიცლიცებდა მწვერვალებზე, თვალსა და ხელს შუა ინავლებოდა. დღის ფერები და ბგერები ქრებოდა. ქარის წივილი შეწყდა. დაბლობზე მდუმარება გამეფდა. მკაფიო, ნათელი ფერები იდღაბნებოდა და ბუნდოვანდებოდა.

უკიდეგანო, ჰორიზონტამდე გადაჭიმული სივრცე მარადიულობასა და ღვთაებრივ განგებულობაზე ფიქრს აღძრავდა. გლასი დასავლეთის უსაზღვრო ველებს გასცქეროდა და ლამის ფიზიკურად შეიგრძნობდა რაღაც განუზომლად დიდის, ადამიანური გონებისთვის მიუწვდომლის არსებობას.

კიდევ უფრო ჩამობნელდა. გლასი ხედავდა ცაზე ვარსკვლავები როგორ ჩნდებოდა – თავიდან მკრთალი, შემდეგ კი კაშკაშა – შუქურასავით. ვარსკვლავების საშუალებით ორიენტაცია მას სიყმაწვილეში ასწავლა მოხუცმა ჰოლანდიელმა კაპიტანმა, რომლის სიტყვები გონებაში ჩარჩა: „თუ ვარსკვლავები იცი, კომპასი აღარასოდეს დაგჭირდება“. ჰიუმ დიდი დათვის თანავარსკვლავედი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოძებნა და პოლარულ ვარსკვლავამდე გაავლო ხაზი. შემდეგ აღმოსავლეთ ჰორიზონტისკენ შებრუნდა, რომ ეხილა ორიონო – მონადირე, შურისმგებლის შემართული მახვილით.

სიჩუმე რედის ხმამ დაარღვია:

– შენ საგუშაგოზე დგომა გიწევს, ღორუკა.

ღორუკას შეხსენება არ სჭირდებოდა. მან საბანი თავზე შემოიხვია და თვალები დახუჭა.

ღამის გასათევად იყვნენ შეჩერებული მშრალ, ღრმა ხეობაში, რომელიც დაბლობს ვეებერთელა ჭრილობასავით კვეთდა. გაზაფხულობით აქ გამდნარი თოვლის წყლების ნიაღვარი მიედინებოდა, ზაფხულობით ჭექა-ქუხილი ისმოდა. ტენს მიუჩვეველი მიწა მის შთანთქმას ვერ ახერხებდა. აქ წყალი კი არ კვებავდა ნიადაგს, არამედ ანგრევდა მას.

ღორუკას ის-ის იყო ჩაეძინა, როცა რედის ჭიტლაყმა გამოაღვიძა.

– ადექი, შენი ცვლაა.

ღორუკა წამოიწია და წამოჯდა. შუაღამის ცაზე ირმის ნახტომის თეთრი მდინარე იყო გადაჭიმული. ღორუკასთვის ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ღამე ნათელი იყო და ამიტომ ცივიც. ის წამოდგა, მხრებზე საბანი მოიხურა, შაშხანა აიღო და ხეობას დაუყვა.

გუშაგის ცვლას აბზინდის ბუჩქნარიდან ორი ინდიელი-შოშონი ადევნებდა თვალს. თორმეტი წლის – პატარა დათვი და ბოცვერი. ისინი აქ ხორცისთვის იყვნენ მოსული და არა დიდების მოსახვეჭად, მაგრამ მათ თვალწინ ახლა სწორედ დიდება იდგა ხუთი ცხენის სახით. უკვე წარმოიდგინეს თავიანთ სოფელში ცხენების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭენებით როგორ შევიდოდნენ. თვალწინ ეხატებოდათ კოცონები და დღესასწაული, რომლითაც მათ დაბრუნებას შეხვდებოდნენ. ოცნებობდნენ როგორ მოუყვებოდნენ თანასოფლელებს თავიანთი გონებამახვილობისა და სიმამაცის შესახებ. ვერც კი დაეჯერებინათ, რომ ასე გაუმართლათ. აღგზნებულიც იყვნენ და შიშით შეპყრობილიც.

ჯიუტად ელოდნენ გამთენიის ხანს როცა გუშაგის სიფხიზლე მოდუნდებოდა. ბოლოს ხმამაღალი ხვრინვა გაიგონეს და ცხენებს მიუახლოვდნენ. ცხოველები მათი დანახვისას დაიძაბნენ, ყურები დაცქვიტეს, მაგრამ სიჩუმე არ დაურღვევიათ.

ცხენებთან მივიდნენ და პატარა დათვმა ხელი ნელა გაიწვდინა. ერთ-ერთს, გრძელ კისერზე ხელი გადაუსვა და რაღაც დამამშვიდებელი წასჩურჩულა. ბოცვერმაც იგივე გააკეთა და შემდეგ სხვა ცხენებზე გადავიდნენ ნდობის მოსაპოვებლად. ბოლოს პატარა დათვმა დანა ამოიღო და წინა ფეხების დუშაყის გადაჭრა დაიწყო.

როცა მეოთხე ცხენს ათავისუფლებდნენ, მოზარდებმა გაიგონეს, რომ გუშაგი შეირხა და ცხენზე შესაჯდომად მოემზადნენ, მაგრამ მალე ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ბოცვერმა ხელი აიქნია, უკვე წასვლის დროაო, მაგრამ პატარა დათვმა უარის ნიშნად თავი მტკიცედ გადააქნია და მეხუთე ცხენზე მიანიშნა. ცხოველთან მივიდა და დუშაყის გადასაჭრელად დაიხარა. დანა უკვე მოჩლუნგებულიყო და ტყავის გადაჭრა გაუძნელდა. დრო უსაშველოდ გაიწელა სასოწარკვეთილი პატარა დათვი დანას მთელი ძალით დააწვა. ტყავი გაწყდა, ხელი უკან გასხლტა და იდაყვი ცხენის წვივს მოხვდა. ცხოველმა ხმამაღლა დაიხვიხვინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხმამ ღორუკა შეაფხიზლა. შაშხანას ეცა, ფეხზე წამოვარდა და ცხენებისკენ გაიქცა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. რაღაც შავი გაარჩია. მისდა გასაკვირად ბიჭი აღმოჩნდა, ბოცვერი – ნამდვილი ბოცვერივით შეშინებული თვალებით. ერთ ხელში დანა ეჭირა, მეორეში – თოკი. ღორუკამ აღარ იცოდა რა ექნა. მისი მოვალეობა იყო ცხენებისთვის ედარაჯა, ბიჭი კი, მიუხედავად იმისა, რომ ხელში დანა ეჭირა, საკმაოდ უწყინარი ჩანდა. ბოლოს ბოცვერს შაშხანა დაუმიზნა და დაუღრიალა:

– შეჩერდი!

ბიჭი მას შეძრწუნებული უყურებდა. თეთრკანიანი აქამდე არასოდეს ენახა, მის წინ მდგომი არსება კი დათვივით დიდი მკერდით და სახეზე ხშირი, ჯაგარივით სქელი წვერით ადამიანს საერთოდ არ ჰგავდა. გიგანტი ბოცვერს მიუახლოვდა, ველურივით ღრიალებდა და იარაღით ემუქრებოდა. ბიჭს ბევრი აღარ უფიქრია – ურჩხულთან მივარდა და მკერდში დანა ჩასცა.

ღორუკამ მხოლოდ რაღაც ბუნდოვან ფორმას მოჰკრა თვალი და როცა დანა ჩაარტყეს გაირინდა. პატარა დათვი და ბოცვერიც გაშეშებული და შეშინებული იდგნენ ურჩხულის წინ. ღორუკამ ერთბაშად ფეხებში სისუსტე იგრძნო და მუხლებზე დავარდა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და სასხლეტს ხელი გამოჰკრა. თოფმა დაიგრიალა. ტყვია ცას შეერია.

ბოცვერი ფაფარს ჩაეჭიდა, ცხენზე შეხტა და რაღაც გასძახა პატარა დათვს, რომელმაც მომაკვდავ ურჩხულს უკანასკნელი მზერა შეავლო სანამ ამხანაგს უკან შემოუჯდებოდა. ცხენს ვერ იმორჩილებდნენ, ორივე მხედარმა თავი ძლივს შეიმაგრა, რომ არ გადმო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვარდნილიყვნენ. ხუთივე ცხოველი ხეობას ჭენებით დაბ-ლა დაუყვა.

ტრაპერებმა, რომლებმაც გლასის მეთაურობით გას-როლის ადგილას მიირბინეს, თვალი მოჰკრეს ცხენების მხოლოდ ბუნდოვან ჩრდილებს, რომლებიც ღამეში გაუჩინარდნენ. ღორუკა, რომელიც მკერდზე მიჭერილი ხელებით ჯერ კიდევ მუხლებზე იდგა, უცებ, მოწყვეტით ზურგზე დავარდა.

გლასი ღურუკაზე გადაიხარა და ხელები ჭრილობიდან გადააწევინა. ხალათი გაუხსნა. სამი კაცი პირქუშად მიაშტერდა შავ ხვრელს პირდაპირ გულს ზემოთ.

– მიშველე რამე, გლას, – წაიჩურჩულა ღორუკამ. – მავედრებელი და შეშინებული თვალები ჰქონდა.

გლასმა ღორუკას დიდი ხელი აიღო და რბილად მოუჭირა:

– ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება, ღორუკა, – თქვა მან.

ღორუკამ ჩაახველა და მთელი სხეული შეირყა, როგორც ხე წაქცევის წინ. მისი ხელი გლასის ხელისგულში გაიშალა.

ვეებერთელა კაცმა უკანასკნელად ამოიხვნეშა და ხეობაში, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ სული განუტევა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 24

27 მარტი, 1824

ჰიუ გლასმა მიწას დანა დაჰკრა. ის დიდი-დიდი ერთ დუიმზე ჩაესო. იმის იქით მიწა გაყინული იყო. თითქმის ერთი საათის ჯახირის შემდეგ თავს წამომდგარი რედის ხმა გაიგონა:

– ტყუილად ნუ წვალობ. ასეთ მიწაში საფლავს ვერ ამოთხრი.

გლასი წამოიწია. მძიმედ სუნთქავდა.

– რომ მომხმარებოდი იქნებ რაიმე გამოგვსვლოდა.

– მე კი დაგეხმარები, მაგრამ აზრი არა აქვს. ეს ხომ მასიური ყინულია.

ჩაპმანი ცოტა ხნით ანტილოპას ნეკნსაც კი შეელია:

– ღორუკას ხომ პატარა ადგილი არ ეყოფა.

– ფიცარნაგი ხომ არ გაგვეკეთებინა, იმის მსგავსი, ინდიელები რომ იყენებენ, – თქვა რედმა.

– რისგან? – ჩაიფხუკუნა ჩაპმანმა. – აბზინდისგან?

რედმა მიმოიხედა, თითქოს უტყეო ხეობა პირველად დაინახაო.

– და გარდა ამისა, – განაგრძო ჩაპმანმა, – ღორუკა იმდენად დიდია, მის აწევას ვერც შევძლებთ, რომ ფიცარნაგზე მოვათავსოთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ქვები ხომ არ მივაყაროთ?

ყველამ ჩათვალა, რომ შეიძლებოდა ეს ეცადათ, მაგრამ ნახევარი საათის განმავლობაში სულ რაღაც ათიოდე ცალი შეაგროვეს. ქვების ამოღებაც ხომ იგივე გაყინული ნიადაგიდან უხდებოდათ, სადაც საფლავის ამოთხრა შეუძლებელი აღმოჩნდა.

– ეს თავსაც კი არ დაუფარავს, – თქვა ჩაპმანმა.

– სახეს მაინც არ დაუკორტნიან კაჭკაჭები, – თქვა რედმა.

ჩაპმანს და რედს ძალიან გაუკვირდათ, როცა გლასი უცებ შებრუნდა და წავიდა.

სად მიდის? – იკითხა რედმა და გლასს გასძახა: – ჰეი, სად მიდიხარ?

ჰიუმ ყურადღება არ მიაქცია. პატარა ბორცვისკენ მიემართებოდა, დაახლოებით მეოთხედ მილში.

– იმედია შოშონები მაინც არ დაგვესხმებიან თავს მის არყოფნაში.

ჩაპმანმა თავი დაუქნია. – კოცონი დავანთოთ და ანტილოპები შევწვათ.

გლასი ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა.

– ამ ბორცვის ბოლოს ქვაა გამოჩრილი. ადგილი არის. ღორუკა თავისუფლად დაეტევა.

– გამოქვაბულში? – ჰკითხა რედმა.

ჩაპმანი წუთიერად ჩაფიქრდა. – რაღაც აკლდამის მსგავსი გამოვა, – თქვა მან.

გლასმა ორივე მათგანს მზერა მოავლო. – უკეთესს ჩვენ ვერაფერს მოვიფიქრებთ, – ჩააქრეთ კოცონი და წავიდეთ, – თქვა მან.

საკაცის გასაკეთებლად მასალა არ ჰქონდათ. საბნით მოუწიათ გვამის თრევა. გზაზე ერთმანეთს ენაცვლე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოდნენ: ორს მოკლული მიჰქონდა, მესამეს კი – ოთხი შაშხანა. კაქტუსებით და იუკებით მოფენილ მიწაზე სიარული უჭირდათ. საბანი ორჯერ გაუვარდათ ხელიდან და გაშეშებული სხეული მიწას ფუთასავით დაეხეთქა. ბორცვთან ნახევარ საათში მივიდნენ, ღორუკა ზურგზე დააწვინეს, საბანი დააფარეს და ქვები შეაგროვეს (ამ ადგილას მათი მოძებნა არ გასჭირვებიათ) გამოქვაბულის ამოსაქოლად. ქვიშაქვა ხუთი ფუტის სიგრძის და ორი ფუტის სიმაღლის იქნებოდა. გლასმა ღორუკას შაშხანის კონდახით ადგილი გაწმინდა. ეტყობოდა აქ ოდესღაც რომელიღაც ცხოველი აფარებდა თავს, მაგრამ ახალი კვალი არ ჩანდა.

ქვების დიდი გროვა გააკეთეს, უფრო მაღალი ვიდრე საჭირო იყო, თითქოს სურდათ ამხანაგთან გამოთხოვების დრო გადაეწიათ. ბოლოს გლასმა კიდევ ერთი ქვა დააგდო და თქვა:

– საკმარისია.

ღორუკას სხეული აიღეს, სახელდახელოდ მოწყობილ აკლდამაში შეიტანეს და დაასვენეს. ყველა მიცვალებულს უყურებდა.

გამოსათხოვარი სიტყვის თქმა გლასს მოუწია. მან ქუდი მოიხადა და დანარჩენებმაც, დარცხვენილებმა შეხსენება როგორ დაგვჭირდაო, უმალ მიბაძეს. ჰიუმ ხმა ჩაიწმინდა. ძალიან ცდილობდა „სიკვდილის ველი“-ს სტრიქონები მოეგონებინა, მაგრამ ვერ შეძლო და ბოლოს და ბოლოს „მამაო ჩვენო“ წაიკითხა. რედს და ჩაპმანს უკვე დიდი ხანი იყო არ ელოცათ, მაგრამ დროდადრო მეხსიერების კუნჭულებში შემორჩენილ სიტყვებს ბუტ-ბუტებდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა დაასრულა გლასმა თქვა:

– ლორუკას შაშხანას რიგრიგობით ვატარებთ. რედ, მისი დანა შენ ყველაზე მეტად გამოგადგება. ჩაპმან, შენ თოფისწამლის რქა აიღე.

ჩაპმანმა რქა საზეიმოდ ჩამოართვა. რედმა დანა ხელში შეატრიალა და კმაყოფილი ღიმილით თქვა:

– კარგი პირი აქვს.

გლასმა ლორუკას ყელიდან ტომსიკა შეხსნა და მიწაზე დააპირქვავა. კაჟი და კვესი, მუშკეტის რამდენიმე ტყვია, რაღაც ჩვრები და კალის ნატიფი სამაჯური, სრულიად წარმოუდგენელი ლორუკას უზარმაზარ ხელებზე. ვისი სამახსოვროა? გარდაცვლილი დედის? შეყვარებულის? ამას ვეღარასოდეს გაიგებდნენ. გლასს სევდა დაეუფლა იმ საიდუმლოს გამო, რომელსაც ფარდა არასოდეს აეხდებოდა და საკუთარ თავზე ჩაფიქრდა, იმაზე, თუ რა დარჩებოდა ამქვეყნად მისი სიკვდილის შემდეგ.

გლასმა კაჟი, კვესი და ჩვრები თავის ჩანთაში გადაალაგა. სამაჯურმა მზეზე გაიბრწყინა. რედი მისკენ წაიწია, მაგრამ კაპიტანმა მაჯაში ჩაავლო ხელი.

– მაგას ხომ მაინც აღარაფერში გამოადგება, – მორიდებულად შეეწინააღმდეგა რედი.

– არც შენ გამოგადგება.

გლასმა სამაჯური ტომსიკაში ჩააბრუნა, ლორუკას თავი აუწია და ყელზე ჩამოჰკიდა.

კიდევ ერთი საათი დასჭირდათ, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანათ. მიცვალებულს ფეხები შეუკეცეს, რომ გარეთ არ ჰქონოდა გამოშვერილი. ზემოდან საბანი გადააფარეს. ლორუკასა და ქვიშაქვის კედელს შორის ძალიან მცირე მანძილი იყი და გლასმა კარგა ხანს იწვალა, როცა სახეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უფარავდა. შემდეგ ქვები დააყარეს და შესასვლელი ჩაკეტეს. კაპიტანმა უკანასკნელი ქვა დაადო, შაშხანა აიღო და წავიდა. რედმა და ჩაპმანმა კიდევ ერთხელ შეავლეს თვალი მათ მიერ აშენებულ ქვის კედელს და გლასს უკან გაჰყვნენ.

მდინარე პაუდერზე, მთის ფერდობების გასწვრივ, კიდევ ორი დღე იარეს სანამ მდინარემ დასავლეთისკენ მკვეთრად არ შეუხვია. იქიდან ნაკადულს გაუყვნენ, რომელიც სამხრეთისკენ მიედინებოდა მლაშობის დაბლობზე – ყველაზე უარეს მონაკვეთზე, რომელზეც კი ოდესმე უვლიათ. ნაკადული დასრულდა, მაგრამ გზა კვლავ სამხრეთისკენ განაგრძეს, დაბალი მთისაკენ, რომელსაც ისეთი ბრტყელი ზედაპირი ჰქონდა მაგიდას მოგაგონებდათ. მთის წინ ფართო, მეჩხერი მდინარე – ჩრდილოეთ პლატე მიედინებოდა.

იმ დღეს, როცა მგზავრებმა პლატეს მიაღწიეს, საშინელი ქარი ამოვარდა და ერთბაშად აცივდა. შუადღისას ციდან თოვლის მსხვილი ფანტელები წამოვიდა. გლასმა, რომელსაც იელოუსტოუნის ქარიშხლის გაკვეთილები კარგად ახსოვდა, გადაწყვიტა არ გაერისკა და ამჯობინა ალვის ხეების უახლოეს ჭალაში დაბანაკებულიყვნენ. რედმა და ჩაპმანმა უხეში, მაგრამ საკმაოდ სოლიდური ფარდული ააგეს, გლასმა კი ამასობაში ირემი მოკლა და დაანაწევრა.

გვიან ნაშუადღევს ჩრდილოეთის პლატეს ველზე ქარიშხალი მძვინვარებდა. ქარი ყმუოდა და უზარმაზარ ალვის ხეებს აჭრიალებდა. გარშემო ყველაფერი სველი თოვლის სქელ სუდარაში იყო გახვეული, მაგრამ მათი თავშესაფარი ჯერჯერობით მტკიცედ იდგა. საბანში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გახვეული ტრაპერები ფარდულის წინ უზარმაზარ კოცონთან ისხდნენ. ნახშირი წითლად ღუოდა და სითბოს აფრქვევდა. ცეცხლზე ირმის ხორცი შეწვეს და ცხელმა საკვებმა ისინი შიგნიდან გაათბო. გათენებამდე ერთი საათით ადრე ქარი შესუსტდა დაიწყო და დილისთვის ქარიშხალი უკვე ჩამდგარი იყო. მზე თოვლიან დაბლობზე კაშკაშებდა და არეკლილი სხივები თვალს ჭრიდა.

გლასმა რედი და ჩაპმანი ბანაკის დასაშლელად დატოვა და მდინარის ნაპირს დინების მიმართულებით დაუყვა. თოვლში გზას ძლივს მიიკვლევდა. ზედაპირის თხელი ფენა მის წონას ვერ უძლებდა და ფეხი ხშირად უვარდებოდა. ნამქერი ზოგან წელამდე სწვდებოდა. მან იცოდა, რომ მარტის მზე თოვლს ერთ-ორ დღეში გაადნობდა, მაგრამ მანამდე მათი წინსვლა საგრძნობლად შენელდებოდა. დაკარგული ცხენები გაახსენდა და კიდევ ერთხელ შეიკურთხა. ფიქრობდა, ხომ არ აჯობებს დავიცადოთ და ხორცი მოვიმარაგოთ, რომ შემდეგ საკვების მოსაპოვებლად დრო არ დაგვეკარგოსო. ან იქნებ მაინც წასვლა სჯობდა? პლატეს ნაპირებზე შოშონების, შაიენების, პაუნების, არაპახოს და სიუს ტომები ნადირობდნენ. შეიძლება ზოგი მათგანი მტრულად არც იყო განწყობილი, მაგრამ ღორუკას მაგალითმა აჩვენა, რომ რომ საფრთხე არსებობდა და რისკის გაწევა არ ღირდა.

ბორცვის მწვერვალზე ფეხი შედგა და მოულოდნელობისგან გაირინდა. მის წინ, ას ნაბიჯში ორმოცდაათამდე ბიზონი ბალახს ძოვდა. ფარა წრიულად, მჭიდროდ იყო შექუჩული, თითქოს გუშინდელი გრიგალი ისევ ბობოქრობდა. წინამძღოლმა როგორც კი ადამიანის სიახლოვე იგრძნო, პირი იბრუნა და სხვა ცხოველებმაც მას მიბაძეს. გაიქცევიან, გაიფიქრა გლასმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუხლზე ჩაიჩოქა, მხრიდან შაშხანა ჩამოიღო, დაუმიზნა და მსუქან, დედალ ბიზონს ესროლა. ცხოველი შეტორტმანდა, მაგრამ არ წაქცეულა. ამხელა მანძილისთვის მეტი თოფისწამალი იყო საჭირო. ორმაგი რაოდენობა ჩაყარა და იმავე ბიზონს ხელახლა ესროლა. ამჯერად ტყვია მომაკვდინებელი აღმოჩნდა.

როცა შაშხანა კიდევ ერთხელ გატენა და ფარას გახედა, ჰიუ გაოგნდა ბიზონები ისე ნელა გადაადგილდებოდნენ. წინამძღოლი, ძლივს რომ მიიკვლევდა გზას, თოვლში მკერდამდე ჩავარდა.

გლასი ფიქრობდა კიდევ ერთი დედალი ბიზონი და ხბო ხომ არ მოეკლა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რომ უკვე სამყოფზე მეტი ხორცი ჰქონდათ. არადა რამდენიც მინდა იმდენის დახოცვა შემიძლიაო, სინანულით გაიფიქრა.

და უცებ რაღაც აზრი მოუვიდა და გაუკვირდა აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრეო. ფარას ორმოციოდე ნაბიჯში მიუახლოვდა, ყველაზე დიდი მამალი შეარჩია და ესროლა. შაშხანა გატენა და კიდევ ერთი ბიზონი მოკლა. უცებ მის უკან ორი გასროლის ხმა გაისმა. თოვლზე ხბო დავარდა. გლასი შებრუნდა და უკან ჩაპმანი და რედი დაინახა. რედი გახარებული ღრიალებდა.

– მხოლოდ მამალ ბიზონებს ესროლეთ, – დაუყვირა მათ გლასმა.

– რატომ? – ჰკითხა ჩაპმანმა და რედთან ერთად მიუახლოვდა. – უფრო გემრიელი არ არის?

– ჩვენ ტყავი გვჭირდება, – თქვა გლასმა. – ნავი უნდა გავაკეთოთ.

ხუთი წუთის შემდეგ პატარა ველზე უკვე თერთმეტი მამალი ბიზონი იწვა მკვდარი. ბევრად მეტი, ვიდრე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საჭირო იყო. რედიმ და ჩაპმანმა შეჩერება ველარ შეძლეს – ნადავლი თვითონ უვარდებოდათ ხელში.

გლასმა სროლის შემდეგ ლულა გაწმინდა, შაშხანა გატენა და უახლოეს ბიზონთან მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა.

– ჩაპმან, ამ ბორცვზე ადი და მიიხედ მოიხედე. მეტისმეტად ბევრი ვიხმაურეთ და ნახე ვინმეს ყურადღება ხომ არ მივიქციეთ. რედ, შენი ახალი დანა მოამზადე.

მამალი ბიზონის თვალებში სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი ქრებოდა. მის ახლომახლო თოვლზე სისხლის ტბა იდგა. ჰიუ გვერდით მწოლიარე დედალ ბიზონთან მივიდა და ყელი გამოჭრა. ის საჭმელად უნდოდათ და ამიტომ სისხლი უნდა გასდენოდა.

– რედ, მოდი ტყავი გავაძროთ. ერთად უფრო ადვილი იქნება.

ცხოველი გვერდზე გადააბრუნეს. გლასმა მუცელი მთელ სიგრძეზე გაუჭრა და ხორციდან მისი გამოცალკევება დაიწყო. რედიმ ზურგზე ტყავი გადააძრო და ბეწვით ძირს დადო. ხორციდან ამოჭრეს – ენა, ღვიძლი, კუზი და სუკი და ტყავზე დაყარეს. შემდეგ მამალ ბიზონზე გადავიდნენ.

უკან დაბრუნებულ ჩაპმანს გლასმა საქმე ისევ მოუძებნა.

– ყოველი ტყავიდან კვადრატი ამოჭერი. რაც შეიძ-ლება დიდი. ნუ დააქუცმაცებ.

რედიმ, რომელსაც ხელები მხრებამდე სისხლში ჰქონდა ამოსვრილი, ამოიოხრა. ბიზონისთვის სროლა სახალისო საქმე იყო, მისი გატყავება კი – გულისგამაწვრილებლად მოსაწყენი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ხომ არ აჯობებდა ტივი გაგვეკეთებინა, – წაიბუზღუნა მან. – მდინარის გასწვრივ უამრავი ხის მასალაა.

პლატე მეტისმეტად წყალმარჩხია, განსაკუთრებით წლის ამ დროს.

გარდა იმისა, რომ წარმატებული ნადირობის შემდეგ ნავის ასაგებად მასალა უხვად ჰქონდათ, ტყავის ნავის უპირატესობა ის იყო, რომ წყალში სულ რაღაც ცხრა დუიმზე ჩადიოდა. პლატე ახლა ძალიან დაბალი ჩანდა, თოვლის დნობის დაწყებამდე კი ჯერ საკმაოდ შორს იყო

დაახლოებით შუადღისას გლასმა რედი ბანაკში გაგზავნა, რომ ცეცხლი დაენთო აპოხტის გასაკეთებლად. რედიმ თან ტყავზე დაყრილი ხორცის საუკეთესო ნაჭრები წაათრია. მამალ ბიზონებს მხოლოდ ენა ამოაჭრეს. მათ ტყავს გამოიყენებდნენ მხოლოდ.

– ამ საღამოსთვის ღვიძლი და რამდენიმე ენა შეწვი. – მიაძახა მას ჩაპმანმა.

ბიზონებისთვის ტყავის გაძრობა მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. შემდეგ თითოეული ტყავისგან კვადრატი უნდა გამოეჭრათ. გლასმა და ჩაპმანმა დაღამებამდე იჯახირეს. სქელ ტყავზე მუშაობისას დანის პირი მალე ბლაგვდებოდა და მისი გალესვა ხშირად უწევდათ. როცა დაასრულეს სამი გზა დასჭირდათ მასალის ბანაკამდე მისაზიდად. ჩრდილოეთ პლატეს მიდამოებს ახალი მთვარის შუქი დასთამაშებდა იმ დროისათვის, როცა უკანასკნელი ტყავი ბანაკის წინ გაფინეს.

რედის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კეთილსინდისიერად იმუშავა. სწორკუთხა ორმოებში პატარა კოცონები ღვიოდა. ხორცის დაჭრილი ზოლები ალვის ხის წნელებზე ეკიდა. სუნმა ნესტოები გაუღიზიანათ. გლასმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ჩაპმანმა პირი ცვრიანი ხორცით გამოიტენეს. (რედიმ ჯერ კიდევ მათ მოსვლამდე მოასწრო კუჭის ამოქორვა). რამდენიმე საათი ჭამდნენ, არა მხოლოდ ხორცი მოეწონათ, ახარებდათ, რომ ქარი ჩადგა და თანდათან დათბა. არც კი სჯეროდათ, რომ ჯერ კიდევ წინა დღით გრიგალი ბობოქრობდა.

ტყავის ნავი თუ გაგიკეთებია ოდესმე? – ჰკითხა გლასს რედიმ.

მან თავი დაუქნია.

– პაუნებმა მასწავლეს. მდინარე არკანსაზზე. დიდი ხანი კი სჭირდება, მაგრამ განსაკუთრებულ ოსტატობას არ მოითხოვს. ტოტებიდან კარკასი უნდა შეიკრას და ზედ ტყავი შემოეჭიროს. ჯამი რომ წარმოიდგინო გადიდებული.

– მაინც არ მესმის ასე შეკოწიწებული რაღაც როგორ ცურავს.

ტყავი, როცა მშრალია თვითონ იჭიმება, ისე, როგორც დოლზე. მხოლოდ ნაკერების დაგმანვა სჭირდება ყოველ დილით.

ნავების გაკეთებას ერთი კვირა მოუნდნენ. გლასმა გადაწყვიტა, რომ ორი პატარა ნავი უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ერთი დიდი. აუცილებლობის შემთხვევაში ერთზეც დაეტეოდნენ, უპირატესობა კი ის გახლდათ, რომ პატარას შეიძლებოდა წყალმარჩხშიც ეცურა, ისეთ ადგილებში, სადაც სიღრმე ერთ ფუტზე მეტი არ იქნებოდა.

პირველ დღეს ბიზონს მყესები ამოაჭრეს და კარკასი ააგეს. პლანშირი რგოლებად მოღუნული ალვის ხის ტოტებისაგან გააკეთეს. პლანშირიდან ქვემოთ რგოლები სულ უფრო ვიწროვდებოდა და ისინი ერთმანეთს ტირი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფის მაგარი წნელების ვერტიკალური საყრდენებით უკავ-შირდებოდა, რომელიც მყესებს სახსრებთან აერთებდა.

ყველაზე მეტი დრო ტყავების მომზადებას დასჭირდა. მათი ერთმანეთში ჩაკერება, დანებით ნახვრეტების გაკეთება მოსაწყენი და ერთფეროვანი საქმე იყო. შე-დეგად მიიღეს ორი გიგანტური კვადრატი, რომელთაგან თითოეული ოთხი ტყავისგან შედგებოდა – ორი სიგრძეზე და ორი სიგანეზე. ყოველი კვადრატის შუაში ხის კარკასი მოათავსეს. პლანშირზე ტყავი გადაჭიმეს ბეწვით ნავის შიდა მხარეს. ზედმეტი ნაწილები მოჭრეს, ტყავი კარკასზე მყესებით დაამაგრეს და ნავები გადააბრუნეს, რათა ტყავი გამომშრალიყო.

ნაკერების შეზეთვისათვის ისევ მოუწიათ წასვლა ველზე მოკლულ ბიზონებთან.

– ღმერთო, როგორ ყარს აქაურობა, – თქვა რედიმ.

მზეს თოვლის გადნობა უკვე მოესწრო და ხორცი ლპებოდა. კაჭკაჭები და ყვავები უხვ საკვებს თავს დასტრიალებდნენ. გლასს ეშინოდა კიდეც, რომ ფრინ-ველების ამხელა გუნდი მათ ადგილსამყოფელს გასცემდა, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო. უნდა ეცადათ ნავების გაკეთება რაც შეიძლებოდა მალე დაესრულებინათ და წასულიყვნენ.

ხორციდან ჩამოჭრილი ცხიმი და ნაჯახით ჩამოთ-ლილი ჩლიქები ბანაკში მიიტანეს, აყროლებული მასა წყალს და ნაცარს შეურიეს და ნაკვერჩხალზე ნელ-ნელა გააცხელეს სანამ წებოვან, თხევად ნარევად არ იქცა. მხოლოდ ერთი პატარა ქვაბი ჰქონდათ და ამ პროცედურის გამეორება მრავალჯერ მოუწიათ. ორი დღე დასჭირდა სანამ საჭირო რაოდენობის მასას შეაგროვებდნენ. წებოვანი ნარევით ნაკერები შეზეთეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მისი გაშრობა მარტის მზეს და მშრალ ქარებს მიანდეს. გლასი ნამუშევრით კმაყოფილი დარჩა.

მეორე დილით უკვე მდინარეზე მიცურავდნენ. ერთ კანოეში გლასი მარაგთან ერთად, მეორეში კი რედი და ჩაპმანი. ნავები მყარი და გამძლე აღმოჩნდა და რამდენიმე მილის შემდეგ ბარჯებს უკვე მარჯვედ უსვამდნენ და პლატეს მთელი სისწრაფით მიუყვებოდნენ.

გრიგალის შემდეგ ერთი კვირა მოუწიათ ერთ ადგილას ჯდომა, სამაგიეროდ ახლა ფორტ ატკინსონამდე სულ რაღაც ხუთასი მილი რჩებოდა პლატეს დინების მიმართულებით. ასე რომ, დაკარგულ დროს ინაზღაურებდნენ თუ კიდევ მეტი არა. დღეში ოცდახუთი მილი! ასეთი სიჩქარით ფორტ ატკინსონში სამ კვირაში ჩავიდოდნენ. მთავარი იყო ამინდს ხელი არ შეეშალა.

გლასი ვარაუდობდა, რომ ფიტცჯერალდი ფორტ ატკინსონს გვერდს არ აუვლიდა. წარმოიდგინა ფორტში ანშტადტით როგორ შეეხეტებოდა. ნეტავ რა ტყუილებს დაახვავებდა იქ თავისი ყოფნის ასახსნელად? ერთი რამ ცხადი იყო – ის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ზამთარში მისურს ზემოთ ცოტა თეთრკანიანი თუ მიუყვება. ახლა თვალწინ ფიტცჯერალდის ტუჩზე ანკესის ფორმის ნაიარევი დაუდგა. ასეთი კაცი იოლად არ ავიწყდებათ. გამოცდილი მონადირის ალღო გლასს კარნახობდა, რომ მისი მსხვერპლი წინ იყო, სულ უფრო და უფრო ახლოს და ფიტცჯერალდი მასთან შეხვედრას ვერ გადაურჩებოდა. გლასი მანამ ვერ მოისვენებდა, სანამ მოღალატეს არ იპოვიდა.

თავი 25

28 მარტი, 1824

პლატეს გლასი და მისი კომპანიონები შეუფერხებლად მიჰყავდა დინების მიმართულებით. ორი დღე – აღმოსავლეთისაკენ, დაბალი მთების ფერდობების გასწვრივ, შემდეგ კი სამხრეთისაკენ მოუხვია. წინ თოვლიანი მწვერვალი წამოიმართა, სხვებზე ამაღლებული – როგორც თავი ფართო მხრებზე. თავიდან ისე ჩანდა, თითქოს ისინი პირდაპირ მწვერვალისკენ მიემართებოდნენ, მაგრამ მდინარემ ისევ მოუხვია, ამჯერად სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ყველაფერი კარგად მიდიოდა. მართალია, დროდადრო პირქარი უბერავდა, მაგრამ უფრო ხშირად აღმოსავლეთის თანმხვედრი სიო ეხმარებოდათ. აპოხტი საკმარისად ჰქონდათ. ღამეს გადაბრუნებული კანოეს ქვეშ ათევდნენ. ყოველ დილით ერთ საათს ნაკერების შეზეთვას და დამუშავებას ანდომებდნენ, დანარჩენ დროს კი, დღის სინათლის თითქმის ყოველ წუთს, გზაში ატარებდნენ. დინებას ძალდაუტანებლად მიჰყვებოდნენ და გლასი მდინარის მადლობელი იყო – ფორტ ატკინსონს შეუფერხებლად უახლოვდებოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეხუთე დღეს, დილით, როცა ჰიუ ნაკერებს ზეთავდა, ბანაკში აქოშინებული რედი მივარდა:

– ბორცვს იქით ინდიელია. ცხენზე ამხედრებული.

– მან დაგინახა?

რედიმ თავი ენერგიულად გადააქნია.

– მე მგონი, არა. იქ ნაკადულია და ეტყობა მახეს ამოწმებდა.

– რომელი ტომის ინდიელია, მოახერხე გარჩევა?

– არიკარა უნდა იყოს.

– ჯანდაბამდის გზა ჰქონია. არიკარა პლატეზე რა ქარმა გადმოაგდო.

გლასმა გაიფიქრა რედი შეიძლება ცდებაო. საეჭვო იყო არიკარა მისურის ასე შორს გამოსცდენოდა. მან ალბათ შაიენი ან პაუნი დაინახა.

– წავიდეთ, ვნახოთ, – თქვა მან და უშუალოდ ნედს მიმართა: – თუ ჩავთვლი, რომ სროლაა საჭირო, პირველი მე ვისვრი.

ბორცვის მწვერვალამდე ფორთხვით მიაღწიეს და მხოლოდ ზურგს მოჰკრეს თვალი მხედრისა, რომელიც პლატეს გასწვრივ მიაჭენებდა ცხენს. ნახევარი მილის მანძილიდან ვერ შეძლეს გარჩევა ინდიელი რომელი ტომიდან იყო. ცხენის ჯიშიც ძლივს გაარჩიეს – ამლაკი იყო.

– რა ვქნათ ახლა? – იკითხა რედიმ – ის მარტო არ იქნება. ბანაკი ალბათ მდინარესთან აქვთ.

გლასმა გაბრაზებით შეხედა. აღიზიანებდა რედის უნარი პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დაენახა და სრული უუნარობა რაიმე ეღონა მის გადასაჭრელად. მაგრამ ახლა ის სიმართლეს ამბობდა. ნაკადულები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომლებიც გზად ხვდებოდათ მეტისმეტად პატარა იყო და ყველა ინდიელი ალბათ ამჯობინებდა პლატესთან ახლოს ყოფილიყო, ანუ პირდაპირ მათ გზაზე. მაგრამ რა არჩევანი ჰქონდათ?

– ჩვენზე ბევრი არაფერია დამოკიდებული – თქვა გლასმა. – როცა ღია დინებაში გავალთ, გუშაგს დავაყენებთ ნაპირზე სათვალთვალოდ.

რედიმ რაღაც უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და გლასმა შეაწყვეტინა:

– ჩემ ნავს მე როგორმე თავს გავართმევ. თქვენ ორს კი სადაც გსურთ შეგიძლიათ იქ წახვიდეთ. მე ვაპირებ მდინარეს ქვემოთ დავუყვე.

იგი ნავისაკენ გაემართა. რედიმ და ჩაპმანმა თითქმის უკვე გაუჩინარებულ ინდიელს კიდევ ერთხელ გახედეს, შემობრუნდნენ და გლასს გაჰყვნენ.

კიდევ ორი დღე იცურეს კარგ ამინდში. გლასის ვარაუდით მათ უკვე ასორმოცდაათი მილი ექნებოდათ გავლილი. როცა შებინდებისას მდინარის კიდევ ერთ მოსახვევამდე მიაღწიეს, ჰიუ ჩაფიქრდა, ხომ არ ჯობდა შეჩერებულიყვნენ, ბანაკი მოეწყოთ და ღამე გაეთიათ. წინ ძნელი მონაკვეთი ჩანდა და უკეთესი იქნებოდა თუ მას დღის შუქზე გაივლიდნენ. მაგრამ ნაპირზე სათანადო ადგილი ვერ მოძებნეს და გზა განაგრძეს.

ორი ბორცვი ნაპირზე მდინარის კალაპოტს ამცირებდა. დინება ვიწროვდებოდა, ღრმავდებოდა და უფრო სწრაფი ხდებოდა. ჩრდილოეთ ნაპირზე დაცემული ალვის ხე დინებას ნაწილობრივ აბრკოლებდა. მის გარშემო ტოტები და სხვა ნაგავი იყო თავმოყრილი. გლასი წინ მიდიოდა. მეორე ნავი ათ იარდში მოყვებოდა უკან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა შეატყო, რომ დინებას პირდაპირ ხისკენ მიჰყავ-
და, მან ბარჯი მდინარეში ჩაჰყო, მაგრამ ფსკერამდე
ვერ მიაწვდინა. დინება აჩქარდა. ხის გაშვერილ ტოტებს
შეხებისას შეიძლებოდა ნავის გვერდი გაეგლიჯა. ჰიუ
მუხლზე დადგა, ბარჯი ასწია, ადგილი მოძებნა, ხეზე
მიაბჯინა და მთელი ძალით მიაწვა, რათა მოუქნელი ნავი
დინების ნაკადიდან გადაეყვანა. კანოეს უკანა ნაწილი
აიწია და დინებამ ხეს ააცდინა.

გლასმა უკან მოიხედა. რედი და ჩაპმანი ცდილობდნენ
ხისთვის შემოევლოთ და ბარჯს უთავბოლოდ უსვამდნენ.
რედმა მეწყვილეს კინაღამ სახეში მიარტყა, როცა ბარჯი
ზემოთ ასწია.

– შეხედე საით იქნევ, შე იდიოტო.

დინებას ისინი უკვე ხისკენ მიჰყავდა და ჩაპმანმა
ბარჯი ღეროს მიაბჯინა, რედიმ კი თავისი წყლიდან
ამოათრია და ნაგავში ჩასჩარა. ნახევრად ჩაძირულ ალვის
ხესთან გამოშვერილი ტოტი რედს ხალათზე გამოედო,
ქსოვილი გახია, აისხლიტა და ჩაპმანს თვალში მოხვდა.
ის ძლიერი ტკივილისაგან აღრიალდა, ბარჯი ხელიდან
გააგდო და ორივე ხელით სახე დაიფარა.

გლასი უკან იყურებოდა. დინებას ნავები სამხრეთ
ნაპირისაკენ მიჰყავდა. ჩაპმანი კანოეს ფსკერზე მუხლებზე
იდგა და ხელები ისევ სახეზე ჰქონდა აფარებული. რედი
გლასის და მისი ნავის უკან იყურებოდა. უცებ სახეზე
შიში გამოეხატა, ბარჯი ხელიდან გააგდო და შაშხანა
აიღო. გლასი შებრუნდა.

ქვემოთ, პლატეს სამხრეთ ნაპირზე ინდიელთა ოცამ-
დე ქოხი იდგა. იქამდე სულ რაღაც ორმოცდაათი იარდი
რჩებოდა. ბავშვებმა, რომლებიც წყალთან თამაშობდნენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნავების მიახლოებისას ყვირილი ატეხეს. კოცონთან მჯდარი ორი მებრძოლი ფეხზე წამოხტა. რედი მართალი აღმოჩნდა. ეს არიკარას ტომი იყო. დინება ორივე ნავს პირდაპირ ბანაკისკენ მიერეკებოდა. ინდიელებმა თოფებს სტაცეს ხელი და უკვე ნაპირისკენ გამორბოდნენ. გაისმა სროლის ხმა. გლასმა ბარჯი უკანასკნელად მოუსვა და შაშხანა აიღო.

რედიმ გაისროლა და ნაპირთან ინდიელი დაეცა. – რა ხდება? – დაიღრიალა ჩაპმანმა და შეეცადა ჯანმრთელი თვალით გამოეხედა.

რედიმ პირი გააღო რომ ეპასუხა, მაგრამ მუცელში მწველი მხურვალება იგრძნო. მან ქვემოთ ჩაიხედა: ხალათში ნახვრეტი ჰქონდა და სისხლი სდიოდა.

– ოჰ, ამის დედაც ... ტყვია მომხვდა, ჩაპმან!

შეშინებული რედი წამოხტა, ხალათი გადაიხია ჭრილობაზე დასახედად და უცებ უკან გადაიხარა – კიდევ ორი ტყვია ერთდროულად მოხვდა მკერდში. წაქცევისას პლანშირს წამოედო, ბორტი მისი წონისაგან გადაიხარა, წყალი შემოვარდა და კანოე გადააყირავა.

ჩაპმანი, რომელიც ცალ თვალში ისევ ვერ იყურებოდა, ცივ წყალში აღმოჩნდა. ჯანმრთელი თვალით მოასწრო დანახვა დინებას რედის სხეული როგორ მიჰქონდა და სისხლის შავი ზოლი უკან მიჰყვებოდა. ნაბიჯების წყალში დგაფუნის ხმა ისმოდა. ჩემკენ მოდიან, გაიფიქრა მან. უჰაეროდ ვეღარ ძლებდა მაგრამ კარგად იცოდა ზედაპირზე რაც ელოდა. ბოლოს მეტის გაძლება ვეღარ შეძლო, თავი წყლიდან ამოსწია და ამოისუნთქა. ეს მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა აღმოჩნდა. თვალის გახელაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვერ მოასწრო და მის თავზე აღმართული ნაჯახი არც დაუნახავს.

გლასმა, რომელიც მის თვალწინ მომხდარმა შეაძრწუნა, უახლოეს ინდიელს დაუმიზნა და ესროლა. უცებ ველური ღრიალი გაიგონა. ნაპირთან მდგომმა ვეებერთელა ინდიელმა მას შუბი სტყორცნა. გლასმა ინსტინქტურად თავი დახარა და ღორუკას შაშხანას დასწვდა. შუბი ნავს შიდა გვერდში მოხვდა და მასში გააღწია. გლასმა თავი პლანშირის ზემოთ ამოსწია, დიდ ინდიელს ესროლა და მოკლა.

სულ რაღაც ოციოდ იარდში დამრეც ნაპირზე სამი შეიარაღებული არიკარა გვერდიგვერდ იდგა. ნამდვილად არ ამაცდენენო, გაიფიქრა გლასმა. თავის გადასარჩენად წყალში ჩაყვინთა და ამ დროს, ერთდროულად სამი გასროლა გაისმა.

შაშხანას ხელი მაგრად მოუჭირა, მაგრამ მაშინვე გაუშვა. დინების მიმართულებით ცურვას აზრი არ ჰქონდა. ყინულივით ცივმა წყალმა სხეული მაშინვე გაუ-ფიჩხა. გარდა ამისა, ინდიელები ალბათ ცხენებით გა-მოედევნებოდნენ სანამ ის პლატეს მიხვეულ-მოხვეულ დინებას გაჰყვებოდა და მისი დაწევა არ გაუჭირდებოდათ. ერთადერთი შანსი იყო დიდხანს არ ამოეყვინთა და საწინააღმდეგო ნაპირამდე მიეღწია, იქ კი როგორღაც თავი შეეფარებინა.

მდინარის შუაში წყალი ღრმა იყო, ადამიანს ფარავდა. ისარმა სახესთან ახლოს ჩაუქროლა. ტყვიების წყალში ჩავარდნის ხმები ესმოდა. ინდიელები თვალს ადევნებდნენ და მას გაქცევის საშუალებას არ მისცემდნენ. გლასი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეეცადა უფრო ღრმად ჩაეყვინთა, მაგრამ ჰაერი ისედაც არ ჰყოფნიდა და ისევ ზედაპირისკენ წამოვიდა.

მაშინვე სროლის ხმა გაისმა და ის წინასწარ დაიმანჭა, როცა ღრმად შეისუნთქა – თავში ტყვიას ელოდა. სანამ ჩაყვინთავდა ახლო ნაპირს გახედა და იმედი გაუჩნდა. თუმცა წინ, ორმოციოდე ნაბიჯში ქვიშის პლიაჟი იყო, სადაც გლასს აუცილებლად ტყვია ან ისარი წამოეწეოდა, მაგრამ ნაპირი მოშორებით სიმწვანით გაბარდნილ დაბლობში გადადიოდა. სწორედ იქით გაცურვა იყო გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა.

გლასმა ღრმად ჩაყვინთა. სროლები არ წყდებოდა, მაგრამ ნაპირამდე სულ უფრო და უფრო ცოტა რჩებოდა. ოცდაათი იარდი. ოცი. ათი. ფეხები ქვის ზედაპირს შეეხო, მაგრამ ამოყვინთვას არ ჩქარობდა. უჰაერობა როგორმე უნდა მოეთმინა. მთავარი იყო ტყვია არ მოხვედროდა. როცა წყალი დადაბლდა, რომ მასში ველარ ჩაყვინთავდა, გლასი წამოდგა, როგორც იქნა ამოისუნთქა და ბარდნარისკენ გაიქცა. ფეხში რაღაც მოხვდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. უნდოდა ტირიფნარში რაც შეიძლებოდა ღრმად შეეღწია.

როცა ჩათვალა, რომ შედარებით უსაფრთხო ადგილას იმყოფებოდა, უკან მოიხედა. ოთხი მხედარი ციცაბო ნაპირიდან მდინარეში შედიოდა. ნაპირთან რამდენიმე არიკარელი იდგა და ტირიფნარისკენ მიანიშნებდა. ცოტა ზემოთ ინდიელები ჩაპმანის სხეულს მიათრევდნენ.

გლასი შებრუნდა რომ გაქცეულიყო და ფეხში საშინელი ტკივილი იგრძნო. ქვემოთ დაიხედა და წვივის უკანა ნაწილში გარჭობილი ისარი დაინახა. ძვალი დაზიანებული არ ჰქონდა. იგი დაიხარა და დაიღმიჭა, როცა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი მკვეთრი მოძრაობით ისარი ფეხიდან გამოიღო. იქვე მიაგდო და ტირიფნარის სილრმისკენ გაცოცდა.

მას გაუმართლა. ოთხი მდევარი ინდიელისაგან ერთ-ერთის ცხენი – ახალგაზრდა ფაშატი – აღმოჩნდა. მათრახს ურტყამდნენ, ის კი ხვიხვინებდა, ტლინკებს ჰყრიდა, მაგ-რად ამოდებულ მახვილს არაფრად აგდებდა და ჯიუტად უკან, ნაპირისკენ ცდილობდა მიბრუნებას. დანარჩენმა ცხენებმაც, რომელთაც ასევე არ მოეწონათ ყინულივით ცივი წყალი, მას მიბაძეს – საბოლოოდ ნაპირთან ოთხი ცხენი ტრიალებდა და ერთმანეთს ეხლებოდა. ორი მხედარი წყალში აღმოჩნდა. სანამ ცდილობდნენ ისინი როგორმე წყალში შეეგდოთ, დრო დაიკარგა. დევნის ობიექტი თვალს მიეფარა.

გლასი ტირიფნარიდან ერთბაშად მაღალ ქვიშიან ნაპირზე აღმოჩნდა და ზემოდან ვიწრო არხს დახედა. წყალი გაყინული იყო, რადგან დღის უმეტესი ნაწილის განმავლობაში მზის შუქი არ ხვდებოდა. ზედაპირზე თოვ-ლის თხელი ფენა ედო. შორეულ ნაპირზე სქელი ჭალა ჩანდა. გლასმა გეზი იქით აიღო.

დამრეც ფერდობზე ჩავიდა და ფეხი ყინულს დააბიჯა. თხელ თოვლზე მაშინვე გასრიალდა, ზურგზე დაეცა და წამიერად მოულოდნელობისგან გაშეშდა. საღამოს ცას მისჩერებოდა, რომელზეც დღის შუქი ინავლებოდა. გვერდზე გადაბრუნდა და თავი გადააქნია, თითქოს სურს შეფხიზლდესო. უცებ ცხენის ხვიხვინი გაიგონა და ფეხზე წამოხტა. ფრთხილი, ნელი ნაბიჯებით გაუყვა ვიწრო არხს და ციცაბო ნაპირზე აძვრა. უკვე ჭალაში გარბოდა, როცა უკნიდან ცხენების ჩლიქების თქარათქური მოესმა.

ოთხი ინდიელი მხედარი ქვიშიან ნაპირზე შეჩერდა. ქვემოთ იყურებოდნენ. ასეთ ბინდ-ბუნდშიც კი არხის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზედაპირზე კვალი აშკარად ჩანდა. პირველმა არიკარელმა ცხენი ყინულზე მიუშვა და ცხოველსაც იგივე დაემართა რაც გლასს. კიდევ უფრო უარესიც. მან ფეხი ვერაფერზე მოიკიდა, გასრიალდა, გვერდზე მოწყვეტით დავარდა და მხედარს ფეხი მოსტეხა. დანარჩენმა სამმა ჭკუა ისწავლა. მაშინვე ცხენებიდან ჩამოხტნენ და დევნა ფეხით განაგრძეს. ტრავმირებული არიკარელი ტკივილისგან ღრიალებდა.

დევნილის კვალი ხშირ ბუჩქნარში იკარგებოდა არხის მეორე მხარეს, თუმცა დღის შუქზე ის შესამჩნევი იქნებოდა, რადგან გლასს როცა მდევნელების ხელიდან დასხლტომას ლამობდა, იმაზე ფიქრისთვის არ ეცალა ტოტი არ მოვტეხო ან ფეხის ანაბეჭდები არ დარჩესო. მაგრამ ახლა დღის შუქი იცრიცებოდა, ჩრდილებიც კი ქრებოდა და სიბნელეს ერეოდა.

გლასმა ცხენიდან ჩამოვარდნილი ინდიელის ღრიალი გაიგონა და შეჩერდა. მიხვდა, რომ მტრები ახლოს იყვნენ და მათ ბუჩქნარის ორმოცდაათამდე იარდი თუ აშორებდათ ერთმანეთს. მაგრამ სიბნელეში მას ვერ დაინახავდნენ. მთავარი იყო არ ეხმაურა. გვერდით ალვის დიდი ხე გაარჩია, მის ქვედა ტოტებს ჩაეჭიდა, აიწია და ორკაპა ტოტზე აძვრა. ცდილობდა რაც შეიძლებოდა უჩუმრად ესუნთქა. როცა მოხერხებულად ჩამოჯდა, ქარქაში შეამოწმა. დანის სახელური თავის ადგილას იყო. გვერდით კვესის და კაჟის ტომსიკა ეკიდა. თოფისწამლის რქაც შერჩენოდა კისერზე. თუმცა მისი შაშხანა პლატეს ფსკერზე ეგდო, მაგრამ თოფისწამალი ცეცხლის დასანთებად გამოადგებოდა. ცეცხლის გახსენებისას თითქოს ერთბაშად იგრძნო როგორ ციოდა. ტანსაცმელი მთლიანად დასველებოდა, მდინარიდან წამოსული სიცივე ძვალ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რბილში ატანდა. მთელი სხეული უკანკალებდა, თუმცა ცდილობდა თავი შეეკავებინა.

ტოტმა გაიტკაცუნა. გლასმა ქვემოთ ჩაიხედა. ბუჩქნარში გამხდარი, მაღალი ინდიელი იდგა, და მიწაზე ნაკვალევს ეძებდა. სიბნელეშიც კი, გლასმა მის კისერზე ცხენირმის კბილების თეთრი ყელსაბამი და მაჯებზე ბრინჯაოს სამაჯურები გაარჩია. ინდიელმა მუშკეტი მოიმარჯვა და ნელი ნაბიჯებით ალვის ხისკენ წავიდა. გლასი ღმერთს ევედრებოდა ნეტავ ზემოთ არ ამოიხედოსო. გული ისე უცემდა, საგულეში აღარ ეტეოდა.

არიკარელი ალვის ხის ქვეშ გაჩერდა. გლასიდან დაახლოებით ათ ფუტში იქნებოდა. მან ჯერ ახლომახლო მოათვალიერა მიწა, შემდეგ კი ბუჩქნარზე გადავიდა. გლასს ინსტინქტი კარნახობდა რაც შეიძლებოდა ჩუმად ყოფილიყო და მტრის წასვლას დალოდებოდა. მაგრამ როცა ინდიელს დაჰყურებდა, სხვა აზრიც გაუჩნდა: ხომ არ აჯობებდა თავს დასხმოდა და იარაღი წაერთმია. ხელი ქამარში გაჩრილ დანასთან მიიტანა. სახელურის შეხებამ თითქოს დამამშვიდებლად იმოქმედა. ქარქაშიდან მისი ამოღება დაიწყო. თან იმაზე ფიქრობდა სად დაეჭრა. თუ ყელს სწრაფად გამოსჭრიდა, ინდიელი დაყვირებას ვერ მოასწრებდა. ნელა, ძალიან ნელა, სხეული წამოსწია და ნახტომისთვის უკვე მზად იყო, როცა უცებ მდელოს ბოლოდან ჩურჩული გაიგონა. ბუჩქებიდან მეორე არიკარელი გამოვიდა. ხელში შუბი ეჭირა. გლასი ადგილზე გაირინდა. ნახტომისთვის რომ მომზადებულიყო მან დაცული ადგილი მიატოვა და ახლა მხოლოდ სიბნელე იფარავდა.

მის ქვემოთ მყოფი ინდიელი შებრუნდა, თავი გადააქნია, მიწასა და ბუჩქებზე მიუთითა და რაღაც წაი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩურჩულა. შუბიანი არიკარელი ალვის ხესთან მივიდა. დრო თითქოს გაჩერდა. გლასი თითქმის არ სუნთქავდა. გაუძელი, ეუბნებოდა საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს ინდიელებმა ეტყობა მოილაპარაკეს ვინ სად წასულიყო და თითოეული სხვადასხვა მხარეს ბუჩქებში გაუჩინარდა.

გლასი ხეზე კიდევ ორ საათზე მეტ ხანს იჯდა, მდევართა ხმებს უსმენდა და ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს ერთ-ერთმა ინდიელმა მდელოზე ჩაიარა. ეტყობოდა მდინარისკენ მიემართებოდა.

გლასმა დრო იხელთა და ხიდან ჩამოვიდა. სახსრები დაბუჟებოდა. ფეხებს თითქმის ვეღარ გრძნობდა. რამდენიმე წუთი დასჭირდა სანამ ნორმალურად სიარულს შეძლებდა.

ამ ღამეს გადაიტანდა, მაგრამ იცოდა, რომ დილით ინდიელები დაბრუნდებოდნენ. ისიც იცოდა, რომ დღის სინათლეზე მისი ნაკვალევი გამოჩნდებოდა. უნდა გაქცეულიყო.

ბნელ ბუჩქნარში მიიკვლევდა გზას და ცდილობდა პლატეს კალაპოტის პარალელურად ევლო. ღრუბლიანი ღამე იყო და მთვარის შუქი გზას არ უნათებდა, მაგრამ არ ყინავდა. გლასს სველ ტანსაცმელში ისევ ციოდა, მაგრამ შედარებით ნაკლებად, რადგან მოძრაობდა.

სამი საათის სიარულის შემდეგ პატარა ნაკადულს გადაეყარა და გახარებულმა წყალში შეაბიჯა, რომ მდევრებს კვალი დაეკარგათ. თუმცა მანამდე განგებ დატოვა რამდენიმე კვალი, ისეთი, რომ მდევნელები პლატეს საპირისპირო ნაპირზე გაეყვანა. ნაკადულს აუყვა და წყლიდან გამოუსვლელად ასი ნაბიჯი გაიარა სანამ ქვის ნაპირი არ დაინახა, რომელზეც ფეხის ანაბეჭდები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ დააჩნდებოდა. ნაპირზე ავიდა და დაბალი ხეების ჭალისკენ გაემართა.

კუნელის ბარდნარი აღმოჩნდა. მის ეკლიან ტოტებში ჩიტებს უყვარდათ ბუდის გაკეთება. გლასმა დანით ბამბის წითელ ხალათს პატარა ნაწილი ჩამოჭრა და ეკალზე ჩამოაცვა. ასეთი ნიშანი ინდიელებს შეუმჩნეველი ნამდვილად არ დარჩებოდათ. ამის შემდეგ ფრთხილად, ისე, რომ კვალი არ დაუტოვებია, ნაკადულთან დაბრუნდა და ქვემოთ, დინების მიმართულებით განაგრძო სვლა.

ნაკადული დაბლობში ზანტად მიედინებოდა და ბოლოს პლატეს უერთდებოდა. გლასს სრიალა ქვებზე წამდაუწუმ ფეხი უცურავდა და წყალში ვარდებოდა. ცდილობდა სიცივეზე არ ეფიქრა. როცა პლატეს მიაღწია, ფეხები ისე ჰქონდა გაყინული რომ ველარც გრძნობდა. აკანკალებული, მუხლებამდე წყალში შეჩერდა და შეეცადა მხნეობა მოეკრიბა.

შორეულ ნაპირს გახედა და ტირიფნარის და რამდენიმე ალვის ხის ბუნდოვანი კონტურები გაარჩია. საკუთარ თავს კიდევ ერთხელ შეახსენა, ნაპირიდან ისე უნდა ამოვძვრე კვალი არ დავტოვოო. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ყინულივით ცივი წყალი თანდათან ღრმავდებოდა და გლასი სულ უფრო აჩქარებულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა. სიბნელეში თავთხელი არ ჩანდა და ის უცებ წელამდე წყალში აღმოჩნდა. ძლივს სუნთქავდა, მაგრამ საპირისპირო ნაპირამდე ცურვით მისვლა მოახერხა და ქვიან ადგილზე ამოვიდა, სადაც კვალი არ დააჩნდებოდა. ცოტა მოშორებით ტირიფნარი იწყებოდა.

ნელა, ფრთხილად მიდიოდა. ტირიფნარში და ალვის ხეების ჭალაში მიიკვლევდა გზას. იმედი ჰქონდა, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინდიელებს მის მიერ ნაკადულთან დატოვებული სატ-ყუარა გზას აუბნევდა. თეთრკანიანისგან ისინი ალბათ არ ელოდნენ რომ პლატეზე დაბრუნდებოდა და მაინც ყოველ ნაბიჯზე ფრთხილობდა და ცდილობდა კვალი არ დაეტოვებინა. გადარჩენის სხვა შანსი არ ჩანდა.

თენდებოდა, როცა ალვის ხეების ჭალიდან გამოვიდა. აისამდელ ბინდბუნდში გრძელი პლატოს შავი პროფილი დაინახა, რომელიც მთელ თვალსაწიერზე მდინარეს პა-რალელურად მიუყვებოდა. შეეძლო იქ კლდეებისთვის შეეფარებინა თავი, ცეცხლი დაენთო, გამთბარიყო, ტან-საცმელი გაეშრო, შემდეგ კი, როცა საფრთხე ჩაივლიდა, პლატეზე დაბრუნდებოდა და ფორტ ატკინსონისკენ გა-ნაგრძობდა გზას.

გლასი მიდიოდა და ადრიანი დილის ბინდბუნდში გამოკვეთილ პლატოს კონტურებს გაჰყურებდა. რედი და ჩაპმანი გაახსენდა. სინდისის ქენჯნა იგრძნო, მაგრამ შეეცადა მათზე ფიქრი თავიდან მოეშორებინა. ახლა ამის დრო არ იყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 26

14 აპრილი, 1824

ლეიტენანტმა ჯონათან ჯეიკობსმა ხელი ასწია და ყეფის მსგავსი ხმით ბრძანება გასცა. მხედრების ოცკაციანი კოლონა შეჩერდა და მტვრის კვამლი დააყენა. ლეიტენანტმა თავის ცხენს ოფლიან გვერდზე ხელი მოუთათუნა და მათარიდან წყალი მოსვა. ცდილობდა გულგრილობა გაეთამაშა, თუმცა შედარებით უხიფათო ფორტ ატკინსონიდან ყოველი დაშორება ძალიან აშინებდა.

ახლა განსაკუთრებული შიშით იყო შეპყრობილი. მათკენ ცხენს მზვერავი მოაჭენებდა, ეს კი, ვინ იცის რისი მომასწავებელი შეიძლებოდა ყოფილიყო. მას შემდეგ, რაც თოვლმა დნობა დაიწყო პაუნები არიკარას მოხეტიალე რაზმთან ერთად პლატეს აღმა-დაღმა დაძრწოდნენ. ლეიტენანტი შეეცადა თავისი ფანტაზიისთვის გასაქანი არ მიეცა, სანამ ახალ ამბავს მოუტანდნენ.

მზვერავმა, ჭაღარა ჰიგინსმა, ცხენს ლაგამი გვიან ამოსდო და კინაღამ მწყობრში შევარდა.

– იქ კაცი ჩანს. აქეთ მოემართება. ბორცვიდან მოდის.

– ინდიელია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არ ვიცი, ლეიტენანტო. ახლოს არ მივსულვარ.

პირველი, რაც ინსტინქტმა ჯეიკობსს უკარნახა, ის იყო, რომ ჰიგინსი სერჟანტთან და ორ ჯარისკაცთან ერთად უკან გაეგზავნა, მაგრამ შემდეგ უხალისოდ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო თვითონ წასულიყო.

ბორცვის კიდეში ერთი ჯარისკაცი დატოვეს ცხენებთან, დანარჩენები კი ხოხვით დაიძრნენ წინ. თვალწინ პლატეს ველი გადაეშალათ. მარტოხელა ფიგურა უახლოესი ბორცვიდან მდინარის ნაპირს ქვემოთ მოუყვებოდა. ლეიტენანტმა მუნდირის მკერდის ჯიბიდან პატარა ბინოკლი ამოიღო, თითბრის ინსტრუმენტი ბოლომდე გაშალა და შიგ გაიხედა.

მდინარის ნაპირის გადიდებული ხედი რამდენჯერმა შეირხა სანამ საძებნ ობიექტს მიაგნებდა. კაცს ირმის ტყავის სამოსი ეცვა. სახე ვერ გაარჩია, თუმცა დიდი წვერი აშკარად ჩანდა.

– წყეულიმც ვიყო, თუ ეს კაცი თეთრკანიანი არ იყოს, – თქვა ლეიტენანტმა, – ნეტავ აქ საიდან გაჩნდა?

– ჩვენიანი არ იქნება, – თქვა ჰიგგინსმა, – ყველა დეზერტირი პირდაპირ სენტ-ლუისში მიდის.

უცნობი წყნარად მოდიოდა, საფრთხე არ ემუქრებოდა და ამდენად მისი გადარჩენაც არ იყო საჭირო. ლეიტენანტმა ჩათვალა, რომ შეიძლებოდა კეთილშობილება გამოეჩინა.

– წინ! ვნახოთ ვისთან გვაქვს საქმე.

მაიორი რობერტ კონსტებლი, თუმცა კი თავისდაუნებურად, წარმოადგენდა მეოთხე თაობას კონსტებლებისა, რომლებმაც სამხედრო კარიერა აირჩიეს. მისი დიდი პაპა, მისი უდიდებულესობის მეთორმეტე ფეხო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სანთა ლეგიონის ოფიცერი ფრანგებსა და ინდიელებს ებრძოდა. პაპა, თუ თავისი სუვერენის არა საგვარეულო პროფესიის ერთგული, ბრიტანელებს ებრძოდა როგორც ვაშინგტონის არმიის ოფიცერი. მამამისს არ გაუმართლა: ამერიკის რევოლუციისთვის ის მეტისმეტად ახალგაზრდა აღმოჩნდა, 1812 წლის ინგლის-ამერიკის ომისთვის კი, მეტისმეტად ხნიერი. რადგან თვითონ სამხედრო დიდების მოპოვების შესაძლებლობა არ ჰქონდა, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს შანსი თავისი ერთადერთი ვაჟიშვილისთვის მიეცა. ახალგაზრდა რობერტს იურისტობისკენ მიუწევდა გული, მოსამართლის მანტიაზე ოცნებობდა. მაგრამ მამამისმა გადაწყვიტა, რომ ოჯახის ტრადიციისთვის, საქმეების მომგვარებელი შეუფერებელი იქნებოდა. და ნაცნობი სენატორის დახმარებით ვაჟიშვილი ვესტ-პოინტში მოაწყო. ოცი მოსაწყენი წლის განმავლობაში რობერტ კონსტებლი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა კარიერულ კიბეზე და მაიორის წოდებას მიაღწია. ცოლს ჯერ კიდევ ათი წლის წინ მოსწყინდა მასთან ერთად გარნიზონიდან გარნიზონში მომთაბარე ცხოვრება და ბოსტონში დაფუძნდა (შეყვარებულის – ცნობილი მოსამართლის – ახლოს). როცა გენერალი ატკინსონი და პოლკოვნიკი ლივენვორტი აღმოსავლეთში დაბრუნდნენ გამოსაზამთრებლად, მაიორი კონსტებლი დროებით ფორტის მეთაური გახდა.

რა გახლდათ მის განკარგულებაში? სამასი ფეხოსანი, (რომელთაგან ნახევარს ახალი ემიგრანტები შეადგენდა და ნახევარს ახალი პატიმრები) ასი კავალერისტი, (და მხოლოდ ორმოცდაათი ცხენი) და თორმეტი დაჟანგული ზარბაზანი. და მაინც, ის ფორტის სრულფასოვან მბრ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძანებლად მიიჩნევდა თავს და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან თავისი ხვედრით უკმაყოფილება ხელქვეითებზე გადმოენთხია.

მაიორი კონსტებლი უზარმაზარ მაგიდასთან იჯდა, და გვერდით ადიუტანტი ედგა როცა ლეიტენანტმა ჯეიკობსმა მის მიერ გადარჩენილი გაქუცული ტრაპერი წარუდგინა.

– პლატესთან ვიპოვეთ სერ, – მოახსენა ჯეიკობსმა, – სულს ძლივს ითქვამდა. – არიკარას თავდასხმას გადარჩენია ჩრდილოეთის განშტოებასთან.

ლეიტენანტი ჯეიკობსი მის მიერ ჩადენილი გმირობის შარავანდედში ბრწყინავდა და გამოჩენილი სიმამაცისთვის პატივის მიგებას ელოდა, მაგრამ მაიორ კონსტებლს მისკენ თითქმის არც გაუხედავს.

– შეგიძლიათ წახვიდეთ.

– წავიდე, სერ?

– ჰო, თავისუფალი ხართ.

ასეთი უხეში მიღებით გაოგნებული ლეიტენანტი გაშეშებული იდგა. კონსტებლმა თავისი ნათქვამი კიდევ უფრო მკვეთრი ფორმით გაიმეორა:

– წადით აქედან. – და ხელი აიქნია, თითქოს კოღოს იშორებსო. შემდეგ გლასს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– თქვენ ვინ ხართ?

– ჰიუ გლასი ვარ, – უპასუხა მან. ხმაც ისეთი დასახიჩრებული ჰქონდა, როგორც სახე.

– და პლატეზე როგორ აღმოჩნდით? რატომ დაეხეტებოდით იქ?

– მე კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის შეტყობინება მიმაქვს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახენაიარევი თეთრკანიანის გამოჩენას მაიორი დიდად არ დაუინტერესებია, ბეწვეულის კომპანიის ხსენებაზე კი გამოცოცხლდა. ფორტ ატკინსონის, და მაშასადამე თვით მაიორის მომავალი, ბეწვეულით ვაჭრობის კომერციულ წარმატებაზე იყო დამოკიდებული. დაუსახლებელი უდაბნოებისა და გაუვალი კლდეების მხარეს სხვა რა მნიშვნელობა უნდა შეეძინა?

– ფორტ უნიონიდან?

– ფორტი უნიონი მიტოვებულია. კაპიტანი ჰენრი მდინარე ბიგ-ჰორნზე მანუელ ლიზის ძველ პუნქტში გადავიდა.

მაიორი თავის სკამზე წინ გადმოიწია. მთელი ზამთრის განმავლობაში ის კეთილსინდისიერად აგზავნიდა ანგარიშებს სენტ-ლუისში – ლეგიონში დიზენტერიის გავრცელების, ცხენების არასაკმარისი რაოდენობის და სხვა ყოველდღიური პრობლემების შესახებ და აი, ბოლოს და ბოლოს, ღირებული ახალი ამბები: გადაარჩინეს კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის წარმომადგენელი! ფორტი უნიონი მიტოვებულია. ბიგ-ჰორნზე ახალი ფორტი შეიქმნა!

– სასწრაფოდ ცხელი სადილი მისტერ გლასისთვის, – უბრძანა მან თავის ადიუტანტს.

მთელი საათის განმავლობაში მაიორი გლასს შეკითხვებს აყრიდა ფორტ უნიონსა და ბიგ-ჰორნზე ფორტის შესახებ, ასევე წამოწყების კომერციული პერსპექტივის შესახებ. გლასი ფრთხილობდა, გაურბოდა საუბარს დასავლეთიდან მისი დაბრუნების მიზეზზე და მხოლოდ ბოლოს მაიორს ჰკითხა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– აქ ტუჩზე ანკესის ფორმის ნაიარევიანი კაცი ხომ არ ყოფილა მისურის ზედა ნაწილიდან? – გლასი შეეცადა თავისი ტუჩის კუთხეში თითით რაღაც მრუდის მსგავსი გამოეხატა.

მაიორი კონსტებლი გლასს დაჟინებით მიაჩერდა.

– არ ყოფილა ...

გლასმა იმედგაცრუების ყრუ ტკივილი იგრძნო.

– კი არ ყოფილა, ახლა არის აქ. – დასძინა მაიორმა, – სალუნში იჩხუბა, ციხე ან ჯარში სამსახური მიუსაჯეს და ჯარი აირჩია.

აქ არის! გლასი შეეცადა სახეზე ნერვიც არ შეტოკებოდა. სიხარულის გამოხატვა არ შეიძლებოდა.

– რამდენადაც ვხვდები თქვენ მას იცნობთ.

– დიახ, ვიცნობ.

– კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიიდან გაიქცა? დეზერტირია?

– ის დეზერტირიც არის და ქურდიც.

– ეს ძალიან სერიოზული განცხადებაა, მისტერ გლასს, – თქვა მაიორმა კონსტებლმა, რომელშიც მოსამართლის ამბიციამ გაიღვიძა.

– განცხადება? მე აქ საჩივრებით არ ვარ მოსული, მაიორო. აქ იმიტომ ვარ, რომ ანგარიში გავუსწორო იმას, ვინც გამძარცვა.

კონსტებლმა ღრმად შეისუნთქა და ნიკაპი ააყოლა ზევით. შემდეგ ნელა ამოისუნთქა, და მოთმინებით, თითქოს ბავშვს ჭკუას არიგებსო, თქვა:

– ჩვენ აქ ველურ მხარეში არ ვცხოვრობთ, მისტერ გლასს და გირჩევდით ასეთი ტონით არ გელაპარაკათ. მე ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მაიორი და ამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფორტის მეთაური ოფიცერი ვარ. თქვენ მიერ წაყენებული ბრალდება სერიოზულია და მე უზრუნველვყოფ, რომ ყველაფერი სათანადოდ იქნას გამოძიებული. რა თქმა უნდა თქვენ მოგეცემათ საშუალება მტკიცებულება წარმოადგინოთ.

– მტკიცებულება ის არის, რომ მას ჩემი შაშხანა აქვს.

– მისტერ გლასს, – კონსტებლი სულ უფრო ღიზიანდებოდა – თუ რიგითმა ფიტცჯერალდმა თქვენი ქონება მოიპარა, ის ომის დროის კანონის შესაბამისად დაისჯება.

– ეს აქ ძნელი არ არის, ხომ, მაიორო? – ზიზღი ვერ დაფარა გლასმა.

– მისტერ გლასს, – იფეთქა მაიორმა, – ღმერთისგან მიტოვებულ მიყრუებულ პორტში უაზრო ყურყუტი მას ისედაც აღიზიანებდა და მის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებას ვერ მოითმენდა. – უკანასკნელად გაფრთხილებთ, აქ სამართლიანობის აღდგენა ჩემი საქმეა და არა თქვენი. – ის ადიუტანტს მიუბრუნდა, – სად არის ახლა რიგითი ფიტცჯერალდი?

– მეხუთე რაზმთანაა, სერ. ამჟამად ტყეში მუშაობენ. დღეს საღამოს დაბრუნდება.

– დააპატიმრეთ, როგორც კი ფორტში დადგამს ფეხს. გაჩხრიკეთ მისი ნივთები და თუ შაშხანა აქვს წამოიღეთ. ხვალ დილით, რვა საათისთვის რიგითი ფიტცჯერალდი სასამართლოს დარბაზში მოიყვანეთ. მისტერ გლასს, თქვენც უნდა გამოცხადდეთ, მაგრამ მანამდე დაიბანეთ და მოწესრიგდით.

სასამართლო დარბაზად მაიორი ლეგიონის სასადილოს იყენებდა. რამდენიმე კაცმა კონსტებლის მაგიდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისი ოფისიდან დარბაზში შეიტანა და სახელდახელოდ გაკეთებულ ფიცარნაგზე დადგა. მაიორი ამჯობინებდა დარბაზისთვის ზემოდან დაეხედა, როგორც ეს მოსამართლეს შეეფერებოდა. სასამართლოს ოფიციალურობასთან დაკავშირებით რაიმე შეკითხვა რომ არ გაჩენილიყო, მაიორის მაგიდის უკან ორი დროშა იყო აღმართული.

დარბაზი საკმაოდ ფართო გახლდათ. როცა სასადილო მაგიდებს გაიტანდნენ ასამდე კაცს იტევდა. სასამართლო პროცესის დროს მაიორი ჩვეულებრივ ყველა მორიგეობას აუქმებდა გარდა ყველაზე აუცილებლისა. ფორტში გასართობი ბევრი არაფერი იყო, ამიტომ დარბაზი სასამართლო სხდომის დროს ივსებოდა. ამ შემთხვევის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს. დასავლეთიდან ჩამოსული ნაიარევი კაცის და მისი საშინელი ბრალდებების ამბავი მთელ ფორტს ელვის უსწრაფესად მოედო.

ჰიუ გლასი მოსამართლის მაგიდასთან ახლოს იჯდა და შემოსასვლელ კარს თვალმოუშორებლად უყურებდა.

ყურადღება!

მაყურებლები წამოდგნენ, როცა მაიორმა კონსტებლმა დარბაზში შემოაბიჯა. მას თან ახლდა ლეიტენანტი ნევილ კ. ასკიტცენი, (რომელსაც ჯარისკაცები ასს-კისსერს, უკანალის მკოცნელს ეძახდნენ).

– შემოიყვანეთ ბრალდებული, – ბრძანა მაიორმა კონსტებლმა. კარი ისევ გაიღო და ზღურბლზე ფიტცჯერალდი გამოჩნდა. ხელებზე ბორკილები ედო და აქეთ-იქით გუშაგები ედგნენ. მაყურებლები კისერწაგრძელებული უყურებდნენ როგორ გამოიყვანეს ის წინ და მაიორის მარჯვნივ, მოსამართლის მაგიდის პერპენდიკულარული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტიხრის უკან დასვეს – ზუსტად გლასის პირდაპირ, რომელიც მაიორის მარცხნივ იჯდა.

გლასის თვალებმა ფიტცჯერალდი ისე გაბურღა, თითქოს ბურღმა რბილ ხეში გაიარაო. ფიცჯერალდს თმა და პირი გაპარსული ჰქონდა, ტყავის მუნდირის ნაცვლად კი სამხედრო ფორმა ეცვა, რაც ერთგვარ რესპექტაბელობას სძენდა. გლასს გულისრევის შეგრძნება გაუჩნდა. უცებ მოეჩვენა, რომ ყველაფერი რაც მის გარშემო ხდებოდა, არარეალური იყო. ძლიერი სურვილი ჰქონდა ფიტცჯერალდს მივარდნოდა, ყელში სცემოდა და დაეხრჩო. დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ თავი შეეკავებინა. არა, ამას არ გავაკეთებ, აქ არა, გაიფიქრა მან. მათი თვალები წამიერად ერთმანეთს შეხვდა. ფიტცჯერალდმა თავი დაუქნია, თავაზიანად, თითქოს შორეულ ნაცნობს მიესალმაო.

მაიორმა კონსტებლმა ყელი ჩაიწმინდა და თქვა:

– სამხედრო სასამართლოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ. რიგითო ფიტცჯერალდ, თქვენ კანონით უფლება გაქვთ პირისპირ შეხვდეთ მბრალდებელს და გაეცნოთ თქვენ მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს. ლეიტენანტო, წაიკითხეთ რა ბრალდება მას.

ლეიტენანტმა თავის წინ ქაღალდი გაშალა და ოფიციალური ტონით დაიწყო:

– იხილება საქმე ბრალდების შესახებ, რომელსაც ჰიუ გლასი, კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის წარმომადგენელი, უყენებს ჯონ ფიტცჯერალდს, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მეექვსე ლეგიონის მეხუთე რაზმის რიგითს. მისტერ გლასი ამტკიცებს, რომ რიგითმა ფიტცჯერალდმა, იმ დროისთვის თვითონაც კლდოვანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთების ბეწვეულის კომპანიის დაქირავებულმა, მას შაშხანა, დანა და სხვა პირადი ნივთები მოპარა. თუ ბრალდება დადასტურდება და ფიტცჯერალდი დამნაშავე აღმოჩნდება, მას სამხედრო სასამართლო ათ წელს მიუსჯის.

მაყურებლებში ჩურჩულმა ჩაირბინა. მაიორმა კონსტებლმა ჩაქუჩი დაარტყა და სიჩუმემ დაისადგურა.

– დაზარალებულო, მაგიდასთან მოდით.

გლასმა ვერ გაიგო და თვალები მაიორს მიაპყრო. მან გაბრაზებით შეხედა და ჟესტით ანიშნა მაგიდასთან მისულიყო. ლეიტენანტი ასკიტცენი მას უკვე ბიბლიით ხელში ელოდა.

– მარჯვენა ხელი ასწიეთ, – უბრძანა მან გლასს – და დაიფიცეთ, რომ იტყვით სიმართლეს და მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს.

გლასმა თავი დაუქნია, „დიახ“ – თქვა სუსტი ტემბრით, რომელსაც ვერ იტანდა მაგრამ თავის ხმას ვერაფერს უხერხებდა.

– მისტერ გლასს, უსმენდით როცა ბრალდებებს კითხულობდნენ?

– დიახ.

– და ეს სიმართლეა?

– დიახ.

– ხომ არ გსურთ რაიმე განცხადება გააკეთოთ?

გლასი შეყოყმანდა. ოფიციალურმა პროცედურამ ის დააბნია. არ ელოდა, რომ დარბაზში ასამდე მაყურებელი მოიყრიდა თავს. მართალია კონსტებლი ფორტს მეთაურობდა, მაგრამ გლასის და ფიტჯერალდის ურთიერთობა მას არ ეხებოდა. ეს მათი პირადი საქმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო და არა რაღაც გასართობი ქედმაღალი ოფიცრისა და მოწყენილი ჯარისკაცების ასეულისათვის.

– მისტერ გლასს, გსურთ თუ არა სასამართლოს მიმართოთ?

– მე თქვენ გუშინ გითხარით რაც მოხდა. მდინარე გრანდზე გრიზლი დამესხა თავს. ფიტცჯერალდი და ერთი ბიჭი, გვარად ბრიჯერი ჩემს მოსავლელად დატოვეს, მათ კი მიმატოვეს. ამისთვის მე მათ არ ვადანაშაულებ, მაგრამ სანამ გაიქცეოდნენ გამძარცვეს, წაიღეს ჩემი შაშხანა, დანა, კაჟი და კვესიც კი. წაიღეს ყველაფერი, რაც გადარჩენისთვის ბრძოლაში აუცილებლად მჭირდებოდა.

– თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს თქვენი იარაღია? – მაიორმა მაგიდიდან ანშტადტის შაშხანა აიღო.

– ჩემი შაშხანაა.

– რაიმე განსაკუთრებული ნიშანი ხომ არ არის მასზე?

გლასს სახეზე ალმური მოედო. ეს რა, მისი დაკითხვაა? სული მოითქვა და შეეცადა დაწყნარებულიყო.

– ლულაზე მისი დამამზადებლის სახელია ამოტვიფრული. „იაკობ ანშტადტი. კუტცტაუნი, პენსილვანია“.

მაიორმა სათვალე გაიკეთა და ლულა დაათვალიერა:

– იაკობ ანშტადტი. კუტცტაუნი. პენსილვანია. – ხმამაღლა წაიკითხა მან.

– დარბაზში ისევ ჩურჩულმა ჩაირბინა.

– რაიმეს დამატება ხომ არ გსურთ, მისტერ გლასს?

გლასმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

– შეგიძლიათ წახვიდეთ.

გლასი უკან დაბრუნდა და ფიტცჯერალდის პირდაპირ თავისი ადგილი დაიკავა.

მაიორმა განაგრძო:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ლეიტენანტო ასკიტცენ, ბრალდებული დააფიცეთ.

ლეიტენანტი მივიდა ტიხართან, რომლის იქით ფიტცჯერალდი იჯდა. ბორკილებმა გაიჟღარუნა, როცა ხელი ბიბლიაზე დადო და ძლიერმა ხმამ ფიცის სიტყვების წარმოთქმისას საზეიმოდ გაიჟღერა.

მაიორი კონსტებლი სკამის საზურგეზე გადაწვა.

– რიგითო ფიტცჯერალდ, თქვენ მოისმინეთ მისტერ გლასის ბრალდება. რა შეგიძლიათ უპასუხოთ?

– გმადლობთ, რომ შესაძლებლობას მაძლევთ თავი დავიცვა თქვენო ღირს... მე მინდოდა მეთქვა მაიორო კონსტებლ, – (ფიცტჯერალდის ვითომცდა წამოცდენა მაიორს ძალიან ეამა) – ბრალდებულმა განაგრძო – თქვენ ალბათ ჩემგან იმის თქმას ელით, რომ მე გლასს მატყუარას ვუწოდებ, მაგრამ ამის გაკეთებას არ ვაპირებ, სერ.

გაკვირვებული კონსტებლი წინ გადაიხარა. გლასმა თვალები მოწკურა. ცდილობდა მიმხვდარიყო რა ჰქონდა ფიტცჯერალდს ჩაფიქრებული.

– მე ჰიუ გლასს ვიცნობ როგორც შესანიშნავ ადამიანს, რომელსაც კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიაში ყველა პატივს ცემს.

მე დარწმუნებული ვარ, ჰიუ გლასს სჯერა, რომ ყოველი სიტყვა, რომელიც მან თქვა, ჭეშმარიტია და წყალი არ გაუვა. საქმე კი ის არის, სერ, რომ მას ბევრი ისეთი რამ ჰგონია რომ მოხდა, რაც სინამდვილეში არასოდეს მომხდარა. სანამ მივატოვებდით, ის ორი დღის განმავლობაში ბოდავდა, ბოლო დღეს კი ციებ-ცხელებამ პიკს მიაღწია. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს წინასასიკვდილო ოფლი იყო. ის კვნესოდა და ყვიროდა, ალბათ ძლიერი ტკივილებისაგან. მე ძალიან ვწუხდი, რომ ვერაფრით ვეხმარებოდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– და რა გააკეთეთ მისთვის?

– მე ექიმი არ გახლავართ, სერ, ისე კი რაც შემეძლო ვცდილობდი. ყელსა და ზურგზე ცხელ საფენებს ვადებდი. ბულიონი მოვუხარშე და ვეცადე პირში ჩამესხა მისთვის. ყელი გამოღადრული ჰქონდა და არც გადაყლაპვა შეეძლო და არც ლაპარაკი.

გლასისთვის ეს მეტისმეტი იყო. რამდენადაც კი შეეძლო მან მტკიცე ხმით თქვა:

– ტყუილის თქმა არ გიჭირს, ფიტცჯერალდ.

– მისტერ გლას, – დაიღრიალა კონსტებლმა, სახე სიბრაზისაგან დაეღრიჯა, – აქ მე ვარ მოსამართლე და მოწმეების დაკითხვა ჩემი საქმეა. თუ არ გაჩუმდებით სასამართლოს მიმართ უპატივცემულობაში დაგადანაშაულებთ. – განაგრძეთ, რიგითო, მიუბრუნდა ის ფიტცჯერალდს, მას შემდეგ რაც ჩათვალა, რომ მისი ნათქვამის მნიშვნელობას ჩაწვდნენ.

– ის დამნაშავე არ არის, რომ არ იცის რა მოხდა, სერ. – ფიტცჯერალდმა გლასს თანამგრძნობი მზერა ესროლა. სანამ ჩვენ მას ვუვლიდით გრძნობა დაკარგული ჰქონდა და ბოდავდა.

– ეს ყველაფერი კარგია და დასაფასებელი, მაგრამ უარყოფთ თუ არა იმას, რომ გაძარცვეთ და მიატოვეთ ის?

– ნება მომეცით მოგიყვეთ რა მოხდა იმ დილით, სერ. ჩვენ ოთხი დღის განმავლობაში გრანდის გვერდით, ნაკადულთან ვიყავით დაბანაკებული. იმ დღეს ჰიუსთან ბრიჯერი დავტოვე, მე კი სანადიროდ წავედი. თითქმის მთელი დილა გასული ვიყავი. ბანაკიდან ერთ მილში კინალამ არიკარას საბრძოლო რაზმს გადავაწყდი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაყურებელი, რომელიც ძირითადად არიკარასთან არცთუ სასახელო ბრძოლის ვეტერანებისაგან შედგებოდა, გამოცოცხლდა და შეჩოჩქოლდა.

– თავიდან ვერ შემამჩნიეს და ბანაკისკენ წავედი ისე სწრაფად, როგორც კი შემეძლო. უკვე ნაკადულს ვუახლოვდებოდი როცა ინდიელებმა დამინახეს და სროლა ამიტეხეს. როცა ბანაკამდე მივაღწიე, ბრიჯერს ვუთხარი, რომ არიკარა მომსდევდა და თავის დასაცავად უნდა მოვმზადებულიყავით. სწორედ მაშინ მითხრა ბრიჯერმა გლასი გარდაიცვალაო.

– ძაღლიშვილი ხარ შენ, – ველარ მოითმინა გლასმა და მისკენ წაიწია. ორმა შეიარაღებულმა ჯარისკაცმა მას გზა გადაუღობა.

– მისტერ გლას, – იღრიალა კონსტებლმა და მაგიდაზე ჩაქუჩი დაარტყა, – დასხედით და გაჩუმდით თუ არ გინდათ დაგაპატიმროთ.

მაიორი შეეცადა თავი ხელში აეყვანა, მან პაუზა გააკეთა, თითბრის ღილებიანი მუნდირის საყელო შეისწორა და ფიტცჯერალდის დაკითხვა განაგრძო:

– მაგრამ აშკარაა მისტერ გლასი მკვდარი არ იყო. თქვენ ის შეამოწმეთ?

– მე მესმის ის რატომ ბრაზობს, სერ. ბრიჯერისთვის არ უნდა დამეჯერებინა, მაგრამ როდესაც გლასს დავხედე, მას ცხედარივით უფერული სახე ჰქონდა და ოდნავაც არ ინძრეოდა. არიკარა კი უკვე ნაკადულთან იყო. ბრიჯერი ღრიალებდა აქედან უნდა გავიქცეთო, მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ გლასი მკვდარი იყო. ჰოდა გავიქეცით.

– და თან მისი შაშხანა გაიყოლეთ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ეს ბრიჯერმა გააკეთა. მან თქვა, სისულელე იქნება შაშხანა და დანა არიკარას დავუტოვოთო. მასთან დავის დროც აღარ იყო.

– მაგრამ შაშხანა ახლა შენ გაქვს.

– დიახ, ასეა, სერ. როცა უკან, ფორტ უნიონში დავბრუნდით კაპიტან ჰენრის ხელზე ფული არ აღმოაჩნდა, რომ გლასთან დარჩენის საზღაური გადაეხადა ჩვენთვის და მან მთხოვა ფულის ნაცვლად შაშხანა ამეღო. რა თქმა უნდა, მაიორო მოხარული ვარ რომ შესაძლებლობა მეძლევა ის გლასს დავუბრუნო.

– და რაც შეეხება მის კვესს და კაჟს?

– ჩვენ მათ არ მივკარებივართ, სერ, ალბათ ინდიელებმა წაიღეს.

– და რატომ არ მოჰკლეს მათ მისტერ გლასი? რატომ სკალპი არ გადააძრეს, როგორც ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე?

– ალბათ მკვდარი ეგონათ, სერ, ისევე, როგორც ჩვენ. არ მინდა გლასს ეწყინოს, მაგრამ სკალპი თითქმის აღარც კი ჰქონდა შერჩენილი. დათვისგან ისე იყო დასახიჩრებული, ინდიელები ბევრს ვეღარაფერს დაუშავებდნენ.

– რიგითო, თქვენ უკვე ექვსი თვეა აქ მსახურობთ. რატომ აქამდე არაფერი თქვით ამ ამბის შესახებ?

ფიტცჯერალდმა გულდასმით მოზომილი პაუზა გააკეთა, ენა მოიკვნიტა და თავი ჩაქინდრა. ბოლოს თვალები ასწია, შემდეგ თავი და წყნარი ხმით თქვა:

– იცით რა, სერ, როგორ გითხრათ ... ალბათ სირცხვილისგან.

გლასი თვალებს არ უჯერებდა. ფიტცჯერალდისგან ღალატი არ უკვირდა, მაგრამ არ ესმოდა მაიორს როგორ შეიძლებოდა მისი მონაჩმახი დაეჯერებინა. არადა კონს-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტებლი ფიტცჯერალდს არა მხოლოდ ყურადღებით უსმენდა, მისი სიტყვების ტაქტზე თავს აკანტურებდა, ისე, როგორც ვირთხა ააყოლებს თავის ქნევას სალამურის ხმას.

– მე მხოლოდ გუშინ გავიგე, რომ გლასი გადარჩა, – განაგრძობდა ფიტცჯერალდი, – მტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ ის დაუმარხავი დავტოვე. ადამიანი იმსახურებს დამარხვას ველურ პირობებშიც ...

გლასს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. ხელი ლაბადის შიგნით შეიყო, ქამარში დამალული პისტოლეტი ამოიღო და ისროლა. ტყვია ოდნავ გვერდით წავიდა და ფიტცჯერალდს მხარში მოხვდა. დაჭრილმა დაიყვირა. გლასს მაშინვე ორივე მხრიდან ეცნენ და შებოჭეს. ის მთელი ძალით ცდილობდა გუშაგებისგან თავი დაეღწია. სასამართლო დარბაზში ყველაფერი აირ-დაირია. გლასმა ასკიტცენის ყვირილი გაიგონა, მერე მაიორის ოქროსფერმა სამხრეებმა გაუელვეს თვალწინ და მაშინვე კეფაში რაღაც მძიმე მოხვდა. სამყარო ბნელში ჩაიძირა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 27

28 აპრილი, 1824

გლასს უხეშ იატაკზე პირქვეჩამხობილს გაელვიძა. ტკივილისგან თავი უსკდებოდა, გარშემო ქაოსი იყო გამეფებული. აბლაბუდას სუნი სცემდა. შეეცადა გადატრიალებულიყო და კედელს შეეჯახა. თავს ზემოთ სინათლე დაინახა, რომელიც კარის ვიწრო ჭუჭრუტანიდან შემოდიოდა.

ატკინსონის ფორტის ჰაუპტვახტი შედგებოდა ერთი დიდი საპატიმროსაგან, რომელშიც ლოთები და წესრიგის დამრღვევები იყვნენ გამომწყვდეული და ხის ორი საკნისაგან. ხმების მიხედვით საპატიმროში ახლა ოთხი თუ ხუთი ადამიანი იჯდა. გლასს უცებ მოეჩვენა, რომ საკნის კედლები კასრივით იკუმშებოდა. გემის ნესტიანი საკუჭნაო მოაგონდა, სულის შემხუთავი ცხოვრება ზღვაზე, რომელიც ასე სძულდა. შუბლი ოფლმა დაუნამა, სუნთქვა გაუხშირდა. შეეცადა თავი ხელში აეყვანა. ღია სივრცე და თავისუფლება წარმოიდგინა, ვრცელი დაბლობები, მერწევი ბალახების ზღვა თვით ჰორიზონტამდე, მხოლოდ შორეული მთებით შემოსაზღვრული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰაუპტვახტის მონოტონური დღეები გულისგამაწ-ვრილებლად ჰგავდა ერთმანეთს. დილით გუშაგი იცვ-ლებოდა, შუადღისას პურს და წყალს აძლევდნენ, შებინ-დებისას კი ისევ გუშაგი იცვლებოდა.

ორი კვირის შემდეგ გარე კარმა გაიჭრიალა და საკანში სუფთა ჰაერის ნაკადმა შემოაღწია.

– უკან მიდექით თქვე აყროლებულო იდიოტებო, თორემ თავის ქალას ჩაგიმსხვრევთ, – თქვა მხრჩოლავმა ხმამ, რომლის პატრონი პირდაპირ გლასის საკნისკენ მოდიოდა. გასაღებებმა გაიწკრიალა და შემდეგ საკეტის გადატრიალების ხმა გაისმა. კარი გაიღო.

სინათლე შემოიჭრა და გლასმა თვალები დააფახულა. ზღურბლზე ყვითელ შევრონებიანი სერჟანტი იდგა.

– მაიორმა ბრძანება გამოსცა. შეგიძლიათ წახვიდეთ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აუცილებელია, რომ წახ-ვიდეთ. თუ ხვალ, შუადღისთვის ისევ ფორტში იქნებით, პისტოლეტის მოპარვისა და რიგითი ფიტცჯერალდის დაჭრისათვის გაგასამართლებენ.

ბნელ საკანში ორი კვირის ჯდომის შემდეგ მზე თვალებს უბრმავებდა და როცა გვერდით ნაცნობმა ხმამ თქვა: – ბონჟურ, მუსიე გლას, – ჰიუს მთელი წუთი დასჭირდა, სანამ კაიოვა ბრაზოს მსუქან, ჭორფლიან სახეს გაარჩევდა.

– აქ რომელმა ქარმა გადმოგაგდოთ, კაიოვა?

– სენტ-ლუისიდან ვბრუნდები. საქონლით დატვირ-თული ნავი მიმყავს.

– თქვენ გამათავისუფლეთ?

– ჰო, მაიორ კონსტებლთან კარგი ურთიერთობა მაქვს. თქვენ ეტყობა რაღაც უსიამოვნება შეგემთხვათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– უსიამოვნება ის იყო, რომ ჩემმა პისტოლეტმა სწორად არ გაისროლა.

– პისტოლეტი თქვენი მაინც არ იყო. აი, ეს კი, ვფიქრობ თქვენ გეკუთვნით. – კაიოვამ გლასს შაშხანა გაუწოდა.

ანშტადტი! შაშხანა ჩამოართვა და ხელში ნაცნობი სიმძიმე იგრძნო. სასხლეტი შეათვალიერა. შეზეთვა სჭირდებოდა, ლულაზე განაკაწრები შენიშნა, რომელიც ადრე არ ჰქონდა და კონდახის ბოლოში პატარა ასოებით მიწერილი – ჯ. ფ.

სიბრაზემ აიტანა.

– ფიტჯერალდს რა შეემთხვა?

– მაიორმა კონსტებლმა ის მწყობრში დააბრუნა.

– სასჯელის გარეშე?

– ჯარიმას გადაიხდის, ორი თვის ხელფასის ოდენობით.

– ორი თვის ხელფასი!

– და კიდევ ნახვრეტი მხარში. თქვენ კი შაშხანა დაგიბრუნდათ.

კაიოვამ გლასს გამომცდელად შეხედა. კარგად ესმოდა მისი.

– იმ შემთხვევისათვის გეუბნებით, თუ რაღაცას დააპირებთ. მე თქვენს ადგილას არ ვეცდებოდი ამ ფორტის ტერიტორიაზე ანშტადტი გამომეყენებინა. მაიორი კონსტებლი ამაყობს თავისი იურიდიული უფლებამოსილებით და ძალიან უნდა მკვლელობის მცდელობის ბრალდება წამოგიყენოთ. თქვენს გათავისუფლებაზე მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ მე დავარწმუნე, თითქოს თქვენ მუსიე უილიამ ეშლის პროტეჟე იყოთ.

ისინი საპარადო მოედანზე მიაბიჯებდნენ. გაზაფხულის ქარი ლეგიონის დროშას აფრიალებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაიოვა გლასს მიუბრუნდა:

– სულელური აზრები გიტრიალებთ თავში, ჩემო მეგობარო.

გლასი შეჩერდა და ფრანგს პირდაპირ სახეში შეხედა.

– სამწუხაროა, რომ ფიტცჯერალდს ისეთ სიტუაციაში ვერ შეხვდით, როგორც თქვენ ამას ისურვებდით, მაგრამ ალბათ იცით, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება როგორც ჩვენ გვინდა.

– ასე მარტივად არ არის საქმე, კაიოვა.

– რა თქმა უნდა. მერედა ვინ თქვა, რომ მარტივადაა. მაგრამ იცით რას გეტყვით? ყველა ბოლო არ ებმის ერთმანეთს, ბევრი რამ ზოგჯერ დაუსრულებელი რჩება. ითამაშეთ იმ კარტით, რომელიც ხელთ გაქვთ. იმოქმედეთ.

წამოდით ჩემთან ერთად ფორტ ბრაზოში, – დაჟინებით განაგრძობდა ფრანგი, – თუ საქმე კარგად წავა, პარტნიორად გაგიხდით.

გლასმა თავი ნელა გადააქნია. – ეს დიდი გულუხვობაა თქვენგან, კაიოვა, მაგრამ მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვისაც შეუძლია ერთ ადგილას იჯდეს.

– აბა რას აპირებთ? რა გეგმა გაქვთ?

– სენტ-ლუისში ეშლის შეტყობინება უნდა მივუტანო. შემდეგ რა იქნება, ჯერ არ ვიცი. – ხანმოკლე პაუზა გააკეთა და დასძინა: – და, გარდა ამისა, ამ ფორტშიც მაქვს რაღაც საქმე.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ კაიოვამ წყნარად თქვა:

– Il n'est pire sourd que celui qui ne veut pas entendre. იცით ეს რას ნიშნავს?

გლასმა თავი გადააქნია.

– ეს ნიშნავს: ყველაზე ყრუები ისინი არიან, ვისაც არ სურთ მოისმინონ. რატომ ჩამოხვედით დასავლეთში? –

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მკაცრი ტონით ჰკითხა კაიოვამ – იმისთვის, რომ ვილაც ჩვეულებრივ ქურდს სდიოთ? იმისთვის, რომ შურისძიების წამით დატკბეთ? მე თქვენზე უფრო მეტი წარმოდგენა მაქვს.

გლასი ხმას არ იღებდა. ბოლოს კაიოვამ თქვა:

– რა გაეწყობა. თუ გინდათ, რომ ჰაუპტვახტში მოკვდეთ, თქვენი ნებაა. – ფრანგი შებრუნდა, წავიდა და საპარადო მოედანი გადაჭრა. გლასი წამიერად შეყოყმანდა და შემდეგ უკან გაჰყვა.

– წავიდეთ, ვისკი დავლიოთ, – მხარს უკან გამოსძახა კაიოვამ, – პაუდერის და პლატეს შესახებ მომიყევით.

კაიოვამ გლასს ფული ასესხა მარაგებისა და ღამის გასათევი ადგილისათვის სასტუმროს ადგილობრივ ანალოგში – მარკიტანტის სახლში, სხვენზე. ვისკის დალევის შემდეგ გლასს ჩვეულებრივ რული ეკიდებოდა, მაგრამ დღეს რატომღაც ძილი არ მოდიოდა. ფიქრები ჭიანჭველებივით ირეოდა თავში. ცდილობდა ნათლად ეფიქრა. რა პასუხი არსებობდა კაიოვას მიერ დასმულ შეკითხვაზე?

გლასმა შაშხანა აიღო და საპარადო მოედნისკენ წავიდა. უმთვარო, მაგრამ ნათელი ღამე იყო. ცაზე ურიცხვი ვარსკვლავი კიაფობდა. უხეში კიბით ვიწრო მესერზე აძვრა, რომელიც ფორტზე იყო გარშემორტყმული და მიმოიხედა.

მის ზურგს უკან ფორტის ტერიტორია იყო. მოედნის გასწვრივ ყაზარმები ჩამწკრივებულიყო. ფიტცჯერალდი ახლა სადღაც იქ იქნებოდა. რამდენი ასეული მილი გაიარა რომ ის ეპოვა. და ახლა მოღალატეს მშვიდად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეძინა მისგან სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯში. ხელში შაშხანის მეტალის სიცივე იგრძნო. ნუთუ ყველაფერი ასე უნდა დაეტოვებინა და წასულიყო?

გლასი ფორტისგან შებრუნდა და მდინარე მისურისკენ ციხის სანგარს გახედა.

მდინარის წყალში ვარსკვლავები ცეკვავდნენ. მათი ანარეკლი თითქოს ცის კვალი იყო დედამიწაზე. გლასმა ზემოთ აიხედა, რომ თავისი საყვარელი ორიენტირები დაენახა: დიდი დათვის თანავარსკვლავედი და პატარა, მარადიული და უძრავი პოლარული ვარსკვლავი, ორიონი მოიძია ცაზე. სად არის მონადირე თავისი შურისმგებელი მახვილით? დიდი ვარსკვლავი ვეგა თითქოს ცდილობდა მისი ყურადღება საკაშკაშით და ბრწინვალებით მიეპყრო. ვეგას გვერდით გედის თანავარსკვლავედი გაარჩია. ხაზები, ერთმანეთს რომ ჰკვეთდნენ, ჯვარს ჰგავდა და გლასს გაახსენდა: გედს ხშირად ჩრდილოეთის ჯვარს ეძახდნენ.

დიდხანს იდგა მაღალ მესერზე იმ ღამით, მისურის ტლაშუნს უსმენდა და ფიქრობდა იმაზე თუ საიდან იღებდნენ სათავეს მდინარეები და მთები, აოცებდა ვარსკვლავების ნათება და უკიდეგანო ზეცა მის თავს ზემოთ გადაჭიმული და მათ ფონზე თავისი პატარა და უმნიშვნელო ადგილი სამყაროში. ბოლოს მესერიდან ჩამოცოცდა, შინ შევიდა და მაშინვე ჩაეძინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 28

7 მაისი, 1824

ჯიმ ბრიჯერმა ხელი ასწია, რომ კაპიტან ჰენრის კარზე დაეკაკუნებინა, მაგრამ შეჩერდა. ერთი კვირის წინ კროუს ინდიელებმა თავიანთი ცხენები მოპარვით დაიბრუნეს უკან და მას შემდეგ კაპიტანი თავისი სამყოფელიდან გამოსული არავის უნახავს. ალისტერ მერფის წარმატებულმა ნადირობამაც კი ვერ აიძულა ჰენრი განმარტოება დაერღვია.

ბრიჯერმა ღრმად ჩაისუნთქა და დააკაკუნა. შიგნით რაღაცამ გაიშრიალა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

– კაპიტანო!

ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბრიჯერმა ცოტა ხანს კიდევ შეიცადა და კარი შეაღო.

ჰენრი ჩაცუცქული იჯდა სახელდახელოდ მოწყობილ მაგიდასთან – ორ კასრზე გადებულ ფიცართან. მხრებზე შემოხვეული საბანი ფარდულში კერასთან მიმჯდარ მოხუც გამყიდველს ამსგავსებდა. კაპიტანს ერთ ხელში კალმისტარი ეჭირა, მეორეში – ქაღალდის ფურცელი. ბრიჯერმა ფურცელს შეხედა – ის ციფრების გრძელი სვე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტებით იყო აჭრელებული მარცხნიდან მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ და აქა-იქ მელნით გადღაბნილი, თითქოს კალამი წინააღმდეგობას წააწყდა, გაირინდა და ფურცელზე სისხლად დაიღვარაო. ქაღალდები ეყარა მაგიდაზე, ქაღალდები იყო დახვავებული იატაკზეც.

ბრიჯერი იცდიდა სანამ კაპიტანი რაიმეს ეტყოდა ან ამოხედავდა მაინც. კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ჰენრიმ არც ერთი გააკეთა და არც მეორე. ბოლოს მაინც ამოხედა. რამდენიმე ღამის უძინარი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, ჩაწითლებული, უგონო თვალები უელავდა. ბრიჯერს გაახსენდა მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, თითქოს კაპიტანი ჭკუიდან გადავიდა.

– ბრიჯერ, შენ ციფრებში ერკვევი?

– ვერა, სერ.

– ვერც მე. იმედი მქონდა, რომ მე უბრალოდ თავს ვერ ვაბამდი. – კაპიტანი ისევ თავის ქაღალდს დააშტერდა, – აი, ვზივარ და ვანგარიშობ და სულ ერთიდაიგივე გამოდის. ასე რომ, არითმეტიკა აქ არაფერ შუაშია. საქმე ის არის, რომ მე შედეგი არ მომწონს. ის არ გამოდის, რაც მე მინდა, რომ გამოვიდეს.

– ვერ გავიგე რას გულისხმობთ, კაპიტანო.

– იმას, რომ ჩვენ ფსკერისკენ მივდივართ. ოცდაათი ათასი დოლარი ვალი გვაქვს. ცხენების გარეშე კაცებს სანადიროდ ვერ გავგზავნით, ნადირობის გარეშე ახალი ცხენებისთვის ვერ შევაგროვებთ ფულს. და ცხენებზე გადასაცვლელიც არაფერი გვაქვს.

– მერფი ბიგ-ჰორნიდან დაბრუნდა და ორი ფუთა მოიტანა.

კაპიტანმა ბრიჯერის სიტყვები თავისი წარსული გამოცდილების სქელ ფილტრში გაატარა და თქვა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ეს ზღვაში წვეთია, ბრიჯერ. ორი ფუთა ჩვენ ვერაფერს გვიშველის. ვერც ოცი.

საუბარი ისე არ წარიმართა, როგორც ბრიჯერს ჰქონდა ჩაფიქრებული. მაგრამ უკვე ორი კვირა იყო, რაც ის მხნეობას იკრებდა კაპიტანთან სალაპარაკოდ და ახლა გადაწყვიტა უკან არ დაეხია:

– მერფი ამბობს, რომ თქვენ რამდენიმე კაცის გაგზავნას აპირებთ მთებში ჯედი სმიტის მოსაძებნად.

კაპიტანი დუმდა, მაგრამ ბრიჯერი არ ცხრებოდა.

– მე მინდა, რომ მათთან ერთად გამაგზავნოთ.

ჰენრიმ ბიჭს შეხედა. ბრიჯერის თვალებში გაზაფხულის დილის ცისკრისებური იმედი კიაფობდა. კაპიტანს აღარც ახსოვდა მასში ახალგაზრდული ოპტიმიზმის თუნდაც ნასახი უკანასკნელად როდის იგრძნო. გახსენების სურვილიც არ ჰქონდა.

– ენდე ჩემს გამოცდილებას, ჯიმ. მე იმ მთებს იქით ნამყოფი ვარ და სულაც არ არის ის, რადაც გვეჩვენება. იაფფასიანი ბორდელის შეღებილ ფასადს უფრო ჰგავს. მე ვიცი, შენ რასაც ეძებ, მაგრამ ამ მთებში ვერაფერს იპოვი.

ჯიმმა არ იცოდა რა ეპასუხა. ვერ გაეგო კაპიტანი ასე უცნაურად რატომ იქცეოდა. იქნებ მართლა შეიშალა? ამაზე პასუხი არ ჰქონდა, მაგრამ რაც დანამდვილებით იცოდა ის იყო, რომ კაპიტანი ცდებოდა.

ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მიუხედავად იმისა, რომ თავს უხერხულად გრძნობდა, ბრიჯერი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ბოლოს კაპიტანმა თქვა:

– შენი გადასაწყვეტია, ჯიმ. მე გაგიშვებ, თუ შენ გინდა რომ წახვიდე.

ბრიჯერი ეზოში გავიდა. მზის კაშკაშა სხივები თვალს სჭრიდა. გრძნობდა, რომ დილის სუსხი სახეს უწვავდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გამოძახილი ზამთრისა, რომელიც მთავრდებოდა. ჯერ კიდევ შეიძლებოდა მოეთოვა, მაგრამ გაზაფხული უკვე ძალას იკრებდა.

ჯიმი მოკლე კიბით მესერზე აძვრა, კედელზე იდაყვებით ჩამოეყრდნო და მზერა ბიგ-ჰორნის მთებს მიაპყრო. კიდევ ერთხელ გააკვირვა სილრმემ კანიონისა, მთის გულისგულში რომ აღწევდა. გაეცინა, როცა წარმოიდგინა როგორი ამოუწურავი შესაძლებლობები შეიძლებოდა არსებულიყო კანიონში, მთის მწვერვალებსა და მათ მილმა.

ჰორიზონტისკენ გაიხედა, თოვლით დასერილი მთების მწვერვალებისკენ, ლურჯი ცის ფონზე ქალწულებრივი სითეთრით რომ ქათქათებდნენ. მათზე ასვლა ჰორიზონტის შეხებას ნიშნავდა, მის იქით კი ახალი დაიწყებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კომენტარები

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება იცოდეს რამდენად შეესაბამება რომანში აღწერილი მოვლენები სინამდვილეს. ბეწვეულით ვაჭრობის ეპოქამ ჩვენ ფაქტებისა და ლეგენდების ბუნდოვანი ნაზავი დაგვიტოვა და ჰიუ გლასის ამბავიც ალბათ ნაწილობრივ მითოლოგიზირებულია. „გადარჩენილი" მხატვრული ტექსტია, მაგრამ, როცა მთავარ მოვლენებს აღვწერდი ვცდილობდი ისტორიული ფაქტებისაგან არ გადამეხვია.

უდავო სიმართლე გახლავთ ის, რომ ჰიუ გლასს, რომელიც კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიაში მუშაობდა, 1823 წელს დათვი გრიზლი დაესხა თავს და ძლიერ დაასახიჩრა. ის ამხანაგებმა მიატოვეს, მათ შორის იმ ორმაც, მისი მოვლა რომ ევალებოდათ. გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურისსაძიებლად გაემართა. მისი ცხოვრება ყველაზე სრულყოფილად ჯონ მაიერს მაიერსმა გამოიკვლია თავშესაქცევ ბიოგრაფიულ ნაშრომში: „საგა ჰიუ გლასზე". მაიერსი ახერხებს ისტორიულად დაასაბუთოს გლასის ცხოვრების ისეთი დაუჯერებელი დეტალები, როგორიცაა მისი ტყვეობაში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოფნა მეკობრე ჟან ლაფიტთან და მოგვიანებით პაუნის ტომის ინდიელებთან.

ისტორიკოსების აზრი იყოფა იმის შესახებ, იყო თუ არა ჯიმ ბრიჯერი ერთ-ერთი იმ ორი კაციდან, რომლებიც გლასის მოსავლელად დატოვეს. მკვლევართა უმრავ-ლესობა ფიქრობს, რომ იყო. (თუმცა ისტორიკოსი სესილ ალტერი 1925 წელს დაწერილ ბრიჯერის ბიოგრაფიაში, მგზნებარედ ამტკიცებს ამის საწინააღმდეგოს). არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულებები იმისა, რომ გლასი ბრიჯერს მდინარე ბიგ-ჰორნზე არსებულ ფორტზე შეხვდა და აპატია მას.

რამდენიმე ადგილას მე თავს ლიტერატურული და ისტორიული თავნებობის ნება მივეცი. არსებობს ეჭვმიუ-ტანელი ცნობა, რომ ატკინსონის ფორტში გლასმა შეძლო ფიტცჯერალდს დასწეოდა. მოღალატე იმ დროს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარში მსახურობდა. თუმცა ამ შეხვედრის შესახებ მონათხრობები ძალიან ფრაგმენტულია. ჩემ მიერ აღწერილი სასამართლო პრო-ცესი, მაიორ კონსტებლის პიროვნება და ფიტცჯერალდის მხარში დაჭრა ჩემი წარმოსახვის ნაყოფია. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით ჰიუ გლასმა ანტუან ლანჟევენის რაზმი ჯერ კიდევ მანამ დატოვა, სანამ ვოიაჟერებს არიკარა დაესხა თავს. (ტუსენ შარბონო, როგორც ჩანს თავდასხმის დროს ლანჟევენთან ერთად იმყოფებოდა და გადარჩა, თუმცა ამ ისტორიაში ზოგი რამ ბუნდოვანია). პროფესორი დომინიკ კატუარი და ლა ვიერჟ კატუარი გამოგონილი პერსონაჟებია.

გამოგონილია ასევე ფორტი ტალბოტი და მისი მაც-ხოვრებლები. გეოგრაფიულ ცნობებთან დაკავშირებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი მე ვცდილობდი რაც შეიძლება ზუსტი ვყოფილიყავი. არიკარას ტომის ინდიელების თავდასხმა გლასსა და მის თანამგზავრებზე 1824 წელს რეალური მოვლენაა და ის წყაროების თანახმად ჩრდილოეთ პლატესა და იმ მდინარის შესართავთან მოხდა, რომელსაც მოგვიანებით ლარამიე ეწოდა. თერთმეტი წლის შემდეგ ამ ადგილას ლარამიეს ფორტის წინამორბედი ფორტი უილიამი დაარსდა.

მკითხველებს, რომლებიც ბეწვეულით ვაჭრობის პერიოდით არიან დაინტერესებული, შეუძლიათ ისტორიულ კვლევებს მიმართონ, პირველ ყოვლისა ჰირამ ჩიტენდენის კლასიკურ ნაშრომს „ამერიკელთა ბეწვეულით ვაჭრობა შორეულ დასავლეთში“ და უფრო მოგვიანებით დაწერილ რობერ მ. ატლის გამოკვლევას „ხიფათით სავსე ველური ცხოვრება“.

რომანში აღწერილი მოვლენების შემდეგ ბევრი პერსონაჟის ცხოვრება ტრაგიკული თუ გმირული მოვლენებით იყო სავსე. მათგან გამორჩეულთა შესახებ ორიოდ სიტყვით გეტყვით:

კაპიტანი ანდრეუ ჰენრი – 1824 წლის ზაფხულში ჰენრი და მისი ტრაპერები ახლანდელი ვაიომინგის ტერიტორიაზე ჯედი სმიტს და მისი რაზმს შეხვდნენ. სმიტი იქ სანადიროდ დარჩა, ჰენრიმ კი სენტ-ლუისში საერთო ნადავლი წაიღო. კაპიტნის რაზმის მიერ მოპოვებული ბეწვეული კომპანიის ხარჯებს ვერ ფარავდა, მაგრამ ეშლიმ ჩათვალა, რომ ბეწვეულის რაოდენობა საკმარისი იყო იმისთვის, რომ დასავლეთში დაბრუნება გამართლებული ყოფილიყო. მან მოახერხა ფულის შეგროვება ახალი ექსპედიციისთვის, რომელიც 1824 წლის 21 ოქტომბერს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰენრის მეთაურობით სენტ-ლუისიდან გავიდა. არ ვიცით რატომ, მაგრამ მალე კაპიტანი ჰენრი უკან დაბრუნდა. მას კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიაში თავის წილზე უარი რომ არ ეთქვა, ერთი წლის შემდეგ გამდიდრდებოდა, ისევე, როგორც კომპანიის სხვა მეწილეები, მაგრამ კაპიტანი კიდევ ერთხელ უიღბლო გამოდგა. თავისი წილი მან საკმაოდ მოკრძალებულ ფასად გაყიდა, თუმცა აღებული ფული უზრუნველყოფილი ცხოვრებისთვის მაინც საკმარისი იქნებოდა, მას საშუამდგომლო ბიზნესისთვის რომ არ მოეკიდა ხელი. მისმა რამდენიმე მოვალემ ვალი ვერ გადაიხადა და კაპიტანი გაკოტრდა. ენდრიუ ჰენრი 1832 წელს სიღარიბეში გარდაიცვალა.

უილიამ ეშლი – აღსანიშნავია როგორი განსხვავებული შეიძლება იყოს ორი პარტნიორის ბედი ერთსადაიმავე ბიზნესში. ეშლის, რომლის ვალებიც ასევე იზრდებოდა, სჯეროდა, რომ ბეწვეულით ვაჭრობა საბოლოოდ მომგებიანი იქნებოდა. 1824 წელს გუბერნატორის არჩევნებში დამარცხების შემდეგ მან ტრაპერების რაზმი პლატეს სამხრეთ განშტოებისკენ წაიყვანა. ის გახდა პირველი თეთრკანიანი, რომელიც შეეცადა მდინარე გრინზე ეცურა. ეს ცდა კინაღამ კატასტროფით დამთავრდა შესართავთან, რომელსაც ახლა მდინარე ეშლი ეწოდება.

ეშლი, რომელსაც ცოტა ბეწვეული ჰქონდა საიმისოდ, რომ თავისი ლაშქრობა გაემართლებინა, გზად ჰადსონის ყურის კომპანიის კანადელი ტრაპერების ჯგუფს შეხვდა და რაღაც გაურკვეველი გარიგების შედეგად მის მფლობელობაში ასობით ფუთა თახვის ტყავი გადავიდა. ზოგი ვარაუდობს, რომ ამერიკელებმა ჰადსონელები გაძარცვეს, უფრო სარწმუნო წყაროების მიხედვით კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეშლიმ უბრალოდ კარგი ფასი გადაიხადა და ტყავი შეიძინა. ასე იყო, თუ ისე 1825 წლის შემოდგომაზე მან ბეწვეული ორასიათას დოლარზე მეტად გაყიდა და უზრუნველყოფილი ცხოვრება გაინაღდა.

1826 წელს ეშლიმ კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის თავისი წილი ჯედიდაი სმიტს, დევიდ ჯექსონს და უილიამ საბლეტს მიჰყიდა და საქმიდან გავიდა. ის ისტორიაში დარჩა როგორც ბეწვეულის წარმატებული ბარონი, პერსონაჟი დასავლეთის ეპოპეის ლეგენდებისა და შემქმნელი სისტემისა, რომლის დროსაც ტრაპერების ჯგუფები დანიშნულ ადგილას იკრიბებიან საქონლის გადასაცემად.

1831 წელს ეშლი კონგრესში აირჩიეს მისურის შტატიდან (დუელში მოკლული სპენსერ პოტისის ნაცვლად), შემდეგ ორჯერ გაიმარჯვა ხელახალ არჩევნებში და 1837 წელს პოლიტიკიდან წავიდა. უილიამ ეშლი 1837 წელს გარდაიცვალა.

ჯიმ ბრიჯერი – 1824 წლის შემოდგომაზე ჯიმ ბრიჯერმა კლდოვანი მთები გადაიარა და იქცა პირველ თეთრკანიანად, რომელიც დიდი მარილიანი ტბის წყლებს შეეხო. 1830 წელს ის კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის ერთ-ერთი მფლობელი გახდა და 1840-იანი წლების ბოლოს ბეწვეულის ეპოქის დასასრულს შეესწრო, რის შემდეგაც დასავლეთისკენ ექსპანსიის მომდევნო ტალღას გაჰყვა. 1838 წელს ახლანდელი ვაიომინგის ტერიტორიაზე ახალი ფორტი ააგო – „ფორტი ბრიჯერი“, რომელიც ორეგონის კვალზე მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად იქცა, შემდეგ კი სამხედრო დანიშნულების ციხესიმაგრის და „პონი ექსპრესის“ საფოსტო სამსახურის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პუნქტის ფუნქციას ასრულებდა. 1850-1860-იან წლებში ბრიჯერი ხშირად კოლონისტების, მკვლევართა ჯგუფების და ამერიკის შეერთებული შტატების არმიის გამძღოლად მუშაობდა.

ბრიჯერი 1878 წლის 17 ივლისს ვესტპორტთან ახლოს, მისურიზე გარდაიცვალა. ტრაპერის, მკვლევარის და გამძღოლის რანგში მრავალი დამსახურებისათვის, მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც „მთების მეფეს". მისი სახელი დასავლეთის მხარის ბევრ მთას, მდინარეს და ქალაქს ჰქვია.

ჯონ ფიტცჯერალდი – მის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ის რეალური პიროვნებაა და მას მიიჩნევენ იმ ორიდან ერთ-ერთ კაცად, რომელმაც ჰიუ გლასი მიატოვა. ამბობენ, რომ ის კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიიდან გაიქცა და ამერიკის შეერთებული შტატების რეგულარულ არმიაში მსახურობდა. მისი ცხოვრების დანარჩენი ამბები ჩემი ფანტაზიის ნაყოფია.

ჰიუ გლასი – ფორტ ატკინსონიდან ჰიუ გლასი ქვემოთ, მდინარეს დაუყვა სენტ-ლუისამდე, სადაც უილიამ ეშლის გზავნილი გადასცა. სენტ-ლუისში ის სანტა-ფესკენ მიმავალ ვაჭრების გუნდს შეუერთდა და მდინარე ჰელოზე ერთი წელი ტრაპერად იმუშავა. 1825 წელს გლასი ტაოსში, სამხრეთ-დასავლეთის მხარის ბეწვეულის ცენტრში იმყოფებოდა.

სამხრეთ დასავლეთის გვალვიან ადგილებში ნადავლის მოპოვება სულ უფრო ჭირდა და გლასი კვლავ ჩრდილოეთისაკენ გაემართა. გზადაგზა მდინარეების – კოლორადოს, გრინის და სნეიკის მიდამოებში ნადირობდა და, ბოლოს და ბოლოს, მისურის მთავარ კალაპოტამდე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიაღწია. 1828 წელს ეგრეთწოდებულმა თავისუფალმა ტრაპერებმა გლასი კლდოვანი მთების ბეწვეულის კომპანიის მონოპოლიის შეზღუდვასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში თავიანთ წარმომადგენლად დანიშნეს. როცა მდინარე კოლუმბიის დასავლეთს მიაღწია, გლასმა კლდოვანი მთების აღმოსავლეთ ფერდობებზე დაიწყო ნადირობა.

1833 წელს გლასმა ავანპოსტში, სახელად „ფორტ კასი" გამოიზამთრა ენდრიუ ჰენრის ძველი ფორტის გვერდით მდინარეების იელოუსტოუნის და ბიგ-ჰორნის შერწყმის ადგილას. თებერვლის ერთ დილას ის ორ კომპანიონთან ერთად სანადიროდ წავიდა. როცა გაყინულ იელოუსტოუნზე გადადიოდნენ მათ არიკარას ოცდაათკაციანი რაზმი დაესხა თავს. გლასი და მისი ორივე თანამგზავრი დაიღუპნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მადლობა

ჩემი ოჯახი და მეგობრები (და კიდევ რამდენიმე სხვა, ჩემდამი ძალიან კეთილად განწყობილი ადამიანი) დროს არ იშურებდნენ, რომ ჩემი წიგნის პირველი მონახაზები წაეკითხათ, კრიტიკული შენიშვნები გამოეთქვათ და გავემხნევებინეთ. დიდი მადლობა მათ: შონ დარას, ლიზი და ჯონ ფელდმანებს, ტიმოთი და ლორი ოტო პანკერებს, პიტერ შერს, კიმ ტილის, ბრენტ და შერილ გარეტებს, მერილინ და ბუტჩ პანკეებს, რენდი და ჯულია მილერებს, კელი მაკმანუსს, მარკ გლიკს, ბილ და მერი სტრონგებს, მიკი კანტორს, ანდრე სოლომიტას, ევ ერლიჰს, ჯენ კაპლანს, მილდრედ ჰოკერს, მონტე სილკს, კეროლ და ტედ კინებს, იან დევისს, დევიდ კურაპკას, დევიდ მარჩიკს, ჯეი ზიგლერს, ობრი მოსს, მაიკ ბრიჯს, ნენსი გუდმანს, ჯენიფერ იგანს, ემი და მაიკ მაკმანამენებს, ლინდა სტილმანს და ჯეკლინ კანდიფს.

მადლობას ვუხდი ასევე შესანიშნავ მასწავლებლებს ტორინგტონიდან და ვაიომინგიდან: ეტელ ჯეიმსი, ბეტი სპორტსმანი, ედი სმიტი, როჯერ კლარკი, კრეიკ სოდარო, რენდი ადამსი და ბობ ლატა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცალკე მინდა გამოვყო არაჩვეულებრივი ტინა ბენეტი, რომელმაც ბევრი იმუშავა ტექსტის სრულყოფისათვის (წიგნის ყველა ნაკლი ჩემს სინდისზეა) და მისგან კინოვერსია შექმნა. მადლობა მის ნიჭიერ ასისტენტს სვეტლანა კაცს, რომელმაც წიგნის სათაური მოიფიქრა (მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად). რჩევებისთვის მადლობას ვუხდი ფილიპ ტერნერს, ასევე სტივენ მორისონს, რომელიც პ. ჯ. ჰოროზსკოსთან ერთად დაეხმარა „გადარჩენილს" სიცოცხლეს დაბრუნებოდა.

2002 წელს კეის რედმონმა ტექსტში ფილმის პოტენციალი დაინახა და თავის კოლეგებთან სტივ კოლინთან და დევიდ კანტერთან ერთად გულმოდგინედ იმუშავა სცენარის შექმნაზე.

და რა თქმა უნდა განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ოჯახს. გმადლობთ, სოფი ხაფანგებთან დაკავშირებული ექსპერიმენტების ჩატარებაში დახმარებისათვის. გმადლობთ ბო გრიზლის სრულიად გამაოგნებელი იმიტაციისათვის. და კიდევ, მადლობა ტრეის მუდმივი თანადგომისათვის, მოთმინებისა და ყურადღებისათვის, რომელსაც რომანის მრავალჯერადი გადაკითხვისას იჩენდი.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სარჩევი

1 სექტემბერი, 1823 7

ნაწილი პირველი

თავი 1. 21 აგვისტო, 1823 13

თავი 2. 23 აგვისტო, 1823 19

თავი 3. 24 აგვისტო, 1823 33

თავი 4. 28 აგვისტო, 1823 51

თავი 5. 30 აგვისტო, 1823 64

თავი 6. 31 აგვისტო, 1823 76

თავი 7. 2 სექტემბერი, 1823. ღამე 92

თავი 8. 2 სექტემბერი, 1823 121

თავი 9. 8 სექტემბერი, 1823 129

თავი 10. 15 სექტემბერი, 1823 144

თავი 11. 16 სექტემბერი, 1823 161

თავი 12. 17 სექტემბერი, 1823 165

თავი 13. 5 ოქტომბერი, 1823 171

თავი 14. 5 ოქტომბერი, 1823 185

თავი 15. 9 ოქტომბერი, 1823 187

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაწილი მეორე

თავი 16.	29 ნოემბერი, 1823	219
თავი 17.	5 დეკემბერი, 1823	235
თავი 18.	6 დეკემბერი, 1823	246
თავი 19.	8 დეკემბერი, 1823	261
თავი 20.	15 დეკემბერი, 1823	267
თავი 21.	31 დეკემბერი, 1823	276
თავი 22.	27 თებერვალი, 1823	296
თავი 23.	6 მარტი, 1824 წელი	305
თავი 24.	27 მარტი, 1824	310
თავი 25.	28 მარტი, 1824	322
თავი 26.	14 აპრილი, 1824	335
თავი 27.	28 აპრილი, 1824	351
თავი 28.	7 მაისი, 1824	357
კომენტარები		361
მადლობა		368

www.PDF.ChiaturaINFO.GE